

ඩී. ඩී. ඩී. සෙනුවිස්සේරුතලාපිත, එතැන්තේ ප්‍රාදුගණය

ඉ. 3. තානළ ම

ඩීරුම්ප්‍රසාද

කොළඹ ප්‍රාන්තික ප්‍රාන්තික ප්‍රාන්තික ප්‍රාන්තික

1814—1919

011688560
16. ඇංග්‍රීස් ප්‍රජාතාන්ත්‍රික ප්‍රජාතාන්ත්‍රික

ප්‍රජාතාන්ත්‍රික ප්‍රජාතාන්ත්‍රික „ආත්‍මාන්‍ය“

ඉංග්‍රීස් — 1925



თავი პირველი.

ევროპა ვენის კონგრესიდან 1848 წლის სარევოლუციით მოძრაობამდე და 1849—51 წ.წ. რეაქცია.

სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ხა-
ერთო ხასიათი და ფორმები მე-19-ე საუკუნის პირველ ნა-
ხევარში.

✓ 1814 წლის აპრილში ნაპოლეონ I ტახტზე უარი სოქვა, შემოდგომას კი ვენაში ექროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონვრესი გაიმართა. ამ კონვრესის სხდომები გრძელდებოდა (ინტერ-ვალებით) 1815 წლის ზაფხულამდე; მან სახელმწიფოების სახლერები დააწესა, ამასთანავე ერთად ცდილობდნენ, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, აღდგინათ ის მდგომარეობა, რომელიც სარევოლუციო და ნაპოლეონის ომებამდე არსებობდა. მაგრამ აქაც ზოგიერთი ცელი-ლებები მოხდა, რაღანაც ყოვლად შეუძლებელი იყო ყველაფერი სწორედ იმ სახით აღდგენილიყო, როგორც წინათ იყო (პოლონეთის ნაწილი, რომელიც პოლონეთის გაყოფის დროს პრუსიას ერგო, ეხლა რუსეთის ხელში გადავიდა; ბელგია პოლლანდიას შეუერთეს და სხვ.).

შით უფრო შეუძლებელი გახდა სრული აღდგენა წინანდელი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილებისა.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ და ნაპოლეონის ბატონობამ ეგროპაში ისეთი ლრმა ცვლილებები შეიტანეს ცხოვრების ყოველ სფეროში, რომ, მიუხედავად ნაპოლეონის სამხედრო ძლიერების დამხობისა ეგროპის სახელმწიფოების მიერ 1813—1814 წ.წ. და გან. თავისუფლებისა მისი ბატონობისგან, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ნაპოლეონის ნაცვლად ტახტზე აყვანილ იქმნა ლიუდოვიკ XVIII,—რევოლუციის ხანაში დამხობილი ბურბონების დინასტიის წარმომადგენელი, —მიუხედავად ყოველივე ამისა ვერც ეგროპაში და ველარც საფრანგეთში ძევეს რევიმსა და რევოლუციის წინა დროინდელ წესებს საესებით ველარ დაუბრუნდნენ. ეკონომიური ცხოვრება შრომის თავისუფლებისა, ვაჭრობისა და სამრეწველო კონკურენციის

სრული თავისუფლების საფუძვლებზე უნდა დაშაობულიყო; მოქალა-
ქეთა თანასწორობა კანონის წინაშე ჯერ კიდევ დაკანონებული არ
იყო, მაგრამ უწინდელი ფეოდალური წესების სრული აღდგენა უკვე
ველარსად მოხერხდა. ბოტონუმობა აქ-იქ (ავსტრიის იმპერიის ზო-
გიერთ ნაწილებში) ჯერ კიდევ შერჩა, მაგრამ დასავლეთ ევროპის
ქვეყნების უდიდეს ნაწილში მისი მხოლოდ კვალი და ნამსხვევები
და დარჩა.

მე-19-ე საუკუნის მთელი პირები ნახევარის განმავლობაში
ევროპის ეკონომიკური განვითარება ჩქარის ნაბიჯით მიმდინარეობდა.
აღმოცენება და განვითარება ოკინის გზებისა და ნაოსნობისა, გან-
ვითარება ორთქლით მამოძრავებელი მანქანებისა და მრეწველობისა,
წარმოუდგენელი ზრდა საბანკო საქმისა, უდიდესი გაზრდა მოძრავი
კაპიტალისა,—აი უმთავრესი დამახასიათებელი თვისებანი მე-19-ე
საუკუნის პირველი ნახევარის ევროპიული ცხოვრებისა.

მაგრამ ისტორიაში მოძრავი კაპიტალის ჩრდა უველგან
და ყოველთვის ძველი ფეოდალური ან ნახევრად ფეოდალური, მემა-
მულური ყოფაცხოვრების რღვევა—ნგრევას აჩქარებდა. დასავლეთ
ევროპაში, როგორცა ვსოდეთ, მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარშ
ფეოდალურ ურთიერთობათა და ბატონ-უმობის კვალი და დარჩა,—
მით უფრო ჩქარა უნდა აღმოფხვრილიყო ეს დარჩენილი კვალიც.

მაგრამ ამ ფეოდალური და ნახევრად ფეოდალური ტრადიციე-
ბის, თავად-აზნაურული მიწად-მფლობელობის ყოფილ წარმომადგენ-
ლებს სრულიადაც არა სურდათ თავიანთი ბატონობა და გავლენა.
უბრძოლველად დაეთმოთ. და აი, ჩევნა ვხედავთ, რომ ახალი, ბურ-
ჟუაზიული, მოძრავი კაპიტალის ძალის წარმომადგენლებსა და არის-
ტოკრატიისა, თავად-აზნაურობისა, მსხვილი მიწადმფლობელობისა.
წარმომადგენლებს შორის ბრძოლა იმართება. ეს ბრძოლა უველგან.
ამა თუ იმ სახით ბურჟუაზიული კლასის გამარჯვებით თავდება..
ინგლისში ამ გამარჯვებას ბურჟუაზიამ მიაღწია 1832 წელს, საარ-
ჩევნო ოფიციალური წელიწადს; საფრანგეთში—1930 წელს, ივლისის
რევოლუციის წელიწადს; გერმანიასა და ავსტრიაში თავად-აზნაუ-
რულ-თვითმყრობელურ რეჟიმს მძიმე განსაცდელი დაატყდა 1848-
წელს; გერმანიაში, მაგალითად, თავად-აზნაურობის წარმომადგენლე-
ბია. მხოლოდ იმიტომ შეინარჩუნეს (1918 წლამდე) თავიანთი გამა-
ტონებული მდგომარეობა სახელმწიფოში, რომ ბევრს ომებში (და
უმთავრესად) გამტარებლები და აღმსრულებლები გახდნენ იმ პოლი-
ტიკისა, რომელსაც სწორედ სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსიური
ფუნქციების ინტერესები. უკარნახებდა. ეს ბრძოლა უფრო სშირად გარე-

გნულად ლიბერალებისა (ახალი, ბურუუზიული საზოგადოების წარმომადგენლების) და კონსერვატორების (ძველი, ღრმომოქმული თავადაზნაურული საზოგადოების) ბრძოლის სახეს იღებდა. ლიბერალები საკონსტიტუციო მონარქიას ემხრობოდნენ, კონსერვატორები კი, უმეტეს შემთხვევაში, თვითმპურობობას უჭერდნენ მხარსა; იქ, სადაც კონსტიტუცია უკვე არსებობდა, ლიბერალები ცენზის ისეთს გაფართოვებას მოითხოვდნენ, რომელიც ხელისუფლებას ბურუუზიას გადასცემდა, კონსერვატორები კი ისეთს ცენზის იცავდნენ, რომელიც არჩევნების დროს გავლენას მსხვილს მიწადმფულობელობას დაუტოვებდა. ეს ბრძოლა ორი კლასისა—ბურუუზიულის თავად-აზნაურულ, მიწადმფულობელთა კლასის წინააღმდეგ, ბრძოლა ორი პოლიტიკური მიმართულებისა—ლიბერალურისა კონსერვატიულის წინააღმდეგ, იმ დროს ძალიან ბშირად უკავშირდებოდა ორი მსოფლშედველობის ბრძოლას: ლიბერალები და მათი მონათესავე რაღიალები მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს განთავისუფლებას ეკლესიის გავლენისაგან, სარწმუნოებრივი დოკუმენტის კრიტიკულ განხილვის თავისუფლებას, სრულს თავისუფლებას სარწმუნოებრივ და ათეისტურ რწმენათა საშეში; კონსერვატორები კი ჩვეულებრივად მაგრად ებლაუჭებოდნენ უკლესიას, რომელიც მათ ძალიან სჭირდებოდათ და რომელიც იმ დროს ადამიანთა გონებაზე ჯერ კიდევ დიდს გავლენას ახდენდა.

ბურუუზიის ბრძოლასთან ერთად თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, მოძრავი კაპიტალისა—მიწად მფლობელობის წინააღმდეგ, მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ვითარდება მეორე ბრძოლაც, —ბრძოლა მუშებისა ბურუუზიის წინააღმდეგ ან, უკეთ რომა ესთევათ, სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას თავდაპირველად უწესრიგო, სტიქიური ხასიათი ეძლევა: მუშები მაგალითად, ანგრევენ მანქანებს, რომლებიც ცოცხალი სამუშაო ძალის კონკურენტად მიაჩინათ. მუშათა მდგომარეობა იმ დროს იმდენად მძიმე იყო, რომ ჯერ კიდევ გაულენთილი არ იყვნენ კლასისიური აზროვნებით, არა ჰქონდათ საკუთარი პროგრამმა და ლოზუნგები და ამიტომ მონაწილეობას იღებდნენ ყოველგვარ რევოლუციონურ ბრძოლაში და ყოველნაირ მოძრაობაში, რომელიც კი არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული. ინგლისში, მაგალითად, მუშები 1832 წლის საარჩევნო რეფორმის მოპოვების დროს ბურუუზიას დახმარებნ; მუშებივე დახმარენ ბურუუზიას 1830 წელს ბურძონების დამხობის დროს. მაგრამ ბრძოლა ვითარდება: ლიონის აჯანყება მუშებისა 1832 წელს, ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში 1838—48 წ. წ.—უკეთ პირველი წმინდა მუშრი მოძრაობანი იყო;

ლუი ბლანის მოძღვრება საფრანგეთში, მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი გერმანულ ენაზე პოლაპარაკე ქვეყნების-თვის,—აი ის მოვლენანი, რომლებიც ქმნილნენ ახალ ხანას პროლეტარიატის ბრძოლის საქმეში მისი კლასსიური მოპირდაპირების წინააღმდეგ, თუმცა თავისი საზოგადო მნიშვნელობით სოციალიზმის ისტორიისთვის მაღლ დავიწყებული და აბნეული მოძღვრება ლუი—ბლანისა ვერ შეგვიძლიან შევადაროთ „მანიფესტს“, რომელმაც მუშათა კლასსის ისტორიაში ესოდენ დიდი როლი შეასრულა.

გარდა იმ ბრძოლისა, რომელსაც ბურჟუაზია თავად-აზნაურობის წინააღმდეგ აწარმოებდა და პროლეტარიატი—კაპიტალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ვითარდება და თანდათან თვალსაჩინო ხდება მესამე ბრძოლა ეგრედ წოდებული ნაციონალური მოძრაობანი. ცალკე ეროვნებანი, რომლებიც უცხო ხალხის მონობის ულელ ქვეშ ჩაცვიდნენ, ცდილობდნენ ეს მონობა კისრიდან მოეგლიჯათ და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეექმნათ. ეს მისწრაფება შძლაგრი მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. იტალიაშიც, რომელიც დანაწილებული და რამდენადმე სხვის ულელ ქვეშ იყო მოქცეული, საბერძნეთშიც, რომელიც ომალეთს მონობის ქვეშ იტანჯებოდა, ბელგიაშიც, რომელსაც ალარა სურდა ჰოლლანდიასთან ნაძალადევად ყოფილიყო დაკავშირებული, სხვა ქვეყნებშიც ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, უცხოეთის ბატონიბა თავს იჩენდა უპირველესად ყოვლისა როგორც აღმაშფოთებელი ფორმა ფინანსიურ—ეკონომიურ ექსპლოატაციისა. მოძრაობას საფუძველად ედო ის გარემოება, რომ ერები მოკლებული იყვნენ თავიანთ საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკას, მოკლებული იყვნენ იმედს, რომ მათი ეკონომიური განვითარება ნორმალური იქნებოდა, შეთანხმებული მათს საკუთარ (და არა უცხო) ინტერესებთან. იქ, სადაც ეს საფუძველი არ არსებობდა, ნაციონალური გრძნობები ძალიან არა მწვავდებოდა. შოტლანდია, მაგალითად, ძალიან ადვილად შეურიგდა ინგლისელების ფაქტიურ დამორჩილებას; გერმანული კლასი თრასი შლის განმავლობაში ერთხელაც არ აუჯანყდა თავის დამპყრობელ ფრანგებს. მაგრამ უდიდეს შემთხვევებში უცხოელების ბატონიბა იყო ამავე დროს უცხოელების ეკონომიური ექსპლოატაციაც.

რაკი ამლელვარებულ ნაციონალურ მოძრაობას ასაზრდოებდა როგორც ისტორიული მოგონებანი ბრწყინვალე წარსულის შესახებ, ისე გრძნობა შეურაცყოფისა მშობლიური კულტურის გათელვის გამო უცხოელების მიერ,—ნაციონალურ—რევოლუციონური მლელვა-

რებაც აფეთქებამდე მიდიოდა, ზოგჯერ კი ზედიშედ რამოდენიმე აფეთქებას იწვევდა. იქ, სადაც უცხოელების პირდაპირი მონობა არ იყო, არამედ, პირიქით, იყო მხოლოდ ჭვენის დანაწილება, როგორც მაგ. გერმანიაში, — იქ ნაციონალურ მოძრაობას ამაგრებდა სურვილი ჩარჩოების გაფართოვებისა სამეურნეო განვითარებისთვის, სურვილი განთავისუფლებისა გარეშე უძლურებისაგან, მეზობელთა მუდმივი თავდასხმისაგან. აქაც მოქმედებდნენ აგრეთვე რომანტიული მოვლენებანი ბრწყინვალე წარსულის, საუკუნოებრივი კულტურის შესახებ.

ასეთია სამგვარი ბრძოლა, რომელსაც უკვე მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ვხვდებით: 1) ბურუუაზის ბრძოლა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ; 2) მუშათა ბრძოლა სამრეწველო კაპიტალის და მაშასაუამე, მთელ ბურუუაზიულ წეს-წყობათაბას წინააღმდეგ; 3) ნაციონალური ბრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის ან თვითგამორკვებისთვის. არ უნდა ვითვიქონოთ, თითქოს ჯერ ერთი ბრძოლა სწარმოებდა, მერე მეორე, მერე მესამე. სიძნელე ისტორიის შესწავლისა საზოგადოდ და 19-20 ს. ს. ისტორიისა კერძოდ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს მრავალ ფეროვანი მოვლენანი ხშირად ერთსა და იმავ დროს ხდებოდა, ერთმანეთში იხლართებოდნენ და ერთმანეთშე ხშირად უდიდეს ზედგავლენას ახდენდნენ.

კლასიური ბრძოლის მსელელობის მიხედვით ევროპის უმთავრესს ქვეყნებში ამა თუ იმ ხანაში ხელისუფლების ხასიათიც რცვლებოდა:

ინგლისში 1832 წლის რეფორმამდე ხელისუფლება მფლობელი თავად-აზნაურობის ხელში იყო, 1832 წლის შემდეგ კი იგი განაწილებული იყო თავად-აზნაურობასა და ბურუუაზის შორის, თუმცა ბურუუაზის დიდი უპირატესობა ჰქონდა: საფრანგეთში ბურბონების კონსერვატორული მმართველობა თავის თავს უპირველესად ყოვლისა თავად-აზნაურობის მემკვიდრეებს და ნაშთად დარჩენილი ელემენტების ინტერესებს უკავშირებდა, — მხოლოდ 1830 წლს, ბურბონების გაძევების შემდეგ, ხელისუფლება მსხვილი ბურუუაზის ხელში გადავიდა.

რაიცა შეეხება „აღმოსავლეთის“ სამს დიდს სახელმწიფოს (ასე უწოდებდნენ მაშინ რესეფს, ავსტრიის და პრუსიას), იქ მეფობდა თვითმპყრობელური რეჟიმი, რომელიც უმთავრესად თავად-აზნაურობას ემყარებოდა და ცდილობდა უკვე დაწყებული როული მოძრაობანი ჩაეწრო. ეს ბრძოლა არსებითად განწირული იყო: დამარცხება ფულზე დამყარებული მეურნეობისა, რომელიც ყოველ წლივ ძლიერ-

ლუი ბლანის მოძღვრება საფრანგეთში, მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების-თვის,— აი ის მოვლენანი, რომლებიც ქმნიდნენ ახალ ხანას პროლეტარიატის ბრძოლის საქმეში მისი კლასსიური მოპირდაპირების წინააღმდეგ, თუმცა თავისი საზოგადო მნიშვნელობით სოციალიზმის ისტორიისთვის მაღე დავიწყებული და აბნეული მოძღვრება ლუი—ბლანისა ვერ შეგვიძლიან შევადაროთ „მანიფესტს“, რომელმაც მუშათა კლასსის ისტორიაში ესოდენ დიდი როლი შეასრულა.

გარდა იმ ბრძოლისა, რომელსაც ბურჟუაზია თავად-აზნაურობის წინააღმდეგ აწარმოებდა და პროლეტარიატი—კაპიტალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ვითარდება და თანდათან თვალსაჩინო ხდება მესამე ბრძოლა ეგრედ წოდებული ნაციონალური მოძრაობანი. ცალკე ეროვნებანი, რომლებიც უცხო ხალხის მონობის უღელ ქვეშ ჩაცვივდნენ, ცდილობდნენ ეს მონობა კისრიდან მოეგლიჯათ და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეექმნათ. ეს მისწრაფება მძლავრი მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. იტალიაშიც, რომელიც დანაწილებული და რამდენადმე სხვის უღელ ქვეშ იყო მოქცეული, საბერძნეთშიც, რომელიც იმალეთის მონობის ქვეშ იტანჯებოდა, ბელგიაშიც, რომელსაც აღარა სურდა პოლლანდიასთან ნაძალადევად ყოფილიყო დაკავშირებული, სხვა ქვეყნებშიც ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, უცხოეთის ბატონობა თავს იჩენდა უპირველესად ყოვლისა როგორც აღმაშეოთებელი ფორმა ფინანსიურ—ეკონომიურ ექსპლოატაციისა. მოძრაობას საფუძველად ედო ის გარემოება, რომ ერები მოქლებული იყვნენ თავიანთ საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკას, მოქლებული იყვნენ იმედს, რომ მათი ეკონომიური განვითარება ნორმალური იქნებოდა, შეთანხმებული მათს საკუთარ (და არა უცხო) ინტერესებთან. იქ, სადაც ეს საფუძველი არ არსებობდა, ნაციონალური გრძნობები ძალიან არა მწვავდებოდა. შოტლანდია, მაგალითად, ძალიან აღვილად შეურიცდა ინგლისელების ფაქტიურ დამორჩილებას; გერმანული ელჩასი ორასი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უჯანყდა თავისი დამპყრობელ ფრანგებს. მაგრამ უდიდეს შემთხვევებში უცხოელების ბატონობა იყო ამავე დროს უცხოელების ეკონომიური ექსპლოატაციაც.

რაյი ამღელვარებულ ნაციონალურ მოძრაობას ასაზრდოებდა როგორც ისტორიული მოგონებანი ბრწყინვალე წარსულის შესახებ, ისე გრძნობა შეურაცყოფისა მშობლიური კულტურის გათელეის გამო უცხოელების მიერ, — ნაციონალურ—რევოლიუციონური მღელეა—

რებაც აფეთქებამდე მიდიოდა, ზოგჯერ კი ზედიზედ რამოდენიმე აფეთქებას იწვევდა. იქ, სადაც უცხოელების პირდაპირი მონობა არ იყო, არამედ, პირიქით, იყო მხოლოდ ჭვენის დანაწილება, როგორც მაგ. გერმანიაში, — იქ ნაციონალურ მოძრაობას ამაგრებდა სურვილი ჩარჩოების გაფართოვებისა სამეურნეო განვითარებისთვის, სურვილი განთავისუფლებისა გარეშე უძლურებისაგან, მეზობელთა მუდმივი თავდასხმისაგან. აქაც მოქმედებოდნენ აგრეთვე რომანტიული მოვონებანი ბრწყინვალე წარსულის, საუკუნოებრივი კულტურის შესახებ.

ასეთია სამგვარი ბრძოლა, რომელსაც უკვე მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ვხვდებით: 1) ბურუუაზის ბრძოლა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ; 2) მუშათა ბრძოლა სამრეწველო კაპიტალის და მაშასაუამე, მთელ ბურუუაზიულ წეს-წყობათაბას; წინააღმდეგ;; 3) ნაციონალური ბრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის ან თვითგამორკევისთვის. არ უნდა ვითვიქონოთ, თითქოს ჯერ ერთი ბრძოლა სწავლობდა, მერე მეორე, მერე მესამე. სიძნელე ისტორიის შესწავლისა საზოგადოდ და 19-20 ს. ს. ისტორიისა კერძოდ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს მრავალ ფეროვანი მოვლენანი ხშირად ერთსა და იმავ დროს ხდებოდა, ერთმანეთში იხლართებოდნენ და ერთმანეთშე ხშირად უდიდეს ზედგავლენას ახდენდნენ.

კლასიური ბრძოლის მსელელობის მიხედვით ევროპის უმთავრესას ქვეყნებში ამა თუ იმ ხანაში ხელისუფლების ხასიათიც რცვლებოდა:

ინგლისში 1832 წლის რეფორმამდე ხელისუფლება მფლობელი თავად-აზნაურობის ხელში იყო, 1832 წლის შემდეგ კი იგი განაწილებული იყო. თავად-აზნაურობასა და ბურუუაზის შორის, თუმცა ბურუუაზისა დიდი უპირატესობა ჰქონდა: საფრანგეთში ბურბონების კონსერვატორული მმართველობა თავის თავს უპირველესად ყოვლისა თავად-აზნაურობის მემკვიდრეებს და ნაშთად დარჩენილი ელემენტების ინტერესებს უკავშირებდა, — მხოლოდ 1830 წელს, ბურბონების გაძევების შემდეგ, ხელისუფლება მსხვილი ბურუუაზის ხელში გადავიდა.

რაიცა შეეხება „აღმოსავლეთის“ სამს დიდს სახელმწიფოს (ასე უწოდებლენ მაშინ რუსეთს, ავსტრიას და პრუსიას), იქ მეფობდა. თვითმპურობელური რეჟიმი, რომელიც უმთავრესად თავად-აზნაურობის ემყარებოდა და ცდილობდა უკვე დაწყებული როული მოძრაობანი ჩაექრო. ეს ბრძოლა ასევე განწირული იყო: დამარცხება ფულშე დამყარებული მეურნეობისა, რომელიც ყოველ წლის ძლიერ-

ცებოდა, დაბრუნება ევროპისა ძელი ფეოდალური დროებისკენ, რო-
დესაც მოძრავი კაპიტალი ან სრულიად არ იყო ან შთანასახში იმყოფე-
ბოდა, უკვე ვერავის შეეძლო. ლიბერალურ – კონსტიტუციური მისწრა-
ფებანი თანდათან ძლიერდებოდა, — და თავად-აზნაურულ — თვით-
მკრობელურმა ჩემიშმაც ბრძოლა უპირველესად ყოვლისა ამ მისწ-
რაფებას გამოუცხადა.

II „წმინდა კავშირი“.

ჯერ კიდევ 1815 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I ევ-
როპის მონარქებს წინადადებით მიმართა, ურთიერთი „მშური“ დახ-
მარებისთვის შევერთდეთო; ამ მიმართვის შემდეგ ხელი მოაწერეს
განსაკუთრებულ აქტს, რომელსაც „წმინდა კავშირი“ უწოდეს. პირ-
ველი ხელისმომწერნი იყვნენ: ალექსანრო, პრუსიის მეფე ფრიდრიხ
ვილჰელმ III და ავსტრიის იმპერატორი ფრანც I.

ავსტრიის კანცულერი თავადი შეტერინიხი რუსეთის იმპერატო-
რის განჩრახვას თავდაპირველად დაკინგით შეხვდა, მაგრამ მალე
იგრძნო, ეს „წმინდა კავშირი“ რამდენად მძლავრ იარაღად შეიძლე-
ბოდა გადაქცეულიყო არსებული წეს-წყობილების დაცვის საჭმეში
ოუ ამ იარაღით გონივრულად ისარგებლებდა, ფრიად კკვიანი და
შორსსმჭვრეტელი მეტერინიხი პირდაპირ აცხადებდა, რომ ოვეოლიუ-
ციონური სულიერი განწყობილება ევროპაში ძალიან ვრცელდებოდა,
რომ არსებულ მთავრობებს დიდი ხითათი მოელოდა. მთელი თავისი
სიუცხვლის განმავლობაში იგი კატასტროფას ელოდა (ელიოსა კი-
დეც 1848 წ.) მეტერინიხი იმ დროინდელი რეაქციის სხვა წარმოშავ-
ვენლებზე მეტად ჰერძნობდა, რომ აუცილებელი იყო დაღუპვა თვით-
მკრობელობისა, რომელსაც იგი იცავდა როგორც ავსტრიაში, ისე
სხვა ქვეყნებში. ამიტომ ბრძოლა უფრო მეტის სისასტიკითა და სიჯიუ-
ტით დაიწყო. ყველაზე მეტად მას სძულდა ლიბერალურ-საკონსტი-
ტუციო მოძრაობა და ნაციონალურ — განმანთავისუფლებელი ბრძოლა,
რომელსაც შეეძლო სწორედ ავსტრია დაემხო, ვინაიდან მასში პევ-
რი სხვადასხვანაირი ეროვნება შედიოდა.

ვენის კონგრესზე მან შესძლო და გერმანია ისევ დანაწილე-
ბული დასტურა (გერმანული სახელმწიფოები შეერთებული იყვნენ
რაღაც უაზრო და უძლურ გერმანულ კავშირად“, რომელსაც არვი
თარი არც აზრი ჰქონდა და არც ძალა) მეტერინიხი ვენის კონგრე-
სის შემდეგაც დიდს როლს ასრულებდა ევროპაში:

წმინდა კავშირი ყველა რევოლუციონურ მისწრაფებათა ჩაქ-
რობის მძღავრ იარალად გადაიქცა. 1817 წ. გერმანიაში სტუდენტე-
ბის მოძრაობა დაიწყო, თავი იჩინა ლიბერალურ-საკონსტიტუციო-
სულმა; მაშინათვე შეიკრიფა ახენის კონგრესი დიდი სახელმწიფო-
ებისა, სადაც შემუშავებულ იქმნა ზომები კერძანული მოძრაობის
ჩაქრობისა. 1820 წელს რევოლუციონურმა მოძრაობამ იფეთქა ნეა-
ვოლიტნის სამეფოში; მეუე იძულებული გახდა კონსტიტუციას დას-
თანხმებოდა. მეტტერნინისმა მოიწვია ახალი კონგრესი (რომელსაც
სხდომები ჯერ ტროპაუში ჰქონდა, მერე ლაიბაზში). ამ კონგრესს-
ზე ხელმწიფებმა, რომლებსაც „წმინდა კავშირზე“ ხელი ჰქონდათ
მოწერილი, მიიღეს ზომები, რათა სამხელორ წესით ჩაექროთ ნეავო-
ლიტანის რევოლუცია და ნეავოლში კვლავ თვითმპურობელობა.
აღედგინათ. 1820—22 წ. წ. ისპანიაში რევოლუცია იმარჯვებს, მე-
ფე ფერდინანდ VII აძლევს კონსტიტუციას; მეტტერნინის მოთხოვ-
ნით კიდევ იმართება ახალი კონგრესი (ვერონაში), ისპანიის რევო-
ლუციას შეიარაღებული ძალით აქტობენ და ისპანიაში კვლავ თვით-
მპურობელურ ხელისუფლებას. ამყარებენ. ამისდამიუხედავად მეტტერ-
ნინი მაინც დამშევიდებული არ იყო. 1848 წლამდე თავისუფალი აჭ-
რის მცირეოდენ გამოხატულებასაც კი იგი ცენზურით, ციხით, ჯა-
ტორლით და ზოგჯერ კი სიკედილით დასჯითაც სპოდა და ანადგუ-
რებდა. მეტტერნინის ამ ბრძოლაში ეგროპის სხვა თვითმპურობელი-
მთავრობები მისდევდნენ. მაგრამ ამ გრძელი პერიოდის განშავლობა-
ში (ზემოდ თქმული სამი მიმართულებით ბრძოლა ვითარდებოდა,
ზოგჯერ შეჭმჩნევლად იზრდებოდა ზოგჯერ კი მოულოდნელად იფე-
თქებდა ხოლმე. როგორც „წმინდა კავშირი“, ისე ყოველგვარი ცდა
მეტტერნინის პოლიტიკისა უძლურნი აღმოჩნდნენ, ევროპიელი კაუ-
ბრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო მსვლელო-
ბისთვის ხელი შეეშალათ.

ამ საზოგადო შენიშვნების შემდეგ კლასიური ბრძოლის ხასია-
თის შესახებ მე-XIX-ე საუკუნის პირველნახევარში, გადავდივართ ცალ-
კა ქვეყნებზე. დავიწყოთ საფრანგეთიდან.

III რესტაფრაციის დრო საფრანგეთში. (1814—1830).

იმ დროს, რომელმაც 1814—1820 წლამდე განვლო, საფრან-
გეთის ისტორიაში „ბურბონების რესტაფრაციას“ უწოდებენ. („რეს-
ტაფრაცია“ ხელახლად აღდგენასა ნიშნავს). ტახტზე კვლავ ბურბონე—

ბოს ფინასტია იქმნა „ალდგენილი“; მეფედ გახდა ჯერ ისევ დიდი აუცილიუციის დროს თავმოკვეთილ ლიუდოვიკ XVI ძმა, რომელმაც ლიუდოვიკ XVIII სახელწოდება მიიღო (ლიუდოვიკ XVII ბურბონების დინასტიის მომხრენი სთვლილნენ მოკლული მეფის პატარა შეიღს, რომელიც რევოლიუციის ხანაში დაიღუპა).

გამეფებისთანავე ლიუდოვიკ XVIII იძულებული გახდა გამოე-ჭახადებინა საკონსტიტუციით ხარტია, რომლის ძალითაც საკანონმდებლო უფლება უნდა ჰქონდა მეფეს და ორ პალატას: პირველ პალატას ერქვა პერთა პალატას, რომლის წევრებსაც თვით მეფე ნიშნავდა: მეორე პალატას, დეპუტატთა პალატას, ირჩევდნენ ის მოქალაქენი, რომელიც წელიწადში ორა ნაკლებ შე 100 ფრანკის პირდაპირ ფასასხადებს იხდიდნენ. კანდიდატად მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილოყო დასახელებული, რომელიც წელიწადში იხდიდა 1000 ფრანკის პირდაპირ გადასახადს. ეს ცენზი იმდენად დიტი იყო, რომ საფრანგეთის 28—30 მილიონიან მოსახლეობიდან თავისი კანდიდატურის წამოყენების უფლება მხოლოდ 10.000 კაცს ეძლეოდა. რაიცა შეეტყბა აღმინისტრაციას, სასამართლოებს, ჯარსა და პოლიციას, — ყველაფერი ეს რესტავრაციის დროს დარჩა იმ სახით, როგორც ნაპოლეონმა შექმნა. ასევე ძალაში დარჩა ნაპოლეონის კოდექსი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონებისა, ეს კანონმდებლობა დამყარებული იყო მოქალაქეთა თანასწორობაზე კანონის წინაშე. ეს იყო ერთად-ერთი უმთავრესი მონაპოვარი დიდი რევოლიუციისა. ეხლა განკიბილოთ, რანიარი სოციალური კლასებისაგან შესდგებოდა საფრანგეთის ხალხი და როგორ ეპურობოდნენ ეს კლასები მთავრობასა და პუტი აზელების დინასტიას 1814—1840 წ. წ. რესტავრაციის ხანაში.

საფრანგეთის საზოგადოების კლასები რესტავრაციის ხანაში:

დავიწყოთ მუშებიდან.

მუშათა კლასისი იმ დროს საფრანგეთში შედარებით, მგებლითად, ინგლისთან, მცირერიცხვევანი იყო. მრეწველობა საფრანგეთში სუსტად იყო განვითარებული, სამანქანო წარმოება ახლად იყო აღმოცენებული, ცოტად თუ ბევრად მსხვილი წამოწყებანი, სადაც ამდღნება ასი მუშა მაინც იქნებოდა, თითხე ჩამოითვლებოდა; სჭარბობდა წერილი, ხელოსნური წარმოება. სწორედ, რომ ითქვას, მთელს საფრანგეთში მხოლოდ ორი ქალაქი იყო, სადაც აღამიანი ბევრს მუშას ნიშავდა: პარიზი და ლიონი, პარიზში ორი განაპირა უბანი სენტ-ანტუანისა და სენ-მარსელისა, დასახლებული იყო. მუშებით

(დურგლებით, იუველირებით, საფეიქრო ქარხნის მუშებით, ძვირისა-სი საგნების. დამზადებელი ქარხნების მუშებით და სხ.) ლიონ-ში თავმოყრილი იყო უდიდესი წარმოება აბრეშუმეულობისა: იქ მხადებოდა აბრეშუმის ქსოვილები, რომლებიც მთელ ქვეყანაში იყიდებოდა. ლიონის მუშები ქალაქის მცხოვრებთა შესამჩნევ ნაწილს შეადგენდნენ. საფრანგეთის დანარჩენ ქალაქებში მუშათა მოსახლეობას ისეთი დიდი როლი არა ჰქონდა, როგორც პარიზსა და ლიონში. მაგრამ, რადგანაც პარიზს ყოველთვის უდიდესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი დანარჩენი საფრანგეთისთვის, მუშათა კლასსისთვის ხელსაყრელი იყო, რომ მუშები სწორედ პარიზში იყვნენ თავ მოყრილი; საფრანგეთის დანარჩენი ნაწილი უყოყმანოდ მისდევდა პარიზს, პარიზში კი მუშათა კლასსის ხმა უფლო მყენირად ისმოდა ვიღრე დანარჩენ საფრანგეთში. მუშათა კლას-სის ეკონომიური მდგომარეობა ამ ხანაში ძალიან ცუდი იყო. სამუშაო დღე ქარხნებსა და სახელოსნოებში არავითარი კანონებით არ იყო განსაზღვრული; მუშა-ხელი იაფი იყო. მშვიდობიან გაფიცვაში მონაწილეობისთვისაც კი მუშებს აჯარიმებდნენ და ატუსალებდნენ: სიიშილი და უსაზღვრო სილატაკე იყო. გამეფებული მუშათა კლასის ზოგიერთ ნაწილებში; ძნელი სათქმელი იყო, არსებობდა თუ არა ისეთი ხელობა, რომელსაც შეეძლო უზრუნველეყო მუშისა და მისი ოჯახის მაძლარი აჩსებობა. თუ გაძლომა უნდოდათ, აუცილებლად ცოლსა და მოზარდ შვილებსაც უნდა ემუშავათ. 16—17—18 საჭირო სამუშაო დღე იშვიათი მოვლენა არ იყო.

საფრანგეთის მუშათა კლასი რესტავრაციის ხანაში გაერთიანდნებული არ იყო ცალკე პარტიად, საშოგადოდ არავითარი კლასსიური ორგანიზაცია არა ჰქონდა, კლასსიური თვითშეგნებაც მხოლოდ ახლად იღვიძებდა. უტოპიური სოციალიზმის პირველი სოციალური მოძღვრებანი (სენ-სიმონი და ფურიე) ამ წლებში მუშათა მასსებისთვის სრულიად უცნობი იყო. მაგრამ მუშების სულიერი განწყობილება, განსაკუთრებით მე-19-ე საუკუნის მე-20-ე წლებში თანდათან ბოროტდებოდა. ყოველი გონიერი და მოაზროვნე აღამიანისათვის ცხადი იყო, რომ, თუმცა მუშებს ჯერ თავისი საკუთარი დროში, საკუთარი კლასსიური ორგანიზაცია და კლასსიური პოლიტიკა არა ჰქონდათ ისინი მაინც გაჰყვებოდნენ არსებული პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ რევოლუციონურ მოძრაობას, თუ ასეთს მოძრაობას ვინემ დაიწყებდა. ეს აუცილებელი იყო, ცხადია, იმ ყოვლად აუტანელი ეკონომიური პირობების გამო, რომლებშიაც მუშათა დიდი უმრავლესობა სცხოვრობდა:

გადაეციგართ გლეხების კლასსზე.

გლეხების კლასი, ამ უამიდაც კი; მთელი საფრანგეთის ერთს ტილს უმრავლესობას შეადგენს. 1789 წლის დიდი რევოლუციის შინ იგი რევოლუციონურად იყო განწყობილი: მესაკუთრე-გლეხები (იმ დროს მათი რიცხვი უკვე დიდი იყო) უქმაყოფილობი იყვნენ სხვა-დასხვა გადასახადებითა და ბეგარითა, რომლებსაც აზნაურებს (სენიორებს) აძლევდნენ. ეს სენიორები ძევლი დროიდანვე ფლობდნენ მიწებს (ასეთს გადასახადებს და ბეგარის ფეოდალურ ანუ სენიორა-ლურ გადასახადს უწოდებდნენ); ბოგანო-გლეხები კი, რომლებსაც თავითონ საკუთრება არა ჰქონდათ, ცდილობდნენ მიწა შეეძინათ. დიდია რევოლუციამ საფრანგეთის გლეხების ეს ორივე ფენა დააჭა-მყოფილა: ჯერ ერთი, სრულიად მოისპო ყველა ფეოდალური ვალ-ზებულებანი; მეორეც, ყოფილი საკულესო და საზღვარ-გარედ გაქ-ცული აზნაური ემიგრანტების მანულების გაყიდვის დროს, ბევრმა წინანდელმა ბოგანომ თავისი საკუთარი მამული შეიძინა. მას შემ-დევ გლეხობა პოლიტიკას ჩამოსცილდა და მხოლოდ იმით იყო დაინ-ტეროსებული, რომ რევოლუციის დროს მოპოვებული მიწა არსებოს წარმოა. აი რისთვის უკერდი მხარს გლეხობა ნაპოლეონს, მიუხე-დავად იმისა, რომ ჯარის განუწყვეტელი მოგრძვება მძიმე ტკირთად მხოლოდ სოფელს აწვებოდა: ნაპოლეონმა თავისი მმართველობის პი-რველ წლებშივე გლეხებს დაუმტკიცა ის, რაც მათ რევოლუციამ მისუა. ესლა, როგორც 1814 წ. ბურბონები დაბრუნდნენ, ხოლო მა-თთან ერთად აზნაური—ემიგრანტები, საფრანგეთის სოფელს მღელ-გარე ხმა მოედო, თითქოს ვილაც რევოლუციის დროს მოპოვებული მიწის წართმევას უპირებდა. ნამდებოდა თვით მეტე ლიუდოვიკ XVIII დამონა, რომ მიწების წარიმევაზე ფურშიც კი არ შეიძლებოდა; მაგ-რამ ბევრი ახლად დაბრუნებული ემიგრანტი ამის შესახებ დაუკი-დებდა დაბარაკობდა. ისინი 25 წლის განმავლობაში საზღვარ-გა-რეთ დაძრწოდნენ, ბევრს მათგანს ახალი წყობილობისა არაფერი ვაეკებოდა; ისინი ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია მხოლოდ გარდა-მავალი უბედურება იყო და ებლა მოქმედება შეიძლებოდა ისე, თა-თქოს არაფერი მომხდარიყოს. ისინი ვერა ხედავდნენ, რომ უბრალო ლაპარაკიც კი მიწების წართმევის შესახებ საშინლად აღელვებს გლე-ხებს და დაბრუნებული ბურბონების მტრებადა ხდის.

შემებიდანა და გლეხებიდან გადავიდეთ ბურუუაზიაზე.

სამრეწველო ბურუუაზია უქმაყოფილო იყო ახალი მოგრძობით, ასაზე ნაპოლეონი დიდი მფარველობას უწევდა საფრანგეთის შემეცველობის განვითარებას, საფრანგეთის ბაზრიდან აძევებდა არა.

მარტო ინგლისელებს, რომლებსაც შუდმივ ეომებოდა, არამედ ყველა სხვა კონკურენტებსაც. უფრო მეტიც. ახალ ახალი ქვეყნების თაპყრობით ნაპოლეონი საფრანგეთის მრეწველობისთვის ბაზარს აფართოვებდა. ნაპოლეონის იმპერიის დამხმაბის შემდეგ ახალ მთავრობას ველარ შეეძლო ინგლისის წინააღმდეგ, რველებური მტრული პოლიტიკა ეწარმოებინა,—და ინგლისური საქონლით საფრანგეთის ბაზარი აიგსო. ინგლისური მრეწველობა გაკილებით უფრო ძლიერი იყო და მასთან ქიშობა ფრანგებს ვერ შეეძლოთ. მეორეს მხრით, თითქმის ყველა მონაპოვარი ნაპოლეონისა საფრანგეთს 1814 წელს წაერთვა. ამ რიგად, ბევრი მრეწველისთვის ნაპოლეონის იმპერიის დამხმაბა დასაწყისი იყო მათი განაღვეურებისა. სამაგიიროდ სავაჭრო ბურუუაზიამ თავისუფლად ამოისუნთქა, როცესაც ზანგრძლივ ომებს ბოლო მოელო და დამყარდა საერთო შშვილიბიანობა, ბოლო მოელო წინანდელ შემჩუღდველ საბაჟო პოლიტიკას, როდესაც შესაძლებელი გახდა თავისუფალი ვაჭრობა და მოგზაურობა როგორც შიგ საფრანგეთში, ისე საფრანგეთის გარედ. მრეწველებსა და ვაჭრებს გარდა, იმ დროინდელი საფრანგეთის ბურუუაზიას უნდა მიექცონოს საზოგადოების მთელი განათლებული ქალასი, თითქმის მთელი ინტელიგენცია: ვექილები, ექიმები, ინჟინერები, საშუალო მოხელენი. ეს კლასი საერთოდ, ბურბონების რესტავრაციას მტრულად არ დახვდა. რეინასავით მტკიცე სამხედრო დესოტიზმში ნაპოლეონისა, განსაკუთრებით მისი მეფობის ბოლო წლებში, მძიმე ასატანი გახდა. კონსტიტუცია, რომელიც მისცა დაბრუნებულია ლიუდოვიკ XVIII, თუმცა ძალიან ზომიერი იყო, მაგრამ მაინც ერთგვარ თავისუფლებას ანიჭებდა პრესსას, უზრუნველყოფდა ერთგვარ თავისუფლებას პიროვნებისას, რის შესახებ ნაპოლეონის დროს ფიქრიც კი დაავიწყდათ. დასასრულ, მუშებისა, გლეხებისა და ბურუუაზის შემდეგ, უნდა გავიხსენოთ საზოგადოების მეოთხე კლასის: რომელიც რიცხვით უმნიშვნელო იყო, მაგრამ სახელმწიფოში კი უშთავებეს როლს ასრულებდა: ეს იყო თავად-აზნაურობა. ამ კლასის ბელადებად გადაიქცნენ შეურიგებელი ემიგრანტები, რომლებიც საფრანგეთიდან ჯერ ისევ დიდი რევოლიუციის დროს გაიქცნენ და ეხლა კი უკან დაბრუნდნენ. ისინი თავიანთვის და თავიანთი მახლობლებისთვის თხოულობდნენ არა მარტო საუკეთესო ადგილებს ჯარში, სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურში და მეფის სასახლეში არამედ რევოლიუციის წინადროინდელი მდგომარეობის აღდგენასაც; მათ სურდათ მიწები წაერთმიათ გლეხებისთვის, რომლებმაც მიწის ნაკვეთები აზნაური-ემიგრანტების წინანდელი მამულებიდან მიიღეს.

მათ მხარეზე იყო და ეხმარებოდა ნაწილი სამღვდელოებისა, რომელსაც აგრეთვე არ ესმოდა, რომ ორეოლიუციამდე არსებული მღვმარეობა ველარასოდეს ვერ დაბრუნდებოდა. ასეთი იყო საქმის მღვმარეობა საფრანგეთში, როდესაც მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი. ამ ამბავმა ცხად ჰყო, რამდენად არა საფუძვლიანადა ზის თავის ტახტზე ბურბონების დინასტია.

ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულიყო ნაპოლეონის იმპერიის დამხობასა და ლიუდოვიკ XVIII გამეფების შემდეგ, რომ მარტის ერთს საღამოს 1815 წელს მეფეს მიუტანეს მრისხანე და სრულიად მოულოდნელი ამბავი: ნაპოლეონი კუნძული ელბიდან, დაბრუნდა და პირდაპირ პარიზისკენ მოდისო.

IV ასი დღე.

ნაპოლეონმა იცოდა, საფრანგეთში რაცა ხდებოდა. ის ანგარიშს უწევდა იმ შიშს, რომელიც გლეხების გულში იყო დაბულებული, ბურუუზის ერთგვარ გაბოროტებას ემოგრანტების გათამაბებული საქციელის გამო; დასასრულ, მან იცოდა, რომ ჯარი ძველებურად მისი ერთგული იყო, ბურბონები კი ჯარისკაცებსა და ბევრს ოფიცერს მიაჩნდათ ისეთ ადამიანებად, რომლებიც საფრანგეთის ტახტზე უცხოელების მიერ იყვნენ აყვანილნი. ნაპოლეონი თვალყურს ადევნებდა აგრეთვე იმსაც, რაცა ხდებოდა ვენაში, სადაც ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონგრესი იყო მოწვეული... ამ კონგრესსზე ვერას გზით ვერ გაეყოთ ნაპოლეონის შემდეგ დარჩენილი ნადავლი, ზოგჯერ კი ისეთი მღვმარეობა იქმნებოდა, თითქოს საღაც არის რუსეთსა და ავსტრიასა, ავსტრიასა და პრუსიას შორის სერიოზული დავა ასტყდებათ. ნაპოლეონმა გადასწყვიტა ყველა ამ გარემოებით ესარგებლა: მან კუნძული ელბა საიდუმლოდ დასტოვა და სამხრეთ საფრანგეთში მოვიდა. ჯარი, როცემელიც ლიუდოვიკ XVIII ნაპოლეონის წინააღმდეგ გაგზავნა, მთლიანად მის მხარეს გადავიდა, გლეხები მის დაბრუნებას დიდის თანაგრძნობით დახვდნენ; სამი დღის შემდეგ იგი უკვე დიდის ზეიმით შევიდა პარიზში და კულავ იმპერია აღადგინა. (მეფე ბელგიაში გაიქცა), საფრანგეთი იმპერატორს უბრძოლველად დაემორჩილა, მაგრამ ამ უამდა მან მხოლოდ სამ თვემდე იმეფა (ნაპოლეონის ამ მეორედ გამეფებას ისტორიაში სწორედ ასეც უწოდებენ. ასი დღე). მთელი ევროპა კვლავ მის წინააღმდეგ გაერთიანდა. დაიწურ ომი. 1815 წლის 18 ივნისს ინგლისელებისა და პრუსიელების შეერთე-

ბულმა ძალებმა ნაპოლეონი დამარცხეს ვატერლოოსთან.⁹ იგი ინგლი-
სელებს ჩავარდა ხელში, გაზიავნილ იქმნა წმ. ელენეს კუნძულზე,
სადაც ეჭვის წლის შემდეგ გარდაიცვალა.

V ბურბონების მართველობა.

~~+ მეფე ლიუდოვიკ XVIII და მეელი მისი სასახლის ამაღლ კულავ
პარიზში დატყუნდნენ. ცოტად ზუ ბევრად გონიერი წარმომადგენ-
ლები იჯვარ-აზნაურობისა ხელავდნენ, რომ, თუ ნაპოლეონმა ასე
ადვილად, თოფის გაუსროლად, შესძლო ბურბონების დამხობა, სჩანს
მცხოვრებლები დაბრუნებულ ინისტიას არ ენდობიან, სჩანს საჭი-
როა ამბერითან ისეთი მოქმედება, რომელიც გლეხებს და სხვა კლას-
სებსაც დააჯერებს, რომ ბურბონები რევოლუციის არც ერთს მო-
ნაბოგარს აო წაართმევენ და უპირველესად ყოვლისა კი, გლეხებს არ
წარმოშევს მაწას.~~

მაგრამ შეურიცუხელ ემიგრანტებს არაფრის გაგონება არა სურ-
დათ. მათს სათავეში ჩადგა მეფის ძმა, რომელმაც 1924 წელს კარლი
X სახელწოდებით საფრანგეთის ტახტი მემკვიდრეობით მიიღო.

სანამ ლიუდოვიკ XVIII ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, შეიძლე-
ბოდა ეფიქრათ, რომ შეურიცებელი ყოფილი ემიგრანტები ვერ გა-
ტაცებულენ რევოლუციის წინა ღრაინდელი წესების აღდგენას. მა-
გრამ კარლი X ღროს მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა. მართა-
ლია, კარლ X ვერ გაბედა მიწების წართმედა, მაგრამ მან გაშოსცა
კანონი, რომლის ძალითაც ხაზინიდან ერთი მილლიარდი ფრანკის
ოქრო მისცეს იმ ჟავად-აზნაურებს, რომლებსაც რევოლუციის ღროს
მიწა ჩამოართვეს. სასულიერო წოდებამ კარლი X ღროს განსაკუ-
თრებული მდგომარეობა დაიკირა და ყველაფერში ერეოდა: სახელ-
მწიფო საქმეებში, სწავლა-აღზრდაში, თვალყურს ადევნებდა მოხელე-
ებს. თუმცა კონსტიტუციით პრესსას ზოგიერთი უფლებები ჰქონდა.
მრინჭებული, მაგრამ კარლ X ღროს მთავრობა ყოველის მხრით
ცდილობდა ეს თავისუფლება შეეკვეცა.

ყველაფერი ეს წლიდან წლამდე უფრო მეტად და მეტად ალი-
ზიანებდა გლეხობასა და ბურუუაზიას; მუშათა კლასი კი, როგორც
უკვე ითქვა, ისეთს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა,
რომ მზად იყო მზარი დაეკირა ყოველნაირი პროტესტისთვის არსე-
ბული წეს-წყობილების წინააღმდეგ.

ბურუუაზიას განსაკუთრებით ის ალიზიანებდა, რომ არავითარი
რწმენა. არა ჰქონდა ხვალინდელი დღისა. იგი ძალიან აფასებდა

კონსტიტუციას და ეშინოდა, კარლ X ეს კონსტიტუცია არ მოესპონ როგორც ამას ურჩევინენ მისი მახლობელი შეგობრები—ურთილი ემი-გრანტები. ბურუჟაზიას აბრაზებდა ისიც, რომ მეფესთან დაახლოე-ბული იყვნენ ადამიანები, რომლებიც ძველი წესწყობილების აღდგე-ნისთვის ოცნებობდნენ, სახელმწიფოს მმართავდა თავად-აზნაურობა მაშინ, რადესაც ბურუჟაზია დამორჩილებულ მდგომარეობაში იმყო-ფებოდა. კარლ X ყველაფერს ამას ვერა ხედავდა, ვერა გრძნობდა, რომ საფრანგეთში საიმედო დასაყრდნობი არსადა ჰქონდა. მცირე-ოდენი ყოყმანის შემდეგ, მან, მართლაც, კონსტიტუციის დარღვევა გადასწყიტა; პირველ მინისტრად მან დანიშნა შეურიგებელი არი-სტორატების მეთაური, ყოფილი ემიგრანტი, თავადი პოლიტიკუ-რომცა დეპუტატთა პალატას მცხოვრებთა მცირერიცხოვანი, ყვე-ლაზე მდიდარი ნაწილი იჩიევდა, მაგრამ ამნაირ პალატაშიაც კი მე-ტყისა და მისი მინისტრების მოქმედება დიდს უკმაყოფილებას იწვევ-და: არა მარტო ბურუჟაზიული, არამედ ნაწილი თავად-აზნაურული დეპუტატებისაც კი მეფის პოლიტიკას დიდის შიშით ადევნებდნენ თვალ-ყურს. ბევრს მათგანს ეგონა, რომ მეფის ყოველივე ცდა თვით-მპერობელობის აღდგენისა დაუყოვნებლივ რევოლიუციონურ აფეთ-ქებას გამოიწვევს. დეპუტატებმა მეფის გაფრთხილება სცადეს, მაგ-რამ გაგულისებულმა მეფემ პალატა დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა. ახალი არჩევნები მოხდა 1830 წლის ზაფხულს. მაგრამ პა-ლატამ შეგროვება ვერ მოაწერო: პოლინიკამა მეფეს ურჩია, გამოე-ქვეყნებინა მთელი რიგი ბრძანებებიცა, რომლებითაც, სხვათა შორის; სრულიად ისპობოდა თავისუფლება პრესსისა და ძირიან იქვეითანად იცვლებოდა წესები არჩევნებისა პალატაში. მეფემ ამ ბრძანებებს წე-ლი მოაწერა,—და მეორე დღეს მათ, გამოცხადების შემდეგ პარიზ-ში რევოლიუციამ იფეთქა.

VI. 1830 წლის ივლისის რევოლიუცია.

რევოლიუცია 1830 წლის 27 ივლისს დაიწყო და სამი დღე გრძელდებოდა. მუშებმა, წვრილი და საშუალო ბურუჟაზიის ნაწილ-მა, სტუდენტობის ნმწილმა (პოლიტექნიკურმა სკოლამ და სხვ. სას-სწავლებლებმა) უმთავრესი მონაწილეობა მიიღეს მოძრაობაში. ჯარი რომელიც, როგორც უკვე ნათქვამი იყო, რესტავრაციის დასაწყისი-დანვე ბურბონებს უცხოელების მიერ დანიშნულ ადამიანებადა სთვლი-და,—ეხლა მაინც და მაინც დიდის ერთგულებით არ იცავდა ბურ-ბონებს რევოლიუციისაგან. მეორე დღესვე ერთი პოლკი აჯანყებუ-

ლებისაյენ გადავიდა. შეეშინდათ მთელი ჯარი არ გადავიდეს რევოლუციის მხარეზე, და ამიტომ უფროსებმა ჯარისკაცები პარიზიდან გიყვანეს: აჯანყებულებმა მეფის სასახლე დაიპყრეს და მასზე აღმართეს სამ-ფეროვანი დროშა დიდი რევოლუციისა (ნაცვლად ბურბონების თეთრი დროშისა).

კარლ X ტახტიდან ჩამოაგდეს, მაგრამ რესპუბლიკა არ გამოცხადდა: მუშებს იმ დროს თავიანთი საკუთარი პოლიტიკური პროგრამა არა ჰქონდათ, თვით რევოლუციამაც ისე ერთბაშად იუფექტა და ისე მალე დამთავრდა აჯანყებულთა გამარჯვებით, რომ მუშათა მასსამ ხეირიანად ვერც მოითიქნა, შემდევ როგორ და უნდა მოქცეულიყო; არც ორგანიზაცია ჰქონდა; რაიცა შეეხება წვრილსა და საშუალო ბურჟუაზიას, მათ შორის იყვნენ ადამიანები რესპუბლიკანური რწმენისა, მაგრამ მათი რიცხვი სრულიად უნიშვნელო იყო. წვრილსა და საშუალო ბურჟუაზიას უმრავლესობას და მთელ მხვილ ბურჟუაზიას ეშინოდა რესპუბლიკის გამოცხადებისა, რადგანაც ფიქრობდა, რომ რესპუბლიკის დროს კვლავ განმეორდებოდა ტერრორის რომელიც დიდი რევოლიუციის დროს მძვინვარებდა. ამიტომ განთავისუფლებელ ტახტზე საჩქაროდ შეკრებილმა დებუტატთა პალტაც მეფედ გამოაცხადა ლუი-ფილიპპე ჰერცოგი ორლენისა, დამხობილი ბურბონების ნათესავი. ლუი-ფილიპპე ლიბერალად და კონსტიტუციური მართვა-გამგეობის მომხრედ ითვლებოდა; პარიზის ბურჟუაზიას შორის იგი ძალიან პოპულიარული იყო; ივლისის რევოლუციაშედე ბევრი დარწმუნებული იყო, რომ, თუ ბურბონების დამხობა მოხდებოდა, ტახტზე აუცილებლად ლუი-ფილიპპე ავიდოდა. დამხობილი კარლ X ოჯახით ინგლისში წავიდა.

იყლისის რევოლუციის მნიშვნელობა ეკროპის ისტორიაში,

თუმცა 1830 წელს იყლისის რევოლუცია მხოლოდ სამ დღეს გაგრძელდა და იმით დამთავრდა, რომ ერთ მეფის ნაცვლად ტახტზე მეორე მეფე ავიდა,— მაგრამ მთელს ევროპაში ამ რევოლუციას უდიდესი შააბეჭდილება მოახდინა. ბელგია დიპლომატებმა 1814 წლის ვენის კონგრესსზე, ბელგიელთა სურვილის წინააღმდეგ, ნაბა-დევად პოლლანდიას შეუერთეს. ეხლა, საფრანგეთის ივლისის რევოლუციის ზეგავლენით, ბელგიაში აჯანყებამ იუფექტა, ბელგია რევოლუციონური გზით ჩამოშორდა პოლლანდიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. აჯანყებამ იუფექტა აგრეთვე პოლონეთში, ვარშავაში. პოლონეთის ნაწილს, რომელიც რუსეთს ერგო, არჩეული

სეიმი ჰყავდა, მაგრამ რუსეთის ბატონობა მას საშინლად ამძიმებდა და პოლონეთი დამოკუიდებელ სამეფოს აღდგენაზე ოცნებობდა. პარიზის ივლისის რევოლუციის სამი თვის შემდეგ პოლონეთში დაიწყო რევოლუცია, რომელიც რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ნიკოლოზ I არი თვის განმავლობაში ეომებოდა პოლონელებს, სანამ საბოლოვოდ ვარშავა იქრიშით არ აიღეს და აჯანყება არ გათავდა. პოლონეთის დაწყნარების შემდეგ ამ ქვეყნის მმართველად დანიშნეს მეფის მოადგილე პასკევიჩი, რომელსაც თითქმის დიქტატორული უფლებები ჰქონდა, მინიჭებული. მაგრამ ივლისის რევოლუციას მხოლოდ ეს ორი შედეგი არ მოჰყავა (აჯანყება ბელგიასა და პოლონეთში). მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა უპირველესად ყოვლისა წმინდა კავშირს: 1814 წლიდან რევოლუციამ პირველად გაიმარჯვა — და წმინდა ტავშირმა მის წინააღმდეგ ვერაფერი მოიშოქედა. 1830 წლამდე ყოველთვის, როდესაც კი სადმე რევოლუციონური მოძრაობა იწყებოდა, წმინდა კავშირის პოლატიკა მის მოსპობის ახერხებდა; ეხლა კი, 1830 წლის ივლისში, უკანასკნელი სიტყვა რევოლუციას დარჩა. საფრანგეთის ახალი მეფე, ლუი-ფილიპპე „მეფე ბარბიკარებისა,“ როგორც მას უწოდებდნენ (რადგანაც იგი ტახტზე რევოლუციის საშუალებით ავიდა), მაშინათვე ეკროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებმა იცნეს. მხოლოდ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I ერთხანად ეწინააღმდეგებოდა ამას, მაგრამ საბოლოვოდ იმანაც იცნო საფრანგეთის ახალი მთავრობა, თუმცა ბოლომდის ლუი-ფილიპპეს მტრულად ეპყრობოდა.

+ 50 +

საფრანგეთის რევოლუციამ ინგლისშიაც დიდი შთაბეჭიდილება მოახდინა. საქმე იმაშია, რომ თვით ინგლისი სწორედ ამ დროს თითქოს რევოლუციონური აფეთქების წინაშე იდგა.

VII ინგლისი 1814—1832 წ.წ. საარჩევნო კანონების რეორმა 1832 წ.

ინგლისის საზოგადოების კლასები.

X ინგლისის ხალხის სხვადასხვა კლასების ძალთა ურთიერთი განწყობილება არა ჰყავდა იმ განწყობილებას, რომელიც საფრანგეთში არსებობდა. უპირველესად ყოვლისა ინგლისში ვლეხთა კლასი ძალიან მცირე რიცხოვანი და ნაკლებგავლენიანი იყო. უკვე შე 15-ე საუკუნიდან გლეხობა თანადათან მიწას ჰყარგავდა, მათ მიწებს მსხვილი მიწადმთლობელები იძენდნენ; მე-16-17-ე საუკუნიდან მიწების

შეძენა დაიშეს აგრეთვე ქალაქიდან მოსულშა კაპიტალისტებმა, რომელებმაც სახნავი მაწები უზარ-მაზარ საძოვრებად გადააქციეს; ამ საძოვრებზე იკვებებოდნენ ცხვრები, რომელთა მატყლიც მრეწველობისთვის იყო საჭირო. გლეხები თავიანთ სახლ-კარს სტოვებდნენ და მიდიოდნენ ქალაქში, სადაც სამუშაოს მრეწველობაში ეძებდნენ. გლეხების კლასი ინგლისში თანდათან მცირდებოდა. სამაგიეროდ ჩრდებოდა მუშათა კლასი. ინგლისის მრეწველობა უკვე მე-18-ე საუკუნის დასასრულიდან მთელ ქვეყანაზე ბატონდება. ინგლისში პირველად გომოიგონეს და გავრცელეს საქსოვი და საფეიქრო გაუმჯობესებული დაზგები და მანქანები, აგრეთვე ორთქლის მანქანები. ინგლისთან ქიშპობა ევროპაში ველარავის შეეძლო: თავისი ლირსებითა და სიიატით ისინი ახალ-ახალ ბაზრებს იპყრობდნენ. მრავალრიცხოვანი მუშათა კლასი, ამისდამიუხედავად, ძალიან ცოტას იღებდა იმ უზარ-მაზარი მოგებიდან, რომელიც ინგლისის მრეწველებს ხვდებოდათ. მუშა-ხელი ბევრი იყო, სოფლიდან ქალაქებს აწყდებოდა ახალ-ახალი მასები მიწა დაკარგული გლეხებისა, რომლებიც სამუშაოს ეძებდნენ, სამუშაო ხელფასის დაწესება სავსებით ქარხნების პატრიანებისგან იყო დამკიდებული; მუშები განსაკუთრებით ცუდს პირობებში ჩაცვიდნენ. სამანქანო წარმოების შემოლების შემდეგ, როდესაც ერთი მანქანა მრავალი მუშის ადგილს იჭერდა, და ამიტომ ბევრი მუშა უადგილოდ რჩებოდა ქუჩაში. საქმე იქამდის მიღიოდა, რომ მუშები ბევრგან მანქანებს სწვამდნენ და განზრას აფუჭებდნენ, ხშირად მუშათა ნაცდვილი ამბოხებანი ხდებოდა მანქანების წინააღმდეგ. თუ გლეხობას ინგლისში მე-19-ე საუკუნის დასასრულს უკვე აღარავითაორი მნიშვნელობა არა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, სამაგიეროდ მუშათა კლასი ინგლისში გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე სხვაგან სადმე: ინგლისი ევროპის მრავალი ბაზრისთვის მუშაობდა, მისი მრეწველობა ყოველ წლივ ზრდებოდა და უკვე მე-18-ე საუკუნის დასასრულს მუშათა კლასი ლობდონში და პროვინციის მრავალ ქალაქში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა. გარდა ამისა, უდიდესი მაღაროები ქვანახშირისა (განსაკუთრებით უელსში და შოტლანდიაში) მუშათა დიდს მოსახლეობას იზიდავდა. სამანქანო წარმოებამ, რომელიც მე-18-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და მე-19-ე საუკუნის პირველ ათეულ-წელიწადებში, დიღის სისწრაფით ვითარდებოდა, შექმნა-შდიდესი. სამრეწველო წამოწყებანი და დაწესებულებანი.

ინგლისის ეკონომიური მდგრადი ნაპოლეონის იმპერიის და 3-
ხობის შემდეგ.

როდესაც ომების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მშვიდობა—
ნობა დადგა და შესაძლებელი გახდა საერთაშორისო გაჭრობის აღ-
დგენა, აღმოჩნდა, რომ ყველაზე ძლიერი კაპიტალისტური ქვეყანა
ინგლისია. ამისი მიზეზი მრავალი იყო. ჯერ ერთი, უკვე მე-18-ე სა-
უკუნის დასასრულიდან ინგლისში გაჩნდა და ჩქარდ გავრცელდა სა-
მანქანი წარმოება, უმთავრესად საფეიქრო-საქსოვ მრეწველობაში,—
თითქმის განუწყვეტელი ომების გამო რევოლუციასა და ნაპოლეო-
ნის ეპოქის დროს ეს ახალი გამოგონებანი და აღმოჩნდანი ინგლისი-
დან ევროპის სხვა ქვეყნებში იშვიათად და ძალიან ნელა ვრცელდე-
ბოდა. შეორეც, ნაპოლეონთან ომის დროს ინგლისმა შესძლო და
ეკონომიურად დაიმორჩილა ან პირდაპირ ხელთ იგდო საფრანგეთი-
სა და სხვა ქვეყნების კოლონიალური სამფლობელოები. მესამეც ინ-
გლისმა იმავე ომიანობის წლებში მოსპონ ან ხელთ იგდო თოთქმის
მთელი სავაჭრო ფლოტი კონტინენტალური ევროპის სახელმწიფოე-
ბისა, ამიტომ მისი ბატონობა ყველა ზღვებზე უდავო გახდა.

ამ რიგად, ინგლისის მრეწველები და ვაჭრები, რომლებიც თა-
ვისი და სხვების კოლონიებიდან ბევრსა და იაფ ნედლ მასალას იღე-
ბდნენ, საშუალება ჰქონდათ თავიანთი გემებით ევროპასთან და შო-
რეულ ქვეყნებთან ევაჭრათ, მომხმარებლებს ისეთის იაფ საქონლო.
აწვდიდნენ, რომ მათთან ქიშპობა იმ დროს ევრავის შეძლო. ევრო-
პის სხვა ქვეყნებში მრეწველობა ცოტად თუ შევრად შესამჩნევად
განვითარებული იყო მხოლოდ რეინის პირად მდებარე გერმანიაში.
საქსონიაში, ნაწილობრივ ჩეხიაში და საფრანგეთის ზოგიერთ აღგი-
ლებში: განსაკუთრებით ქალაქებში —პარიზში, აშენენში, ლიონში და
ლილლში. მანქანების გავრცელება ევროპაში ცოტად თუ ბევრად შესა-
მჩნევად მხოლოდ 1814 წლიდან დაიწყო. მრეწველობაშ შესამჩნევად მნი-
შვნელობა კონტინენტალური ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში მხო-
ლოდ მე-19-ე საუკუნის მე-20-ე და შემდეგს წლებში მოიპოვა, მუშაო
კლასმაც მაშინ მოიპოვა მნიშვნელობა რევოლუციის მოძრაობაში.

რაიცა შეეხბა მიწადმიქმედებას და სოფლის მეურნეობას, აჭ-
ალსანიშნავია, რომ საფრანგეთსა და გერმანიაში, ავსტრიასა, დანიი-
სა და პოლანდიის ზოგიერთ აღგილებში მე-19-ე საუკუნის მთელ პირ-
ველ ნახევარში ემჩნევა წარმოების დიდი გამოკოცელება და სურვი-
ლი მეურნეობის წესების გაუმჯობესებისა.

ბრძოლა საარჩევნო კანონების რეფორმისთვის

როდესაც ხანგრძლივი ოში ინგლისისა ნაპოლეონის წინააღმდეგ დამთავრდა, ინგლისის მუშათა მოძრაობა მიიმართა იქითკენ, რომ მოყვავებინათ პოლიტიკური უფლებები, რომლებიც საჭირო იყო მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშებმა მოითხოვეს უფლება პარლამენტში დეპუტატების არჩევისა. ამ ბრძოლაში იმ დროინდელ საარჩევნო წესების წინააღმდეგ, მუშებს გარდა, აგრეთვე მთელი ბურჟუაზიაც იღებდა მთნაწილეობას.

საქმე იმაშია, რომ ინგლისის კანონებით პარლამენტში (თემთა პალატაში) არჩევნების უფლება პქონდათ მხოლოდ ისეთს ქალაქებსა და ადგილებს, რომლებიც უსხოვაა დროიდან იყვნენ შეტანილნი განსაკუთრებულ სიებში. მას შემდეგ, რაც ეს სიები შესდგა, ბევრი ქალაქი და ადგილი, როლებიც სიებში იყვნენ შეტანილნი, დაუძლურდნენ, დაცარიელდნენ; ხშირად მათი მცხოვრებლები ეკონომიკურად დამკიდებული იყვნენ მდიდარი მეზობლისაგან, ლორდი-მიწადმფლობელისაგან, რომელიც დეპუტატის არჩევაზე თემთა პალატაში გავლენას ახდენდა. ასეთი, წესები სასარგებლო იყო არისტოკრატიისთვის, უძალლესი თავადაზნაურობისათვის, რომელიც დიდ მამულებსა ჰყლდა. ინგლისის პარლამენტი ხომ თრი პალატისაგან შესდგებოდა: ლორდთა და თემთა პალატისაგან; ყოველ კანონს არივე პალატა უნდა გაეკარა და შემდეგ ხელმოსაწერად მეფისთვის წარდგენილიყო. მაგრამ რადგანაც ლორდთა პალატა შესდგებოდა არისტოკრატებისაგან, რომლებიც მუშის ბრძნებით ინიშნებოდნენ და რომლებსაც თავიანთი უფლება მექიკიდრეობით უფროს შეიოზე გადაჰქონდათ, — მაშასადაც, მთელ დანარჩენ ხალხს კანონმდებლობასა და საზოგადოდ სახელმწიფოებრივ საქმეებზე გავლენის მოხდენა შეეძლო მხოლოდ თემთა პალატის საშუალებით; საარჩევნო წესები კი, როგორც ვსთქვით, ისეთი იყო, რომ თემთა პალატაში ირჩევდნენ მხოლოდ ადამიანებს, რომლებიც იმავ არისტოკრატიას, ე. ი. მსხვილ მიწადმფლობელებს ესურებოდათ. მაშასადამე გამოდიოდა, რომ მთელი ძალა-უფლება სახელმწიფოში არისტოკრატიის ხელში იყო.

ბურეუაზიას არა სურდა ასეთს მდგომარეობას შერიგებოდა. კაპიტალი იმდენად გაძლიერდა, მრეწველებმა და ვაჭრებმა ისეთი დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომ მათ კატეგორიულად მოითხოვეს აგრეთვი პოლიტიკური ძალა-უფლებაც. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა, ჯერ ერთი, საარჩევ-

ნო უფლებები წაერთვას ბევრს ადგენილს, რომლებიც ძველ სიებში ირიცხება, მაგრამ არა პყავთ საკმაო ჩიცხვი მცხოვრებლებისა, და ეს უფლებანი გადაეცეს ახალ დიდ სავაჭრო და სამრეწველო ქალაქებს, რომლებიც სიებში ჯერ არ ირიცხება. მართლაც, ასეთი ცხადი უსამართლობა გამოღიოდა: პატარა ადგილს, სადაც 50 ან 60 კომლი სცხოვრობდა, უფლება პქონდა თემთა პალატაში ექვსი დეპუტატი აერჩია, ქალაქს კი, სადაც აუარებელი ქარხნები იყო, უფლება არა პქონდა თუნდაც ერთი დეპუტატი აერჩია მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქალაქი ახალი იყო და ძველ სიებში არ იყო შეტანილი. ამ რიგად, ყველა, ვინც კი დიდს ქალაქებში სცხოვრობდა, ე. ი. ბურუუაზია და მუშები, საარჩევნო უფლების რეფორმით ძალიან დაინტერესებული იყო, მიწად-მფლობელი არისტოკრატები კი, პირიქით, უმეტეს წილად იცავდნენ ძველ წესებს, როდესაც ისინი პატარა ადგილებში არჩევნებს თავიანთი სურვილისამებრ აწყობდნენ. ძალიან ხშირად ისე ხდებოდა, რომ არისტოკრატი, მსხვილი მემამულე, მახლობელ სოფელში გზავნილა განტხადებას და წინადადებას აძლევდა, ესა და ეს კაცი აირჩიეთო,—იმას ირჩევდნენ კიდეც, რადგანაც ამ პატარა ადგილის მცხოვრებლებს ეშინოდათ მდიდარი მეზობლისა, რომლისგანაც ისინი დამოკიდებული იყვნენ..

ამ რიგად, ბურუუაზიამ და მუშებმა, დროი ქალაქებისთვის საარჩევნო უფლების მოსაპოებლად, მიწად-მფლობელი არისტოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. საქმე დემონსტრაციებით დაიწყო, და ბრძოლა ხშირად ძალიან მწვავე ხასიათს იღებდა. მთავრობა დიდხანს ჯიუტობდა. ბრძოლა გრძელდებოდა 17 წელიწადს, სანამ ბოლოს და ბოლოს არისტოკრატიის ერთმა ნაწილმაც და მეფემაც არ დაინახეს, რომ ინგლისი სერიოზული ოევოლიუციონური ამბების წინაშე სდგას და საკიროა დათმობა, სანამ ჯერ კიდევ დაგვიანებული არ იყო. როდესაც 1830 წელს საფრანგეთში იყოსის რევოლუცია მოხდა, ინგლისში ამ მოვლენას დიდის თანავრძნობით შეხდნენ; რადიკალურ პრესაში გაისმა მუქარა, ჩვენც რევოლიუციას მოვახდენთ, თუ საარჩევნო რეფორმა არ განხორციელდა.

1832 წ. საარჩევნო რეფორმა.

ბოლოს და ბოლოს არისტოკრატიის ხანგრძლივი წინააღმდეგობა გატყდა, საარჩევნო რეფორმის კანონი ორივე პალატამ მიიღო და მეფემაც ხელი მოაწერა. ეს მოხდა 1832 წელს. ამ კანონმა ბევრი ძველი ადგილის საარჩევნო უფლება მოსპონ და ეს უფლებანი ახალ

ქალაქებს გადასცა; საზოგადოდ კი ეს კანონი იმნაირად ნილი, რომ ბურუუზიას — მსხვილსაც, საშუალოსაც და თივ წევრილსაც — საშუალება ეძლეოდა დეპუტატები აერჩია.

ხება მუშებს, დაწესებული ცენზი მათთვის ძალაში დიდი იყო; ამიტომ მუშათა კლასს 1832 წლის რეფორმამ არ მისცა ის, რის მოლოდინიც ჰქონდა.



VIII ინგლისი 1832 წ. საპარლამენტო რეფორმიდან ჩართული მოძრაობის დასასრულამდე (1848 წ.).

1832 წლის რეფორმამ ინგლისში ისეთი მდგომარეობა შევქმნა, რომ ბას, შემდეგ პალიტიკური ძალა-უფლება ბურუუზიასა და ნაწილობრივ არის ტოკრატიის ხელში გადავიდა: თემთა პალატის უმრავლესობა ამიერიდან ბურუუზიას ეკუთვნოდა, ლორდთა პალატა კი კელავინდებურად მემკვიდრე არის ტოკრატიის წარმომაზარნებისგან შესდგემდა. ორივე კლასი ერთსულონად მოქმედობდა მაშინ, როდესაც საჭირო ხდებოდა მესაკუთრეთა საერთო ინტერესების დაცვა, მაგალითად, როდესაც საჭირო იყო გამოცემა კანონისა „ლარიბების შესახებ“ (1834 წ.) ამ კანონით ღარიბების (უმუშევართა) დახმარებას სახელმწიფო თავის თავზე იღებდა, ეწყობოდა „მუშათა სახლები“, სადაც ცხოვრება იმდენად მძიმე იყო, რომ მალე ეს მუშათა სახლები მთელი მუშათა კლასისთვის საფრთხობელი გადაიქცა. ეს მუშათა სახლები შემოიღეს ნაცვლად იმ დახმარებისა, რომელიც ლარიბებს თავიანთ სახლში ეძლეოდათ იმ მესაკუთრეთა ხარჯით. რომლებიც სათანადო სამრევლოში სცხოვრობდნენ: „კანონი ღარიბების შესახებ“ პარლამენტის ორივე პალატაშ ძალიან მალე მიიღო, რადგანაც იგი ერთნაირად სასარგებლო იყო ცველა მესაკუთრეთათვის, როგორც ბურუუზიასთვის, ისე მიწადმფლობელი თავად-აზნაურობისთვის. სამაგიეროდ შეორე საკითხმა. რომელსაც ინგლისისთვის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, დიდი მიხლა-მოხლა გამოიწვია და მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გადასწყდა.

პურზე დადებული გადასახადების გაუქმება.

საქმე იმაშია, რომ ჯერ ისევ იმ დროს, როდესაც პარლამენტში უმთავრესი ადგილი მიწადმფლობელებს ეჭირათ, ინგლისში უცხოეთადან შემოტანილ პურზე დიდი გადასახადები იყო დაწესებული. ეს

გადასახადები ყოველწლიურად იცვლებოდა; როდესაც ცუდი მოსაქლის გამო ინგლისში მოყანილი პური ძვირდებოდა, ეს გადასახადები მცირდებოდა და საზღვარ-გარეთიდან პური შემოლიოდა; მაგრამ როგორც კი პურის უკიდურესი სიძეირე მოისპობოდა, გადასახადები ისევ დიდდებოდა და საზღვარ-გარეთიდან პურის შემოტანა უკვე შეუძლებელი ხდებოდა. ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ ინგლისური პურის ფასი ძალიან არასოდეს არ დაცემულიყო. ასეთი წესები ძალიან სასარგებლო იყო ინგლისის მიწადმფლობელებისთვის, რომელებიც, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყვნენ, რომ ინგლისის ბაზარზე საზღვარ-გარეთული პური არ გაჩენილიყო და თავიანთი პური ხელსაყრელ ფასებში გაეყიდათ. მაგრამ დანარჩენი მოსახლეობა, პურის მომზარებელი, დიდიხანია ამ გადასახადის გაუქმებას მოითხოვდა, რადგანაც იგი მხოლოდ იმით იყო დაინტერესებული, რომ იაფი პური ჰქონოდა.

ბრეტონელები, ქარხნების პატრონები აგრეთვე დაინტერესებული იყვნენ, რომ იაფი პური ყოფილიყო, რადგანაც, რამდენადც იაფი იყო პური, იმდენად იაფი ხდებოდა მუშის შრომა. მათ პურზე დადებული გადასახადის წინააღმდეგ სასტიკი. აგიტაცია გამართეს. შესდგა დიდი საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა, მხარი დაუკირა აგიტაციისთვის და ინგლისში უცხოეთის პურის თავისუფლად შემოტანისთვის. აგიტაციის სახავეში ჩადგა კობდენი, რომელმაც თავისი ენერგიით და ორატორული ნიჭით სახელი გაითქვა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 1845 წელს მინისტრმა რობერტ ბილმა, როგორც იყო, პარლამენტში გაიყვანა კანონი პურზე დადებული გადასახადების მოსპობის შესახებ.

ჩარტისტული მოძრაობა და მუშათა კლასი:

პურის კანონების წინააღმდევ მიმართული ბრძოლის დროს მუშათა კლასის თავისი სულიერი განწყობილების მიხელვით ორ ჯგუფად გაიყო: ზოგი პურის კანონების წინააღმდეგ ჰქადაგებდა და ანტიკიცებდა, მუშათა კლასი მოიგებს, თუ პურზე იაფი ფასები დაწესდებათ, ზოგი კი ფიქრობდა, რომ მუშათა კლასი პურის ფასებთან არაფერი საქმე არა აქვს, ვინაიდან მექარხნენი, სულერთია, მუშებს მხოლოდ ისეთს სამუშაო ხელფასს მისცემენ, რომ მუშა სიმშილით არ მოკვდეს: თუ პური ძვირი იქნება,—მუშა მეტს მიიღებს და ყველაფერს პურში მისცემს; თუ პური იაფი იქნება,—მუშა ნაკლებს მიიღებს და მაინც ყველაფერს პურში მისცემს. მაშასადამე, ბრძოლა პურზე დადებული გადასახადების გასაუქმებლად იმას ნიშნავს, რომ

მუშებმა მექარხნეების ინტერესებისთვის იბრძოონ. მაგრამ მაინც როდესაც 1846 წელს ეს გადასახადები მოისპო, მუშათა კლასის ფართო წრეებში ამ გარემოებას დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ. ამ წლებში, საზოგადოდ, ინგლისის მუშათა კლასი ძალიან რევოლუციონურად იყო განწყობილი. ჯერ კიდევ 1838 წელს მუშათა მორის დაიწყო მოძრაობა რადიკალური პოლიტიკური რეფორმისთვის. მოძრაობის ბელადები აცხადებდნენ, 1832 წლის რეფორმამ მუშები მოატყუა და ამიტომ საჭიროა რადიკალური გარდაქმნა მთელი პოლიტიკური წესწყობილებისათვის. ისინი თხოულობდნენ საყოველთაო და ფარული კრისის ყრის უფლებას, ყოველწლიურ არჩევნებს აპრობენტში, დეპუტატების დაჯილდოვებას მათი მოვალეობის ასრულების დროს (რათა შეუძლებელ ხალხსაც შესძლებოდა დეპუტატად ყოფნა) და კიდევ ზოგიერთ სხვა კანონს, რომლებიც საჭირო იყო იმისთვის რომ ძალაუფლება მცხოვრებთა ღარიბი უმრავლესობის ხელში გადასულიყო. ეს მოთხოვნილებანი გადმოცემული იყო განსაკუთრებულ „სახალხო ხარტიაში“, რომელიც მთელი მოძრაობის ერთგვარ უმთავრესს მანიფესტად გადაიქცა. ინგლისურად სიტყვა ხარტია გამოიხატების ასე: „ჩარტერი“, ამ სიტყვის მიხედვით მთელს ინგლისურ მუშათა მოძრაობას ჩარტისტული მოძრაობა ეწოდა. ეს მოძრაობა არ შეწყვეტილა ათი წლის განმავლობაში—1838 წლიდან 1848 წლამდე: ამ წნის განმავლობაში მოძრაობას ზოგჯერ წმინდა რევოლუციონური ხასიათი ეძლეოდა და საქმე პოლიციასთან და ჯართან შეკავებამდე, ციხეებზე თავდასხმამდე მიღიოდა. პარლამენტს აძლევდნენ პეტიციებს, რომლებზედაც დიდ ძალ ხალხს ეწერა ხელი და რომლებშიაც თხოულობდნენ კონსტიტუციის გამოცვლას „სახალხო ხარტიის“ მიხედვით. მოძრაობა შესუსტდა და შემდეგ კი სრულიად მოისპონა წილობრივ იმის მიზეზით, რომ მე-19-ე საუკუნის მე-50-ე წლების დასაწყისში ინგლისის მრეწველობის აუკავება დაიწყო, ამან მუშახელის მოთხოვნილება გაზარდა და მუშათა კლასის ეკონომიკური მდგრადრეობა ძალიან გააუმჯობესა. მუშათა მოძრაობამ ინგლისში თანდათან თავისი პოლიტიკური, რადიკალური ხასიათი დაჰქარგა და მნიშვნელობა პოლიტიკისთვის კავშირებისა, რომლებიც უმთავრესად წმინდა ეკონომიკურ მიზნებს ისახავდნენ, გაიზარდა. უნდა კიდევ აღინიშნოს, რომ ჩარტისტული მოძრაობის ზედგავლენით ინგლისში განხორციელდა კანონი. რომელმაც ქალებისა და ბავშვების მუშაობა განსაზღვრა და საზოგადოდ საფუძველი ჩაეყარა საქარხნო კანონმდებლობას, რომელიც მშრომელთა ინტერესების ერთგვარი დაცეისკენ იყო მომართული.

IX. „ივლისის მონარქიის“ დრო საფრანგეთში.
1830 — 1848 წ.

+ ლუი-ფილიპპეს მეფობა 18 წლამდე გაგრძელდა. ამ დროს საფრანგეთის ისტორიაში „ივლისის მონარქია“ ეწოდება, რაც განაცლუი-ფილიპპე ტახტზე 1830 წლის ივლისის ოცნების ამბების გამო ავიდა. ივლისის მონარქია საფრანგეთში მსხვილი ფინანსისური, სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის სრული პოლიტიკური ბატონობის დრო იყო. თავად-აზნაურობამ, რომელიც 1830 წლამდე ჯერ კიდევ ერთგვარ როლს ასრულებდა, სრულიად დაპკარგა თავისა მნიშვნელობა. ლუი-ფილიპპეს დროს მომქმედი კონსტიტუციის დროს საკანონმდებლო ხელისუფლება ორ პალატას ეკუთვნოდა: 1) პერიოდის პალატას მეფე ნიშნავდა და ისეთ პირებისაგან შესდგებოდა, რომ ლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მის წევრებად ითვლებოდნენ, 2) დეპუტატთა პალატას იჩერებონ საფრანგეთის ისეთი მოქალაქენი, რომლებიც ყოველ წლიურად 200 ფრანკს გადასახადს იხდიდნენ. ეს ცენზი ფრიად მაღალი იყო, საფრანგეთის მთელი მოსახლეობიდან (30 მილიონადნენ) საარჩევნო უფლებით მხოლოდ 200.000 კაცი სარგებლობდა. ესენი უმთავრესად ცოტად თუ ბევრად მსხვილი მესაკუთრენი, მიწის, სახლების, სავაჭრო და სამრეწველო წარმოებათა, პატრიონები იყენენ. ალარაფერი რომ არა ესთქვათ მუშათა კლასზე, რომელიც ამ ცენზის წყალობით არჩევნებს სრულიად ჩამოშორებული იყო, — გლეხი-მესაკუთრენიც კი ამ ცენზის მიხედვით საარჩევნო უფლებით იშვიათად სარგებლობდნენ. ბურჟუაზიიდან — საარჩევნო უფლებით მხოლოდ მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო ბურჟუაზია სარგებლობდა. წვრილი ბურჟუაზია დეპუტატთა პალატაში ძალიან ნაკლებად იყო წარმოდგენილ.

დროთა მსველელობით მეფე მისი მინისტრები და ორივე პალატა საქსებით არა მარტო მთელი ბურჟუაზიის, არამედ მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის იარაღად გადაიქცნენ. ამხორციელებდნენ ისეთს კანონებს, რომლებიც მხოლოდ მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებისთვის იყო სასარგებლო. პარიზის ბირჟა დიდის გალენის ახდენდა ოფიციალურ, ისე გარეშე პოლიტიკაზე. მაგალითად, როდესაც ამ წელიწადს რკინის გზების აშენება დაიწყო, საქმე იმნაირად მოეწყო, რომ მთელი სარგებლობა კერძო წარმოებლებსა რჩებოდათ, შესაძლებელ ზარალს კი ხაზინა თითონ კისრულობდა. ამის გამო საფრანგეთის ხალხის ფართო წრეებში,

პროლეტარიატის, წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის შორის ისმოდა უკამაყოფილება და ბოლოს აღმფოთება; კი. არა მარტო რკინის გზის საქმეებში, არამედ ყველა სხვა შემთხვევებშიაც მსხვილი კაპიტალის ინტერესებს აკველთვის უპირატესობა ეძლოდა. ეს პოლიტიკა თანდათან ხალხს აბრაზებდა. დაარსდა პარტია, რომელიც მიზნად საარჩევნო უფლების გაფართოვებას. მოითხოვდა, მაგრამ რომელსაც ამასთანვე ერთად სურდა ტახტი ლუი-ფილიპეს და მის დინასტიის შერჩევნოდა. ამ ზომიერ, უმთავრესად წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიის / დინასტიური ოპოზიციის პარტია ეწოდა. მის სათავეში იდგა ოდილონ ბარიო. ეს პარტია უმთავრესად ლეგალური საშუალებებით იბრძოდა, დეპუტატთა პალატაში და პრესსაში.

მეორე პარტია, რომელიც მთავრობას უფრო აწუხებდა, რესპუბლიკანური პარტია იყო. ეს პარტია, რომელსაც მიმმრჩები ჰყავდა წვრილსა და საშუალო ბურჟუაზიაში, მოსწავლე ახალგაზღობაში და 30-ე წლებიდან კი მუშებშიაც, მოითხოვდა ლუი-ფილიპეს დამხმაბას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. ლუი-ფილიპეს მეფობის პირველ წლებში რესპუბლიკანური პარტია თავის მორიგ ამოცანად შეიირალებულ აჯანყებათა ორგანიზაციას სხავდა; მან, მართლაც, რამდენიმე აჯანყება გამოიწვია; მაგრამ ეს აჯანყებანი მთავრობაშ ჩააქრი. მაშინ რესპუბლიკანურმა პარტიამ ტაქტიკა გამოიცვალა და უპირველეს მიზნად საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოლება დაისახა. რესპუბლიკანური პარტიის ბელადი (მე-40-ე წლებში) ლედრიუ-როლენი დარწმუნებული იყო, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლების დროს ბრძოლა რესპუბლიკისთვის თვით პალატაში მოხერხდებოდა. მესამე პარტია, რომელიც ისევე, როგორც რესპუბლიკანური პარტია, მიზნად ისახავდა ლუი-ფილიპეს დამხმაბას, იყო სოკიალისტური პარტია: ეს პარტია თავის უმთავრეს მიზნად ისახავდა დამხმაბას მთელი სოკიალურ-ეკონომიური წეს-წყობილებისას, რომელიც კერძო საკუთრების ბატონობაზე იყო დამყარებული, და სოკიალისტური წეს-წყობილების განხორციელებას; ამ ცვლილების მოსახდენად პირდაპირ გზად მიჩნეული იყო ყველა საწარმოო იარაღის მითვისება სახელმწიფოს მიერ. ფრინგული სოკიალიშმის უმთავრეს თეორეტიკოსად მე-30-ე წლების დასასრულს და მე-40-ე წლების დასაწყისს გახდა ახალგაზდა, ფრიად ნიკიერი პუბლიცისტურ ლუი-ბოანი, აფტორი წივნისა „შრომის ორგანიზაციაა“.

ლუი ბლანის მოძღვრებაში მუშებშე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა აზრმა, რომ კაპიტალისტური რეჟიმი მუშათა ქვასსისთვის. დამღუპველია, რომ კაპიტალისტურ სისტემას მუშები;

გადაშენებისკენ, უდროვო სიკვდილისკენ და საუკუნის საშინელი სილარიბისკენ მიჰყავს. იგი არწმუნებდა, ნუ დაიჯერებთ, თითქოს კაპტალიზმის დროს მართლაც შესაძლებელი იყოს განსაზღვრა ბავშვების შრომისათვის (დეპუტატთა პალატამ ესა სცადა 1841 წ.), რადგანაც, სულ ერთია, მამა, რომელსაც ბავშვის გამოკვების საშუალება არ ექნება, იძულებული გახდება იგი სამუშაოდ, გაპგზავნოს თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვი სიმშილით არ მოკვდესო. ლუი-ბლანს არა სჯერა აგრეთვე ისიც, თითქოს მუშას შეეძლოს ან თითონ ისწავლოს ან შვილებს ასწავლოს, რადგანაც ამისთვის საჭიროა ერთგვარი თავისუფალი დრო და ქონებრივი დოვლათი; კაპიტალიზმის დროს კი მუშას არც ერთი აქვს, არც მეორე და არც შემდეგში ექნება. ლუი-ბლანი მოითხოვდა, მოწყობილიყო განსაკუთრებული სოციალური სახელოსნოები, ე. ი. მუშათა ასოციაციები როგორც სამიწადმომქმედო, ისი სამრეწველო მუშებისთვის. ამ ასოციაციებს თანდათან მთელი წარმოება თავის ხელში უნდა ჩაეგდო და კაპიტალისტური წესწყობილება მოესპო. წარმოების ორგანიზაციის საქმეში ასოციაციები ცენტრალური ხელისუფლების მომწესრიგებელ მოღვაწეობას უნდა ემორჩილებოდნენ. საზოგადოდ კი, ლუი-ბლანის აზრით, სწორედ სახელმწიფომ უნდა დააყენოს ეს ასოციაციები ფეხზე, მისცეს საჭირო კაპიტალები და ხელი შეუწყოს კაპიტალიზმიდან ასეთ წესწყობილებისკენ გადასვლას. ხოლო იმისთვის, რომ სახელმწიფომ ამნაირი მიზნის დასახვა შესძლოს, საჭიროა მშრომელმა მასსებშა თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით მონაწილეობა მიიღონ კანონმდებლობას და მართვა-გამგეობაში; ამის მიღწევა კი შეიძლება, ერთის მტრით, საყოველთაო სარჩევნო უფლების განხორციელებით, მეორეს მტრით, მუშათა კლასის განათლებით, ურომლისონდაც საყოველთაო საარჩევნო უფლებაც კი ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოილებს. ლუი-ბლანის მოძღვრებაში ბევრი რამ იყო ბუნდოვანი და სადაც (ის, მაგალითად, ამტკიცებდა, თითქოს კაპიტალიზმის მოსპობით დაინტერესებული იყო არა მარტო პროლეტარიატი, არამედ ბურжуაზიაც, და სხვ). მაგრამ უდიდეს შთაბეჭიდილებას მუშებზე არსებული კაპიტალისტური სისტემის ბრწყინვალე კრიტიკა და მისი ბნელ მხარების დასურათხატება ახდენდა. ლუი-ბლანი მე-19-ე საუკუნის მე-40-ე წლებიდან ყველაზე პოპულიარული ადამიანი იყო პარიზის მუშათა მასსებში.

სოციალისტური მიმღინარეობა დიდის სისწრაფით ძლიერდებოდა. ბურжуაზიული პარტიებიდან შემარტენე რესპუბლიკელები ამ წლებში (1848 წ. თებერვლის რევოლიუციიდე) სოციალისტებს შე-

დარებით მეგობრულად ეპყრობოდნენ, რადგანაც, ჯერ-ჯერობით, მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ საერთო ბრძოლაში ისინი მოკავ-შირებად მიაჩნდათ. ასეთი იყო რატიკალური მიმღინარეობანი ლუი-ფილიპპეს მეფობის დროს. ლუი-ფილიპპეს მთავრობა იძულებული ხდებოდა ანგარიში გაეწია აგრეთვე ორი მტრულად განწყობილ მონარქისტულ პარტიისთვის: ერთს მათგანს სურდა ტახტზე კვლავ აე-ყვანა ბურბონების დინასტია, რომელიც 1830 წლის ივლისის რევოლუციამ საფრანგეთიდან გააძევა, მეორეს კი სურდა ხელისუფლება გადასცემიდა ნაპოლეონ I ნათესავი ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტს. პირ-ველმა პარტიამ ერთხელ აჯანყება სცადა; თავის მხრით, ლუი-ნაპოლეონმაც ორჯელ სცადა სამხედრო აჯანყების მოწყობა, მაგრამ თუმცელვე აჯანყება მარცხით დამთავრდა.

ივლისის მონარქიის უკანასკნელი წლები.

ლუი-ფილიპპეს მეუბის პირველი ათი წელიწადი ძალიან მღელვარე იყო. რესპუბლიკანური, წმინდა მუშური (ლიონში), მონარქიული აჯანყებანი ერთი მეორეს, მოსდევდა. ამავე წლებში რამდენ-ჯერმე მეფის მოკვლის განზრახვაც იყო. ერთი ამ გვარი განზრახვის შემდეგ მთავრობამ პრესის თავისუფლება შეზღუდა და დროებით პოლიციური ზომები გააძლიერა.

მაგრამ მე-40-ე წლების დასაწყისში ეს მღელვარე უქმაყოფი-ლება მიყენდა. იმ პარტიათა შორის, რომლებიც ლუი-ფილიპპესადმი და მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობისადმი მტრულად იყვნენ განწყო-ბილნი, გაგრცელლა რწმენა, რომ ნაძალადევი, პირდაპირი რევოლიუ-ციონური მოქმედებისთვის ჯერ დრო არ დამდგარა და რომ უპირ-ველესად ყოვლისა საჭიროა ფართო აგიტაცია საარჩევნო რეფორმის განსახორციელებლად.

სწორედ ამ დროს ლუი-ფილაპპეს მთავრობამ გადასწყვიტა არა-ყითარი რეფორმა არ მოეხდინა. ხშირმა გამარჯვებამ კერძო რევოლიუციონური აფეთქებების დროს დაარწმუნეს მეფე, იმისი მინისტრები და დიდი ცენზის საშვალებით შეკრეფილი დეპუტატთა პალატა, რომ ჯარი არსებული წეს-წყობილების მხარეზეა და ამიტომ მთავრობას სიმტკიცე ჰქმართებს. ვერც მეფე, ვერც მთავრობა, ვერც მაღალი ცტან-ზის წყალობით მცხოვრებთა დანარჩენი ნაწილებისაგან გარიყული დე-პუტატების პალატა ვერა ხედავდნენ, რომ აღმფორთება უანდათან ძლიერდება და ვრცელდება არა ჭარტო. პოლეტარიატში, არამედ წვრილი და საშვალო ბურჟუაზიის ფართო წრეებშიაც. მართალია,

ივლისის მონარქიის დროს ბავშვების შრომის დასაცავად ქარხნებში ცოტა რამ გაკეთდა; ბევრი რამ გაკეთდა სახალხო განათლების დარღვი, გაიხსნა სახალხო სასწავლებლების ახალი ქსელი, მაგრამ, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, რეენიმის ბნელი მარჯები უფრო ცხადი ხდებოდა. მთავრობა იმით არა კმაყოფილდებოდა, რომ ცენზიანი პალატა თავის-თავადაც იცავდა ყოველგვარ არსებულ წეს-წყობილებას, იმან დეპუტატების პარდაპირი მოსყიდვაც დაიწყო, სახაზინო ფულებს ურიგებდა. უმაღლეს არისტოკრატიაში თავი იჩინა ხაზინის ძარცვამ და სამარცხვინო მექრთამეობამ. ორი მინისტრი მექრთამოებისთვის სამართალშიც კი იყო მაცემული. საზოგადოებაში დაეინებით ლაპარაკობდნენ, ის მინისტრებიც, რომლებიც ქრთავ მებს არ იღებენ, ბირჟაზე მუშაობენ და სხვა და სხვა სავაჭრო სპეციალის მონაწილეობას იღებენ.

საარჩევნო რეფორმის მოთხოვნა. ბანკეტები

თანდათან როგორც სოციალისტები, ისე რესპუბლიკელები დაზომიერი („დინასტიური“) ოპოზიცია დროებით გააერთიანა იმ არმა, რომ საჭიროა ფართო აგიტაცია საარჩევნო რეფორმის სასაჩვებლოდ. 1847 წლის ზაფხულს დაიწყო ფართო აგიტაცია როგორც პრესის, ისე სიტყვის საშვალებით. საოპოზიციო პარტიების არატორები სხვა და სხვა ადგილებში მოგზაურობდნენ და გამოდიოდნენ ეგრეთ წილებულ „ბანკეტებზე“, საღლესასწაულო სადილებზე, სადაც ბევრი ხალხი გროვდებოდა. აქ ლაპარაკობდნენ არსებული წეს-წყობილების გახრწნაზე, მაღალი ცენზის უსამართლობაზე, მუშა ხალხის მძიმე მდვომარეობაზე, და იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა საარჩევნო სისტემის რადიკალური გამოცელა.

1847—48 წ. წ. ზამთარი დადგა. ზამთარი ძალიან მძიმე იყო. თავი იჩენა სამრეწველო კრიზისმა, და მუშათა კლასის ერთი ნაწილი ქუჩაში დაპირი. სიმშილი და უშუშავრობა უმთავრესად საფრანგეთის ოთ უდიდესს სამრეწველო ქალაქში, პარიზსა და ლიონში, მძინვარებდა. ამაռდ უებნებოდნენ მეფესა და მის მთავრობას, რომ კა ილრუბლებოდა და შეუქმდებელი იყო ანგარიში აზ გაეწიათ არავისთვის, გარდა იმ 200.000 მდიდარისა, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჰქონდათ. არც მეფეს, არც იმის პირველ მინისტრს გიზოს, არც დეპუტატთა პალატის დიდ უმრავლესობას რეფორმიაზე ლაპარაკიც, კი არა სურდათ. „ოქვენ რევოლუციის მიაღწევთ, ხალხი

არამც თუ გაბრაზებულია ოქვენზე, ხალხს სძულხართ”, — ამბობდნენ ასდიკალური ორატორუბი ბანკეტებზე. ბანკეტები აგიტაციის უმთავრესს იარაოდ გადაიტა.

X 1848 წლის თებერვლის რევოლიუცია. საფრანგეთში და ბერძნე რესპუბლიკა.

1848 წლის თებერვალს პარიზის მუშათა უბანში ერთი ასეთი ბანკეტი გაიმართა. პოლიციის პრეფექტმა ამ უამაღ ეს ბანკეტი ალკოჰოლი. ამისდამიუხედავად ხალხის უზარ-მაზარი ბრბო უკვე 21 თებერვლიდან გროვდებოდა მოედნებზე და ქუჩებზე, პურს, სამუშაოს ათ საარჩევნო უფლების რევოლუციას თხოულობდა; 22 რიცხვიდან მოძრაობა შესამჩნევად გაძლიერდა. შეფე ლუი-ფილიპპე იძულებული გახდა მინისტრი გიზო სამსახურიდან გადაეყენებინა, რადგანაც გაიგო, რომ ნაციონალური გვარდია საარჩევნო რეფორმის მომხრე იყო და გასზე დაყრდნობა მთახლოვებული აჯანყების დროს შეუძლებელი იქნებოდა. ნაციონალური გვარდია საშუალო და წვრილი ბურუუზისკენ გან შესდგებოდა, ეს ბურუუზია კი საზოგადოდ უკმაყოფილო იყო მეტის მეტად დიდი საარჩევნო ცენტისა და იმ დიდი როლისა, რომელსაც მსხვილი კაპიტალი საფრანგეთის პოლიტიკაში ასრულებდა; ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ განსაკლელის უამს იყო მთავრობის დახმარებას არა ჩქარობდა. მართალია ლუი-ფილიპპეს განკარგულებაში იყო რეგულიარული ჯარი, რომელიც გარნიზონად პარიზში იდგა. მეფეს არა სურდა საქმე გადამწყვეტ ბრძოლამდე მიეკუნა და ამიტომ გიზოს სამსახურიდან დათხოვნასთან ერთად მოიწვია აღამიანი, რომელიც საარჩევნო რეფორმის მომხრედ ითვლებოდა. მოძრაობა თითქოს მიყუჩდა. შაგრამ 23 თებერვალს სალამოს სროლა ასტრიდა, ჯარშა ერთ ადგილს ბრბოს თოვები დაუშინა. უკვე მიყუჩებულმა მოძრაობამ განახლებულის ძალით ითეთქა. რევოლიუციონერებმა იერიშით აიღეს მეფის სასახლე, საიდანაც მეფემ ძლივს მოაწრო გაქცევა, დაიპყრეს დეპუტატთა პალატა, სადაც გამოცხადებულ იქმნა რესპუბლიკა, — და ჯარშაც მოსპონ წინააღმდეგობა. რევოლიუციამ სავსებით და სრულიად მოულოდნელად მალე გაიმარჯვა. ეს მოხდა 1848 წლის 24 თებერვალს.

მეორე რესპუბლიკა. სხვა და სხვა საზოგადოებრივი კლასების
დამოკიდებულება მისდამი

X
თავისი არსებობის პირველ კვირეებიდანვე ეს რესპუბლიკა ბევრს
უნიადაგოდ მიაჩნდა. საფრანგეთის ისტორიაში მას ეწოდება „მეორე
რესპუბლიკა“ (პირველ რესპუბლიკად ითვლება ის, რომელიც 1792
წელს გამოცხადდა, დიდი რევოლუციის ხანაში).

უმთავრესი მიზეზი მეორე რესპუბლიკის სისუსტისა ის იყო, რომ
მას მხარს არ უჭირდა ორ ერთი ცოტად თუ ბევრად ძლიერი საზოგა-
დოებრივი კლასი. ბურჟუაზია, არა მარტო მსხვილი, არამედ საშუა-
ლოც და წერილიც. ლუი-ფილიპპეს უეცარ დამხობას შიშითა და
გაოცებით შეხვდა. როგორც უკვე ვსთვეოთ, ძალიან ბევრს მათგანს
საარჩევნო უფლების გაფართოვება სურდა. მაგრამ ისინი სრულია-
დაც არა ფიქრობდნენ, რომ მოძრაობა ასეთს მოულოდნელ სახეს
მიიღებდა და საქმე მონარქიის დამხობით გათავდებოდა; წინდაწინვე
შიშობდნენ, რომ რესპუბლიკა გამოიწვევდა ტერორს, ქონების განა-
წილებას, კერძო საკუთრების მოსპობას. ამასთანავე ერთად გლეხი-
ძესაკუთრები, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული
იყვნენ, ცნობას პარიზის რევოლუციის შესახებ გაოცებითა და უნ-
დობლობით შეხვდნენ. დასასრულ, მუშები, ერთად ერთი კლასი,
რომელმაც რესპუბლიკის გამოცხადება სრულის თანაგრძნობით მიი-
ღო და მზათ იყო მისთვის მხარი დაეჭირა, მალე, რაღაც 3—4 თვის
შემდეგ, რესპუბლიკანურ წესწყობილებას უკვე ან მტრულად ეპყრო-
ბოდა, ან გულგრილად.

იმ ამბებმა, რომლებიც ახალი რესპუბლიკის პირველ ოთხ თვე-
ში მოხდა, კლასსიური წინააღმდეგობანი იმდენად გაამწვავა, რომ
იმდობრინდელ საფრანგეთში ასეთს წინააღმდეგობათა გამო რესპუბ-
ლიკანურ წეს-წყობილებას არსებობა ვერ შეეძლო.

ნაციონალური სახელოსნოები.

იმ დროს, როდესაც თებერვალის რევოლუცია მოხდა, უმუშევ-
რობა ძალიან დიდი იყო, სამრავწველო კრიზისი უკვე რამდენიმე თვე
მრძელდებოდა. პარიზის მლელვარებათა პირველი შედეგი იყო წარ-
მოების შეცირება. დამშეულმა უმუშევრებშა დროებით მთავრობას,
რომელიც 24 თებერვალს გამოუხადდა, დაუყოვნებლივ დახმარება
გოსთხოვა. დროებითი მთავრობაში შედიოდნენ: რესპუბლიკანურ

ჭარტიის ბელადი ლელრიუ-როლლენი, სოციალისტურად განწყობილი მუშების ბელადი ლენი ბლანი, სოციალისტი მუშა ალბერთ რამდენიმე ზომიერი რესპუბლიკელი. ღროვებით მთავრობას არც შეეძლო და არცა სურდა მუშებისოფის უარი ეთქვა. გადასწუდა, დაუყოვნებლივ დაარსებულიყო „ნაციონალური სახელოსნოები“. პარიზის უბნებში უმუშევარნი უნდა ჩაწერილიყვნენ, — ჩაწერის შემდეგ დღეში 142 ფრანკს იღებდნენ; მთავრობას კი შეეძლო ჩაწერილები გაეგზავნა ყველგან, სადაც კი აღმოჩნდებოდა რაიმე სამუშაო, რომელიც ხაზინის ხარჯით სწარმოებდა. 142 ფრანკით იმ ღროს თავის გამოკვება შეიძლებოდა, თუმცა არა შალიან მაძლრისად. ჩაწერილები სამუშაოზე უარს არ აცხადებდნენ, მაგრამ მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ სახაზინო სამუშაო ცოტა იყო, კერძო ქარხნები და სახელოსნოები კი წარმოებას ამცირებდნენ, ასდგანაც ბაზარი შემცირდა. „ნაციონალურ სახელოსნოებში“ ჩაწერილთა რიცხვი დიდის ჭიდოვანობით იზრდებოდა, და 1848 წლის ივნისში მათი რიცხვი უკვე ას პასუხი მეტი იყო.

კლასსიური ურთიერთობანი თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

ყველაზე სახიფათო აქ ის იყო, რომ დაახლოვებითაც კი არ შეიძლებოდა წარმოდგენა. უმუშევართა ეს ზრდა რით გათავდებოდა. ხაზინა ნაციონალურ სახელოსნოებზე ღიღძალ ფულსა ხარჯავდა. როგორც ამ ხარჯების, ისე თებერვლის რევოლუციით გამოწვეული სხვა ხარჯების დასაფარვად ღროვებითი მთავრობა იძულებული გახდა ვადასახადები 45% გადადებინა. ბურჟუაზიასა და გლეხობაში გადასახადების გადადებამ მღელვარება გამოიწვია. ამბობდნენ, მთავრობა ხალხს ტყავს აძრობს, რომ როგორმე „პარიზის ზარმაცები“ გამოკვებოს: ასე უწოდებდნენ მუშებს, რომლებიც ნაციონალურ სახელოსნოებში იყვნენ ჩაწერილნი; ავიწყდებოდათ, რომ ეს ადამიანები უდანაშაულონი იყვნენ, რომ ისინი ქუჩაში წარმოების შემცირების გამო იყვნენ დაჩქენილნი. გადასახადების ამ გადიდებამ კლასსიური ბრძოლა შეძლებულთა და ღარიბთა შორის მეტის მეტად გაამწვავა. ამნაირ მწვავე პირობებში ღროვებითმა მთავრობამ გამოაცხადა არჩევნები ნაციონალურ დამფუძნებელ კრებაში. არჩევნები საყოველთაო, პირუაპირ, თანასწორ საარჩევნო უფლების საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

ნაციონალური დამფუძნებელი კრება.

არჩევნები დამფუძნებელ კრებაში დამოკიდებული იყო უმრავ-
რესად გლეხებისგან, რომლებიც მცხოვრებთა ღიღს უმრავლესობას
შეადგენდნენ და ბურუუზისგან, რომელსაც ჰქონდა ღიღი საშუალე-
ბანი, გავლენა და დასასრულ, განსაზღვრული გამოცდილება საარჩე-
ვნო ბრძოლაში. არჩევნებს შედეგად ის მოჰყვა, რომ უმრავლესობა
ან ზომიერი რესპუბლიკელების მხარეზე აღმოჩნდა, ან მონარქისტების
მხარეზედაც კი. ცოტად თუ ბევრად რაღიკალურად განწყობილ რე-
სპუბლიკელთა რიცხვიც კი ძალიან ცოტა აღმოჩნდა, უფრო ნაკლები
იქმნა არჩეული სოციალისტი.

პარიზის პროლეტარიატის ყველაზე რევოლუციონურად გან-
წყობილმა ნაწილმა ბლანკის მეთაურობით 1848 წ. 15 მაისს ძალი-
თა სცადა ნაციონალური კრების გარეკვა, მაგრამ ეს ცდა ჯარის სა-
შუალებით იქმნა მოგერებული. ამ შემთხვევის შემდეგ რეაქციონური
სულიერი განწყობილება, გაბოროტება სოციალისტების წინააღმდეგ
სურვილი შეიარაღებული ბრძოლის გამოწვევისა და მუშების განად-
გურებისა თანდათან უფრო მკაფიოდ მოსჩანდა კრებაში. საჭირო ცო-
მხოლოდ ბრძოლის საბაბის გამოძებნა. ღიღისან ძებნა არ დასჭირ-
დათ. ნაციონალური სახელოსნოების დაკეტვა მორიგ საკითხად გა-
დაიქცა.

ივნისის აჯანყება მუშებისა პარიზში.

15 მაისის შემდევ ნაციონალური კრების უმრავლესობას ბოვ-
ლენათა დაჩარება გადასწყვიტა: იგი ამ უამად დარწმუნებული იყო
რომ პარიზის პროლეტარიატზე გაიმარჯვებდა და ბრძოლის გამო-
საწვევად შემთხვევას ეძებდა. საბაბად გადაიქცა საკითხი ნაციონა-
ლური სახელოსნოების შესახებ, სადაც ივნისის შუა რიცხვებში ასი-
ათასს მუშანე მეტი ირიცხებოდა. გადასწყდა ამ სახელოსნოების და-
კეტვა, თუმცა ყოვლის მხრივან ირწმუნებოდნენ, ქუჩაში დარჩენილი
მუშები აუცილებლად იარაღს მოჰყიდებენ ხელსათ. სახელოსნოები
მაინც დაპკეტეს, და 1848 წლის 23 ივნისს პარიზში მუშებისა ჯან-
ყებამ იუვეტქა.. ეს აჯანყება ოთხი დღე გარდელდა და 26 ივნისს
მუშების დამარცხებით დამთავრდა. საშინელი საბარიკადო ბრძოლა
სწარმოებდა ქალაქის ყველა ნაწილში, განსაკუთრებით კი მუშატა
უბნებში. მუშები გმირული თავ-განწირულებით იბრძოდნენ; დათი

ლოზუნგი იყო: „სიცოცხლე მუშაობით, ან სიკედილი ბრძოლით“. დიქტატორული უფლება ნაციონალურმა კრებამ გენერალ კავენია, ს გადასცა. სისხლის ღვრის შემდეგ, რომელიც ოთხი დღე გაგრძელდა და ლამ-ლამობითაც არა სწყდებოდა, კავენია კმა ყველა ბარრიკადები დაიძყრო და მებრძოლთა უკანასკნელი ჯგუფები გაპფანტა. განსაკუთრებული სიმეურე დამარტხებულებისადმი გამოიჩინეს სამოქალაქო მილიციის რაზებმა, ეგრედ წოდებულებმა მობილიმ, რომელიც წერილ ბურუუზისა და მესაკუთრე გლეხებისაგან შესდგებოდა. მუშებში ისინი მოძრებული კომუნისტური იდეების წარმოშვადგნებისა და თავიანთ მტრებსა ხედავდნენ და ამიტომ ამ ბრძოლაში დიდი სიმძლვარე შევქონდათ.

სისხლის ღვრა ოთხი დღის ბრძოლით არ გათავებულა. დაშვიდებისთანვე დაიწყო დაბვრეტა იმ პირებისა, რომლებიც ხელში იარაღით ჩაუვარდათ. აჯანყების შემდეგ მონაწილეთა გასამართლება რაცდენიმე თვის განმავლობაში არ შეწყვეტილა. რადიკალური და სკოციალისტური გაზეთები დაკვეტეს, სამსახურიდან დაითხოვეს ისეთი პირები, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი რადიკალური რწენით. გაძევებულ იქმნენ საფრანგეთიდან სხვა ეროვნების ემიგრონტები, რომლებმაც თავშესაფარი ჰქოვეს საფრანგეთში ჯერ ისევ ლუი-ფილიპპეს დროს, თებერვლის რევოლიუციამდე.

რეაქცია საფრანგეთში.

ივნისის აჯანყებამ, ჯერ ერთი, გააღიზიანა და შეაშინა ბურგუაზიანია და მესაკუთრე გლეხობა, მეორეს მთრით კი, გიმარჯვებამ პროლეტარიატზე გაბატონებულ კლასსებს შთაუნერგა რწმენა, რომ ისინი ძლიერი არიან. არსებითად, ივნისის აჯანყებიდან დაწყებული, როვორც ბურუუზიანიაში, ისე გლეხობაში თანდონთან ვრცელდებოდა აზრი, რომ თავის დაცვას პროლეტარიატისგან ისინი შესრლებინენ შხოლოდ ძლიერი, თითქმის დიქტატორული ჩეუიმის დროს, და არა რეაბუტლიკის დროს, რომელიც, სულერთა, ადრე თუ ვვიან მუშებსა და მეთაურებს საშუალებას მისცემდა ლეგალური გაზეთები გამოეკათ, საკანონმდებლო კრებაში ელაპარაკათ, მღელვარება გამოეწვიათ და პროტესტისკენ მოეწოდებინათ. იენისის აჯანყების შემდეგ შეძლებულთა კლასი ისეთმა რეაქციამ მოიცავა, იმდენად მოსწყურდათ მშვიდობიანობა და უზრუნველყოფა. რომ დიდი უმრავლესობა არმტც თუ მართვა გამგეობის რესპუბლიკანური ფორმის მოსპობაზე ოცნებებდა, მას ისეთი მონარქიაც კი აღარ უნდოდა, რანგირიც ლუი-

ფილიპპეს დროს იყო, როდესაც ასე თუ ისე პრესის .თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა აღმინისტრატული თვითონებობისგან, მაინც არსებობდა. მათ სურდათ დიქტატურა და კონსტიტუციური მონარქია.

შეორებს ძხრით, მუშათა კლასის, რომელიც 1848 წლის ოქ-
ბერვალს რესპუბლიკის გამოცხადებას ასე მიესალმა,—ესლა ივნისის
ხოცვა-ულეტისა და დახვრეტის შემდეგ. მწარე სასოწარკვეთილებას
განიცდიდა. „მუშებსა და რესპუბლიკის შორის აღიმართა გვაშეპი
ათი ათასი ადამიანისა, რომლებიც ივნისის დღეებში დაიღუპნენ“,
როგორც ამბობდა ერთი მუშა ამ ხანის მოვონების დროს. პროლე-
ტარიატი დამარცხდა და მრავალის ხნით, თითქმის ოცის წლით, პო-
ლიტიკას ჩამოშორდა. რესპუბლიკა, რომლის დროსაც შესაძლებელი-
იყო ივნისის დამშვიდება, პროლეტარიატისთვის უცხოც იყო და-
უსარგებლოც. ბეკრი მაშინ დარწმუნებული იყო, რომ ვერც ერთი
მონარქია ვერ იმოქმედებდა ისე ულმობელად, როგორც იმოქმედ-
რესპუბლიკანებმა გენერალმა კავენიკშა, გამარჯვებულმა მუშეპშე
ივნისის სისხლის მღვრელ დღეებში.

ამ ჩიგად, ერთად ერთმა კლასში, რომელსაც ჯერ კიდევ შევძ-
ლო რესპუბლიკისთვის მხარი დაეჭირა, რესპუბლიკას ზურგი შეაქ-
ცია. ბურუუაზიასა და გლეხებში ძალიან ბევრნი დიქტატორს მოჟ-
შოდებდნენ, რესპუბლიკის მოსპობაზე ოცნებობდნენ, პროლეტარიატს
კი არ ეინტერესებოდა, გადარჩებოდა თუ არა რესპუბლიკა ან ვინ.
იქნებოდა იმის აღვილას.

გზა დიქტატურისთვის გახსნილი იყო, და დიქტატურაც გაჩნდა—

ლუი-ნაპოლეონი ბონაპარტეს არჩევა რესპუბლიკის პრეზი-
დენტად.

ჯერ ისევ ლუი-ფილიპპეს დროს საფრანგეთში ლაპარაკი დაი-
წყეს ნაპოლეონ I ნათესავზე, პრინც ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტეზე,
რომელმაც ორჯელა სცადა ჯარისკაცების აჯანყება შეფე ლუი-ვი-
ლიპპეს წინააღმდეგ; ის ყაზარმებში მიეიღა, მაგრამ მეორე ცდის
შემდეგ დაიკირეს, გაასამართლეს და ჩასვეს ციხეში, საიდანაც ექცევ-
წლის შემდეგ გაიქცა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის ნა-
ციონალურ კრებაში აიჩინის (პირველად უარი განაცხადა, მეო-
რედ დასთანხმდა) და 1848 წ. შემოდგომამდე სხდომებში მონაწი-
ლეობას იღებდა. ლუი-ნაპოლეონ-ბონაპარტე კუიიანი კაცი იყო, თუ-
დაკერილი, მოხერხებული, ღრმად დარწმუნებული, რომ საფრანგეთ-

ში მეფობა მას ბეჭითა აქვს ნაანდერძევი; ამიტომ ვადასწყვიტა ყოველნაირის გზით ამ თავისი მიწნის თვის მიეღწია. როდესაც ბუჟუჟუ-აზიასა და გლეხობაში მუშების ივნისის აჯანყების დამატების შემდეგ დაებადათ სურვილი რესპუბლიკის შეცვლისა დიქტატორიით, ორივე ამ კლასსმა თავისი იმედები და ანგარიშები სწორებ ამ კაცზე დაამყარა. უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო მისი პრეზიდენტად არჩევა. ის პირები, რომლებიც ჯერ კიდვ ერთგული იყვნენ რესპუბლიკისა, ახტილად ამბობდნენ, ლუი-ბონაპარტეს ხმას მხოლოდ ის მისკემს, ვისაც რესპუბლიკის მოსამართის სურს: თუ ამ აღამიანშა მოჯელ გასწირა სიცოცხლე, რათა იმპერატორის გვირგვინი მოეპოვებინა, უიარალოდ ორჯელ მივიღა ყაზარმებში ჯარისკაცებთან, რათა მეფე ლუი-ფილიპპე დაემხო, მაშინ როგორ არ ისარგებლებდა თავისი უდიდესი ძალა-უფლებით და გავლენით, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტად გახდებოდა და როდესაც მინისტრების, გენერლების, უმაღლესისა და დაბალი მოხელეების დანიშვნა და სამსახურიდან დახხოვნა მასზე იქნება დამოკიდებული? უხადია, ის უცილებლად შეცდებოდა პრეზიდენტიდან იმპერატორის გამხდარიყო.

1848 წ. შემოდგომას, საბოლოოდ შემუშავდა რესპუბლიკანური კონსტიტუცია: საკანონმდებლო უფლება და კონტროლი მართვა-გამგებისა ამ კონსტიტუციით მინიჭებული პქონდა საკანონმდებლო კრებას, რომელსაც საყოველთაო კენჭის ყრით ოთხის წლით იჩვედნენ, აღმასრულებელი უფლება კი მინიჭებული პქონდა რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელსაც იჩევდა მთელი ხალხი (ე. ი. უფრო სწორედ რომ ითქვას, სრულწლოვანი მამაკაცები) აგრეთვე ოთხის წლის ვადით. ასეთი იყო ამ კონსტიტუციის უმთავრესი მუხლები. 1848 წლის დეკემბერს მოხდა პრეზიდენტის არჩევნები: 7 მილიონი ხმიდან 5¹/₂, მილიონი ხმა ლუი ნაპოლეონ ბონაპარტემ მიიღო: რესპუბლიკის ბეჭი გადასწყდა.

XI ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტეს პრეზიდენტობა.

რეაქციის გაძლიერება ხაფრანგეთში.

 პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მალე საკანონმდებლო კრებას არჩევნები მოხდა. 750 დეპუტატიდან 500 რეაქციონერი იქნია არჩეული, ან თავიანთ თავს აშეარად შონარქისტებადა სთვლილნენ, ან კონსერვატიული რესპუბლიკის დამყარება სურდათ. ამ კრებამ ძალიან მალე იგრძნო, რომ პრეზიდენტი ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტემ მისი

შტერია, და ამასთანავე ერთად ფრიად ძლიერი მტერი. საქმე იმაშია, რომ რაც უნდა რეაქციონური არა ყოფილიყო ეს კრება, ბურუაზეასასა და გლეხბიბაში თანდათან მტკიცდებოდა რწმენა, რომ შეძლებულ კლასთა მტკიცე უზრუნველყოფა სოციალისტური მომრაობისავან და პროლეტარიატის ახალი აჯანყებებისაგან შეუძლიან მხოლოდ მეტკუიდორებით მონარქიას და არა რესპუბლიკას. პრეზიდენტმა ეს იცოდა და მტკიცებ გადასწუვიტა რესპუბლიკა მოესპო, სწორედ ვარაუდობდა; რომ მის დასაცავად ერთი კლასი თავს არ გამოიდებდა. საკანონმდებლო კრება კი; მიუხედავად თავისი რეაქციონერობისა, მაინც მისი გეგმებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამ კრებას თითონ რომ შეეთავაზა, მაგ. იმპერატორობა, პრეზიდენტი ძალიან კრაულფილი დარჩებოდა, პრეზიდენტის ერთგული პირები სწორედ ამას ოცნებობდნენ, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელი აღმოჩნდა: ყველა მონარქისტი ბონაპარტების დინასტიის ალდგენის მომზრენი არ იყვნენ. ბევრს მათვანს სურდა ალდგენა ბურბონების დინასტიისა, რომელიც ჯერ ისევ 1930 წლის ივლისის რევოლუციის დროს დაემხო: მეორეს მხრით, კონსერვატიული რესპუბლიკელებიც ფიქრობდნენ, რომ ბურგუაზიისა და გლეხი-მესაკუთრების სურვილების დაკმაყოფილება და „ძლიერი სურვილების“ შექმნა რესპუბლიკასაც შეეძლო.

სახელმწიფო გადატრიალება

ამიტომ ლუი-ნაპოლეონმა გადასწყვიტა სწრაფი, ნაძალადევი გადატრიალების საშუალებით ემოქმედნა. თავისი აზრის განსახორციელებლად იყი ნიადაგს სამი წლის განმავლობაში ამზადებდა. საკანონმდებლო კრება თავისი მოქმედებით შუშათა კლასს უფრო და უფრო აბრაზებდა ტესატრიკის წინააღმდეგ: მან გამოსცა კანონი, რომელიც სწორედ მუშების საარჩევნო უფლებებს ზოუდავდა. დაწესდა, რომ. ორევნებში მონაწილეობის უფლება შეიძლებოდა ჰერიონდა მხოლოდ ისეთს მოქალაქეს, რომელიც ერთსა და იმავ აღგილას სიმი წლის განმავლობაში იცხოვრებდა; რა თქმა უნდა, მუშათა კლასის დიდი ნაწილი, რომელიც სამუშაოს საძებნელად სხვა აღგიზებში დადგინდა, ამ კანონის ძალით საარჩევნო უფლებასა ჰერიონდა. რეაქციონური სულიერი განწყობილება კრებაში თანდათან ძლიერდებოდა. გამოიცა კანონი, რომელიც მთელი განათლების საქმეს კათოლიკურ სამღვდელოებას უგდებდა ხელში. როდესაც ამ კანონს მხოლობლნენ, მისი მომხრეები პირდაპირ აცხადებდნენ, სახალხო

ბასწავლებლებია და საზოგადოდ მასწავლებელთა შემაღენლობა საჭ-
ლედელოების კანტროლის ქვეშ უნდა დავაყენოთ, რათა სკოლებში
სოციალისტური სული აღმოვთხერათო.

აშისლამაუხედავად საკინომშებლო კრებამ ვერც თავისი თავი
გადაარჩინა, ვერც რესპუბლიკა. ლუი-ნაპოლეონი დარწმუნებული იყო
რომ შეძლებული კლასსების უძრავლესობა (ე. ი. ბურუუზია და მე-
საკუთრე გლეხობა) მას თანაგრძნობით ეაყრობოდა, დარწმუნებული
იყო აგრეთვე იმაშიც, რომ მუშათა კლასი რესპუბლიკის ბეჭ-ილ-
ბალს გულ-გრილად ეპყრობოდა; მან თავისკენ მოიმხრო აგრეთვე
რომის პაპა და, მაშასადამე, საფრანგეთის მთელი სამღედლოება,
მოიმხრო იმით, რომ 1849 წელს რომში (საღაც ამ დროს რესპუ-
ბლიკა გამოცხადდა) საფრანგეთის ჯარი გაგზავნა, რესპუბლიკა მოსპო
და ტახტზე პაპა აღადგინა. რაც შეიძლება მეტი მომხრეების გასა-
ჩენად, პრეზიდენტი ცდილობდა აგრეთვე ჯარშიაც პოპულიარობა
მოეხვევა. ჯარში უკვე ბონაპარტეს გვარი მას პოპულიარულად ხდი-
და. — იმდენად დიდი იყო სახელი მისი ბიძისა, იმპერატორის ნაპო-
ლეონ I. სხვადასხვა მოხერხებული ზომებით პრეზიდენტია ჯარისკაცე-
ბისა და ოფიცირების გული უფრო მეტად მოინადირა. 1851 წლის
შემოღვამისთვის ყველაფერი თითქოს მზათ იყო. პრეზიდენტია გა-
დასწუვიტა რესპუბლიკისთვის მოულოდნელად სასიკვდილო ლახვარი-
ჩაეცა. როდესაც ყველაფერი მზათ იყო, ლუი-ნაპოლეონმა სახელმწი-
ფო გადატრიალების მოხდენა გადასწყვიტა. 1851 წლის 2 დეკემბერს,
ლაშე, თავიანთ ბინებზე დაატუსალეს ყველა ის დეპუტატები და პო-
ლიტიკური მოღვაწენი მემარცხენე პარტიებისა, რომლებსაც შეეძ-
ლოთ რაიმე წინააღმდევობა. გაეწიათ. ნაციონალური კრების სასახ-
ლე და სხვა უმაღლესი დაწესებულებანი ჯარმა დაიჭირა, კრება და-
თხოვნილ იქმნა და გამოცხადდა სამხედრო მდვობარეობა. გადატრია-
ლებას თითქმის არავთარი წინააღმდევობა არ გაუწიეს. მუშათა მას-
სა რესპუბლიკის დალუპვას სრულიად გულ-გრილად შეხვდა. მუშათა
შორის ზოგჯერ გაბოროტებული ხმებიც ისმოდა, ივონებდნენ 1848
წლის ივნისის დღეებს, როდესაც „რესპუბლიკაშ მუშები დახვრიტა“.
საჭი კვირის შემჟღვე პრინც ლუი-ნაპოლეონს ახალი კონსტიტუციის
შეღვენა მიანდეს, რაც 1852 წელს მან შეასრულა, 1852 წ. ნოემბერ-
ში კი მიიღო ტიტული ნაპოლეონ III, საურანგეთის იმპერატორისა.

საჭამ ვილაპარაკებთ ნაპოლეონ III მეფობის ზანაზე, რომელსაც
დილტ გავლენა ჰქონდა ევროპიულ პოლიტიკაზე, ჩვენ უნდა განვი-
ხილოთ, რანარი. იყო ევროპის სხვა სახელმწიფოების მდგომარეობა.

XII გერმანიის სახელმწიფოები და ავსტრია ვენის კონგრესიდან 1848 წლის მარტის რეგოლიურიამდე.

საზოგადოებრივი კლასსები გერმანიაში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

X გერმანიის ხალხი ნაპოლეონის ომების და ვენის კონგრესის შემდეგ განაწილებული აღმოჩნდა 36 ცალკე სახელმწიფოთ. ზოგიერთ მათგანში საკონტიტუციო წყობილება იყო შემოღებული, სხვებში კი, უმთავრესად დიდისა ძლიერ გერმანულ სახელმწიფოებში, თვითმშეკრიბელობა იყო გამტებული. დანაწილებაც და ოვითმპრობელობის არსებობაც მე-19-ე საუკუნის მტელ პირველ ნახევარში გერმანიის ხალხის სხვადასხვა კლასსებში დიდს უქმაყოფილებას იწვევდა.

იმ მიწეზების გასარკვევად, რომლებმაც 1848 წლის გერმანიის რევოლიუცია გამოიწვიეს და იმ ამბების გასაგებად, რომლებმაც გერმანია გაერთიანებამდე მიიყანეს, საჭიროა დახასიათებული იქნიას საზოგადოებრივი კლასსები, მათი კონონიური მდგომარეობა და სულიერი განწყობილება 1814 წლის ვენის კონგრესიდან 1848 წლის რევოლიუციამდე.

1. გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ყოველი ათი წლით აზტალებოდა. გერმანიის მრეწველობა ზოგიერთ აღგილებში, მაგ., საქსონიაში, ვესტფალიაში, პრუსიის რეინის პროვინციებში ჯერ ისევ 17 საუკუნიდან იყო გაძლიერებული და, მაგ., საფრანგეთის მრეწველობას სკარბობდა. ნაპოლეონის დროს, იმპერატორის ბრძანებით, გერმანიის ყველა სხვლ-მწიფოები ვალდებული იყვნენ კონტინენტალური სისტემა მიეღოთ, ე. ი. ინგლისულებთან ვაჭრობაზე უარი ეთქვათ. ეს გარემოება ვაჭრებსა და მომხმარებლებს აწუხებდა, მაგრამ გერმანიის მრეწველობის განვითარებისთვის ი ძალიან სახსარებო იყო: არა მარტო გერმანიის არამედ მთელი კონტინენტალური ევროპის ბაზრებზე გარმანული საზოგადოების მოთხოვნილება გაიზარდა, რათვანაც ინგლისის კონკრეტურია მოისპო. საფეიქრო-საქსოვი მრეწველობა საზოგადოებრივიან გახვითარდა, სილეზიის რაიონში (პრუსიაში): მეტალურგია აყვავებული იყო რეინზე, რურში და საქსონიაში: ტილოების დამამზადებელი ხელოსნობა განვითარებული იყო ჩრდილოეთში, პანნოვერში და გერმანელი და ბალტიის ზღვის ნაპირებზე; აქ ამ ხელობას შინა-მრეწველი გლეხები მისდევდნენ. შაქრისა და ლვინის წარმოება-

გაძლიერდა სამხრეთში, ბავარიაში, ნაწილობრივ პრუსიაში. ვაკტრ-ბაც მრეწველობასთან ერთად იზრდებოდა, დიდებოდა ბრუნვა ათა მარტო შინაური, არამედ გარეშე ვაკრობისაც: გერმანული საქონფლი მე-19-ე საუკუნის მე-30-ე და მე-40-ე წლებში ავსტრალიას და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებშიაც კი გაჩნდა. სავაჭრო და სამხრეწველო ბურუუაზის კლასის დილის სისწრაფით იზრდებოდა როგორც რიცხვის მხრით, ისე თავისი სამრუნველი თანხებით; ამისდამიხედვით უფრო მეტისა და მეტის დაუინებით მოითხოვდა მონაწილეობის უფლებას როგორც კანონმდებლობაში, ისე სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ე. ი. მოითხოვდა იმ „პატრიარქალური“, თვითმპყრობელური-თავალ-აზნაურული წესწყობილების მოსპობას, რომელიც იმ დროს გერმანიის სახელმწიფოების დიდს უმრავლესობაში იყო გამეცებული. მაგრამ ვაკრები და მრეწველები მარტო კონსტიტუციის შემოღვას არა თხოულობდნენ; თავიანთი ეკონომიკური მოღვაწეობის ყოველ ნაბიჯზე ისინი დიდს დაბრკოლებებს განიცდიდნენ აგრეთვე გერმანიის პოლიტიკური დანაწილების გამო. მართალია, 1834 წელს მათ შესძლეს შინაური საბაჟოების მოსპობა გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის (დაარსდა „საბაჟო კავშირი“ გერმანელ სახელმწიფოებისა, რომელთა ტერიტორიაზედაც ყველა ვაკრებს, ამ სახელმწიფოების ქვეშვერდომებს, შეეძლოთ უბაჟოდ ევაკრათ). მაგრამ ეს ცოტა იყო. გერმანია იანაწილებული იყო და ამიტომ პოლიტიკურად უძლური. სრულიად არა პქონდათ სამხედრო ფლოტი, არა პკავ-დათ საკარისი ძლიერი არმია, რათა საკირო მომენტში ეკონომიკური ინტერესები დაეცვათ, არა პქონდათ და არც შეიძლებოდა პქონდათ კოლონიები. დასასრულ, დარწმუნებული არ იყენენ, რომ საფრანგეთის; ან რუსეთის თავდასხმას არ განიცდიდნენ. გერმანიის მთავრობები, პრუსიით დაწყებული, მორჩილებით ეპყრობოდნენ ნიკოლოზ I და მისი უკამაყოფილების ყოველ-გვარი გამოხატულებისა ძალიან ეშინოდათ. გერმანიის მთელი განათლებული საზოგადოება, ე. ი. გერმანიის ბურუუაზის კლასის ყველაზე ინტელიგენტური ნაწილი, გაერთიანებისკენ მიისწრაფოდა; მან შექმნა მთელი პატრიოტიული იდეოლოგია მომავალი „დიდი, მთლიანი თავისუფალი გერმანიის შესახებ“. იმ დღვინამარტობას, რომელშიაც გერმანია ვენას კონგრესის შემდეგ იმყოფებოდა, მეტტერნიხის ქმნილებას, საცოდავ „გერმანელ კავშირს“—უდიდესი ნაწილი განათლებული საზოგადოებისა სიძულევილით უცემობოდა. ვენას კონგრესის შემდევ პირველ წლებში განსაუთოებულად რევოლუციინურად იყო განწყობილი სალმაზ ზდამა მერქნობიარე ნაწილი ამ კლასისა—სტუდენტობა. ა.

2. ოაიცა შეეხება: მუშათა კლასს, მრეწველობის ჩქარ ზრდასთან ექითავ დიდის სისტრაფით იზრდებოდა აგრეთვე მისი ოცხევიც. მუშათა კლასსის ეკონომიური მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. ის პერიოდი, რომელსაც მარქსმა „პირვენდელი დაგროვების პერიოდი“ უწოდა, ე. ი. ხანა კაპიტალისტური—ორგანიზაციული მრეწველობის პირველი ჩასახვისა და გაფართოვებისა, მუშათა კლასსისთვის ყველან და ყოველთვის ფრიად მძიმე პერიოდად უნდა ჩაითვალოს. დანასუსტებელი მუშაობა, რომელიც მუშას დღე ღამის $\frac{3}{4}$ ართმევდა, მცირე ხელფასი, რომელიც არასოდეს გამოსაკვებად არა ყოფნიდა მეშაობის დაწყება ბავშვობილანვე, სრული თვითნებობა პატრიონებისა—ყველა ამ მოვლენებს გერმანის მუშებიც განიცდიდნენ მე-19-ე ასულუნის პირველ ნახევარში. ლაპარაკიც კი არა ყოფილა იმის შესახებ, რომ მუშები საკანონმდებლო გზით დაეცვათ თვითნებობისა და ესპლოატაციისგან. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გერმანის მუშის მდგომარეობას იმ დროს უფრო უარესადა ხდიდა, ვიდრე, მაგ. ინგლისელი ან თუნდაც საფრანგეთის მუშების მდგომარეობა იყო. თვითნებობა და ველურობა პოლიციის, სრული უმწეობა სასამართლოსა და ადმინისტრაციის წინაშე, ყველა ბნელი და შეურაცხოფილი მხარეები თვითმცყრობელურ—პოლიციური რეეიმისა მთელი თავის სიმძიმით უპირველესად ყოვლისა მუშათა კლასს აწვეპოდა. მუშებისთვის კი ყოველივე ამის ატანა უფრო ძნელი იყო, ვიდრე, მაგალითად, საშუალო გლებებისთვის, რაღაც საზოგადო მუშათა კლასსი გონებრივად უფრო განვითარებული იყო და მისი ნერავები უფრო ნაკლებად მაგრამ იყო, ვიდრე გლეხისა, რომელიც გაცილებით უფრო ჯანსაღ პირობებში ცხოვრიბდა და მუშაობდა, სუფთა პარტეზე ეს განსხვავება. ნერვიული შთაბეჭდილებებისა მუშასა და გლებს შორის გერმანული ცხოვრების ბევრმა შეთვალყურემ ჯერ ისევ მე-20-ე წლებში შეამჩნა.

მუშების რევოლიუციონური სულიერი განწყობილება ჯერ ისევ 1848 წლამდე სჩანდა. მართალია მათი კლასსიური თვითშეგნება ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო, მაგრამ ყოველი გაფიცევა ამ თვითშეგნებას აკავებდა. გაფიცევები კი იძართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოწყობა ძნელდებოდა, გამეფებული იყო სრული პოლიტიკური უფლებობა, პოლიცია და სასამართლოები მძინვარებდა; მთელი თავისი ჟირიშით აწვებოდა იმათ, ვისაც „უწესოების“ ჩადენას დასწამებულნენ. თერდი ვეიტლინგის აგიტაციამ გერმანის მუშებს პირველად გააცნო კომუნისტური იდეები; რეინის პროვინციაში მოდიოდა ხმები ფრანგული სოციალიზმის შესახებ,—მოდიოდა უმთავრესად 1848 წლის

რევოლუციის დასაწყისშივე; დასასრულ 1847 წელს გამოვიდა შარქისისა და ენგელსის ცნობილი კომუნისტური მანიფესტი, რომელიც გერმანულ სოციალისტურ მოძრაობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და ხაზ-გასმით აღნიშნა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კლასსებურ ბრძოლას მთელი კაცობრიობის წარსულში, აწყობი და მომავალში. კომუნისტურ მანიფესტს, მის გამოსვლისთანავე, გერმანიის მუშების მხოლოდ ყველაზე მოწინავე, განვითარებული ნაწილი გაეცნა. მაგრამ მისი გავლენა მუშათა კლასის რევოლუციონური სულიერი განწყობილების ზრდაზე 1848 წელს—ყოვლად უდავოა. მოთხოვნილებანი პოლიტიკური განთავისუფლებისა, მოთხოვნილებანი გერმანიის გერმანიანებისა მუშათა მოთხოვნილებანიც იყო. მაგრამ მათს ბელადებს ეს მხოლოდ პირველ ნაბიჯად მიაჩნდათ: გაერთიანებული გერმანული რესპუბლიკა მათის აზრით უნდა ყოფილიყო მხოლოდ პირველი საფეხური ბრძოლისა კაპიტალისტური წეს-წყობილების დასამხობად.

3. ბურჟუაზიასა და მუშათა კლასიდან ეხლა გლეხობაზე ვადავიდეთ. ნაპოლეონთან ბრძოლის დროს ბატონ-ყმობა გერმანიის სახელმწიფოებში ან სრულიად მოისპო. ან მისი ნაშთები და დარჩა. ზოგს გერმანელ სახელმწიფოში ბატონ-ყმობა მოსპონ ნაპოლეონმა დაპყრობის შემდეგ; სხვაგან კი, მაგ, პრუსიაში, ბატონ-ყმობა მოსპონილ იქმნა მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფო ნაპოლეონმა გაანადგურა; მაშინ პრუსიის მთავრობამ იგრძნო, რომ დალუბვის გზაზე ჯამდგარი სახელმწიფოს გადარჩენა მხოლოდ ძირითადს რეფორმის შეეძლო. მაგრამ იმავე პრუსიაში, იგრეთვე სხვა აღვილებში ნაპოლეონის შემთხვევ თავად-აზნაურობამ კვლავ თავი წამოჰყო და თეოლოთავისი ძალ-ლონით შეეცადა ბატონ-ყმობის აღდგენას თუ არა ყველა იმის შენარჩუნებას მაინც, რის შენარჩუნებაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ერთგვარი დაშოკიდებულება შემამულისაგან დარჩა განხაკუთრებით პრუსიის აღმოსავლეთ პროვინციებში, გასმართლებისა და დასჯის უფლება (დატუსალება მცირე ხნით და ზოგან კი ფინიკური დასჯაც) მიწათ-მფლობელ მემამულების ხელში იყო. ეს ჯამიკიდებულება განსაკუთრებით საგრძნობი ხდებოდა იქ, სადაც უმიწა-წყლოვან გლეხობა სკემოვრობდა და სადაც ეს გლეხობა იძულებული ხდებოდა: მიწა მემამულისაგან იჯარით აელო. გლეხთ-მიწადმფლობელებისა, და გლეხთ-მოიჯარადრების გარდა, იყვნენ აგრეთვე სრულიად ჯამიწა-წყლო ბოგანოები, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა სამოგადოდ ქალაქის დაქირავებული მუშების მდგომარეობაზე უკეთესი არ იყო. საზოგადოდ კი გლეხების პოლიტიკური სულიერი განწყობი-

ლეპა გამოუჩეველი იყო და 1848 წ., სულ სხვადასხვანაინი აღმოჩნდა: ზოგან გლეხები რევოლუციას აშკარად თანაუგრძნობდნენ და ჰლელავდნენ; ზოგან კი, პირიქით, მონარქისტულ გრძობებს ამეღავნებდნენ; ზოგან მემაშულები (მაგ. შემდეგში ცნობილი ბისმარკი) გლეხებისაგან შემდგარი რაზმების გაგზვნასაც კი აპირებდნენ მეფის დასახმარებლად რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ გლეხების უქმაყოფილება ბატონ-ყმობის ნაშთებით (მემაშულის სასამართლოს უცულებით და სხვ.) იმდენად დიდი იყო, რომ 1848 წელს უპირველესად ყოვლისა ამ ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია გახდა საჭირო.

ჭ. დასასრულ, 1848 წლის წინ გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრიში უდიდესი ადგილი თავად-აზნაურობას ეჭირა. საზოგადოების ქს კლასი ძალიან დიდს როლს თამაშობდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი განკარგულებაში იყო უდიდესი მამულები, ე. ი. უზარმაზარი უძრავი კაპიტალი, რომელიც თავად-აზნაურობას მტკიცე ეკონომიურ ნიაზაგს აძლევდა; მეორეც თავად-აზნაურობას შორეული წარსულით დან ხელთ ეპურო არა მარტო უმაღლესი არამედ ცოტად ოუ ბევრად გავლენიანი თანამდებობანი სამოქალაქო მართვა-გამგეობისა. სასამართლო, აღმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმართველობა, ფინანსიური უწყება — ყველაფერი თავად-აზნაური — მოხელეების ხელში იყო. როდესაც გლეხებზე ვლაპარაკობდით, ჩენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მემაშულე-აზნაურს, მიუხედავად ბატონ-ყმობის გაუქმებისა, მაინც შენარჩუნებელი ჰქონდა უფლება გასამართლებისა, შეეძლო გლეხი ფინიურად დაესაჯა და ციხეში ჩაესვა. ჯარში ყველა თანამდებობანი და აფიცირის ადგილები განსაკუთრებით თავად აზნაურობას ეჭირო.

ამ გაულენიან წოდებას სურდა თავისი ძალა გამოეყენებინა თავისი მდგრამარეობის განსამტკიცებლად სახელმწიფოში. თავად-აზნაურობას უშეტეს წილად არა სურდა არც კონსტიტუცია არც გერმანიის გაერთიანება, არც ისეთი რამ რეფორმა, რომელიც მის მდგრამეობას შეარყევდა.

ოპოზიციონური მოძრაობის დაწყება გერმანიაში.

ასეთი იყო გერმანიის ხალხის კლასიური დანაწილება და სულიერი განწყობილება სხვა და სხვა კლასებისა. უქმაყოფილების პირველმა ნიშნებით თავი იჩინა 1817—1819 წ. წ., როდესაც სტუდენტური მოძრაობა გერმანიის უმთავრეს უნივერსიტეტებს მოედო. საქმე შიდიოდა ერთგვარ პილიტიკურ დემონსტრაციამდე (1817 წ.), ტერორისტულ აქტადე (1819 წ. სტუდენტმა ზანდმა

შოპკლა ერთი იმ დროს ცნობილი ლიტერატორი კოცებუ, რომელ-
საც რუსეთის ჯაშუშმბას აბრალებდნენ). ამ მოძრაობამ საყოველთაო
ყურადღება მიიპყრო, და ავსტრიის იმპერიის კანცლერმა მეტტერნიხმა
იმდროინდელი მთელი ეკროპის რეაქციის ბელადმა მთელი თავისი
გავლენა მოიმარჯვა, რათა გერმანიის მთავრობებს ეს მოძრაობა
უსასტიკესი ზომებით ჩაექრო. ცენზურა სასტიკი ვახდა, სტუდენ-
ტებსა და ზოგიერთ პროფესორებს დევნა დაუწყეს. მოძრაობა აშ-
კარად თავს აღარ იჩენდა, მაგრამ სტუდენტურ ორგანიზაციებში
(სათვისტომოებში) კი დარჩა. ივლისის რევოლუციის ზედ-გავლენით
დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ აღილებში მოხდა რევოლუციონუ-
რი გამოსვლები, რომლებიც ადვილად ჩაიქრეს.

მაგრამ ლიბერალურ-კონსტიტუციური და გამაერთიანებელი
მოძრაობა მაინც დიდის სისწრაფით იზრდებოდა. ასეთი იყო მდგო-
მარეობა 1840 წლამდე, როდესაც პრუსიაში გარდაიცვალა მოხუ-
ცი მევე ფრიდრიხ-ვილჰელმ III და ტახტზე მისი შვილის-შვილი-
ფრიდრიხ-ვილჰელმ IV ავიდა. პრუსია ყველაზე დიდი და გავლენი-
ანი სახელმწიფო იყო გერმანიაში; ამიტომ ახალი პირის გამოჩენა
პრუსიის თვითმპყრობელ ტახტზე ფრიად ღიღმნიშვნელოვანი შოვ-
ლენა იყო გერმანიის დანარჩენი სახელმწიფოებისთვის.


პრუსიის ეს ახალი მეფე უცნაური ადამიანი იყო. მას უწოდებ-
დნენ რომანტიკოსს, მეოცნებეს, რომელიც აღტაცებით ეპყრობოდა
საშუალო საუკუნოების გერმანული იმპერიის ყოფილ დიდებას. ამი-
ტომ ყველა; ვინც კი გერმანიის გერთიანებაზე ოცნებობდა, ელოდა,
რომ ფრიდრიხ-ვილჰელმ IV ამ ოცნების განხორციელებას მოისურ-
ვებდა და პრუსიის მეფედან გერმანიის იმპერატორად გადაიქცეოდა.
მეორეს მხრით, ხმა დადიოდა, რომ ახალი მეფე საქსებით იზიარებს
მოძლვრებას თავისი ხელისუფლების „ლეთაებრივი“ წარმოშობების შე-
სახებ და სძულს თვით აზრიც კი კონსტიტუციის შესახებ. ამასთა-
ნავე ერთად, ცხადი იყო, რომ მომავალ გაერთიანებულ გერმანიაში
აუცილებლად კონსტიტუციური წესწყობილება უნდა ყოფილიყო, და
რომ თვითმპყრობელობამ თავისი დრო მოსჭამა. ფრიდრიხ-ვილ-
გელმ IV ფანტაზიორი და ძალიან მგრძნობიარე ადამიანი იყო, (უკა-
ნასკნელ დღეებში იგი კეცუაზე შეიშალა). თავისი საქციელით, თავისი
გაუბედაობით ფრიდრიხ-ვილჰელმ IV უკამაყოფილების ზრდას უფრო
ზეტად შეუწყო ხელი. 1847 წელს მან განიხრახა სათათბირო კრე-
ბის მოწვევა აღვილობრივ თვითმმართველობათა („ლანდტაგების“)
წარმომადგენლებისგან (უმეტეს წილად თავად-აზნაურებთაგან). მაგ-
რამ ამ სათათბირო კრებამ („შეერთებულმა ლანდტაგმა“) ვერავინ

დააკმაყოფილა და ისე დაიშალა, რომ ვერაფერი გააკეთა. უცნაურ-
ფილება უფრო გაძლიერდა.

და აი, სწორედ ამ დროს 1848 წლის თებერვლის უკანასკნელ
და მარტის პირველ დღეებში მთელ გერმანიას მოედო ხმები პარი-
ზის თებერვლის რევოლუციის შესახებ. რევოლუციონური ცუცხლი
მაშინათვე გერმანელ სახელმწიფოებში გადავარდა და უპირველესად
ყოვლისა პრუსიას მოედო.

1848 წლის მარტის რევოლუცია.

მღელვარე სახალხო მოძრაობა, რომელმაც 1848 წლის მარტის
დასაწყისში ბერლინში იფეთქა, დამთავრდა აჯანყებით, რომელიც
18 მარტს პრუსიის სატახტო ქალაქს მოედო. სასტიკი ბრძოლის შემდეგ
ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობის ერთგულნი დარ-
ჩნდნენ, მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ IV. დათმობის გზას დაადგა. გვარდია,
ქალაქიდან გაიყვანეს, ჟეფე კომიტიტუციას დაპირდა და მაღლ ნა-
ციონალური კრებაც მოიწვიეს. პირველ ხანებში ისე სჩანდა, თით-
ქოს რევოლუციამ გაიმარჯვა, მით უფრო, რომ ყოველის მხრიდან
საქსონიიდან, ბავარიიდან, ბერლინიდან, პატარ-პატარა გერმანელი
სახელმწიფოებიდან მოდიოდა ხმები მღელვარე რევოლუციონური
მოძრაობის შესახებ, მთავრობათა დათმობის შესახებ, იმის შესახებ,
რომ ზოგიერთ ადგილს (გერმანიის, სამხრეთით) ძალიანა ვრცელდე-
ბა რესპუბლიკანური პროპაგანდა და მზადდება რესპუბლიკანური
რაზები სრული პოლიტიკური გადატრიალების მოსახდენად.

უმთავრესი კი ის იყო, რომ ავსტრიიდან მოდიოდა ხმები არ
მარტო ვენაში მოხდარი მღელვარე რევოლუციის, არამედ იმის
შესახებაც, რომ აჯანყებამ იფეთქა ავსტრიის იტალიანურ პროექ-
ციებში (ლომბარდიასა და ვენეციის ოლქებში), რომ უნგრეთი აპი-
რებს ჩამოშორებას და ახლოვდება უში ჰაბსბურგთა მონარქიის და-
რღვევისა. 

ავსტრია 1848 წლის რევოლუციის წინ.

 ავსტრიის სოციალურ-ეკონომიკური წყობილება რაოდენადმე
განსხვავდებოდა იმ გერმანული სახელმწიფოების წყობილებისაგან,
რომლებიც მეტტერნიხის მიერ შექმნილ უძლურ და უფრო სახელათ
არსებულ „გერმანულ კავშირში“ შედიოდნენ.

ავსტრიაში მრეწველობა უფრო ნაკლებად იყო განვითარებუ-
ლი, ვიდრე გერმანელთ კავშირის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში:

შოლოდ ჩეხიას (რომელიც ავსტრიაში შედიოდა) შეეძლო თავისი
მრეწველობით ოდნავ მაინც გათანასწორებოდა საქსონიას, პრუსიის
რეინის პროვინციებს, ვესტფალიას. ბურგუაზია ავსტრიაში უფრო
მცირე რიცხვანი იყო, ნაკლებად მდიდარი, ნაკლებად განათლებუ-
ლი, ნაკლებად შეგნებული, ვიდრე გერმანელ სახელმწიფოებში. მუ-
შათა კლასიც ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. თავად-აზნაურობას
უფრო პრივილეგიური მდგომარეობა ეჭირა, ვიდრე, მაგ., პრუსიაში.
ბატონ-უმობა ავსტრიის ბეგრს ადგილის ჯერ კიდევ არსებობდა,
იქაც-კი, სადაც იგი ძალიან შემსუბუქებული იყო, გლეხები უფრო
მეტად იყვნენ დაბენავებულნი, დაშინებულნი და დამორჩილებულნი,
ვიდრე პრუსიაში, აღარაფერი რომ არ ითქვას გერმანიის სამხრეთ
სახელმწიფოებზე, სადაც გლეხები უფლებრივად ტანარჩენ კლასებთან
თითქმის გათანასწორებული იყვნენ. რაიცა შეეხება ავსტრიის ეკო-
ნომიურად და სოციალურად ჩამორჩენილ ნაწილებს (მაგ., გალიციას,
უნგრეთს, ნაწილობრივ ბუკოვინას), აქ ბატონ-უმობა ჯერ ისევ გა-
ბატონებული იყო. არსებობდა კიდევ ერთი თვალსაჩინო. თავისებუ-
რობა ავსტრიის მდგომარეობისა. ნაციონალური საკითხი ავსტრიაში
ჯერ ისევ მაშინ მწვავე საკითხი იყო, ისტორია იმ გზით წავიდა
რომ 1814 წლის ვენის კონგრესის შემდეგ ჰაბსბურგთა დინასტიურ
თვითმმკრთბელ ბრძანებლობის ქვეშ მოექცნენ სხვადასხვა ეროვნე-
ბანი, რომლებსაც ურთიერთშორის არაფერი საერთო არა. ჰქონდათ
არც თავიანთი ეკონომიური ინტერესებით, არც თავიანთი წარმო-
შობდით, არც ენით, არც კულტურით. ავსტრიის ("ჰაბსბურგის მო-
ნარქიის") ზოგიერთი ნაწილი ეკონომიურად ერთმანეთს უკვე შეე-
ლნენ, ზოგი კი მხოლოდ ძალით იყო ვაერთიანებული. ერთად-
თი გამაერთიანებელი ძალა, რომელიც ამ ნაწილების მორჩილება-
ში იმყოფებოდა, იყო ძალა-უფლება ცენტრალური მთავრობისა, ე.
ი. იმპერატორისა. ჯარი, რომელიც იმპერიის სხვადასხვა ნაწილები-
დან გრივდებოდა და რკინის დისკიპლინას ემორჩილებოდა, მთელს-
სახელმწიფოში ნაწილდებოდა იმნაირად, რომ რაზები, რომლებშიაც
უმეტეს ნაწილად სლავიანები იყვნენ, უნგრეთში იმყოფებოდნენ,
უნგრეთის. რაზმები—იტალიაში, იტალიისა—ქვემო ავსტრიაში და
სხვა. ეს იმიტომა ხდებოდა, რომ სახალხო მლელვარებათა დროს
დასამშვიდებლად ამა თუ იმ ქვეყნისთვის უცხო ელემენტი გამოეყე-
ნებინათ. საზოგადოდ, ავსტრიის ცენტრალური მთავრობა ძალიან
მოხერხებულად სარგებლობდა ნაციონალური ანტიპატიებით და იმ
მტრობით, რომელიც დაშინებულ ხალხთა შორის არსებობდა. სარ-
გებლობდა იგი აგრეთვე კლასიური მტრობითაც. სწორედ ორი წლის

წინათ რევოლუციამდე, 1846 წ., გალიციაში, მაგ., მთავრობის წაქეზებით მოხდა ულეტა პოლონელი მემამულებისა, რომელიც მათმა გლეხებმა მოაწყვეს. ეს წაქეზება იმით აიხსნება, რომ მთავრობამ პოლონელების დაშინება მოისურვა.

ნაციონალური ხასიათის მღელვარება განსაკუთრებით ავსტრიის იტალიანურ პროვინციებში (ლომბარდიასა და ვენეციის ოლქებში) და უნგრეთში ემჩნეოდა. ორივე ქვეყანა ავსტრიის იმპერიის დანარჩენ ნაწილებს ეკონომიკურად არ საჭიროებდა, ამიტომ ავსტრიის ბატონობას ისინი განიცდიდნენ, როგორც მძიმე ტეირთს და ექსპლოატაციას. ორივე ქვეყანაში, როგორც ლომბარდია—ვენეციაში, ისე უნგრეთში, გარდა ამისა, საზოგადოების განათლებულ წრეებს ახსოვდათ ისტორია თავიათი ქვეყნისა, სანამ იგი ავსტრიას ჩაუვარდებოდა ხელში, და ამიტომ ნაციონალურ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ.

ნაციონალურ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ აგრეთვე სლავიანურ ქვეყნებში, რომლებიც ავსტრიის მონაბას განიცდიდნენ—პოლონეთსა და ჩეხიაში (ავსტრიის იმპერიის სამხრეთით, სამხრეთ-სლავიანთა შორის ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ ახლად იწყებოდა; ოუმცა, სამხრეთ-სლავიანებს უნგრელები უფრო სტულდათ, ვიდრე ცენტრალური, ვენის მთავრობა). პოლონეთსა და ჩეხიაში ნაციონალური მოძრაობა გაძლიერებული იყო, მაგრამ იმ დროს იგი იმდენად ვერ გაძლიერდა, რამდენადაც იტალიანურ პროვინციაში და უნგრეთში.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც ავსტრიაში გავრცელდა ბმები პარიზის თებერვლის რევოლუციის შესახებ.

რევოლუცია ავსტრიაში.

რევოლუციამ უპირველესად ყოვლისა ვენაში იუკიქა 1848 წ. 13 მარტს. ბურჟუაზიამაც და მუშებმაც თავიდანვე ამ რევოლუციაში დიდი მონაწილეობა მიიღეს. ვენის გერმანულ მოსახლეობას ნაციონალური უქმაყოფილებისთვის არავითარი საბუთი არა ჰქონდა, რადგანაც ცენტრალური მთავრობა სწორედ გერმანული იყო (როგორც პაბსაბურგთა დინასტია). მაგრამ ბურჟუაზია ლიბერალურად, კონსტიტუციონურად იყო განწყობილი, იგი მონაწილეობას თხოვლობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, თხოვლობდა თავისი მნიშვნელობის აღიარებას სახელმწიფოში, თანახმად იმ მოძრავი კაპიტალის მნიშვნელობისა, რომელიც მის განვარგულებაში იყო; მუშები კი ეკო-

Էռմուշրագ ուսցե լին մղցամարյածամու ուցնեն, հռցորկը զերմանու-
նու. ցածրութեա մտաւրունու վնասալու պատճեց ացերունու մերագ թշազը
ուց. էրամանու, մազ., մոելուրու շեշտամեց քահուսանու և առո-
մասկալութելու մասնու ուց; ացերունու յու լիւնու տաւունարման պատճեց
ուց. էնուրու օւց ծորութմաշեց եանու; մեյրուտամերու զամուջությունը
ուց ալմոնութրաւու հռցորկը լիւնուրու սականու, ուս և առաջ թույնու;
մարտու-մևաչլութեա երմ եւսցեա առ ուց.

ացերունու զարյա և մինայրու կոլութիւնու սականու և գլուխու,
վլունու զենու շոնցրութման պատճեց լուսու 1848 թումաւ, տաւունու մերայի-
նունու ուց, կայւանու և մուրու մուցարյ արամունու, հռցուլու սականու
մոելութեց լուսու ուց ացերունու զարյա մուցարյ արամունու, հռցուլու սականու
յու համայ հրտարամեցնու լամարյու յու արա սաւրդա. մերայիրնունու ուց
ունակմագցենալու շուշուաւ լիւնու, մերայիր և պատճեց հրայիւ-
սա: ռպաւամերու վլունու գանմազլութեա ուց առա մտելու տաւունու մուցունու
պատճեց և բնդուստուու հրայիւնու ուց արա մարդու ացերունունու,
արամեց զերմանել սակելմթութութեցնու, սակաւ մաս գուգ զամուլըն
շյունճա; ոյ, սակաւ սակունու ուց ծոմուլու շուշմապութուութեցնու վնասալու պատճեց,
ենա ար ուրուգա նումուրյա զամուլըն և սաւսամերունու. ացերունու սաւը-
սալութեց վլունութեա և առցուլու վլունութեա օւնակմագցենունու լուսութա-
սուուսա և զենցրուու, սակունու գանմայիւնութեա և հիւսու գանմայիւ-
նությունուտունու պատճեց: էրեսսա լամուջքեց լուսու ուց; վլունություն-
նա յամաւութեա լուսությունու մուսալու մուսալու սիստեմնունու, հռցորկը
պատճեց արամունու. չցունընու զամուգիսունութեց նուցուրտ մոմենգրեց և
բարյա և լիւնու, հռմ ամ նամաւ զամու նումեց պատճեց վեռությա գումարընու մուսալու պատճեց և
մուսալու մուսաւունությա սիստեմնունու հայրունա ար վետու լուսու և հայրու-
նություն սաւսս. միծուգա, հրցուլությու ապունաւությունու. ոյնեմուգա. մազ-
ամ, հաւ շուշրու մերագ դմունու հրցուլությունուս, մուտ շուշրու գաապ-
արյա սուլու սուլու մարտու օւնունությունունու հրմենա ամինեց-
գա. և աս, 1848 թունու 13 մարտս մունու տաւունաւ զայութա: զենանու
հրցուլությունու ուց յանաւու: մերայիրնունու, զամապիւ սակիւնու յալս-
տու մաս գումար, ոմինունունու ըստու համարյա լիւնու ուց շուշրու և ապա-
պաւունությունու ուց յանաւու: ոմինունունու ըստու ուց յանաւու պատճեց:
զամապիւ կուսականությունու լուսունու ուց յանաւու: պատճեց ապա-
պաւունությունու ուց յանաւու: ոմինունունու ըստու ուց յանաւու պատճեց:
զամապիւ կուսականությունու լուսունու ուց յանաւու: պատճեց ապա-
պաւունությունու ուց յանաւու: պատճեց ապա-պաւունությունու ուց յանաւու:

թալա այս վյոյրունա նացուունությունու յուրեա, հռցուլմապ լիւնու-
թյունու լուսու ծաւուն-պմունու մուսաւ և դավուպու կումնամունությունու
վեպշաւությունու ացերունու միծուգուտունու: զամեց պատճեց վլունու սա-
լությունու ուց յանաւու: ոմինունունու ըստու ուց յանաւու պատճեց:
զամապիւ կուսականությունու լուսունու ուց յանաւու: պատճեց ապա-
պաւունությունու ուց յանաւու: պատճեց ապա-պաւունությունու ուց յանաւու:

რაობანი. ლომბარდია და ვენეცია, აგრეთვე უნგრეთი აჯანყდნენ და გამოაცხადეს თავიანთი დამდუქიდებლობა. სუსტი ნების ყოფისა და კეუის იმპერატორი და მთელი სასახლე დაიბნენ და პასიურად ელოდნენ, რანაირა აშებს მოიტანდა ხვალინდელი დღე.

XIII რევოლუცია იტალიანურ სახელმწიფოებში.

ლომბარდიასა და ვენეციაში თხოულობდნენ შეერთებას შომა-ვალ გაერთიანებულ იტალიასთან, რომლის სათავეშიაც უნდა ჩამდგა-რიყო სავოის დინასტია; ეს დინასტია სარდინიაში მეფობდა. სარ-დინიის სამეფოს ჯარი შეიჭრა ლომბარდიაში, რათა აჯანყებულებს ავსტრიელთა გაძევებაში დახმარებოდნენ. ლომბარდიასა და ვენე-ციის მოძრაობას მხარი დაუჭირა რევოლუციონურმა აფეთქებამ იმ სახელმწიფოებში, რომელთა შორისაც იმ დროს იტალიის ხალხი იყო განაწილებული; რევოლუცია მოხდა ნეაპოლის სამეფოში, სე-დაც მყაცრი და უტვინო ტირანი ფერდინანდ II მაშინათვე იძულე-ბული გახდა კონსტიტუციას დასთანხმებოდა. რომში რევოლუციო-ნერებმა პაპა პიი IX აიძულეს რომიდან გაქცეულიყო, და რომის რეს-პუბლიკა გამოაცხადეს (ამდრომდე პაპი ქალაქ რომისა და მთელზე რომის ოლქის მეფედ ითვლებოდა; ამ ოლქს „საეკლესიო ოლქი“ ეწოდებოდა). მოძრაობა უფრო პატარ-პატარი იტალიანურ სახელმ-წიფოებშიაც ხდებოდა. ყველგან ხმა მაღლა თხოულობდნენ იტალი-ის გაერთიანებას ერთ სახელმწიფოდ. სხვადასხვა აზრი არსებობდა მხოლოდ შემდეგი საკითხის შესახებ გაერთიანებული იტალია მონარ-ქია უნდა იყოს თუ რესპუბლიკა. ზოგნი (შათ შორის განთქმული იტალიელი რევოლუციონერი, გმირი და წინამძღვრი გარიბალდი, ყოფილი მატროსი სავაჭრო გემისა) ამბობდნენ, თუ სარდინიის მე-ფე თავის ჯარით ავსტრიელებს გარეკავს და იტალიის სახელმწიფოებიდან პატარ-პატარი ტირანებს გააძევებს, მაშინ ყველაზე სწრაფი საშუალება გაერთიანებისა იქნება. ამ მეფის გამოცხადება იტალიის მეფედ. სხვა რევოლუციონერები კი, მაძინის მეთაურობით, ფიქრობ-დნენ, რომ მომავალი იტალია აუცილებლად რესპუბლიკა უნდა იყოსო. ყოველ შემთხვევაში, იტალია რომ გაერთიანდებოდა, ამაში 1848 წ. გაზაფხულს ეჭვი არავის შექმნდა.

იტალიის გაერთიანების უმთავრესს დაბრკოლებებს ხომ ყოველ-თვის ავსტრია შეადგეხდა, ავსტრია კი ამ უამად ყოვლად დაუქმუ-რებული იყო: აჯანყება იმარჯვებდა აგრეთვე უნგრეთშიაც, სადაც დემოკრატიულად განწყობილ ელემენტებს მეტი და მეტი უპირატე-სობა ეძლეოდა.

ამასთანავე ერთად იმავე 1848 წ. გაზაფხულს დაისვა საერთო საკითხი მთელი ჰაბანაბურგთა მონარქიის ძევლი სახით არსებობის შესახებ. დაისვა საკითხი გერმანიის გაერთიანების შესახებ.

XIV რევოლუციონური მოძრაობის განვითარება ევროპაში. ფრანკფურტის პარლამენტი.

1848 წლის აპრილსა და მაისში მღელვარე რევოლუციონური მოძრაობა თანდათან გაძლიერდა ავსტრიასა, იტალიასა, უნგრეთში და გერმანიის სახელმწიფოებში. თანდათან უფრო და უფრო რადიკალურ მოთხოვნილებებს აყენებდნენ, შეიარაღებული აჯანყებისთვის ემზადებოდნენ. პირველ ხანებში ღრმა კლასიური წინააღმდეგობანი ორივე რევოლუციონურად განწყობილ კლასსში (ბურჟუაზიასა და მუშებში) ჯერ კიდევ გამომჟღავნებული არ იყო, და საერთო რევოლუციონური ფრონტი ჯერ არ დარღვეულიყო.

რესტის იმპერატორი ნიკოლოზ I, უძლიერესი დასკრინდობი, ევროპის ყველა რეაქციონური ძალების, ჯერ მხოლოდ იმუქრებოდა, მაგრამ ადგილობრივ კი არ იძროდა.

და აი, სწორედ ამ დროს მაინის ფრანკფურტში, წმ. პავლეს ეკლესიის შენობაში, შეიკრიბნენ წმინდა რევოლუციონური გზით, გერმანიის მთავრობების დაუქმარებლად, არჩეული წარმომადგენლები მთელი გერმანიის ხალხისა. ამ ქრებას, რომელსაც ისტორიაში „ფრანკფურტის პარლამენტი“ ეწოდება, თავისი განსაკუთრებული, ერთად ერთი მიზანი ჰქონდა: მას უნდა გერმანია გაერთიანდნა და ამ მომადლო გაერთიანებული გერმანიისთვის კონსტიტუცია შეემუშავიბინა, ფრანკფურტის ამ პარლამენტის უმრავლესობა მსხვილ საშუალო და წვრილ ბურჟუაზიას ეკუთვნოდა; ძლიერად იყო წარმოდგენილი განათლებული საზოგადოება, რომელიც როგორ ზევითაცა ესტევით განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა ოცნებას მომავალი დიდი გერმანიის შესახებ.

ფრანკფურტის პარლამენტი საბოლოოდ შემდეგს გეგმას დაადგა: ყველა არსებულმა გერმანულმა სახელმწიფოებმა (პრუსიამ, საქსონიამ, ბავარიამ, ბადენმა და სხვ.), უნდა შეინარჩუნონ თავიანთი მეუეები და ცალკე პარლამენტები თავიანთი შინაური საქმეების-თვის (ამიერიდან ყველა ისინი კონსტიტუციურ ქვეყნებად უნდა გადაქცეულიყვნენ), მაგრამ მიუხედავად სრული დამოუკიდებლობის თავიანთ შინაურ საქმეებში, ისინი მაინც ერთი გერმანული იმპერიის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. ყველა ეს ცალკე გერმინული სახელმ-

წითოები გარეშე საქმეებში და ყველაფერში, რაც მოელი იმპერიის ინტერესებს შეეხებოდა (მაგ., საბაჟო პოლიტიკა, იმპერიის ფინანსები, ჯარი, ფლოტი, დიპლომატია). უნდა ემორჩილებოდნენ განსაკუთრებულ საერთო საიმპერიო ორგანოებს: 1) იმპერატორს, 2) იმპერიის ყველა მცხოვრებლების მიერ არჩეულ რეისტაცს და 3) განსაკუთრებულ საბჭოს, რომელიც გერმანიის იმპერიაში შესულ ცალკე საელმწიფოების მთავრობათა მიერ დანიშნულ უმაღლეს მოხელეებისაგან უნდა შესდგებოდეს. რეისტაცია და ამ საბჭოს საკანონმდებლო ძალაუფლება უნდა ჰქონდა, იმპერატორს კი აღმასრულებელი. ასეთი იყო, საზოგადოდ, ფრანკფურტის პარლამენტის გეგმები და სურვილები. მაშინ, 1848—49 წ. წ., მან ამ პროგრამის განხორციელება ვერ შესძლო, მაგრამ შემდეგში, ოცი წლის შემდეგ, უდიდესი ნაწილი ამ პროგრამშისა ბისმარქმა განახორციელა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხს: ვინ იქნებოდა გერმანიის იმპერატორი? ზოგი ფიქრობდა, რომ იმპერატორად უნდა გამხდარიყო ავსტრიის იმპერატორი, რომელიც თავისი კვერთხის ქვეშ გადაერთიანებდა გერმანიისა და ავსტრიის იმპერიებს; ამასთანავე ერთად ავსტრიის წმინდა გერმანული ნაწილები გაერთიანებული გერმანიის შემადგენლობაში შევიდოდა; მეორეებს კი სურდათ იმპერატორად პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ IV გამხდარიყო. საბოლოოდ საიმპერატორო გვირგვინი მაინც მას შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგანაც არ სურდა გვირგვინი „რევოლუციონერებისაგან“, ე. ი. თავისი ნებით შეკრებილი ფრანკფურტის პარლამენტისაგან მიეღო. გარდა ამისა, სწორედ ამ დროს მას კვლავ ნიკოლოზ I. შიში შეეპარა: ოუმცა ეს უარი მან სწორედ მაშინ განაცხადა, როდესაც რევოლუციონური მოძრაობა შესუსტდა. ეხლა საჭიროა რევოლუციის ამ ხან მოკლე გამარჯვების შემდეგ გადავიდეთ იმ რეაქციის დახასიათებაზე, რომელიც 1848 წლის მომავა ნახევრში და განსაკუთრებით კი დასასრულს დაიწყო. *Felix*

XV რეაქცია ავსტრიასა, გერმანიასა და იტალიაში

+ უკვე ზაფხულიდან და განსაკუთრებით კი 1848 წლის შემოდგომიდან ავსტრიასა და გერმანიაში რევოლუციონური იერიშების სისუსტე შეემზადა მთავრობა კი პირველი შიშის შემდეგ მომავრდა და და გამოსწორდა.

ამის მიხევი მრვალი იყო. ჯერ ერთი, საერთო რევოლუციონური ფრანგტი თანდათან დაირღვა: ეკონომიკური ინტერესების წილი

ნააღმდეგობანი ბურუუაზიასა და მუშათა კლასის შორის თახდათან
თვალსაჩინო ხდებოდა. ბურუუაზია უმთავრესად საკონსტიტუციო წეს-
წყობილებას თხოულობდა,—მან მიაღწია კიდევ არა მარტო დაპი-
რებებს, არამედ დამფუძნებელი კრებების მოწვევასაც პრუსიასა და
ავსტრიაში; უფრო პატარ-პატარა გერმანელ სახელმწიფოებშიაც ცდი-
ლობდნენ ახალ ლიბერალურ-კონსტიტუციურ გზას დასდგომოდნენ. რაც
შეეხება გერმანიის გაერთიანების მოთხოვნას, ფრანკფურტის
პარლამენტის სხდომები მომასწავებელი იყო იმისა, რომ ეს უმთავრე-
სი სურვილი როგორც სავაჭრო-სამრწველო ბურუუაზიისა, ისე მთე-
ლი განათლებული საზოგადოებისა ახლო მომავალში განხორციელ-
ლდებოდა. მეორეც, ავსტრიასა და გერმანიაში რევოლუციის პირველ
თვეებშივე გლეხები სრულიად განთავისუფლდნენ. ბატონ-ყმური ნაშ-
ფიბიან, ე. ი. გლეხებმა მიიღეს ყველაფერი რასაც იმ უროს თხოუ-
ლობდნენ. რაიცა შეეხება მუშათა კლასი, რომელმაც ბერლინში და
ვენაში რევოლუციონურ ბრძოლებში დიდი მონაწილეობა მიიღო
თითქმის არაფერი მოუგია. რა თქმა უნდა, კონსტიტუციური წეს-
წყობილების დამყარების შემდეგ, მუშათა კლასს შეეძლო ბრძოლა
თავისი ეკონომიური განთავისუფლებისთვის უფრო ხელსაყრელ პირო-
ბებში ეწარმოებინა უიდრე უწინ, მარტის რევოლუციიამდე, როდე-
საც ყველაგან პოლიტიკური თვითნებობა და უუფლებობა იყო გამე-
ფებული. მაგრამ ყველაფერი ეს მომავალში უნდა მომხდარიყო, ამ
უამად კი მუშები თივიანთ თავს მოტყუებულადა სთვლიდნენ. მათს
წრეში არსებობდა სურვილი რევოლუციის გაგრძელებისა და გაორ-
მავებისა,—და აი, სწორედ აქ აღმოჩნდენ გარიყულნი, უფრო შეტიც,
შეძლებულთა კლასში უკვე დაიბადა შიში მომავალი რევოლუციო-
ნური აფეთქების წინაშე. ბურუუაზიისთვის თანდათან თვალსაჩინო ხდე-
ბოდა სურვილი, მთავრობას შერიგებოდნენ, დაკმაყოფილებულიყვნენ
იმით, რაც მთავრობაშ დაუთო, და მთავრობასთან ერთად მოესპო
განვითარება მუშათა რევოლუციონური მოძრაობისა.

მაგრამ საქმეც აწორედ ის რყო, რომ, რა წამს წინადელმა
საერთო რევოლუციონურმა ფრონტმა რყევა დაიწყო, რაწამს მთავ-
რობამ დაინახა, რომ შეძლებული კლასები დაბმარებას უკვე მისგან
მოელიან, მან მაშინვე ანგარიში გაუშია ამ გარემოებას, ჯერ მუშები
გაუსწორდა მერე უკან წაიღო ყველაფერი, რასაც კი დაპირებანი ან შთლიანად, ან
ნაწილობრივ შეუსრულებელი დარჩა.

აქ ამ რეაქციის მხოლოდ უმთავრესს მომენტებს აღვნიშნავთ.
რეაქცია ისევე, როგორც რევოლუცია, 1848 წ. საერთო ევროპიუ-

ლი მოვლენა იყო, — ერთი ქვეყნის რეაქცია. გავლენას ახდენდა მეორე ქვეყნის რეაქციაზე. პირველი ნიშანი რეაქციისა გამოჩნდა იქ, სადაც გაისმა პირველი გრიგალი რევოლუციისა: პარიზში.

როდესაც ევროპაში ხმა გაისმა, მუშათა აჯანყება პარიზში, 23—26 ივნისს; გენერალი კავენიაკის ჯარებმა სისხლში ჩაახრჩეს, ყველგან ამ ამბავში რეაქციონერთა შორის დიდი სიხარული გამოიწვია: თუ პარიზში, რევოლუციის მთავარ ადგილას, მოძრაობა ჩაქრობილია, სჩანს სხვა ადგილებშიაც რევოლუციის დღეები დათვლილად შეიძლება ჩაითვალოს. იმპერატორმა ნიკოლოზ I, რომელსაც თავისა მძღვარება საფრანგეთის ლეპტებლიკისადმი დროებით დაავრცელა, რესპუბლიკურ გენერალ კავენიაკს გამარჯვებას მხურვალედ ულოცავდა. ავსტრიიაში, პრუსიაში. იტალიანურ სახელმწიფოებში ყველგან ძეველმა მთავრობამ თავი წამოჰყო. სწორედ ამავე ზროს ავსტრიის ჯარმა გაამარცხა სარდინის ჯარები, რომლებიც ლომბარდიაში იყვნენ შექრისლნი, ამ პროვინციის გასანთავისუფლებლად ავსტრიის უღლისაგან, სწორედ ამ დროს ავსტრიის ჯარებშა ლომბარდიასა და ვენეციაში წარმოუდგენელ სიმკაცრით ჩააქრეს რევოლუციონური მოძრაობა: საზოგადოდ ჯარი ავსტრიისა და პრუსიაში უმთავრესად გლეხებისგან შესდგებოდა, — გლეხობა კი, როგორც ნათქვამი იყო, დაქმაყოფილებულ იქმნა რევოლუციის დასაწყისშივე, — ამიტომ არმია ძეველი მთავრობის ბრძანი იარაღად გადაიქცა. ავსტრიის მთავრობა ლომბარდიასა და ვენეციას ომშ გაუქწორდა, მერე უნგრეთს მიმართა: ვენის დემოკრატიულად განწყობილი წვრილი ბურჟუაზია და მუშები შეეცადნენ ჯარის გაგზავნისთვის უნგრეთის წინააღმდეგ ხელი შეეშალათ, რადგანაც ძალიან კარგად ხდავდნენ, რომ უნგრეთის დამშვიდების შემდეგ საქმე მათდამდის მიეიღოდა.

მათ შესძლეს და 1848 წლის ოქტომბერს მოკლე ხნით ვენა დაიჭირეს, მაგრამ მთავრობამ ვენის წინააღმდეგ გაგზავნა გენერალი უინდიშგრეცი, რომელმაც სწორედ რომდენიმე ხნის წინათ დაწყნარა ჩეხიის პატარა აჯანყება. ვინდიშგრეცმა ვენა აიღო. რევოლუციის ბელარები, რომლებიც კი ხელთ იგდო, დახვრიტა და სამხეფო წისები გამოაქვადა. რევოლუცია ვენაში გათავდა. ძეველი მთავრობის გამარჯვება სრული იყო.

ამ ამბებმა მაშინათვე გამოხმაურება პელვა ბერლინში. ნაციონალური კრება მეფემ დაითხოვა, უკვე მიცემული კონსტიტუცია რეაქციონურად გადაკეთდა; დასასრულ, 1849 წელს პრუსიის ჯარებმა დაშალეს ფრანკფურტის პარლამენტი. პრუსიაზე ადრე რეაქციამ სხვა გერმანულ სახელმწიფოებში გაიმარჯვა. ყველგან საეჭვო

პირებს იქურდნენ, სამხედრო სასამართლოში აძლევდნენ და მრავალის წლობით საკატორლო ციხეებში ამწყვდევდნენ. ყველგან აღდგენილ იქმნა ცენტურა, მთავრობა თითქოს შურს იძიებდა დროებითი დათმობისთვის, იმ შიშისთვის, რომელიც მან დროებით რევოლუციის წინაშე განიცადა.

ძალიან მკაცრი იყო რეაქცია იტალიანურ სახელმწიფოებში განსაკუთრებით ნეაპოლში. რაიცა შექება სარდინის სამეფოს, აქ კონსტიტუცია შერჩა; იტალიაში ბევრი დიდი იმედებს ამყარებდა ამ სამეფოზე და უნდოდათ, რომ იტალიის გაერთიანების ცენტრად სწორედ ის გადაქცეულიყო. მაგრამ ამ იმედებს ჯერ-ჯერობით უნდა გამოსთხოვებოდნენ. ნეაპოლში კი აღდგენილ იქმნა წინანდელი თვით-მშენებლობა, დაიწყო საშინელი დევნი ცველა იმისა, ვინც ოდნავ მაინც ლიბერალურად აზროვნობდა. რომში საფრანგეთის ჯარმა, რომელიც საფრანგეთის ახალმა, პრეზიდენტმა ლუი-ფილიპპემ გაგზავნა, რესპუბლიკა მოსპონ და წინანდელი თვითმშენებლობა რომსა და მთელს საეკლესიო ოლქში ისევ პაპი პი IX დაუბრუნა. საფრანგეთის ჯარი შემდეგშიაც რომში დარჩა, პაპს ეხმარებოდა. დარჩა მხოლოდ უნგრეთი, რომელიც რევოლუციონური გზით ავსტრიის ჩამოშორდა. თავისი ძალ-ლონით ავსტრია მას ვერას გზით ვერ გაუსწორდა. უნგრეთის ჯარი რევოლუციონურ დიქტატორს კოშუტს და გის მიერ დანიშნულ გენერლებს დაემორჩილდა.

მაშინ ავსტრიის რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I დაეხმარა ნიკოლოზი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ დამოუკიდებელი უნგრეთი მუდმივი მუქარა იქნებოდა რუსეთის ბატონობისთვის პოლონეთში და პოლონეთის აჯანყების ბუდედ გადაიქცეოდა. გარდა აშისა, რევოლუციონური ცეცხლის ჩაქრობით ევროპაში ნიკოლოზს სურდა დაენახვებინა, რომ წმინდა კავშირი ჯერ ისევ ძალაში რჩებოდა და რომ მთავრობათა შორის ისევ არსებობდა ვალდებულება ერთმანეთს დახმარებოდნენ ავეოლიუციონურ მოძრაობათა წინააღმდეგ, სადაც არ უნდა ეფეთქა ამ მოძრაობას. ამიტომ, როდესაც ავსტრიის იმპერატორმა ფერდინანდმა უარი სთქვა ტახტზე (1848 წლის დასასრულს) და ტახტზე ავიდა ახალგაზრდა ფრანცი-იოსები, რომელმაც ნიკოლოზს დახმარება სთხოვა უნგრეთის წინააღმდეგ. — ნიკოლოზმა ჯარები გაგზავნა უნგრეთის აჯანყების ჩასაჭრობად. 1849 წლის ზაობულს, რამდენიმე კაირის განმავლობაში, რუსეთის ჯარმა დამარცხა უნგრეთის ჯარები. უნგრეთი კვლავ ავსტრიას დაუბრუნდა. ავსტრიის მთავრობამ დიდის სიმკაცრით იდლესასწაუ-

ლა თავისი გამარჯვება. სახრჩობელა და დახტრება ჯერ კიდევ დიდხანს ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. დამშვიდებულ უნგრეთში.

XVI. ოეაქციის განმტკიცება ევროპაში.

(1849—1851 წ.წ.).

რევოლიუციონური უნგრეთის დაღუბა მომასწავებელი იყო ოეაქციის სრული საბოლოო გამარჯვებისა ევროპაში.


ერთის შეხედვით, ოეაქციამ თითქოს უველაფერი გაანადგურა, და რევოლიუციის პირვანდელ მონაპოვართაგან თითქოს აღარაფერი დარჩა.

საფრანგეთში დემოკრატიული ოესტუბლიკა ბოლოს და ბოლოს (ფაქტიურად) თვითმპყრობელ იმპერიად გადაიქცა უკვე 1851 წლის ორი დეკემბრის გადატრიალების შემდეგ. ავსტრიაში იმპერიის უკელანაში იმპერიაში აჯანყებანი დიდის სიმკარით ჩააქრეს, თვით უნაში კი სამხედრო წესები მდეინვარებდა; 1851 წელს კი უკვე ფორმალურად იმპერატორის პრძნებით გაუქმდებულ იქნა 1848 წელს მიცემული კონსტიტუცია და ალდგენილ იქნა თვითმპყრობელობა. პრუსიაში, მართალია, თვითმპყრობელობა არ აღდგენილა, მაგრამ ოეაქციის მდეინვარების დროს, 1850 წელს, მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმმა IV მიცემული კონსტიტუცია შესცვალა და კონსერვატიული ხასიათი მისცა. პრუსიის მეფე თავის ხელში იტოვებდა მთელს აღმასრულებელ უფლებას და ამ კონსტიტუციით თავის საკანონმდებლო ძალა-უფლებას ლანდტაგის ორ პალატას უნაშილებდა: პირველი პალატა (პალატა ბატონებისა) მეფის მიერ დაინიშნული მხელეებისგან—შესდგებოდა, მეორე კი შესდგებოდა სახალხო წარმომადგენლებისაგან; არჩევნები ისეთი კანონით ხდებოდა, რომელიც პალატის $\frac{2}{3}$ ადგილს საზოგადოების უველაზე შეძლებულ ხაოსს აინკებდა (ცინც უველაზე დიდი ცეხს იხდიდა),—მცხოვრებთა დანარჩენი ხაშილის განკარგულებაში კი მხოლოდ ერთი მესამედი რჩებოდა. საკმარისია ითქვას, რომ ამ ყოვლად უსამართლო კანონმა პრუსიაში თითქმის უკანასკნელ დღეებამდე გასძლო,—და მთელი ამ ხნის განმავლობაში, მხედველობაში თუ არ მივიღებთ სულ უკანასკნელ დროს, 1914 წლის ომის წინა წლებს, პრუსიის ლანდტაგს არ უნახავს არც ერთი წარმომადგენელი მუშათა კლასისა. ლანდტაგს კი მიუხედავად იმისა, რომ 1871 წლიდან საერთო საიმპერო რეიხსტაგი არსებობდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პრუსიის კანონმდებლობაში.

დასასრულ, გამარტიიანებელმა მოძრაობამ გერმანიაში დიდი განსაკუდელი განიცადა. ფრანკფურტის პარლამენტი გარეკეს, გერმა-

ნის ბევრს სახელმწიფოში, რომლებსაც გერმანიის გაერთიანება არა სურდათ, რადგანაც ეშინოდათ, რომ მაშინ თავიანთ მნიშვნელობას დაქარგვედნენ, გაერთიანების იდეას დევნა დაუწყეს. თავად-აზნაურობაში, რომელიც ძველი მთავრობის მხარეზე იყო, კვლავ თავი წამოჰყო და კვლავ პირველი ადგილი დაიჭირა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ბევრზე, რომლებიც 1848 წელს სოციალური რევოლუციის გამარჯვებაზე ოცნებობდნენ, ამ ცელილებამ, მთელს ევროპაში გამეცვებულმა სასტიკმა რეაქციამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ცნობილი რუსი ემიგრანტი გერცენი ფიქრობდა კიდევ, რომ დასავლეთის კულტურა დაუძლურდა და კვდება; იგი ლრმა მწუხარებით და დიდის გულის ტკივილით შეხვდა ევროპიული კაცობრიობის სოციალური წესწყვიობილების განახლების იმედების დალუპვას. სოციალისტური ბანაკის სხვა მოაზროვნენი ნაწილობრივ გერცენის აზრს იზიარებდნენ, ზოგნი კი ეწინააღმდეგებოდნენ და ფიქრობდნენ, რომ რეაქცია დროებით იყო. მარქსმა და ენგელსმა, რომლებიც მაშინ ახალგაზრდები იყვნენ, გამოიკვლიერ ძირითადი მიზეზები 1848 წლის რევოლუციონური მოძრაობის დამარცხებისა და იმ დასკვნას დაადგნენ, რომ დასავლეთის კულტურას სრულიადაც არ მოელის დალუპვა, რომ მდგომარეობა უიმედო არ არის და სხვ. მარქსი და ენგელსი ხედავდნენ, რომ მუშათა კლასი მარტო დარჩა და რომ რეაქციას, რომელსაც 1848 წლის დასასრულიდან, განსაკუთრებით კი 1849 წ., საზოგადოების ყველა კლასსები ეხმარებოდნენ, არ შეეძლო არ გაემარჯვა: მაგრამ ამასთანავე ერთად მარქსი და ენგელსი ელოდნენ, რომ ერთის მხრით აუცილებლად გაიზრდებოდა და გაძლიერდებოდა მუშათა კლასსი, მეორეს მხრით კი გაიზრდებოდა და გამწვავდებოდა. მინაგან წინააღმდეგობანი კაპიტალისტური სახელმწიფოებისა. რეაქცია შეიძლებოდა საქმაო ხანგრძლივი ყოფილიყო, მაგრამ ევროპის მთელი ეკონომიკური განვითარება ძსეთი იყო, რომ მეტის მეტად ბანგრძლივი სიმშევიდე და უმოძრაობა შეუძლებელი ხდებოდა. ევროპაში შინაგანი ძალები მწიფდებოდა.

1851 წლის დასასრულს ყველათერი თითქმის დაწყნარებული იყო. ნიკოლოზ I ითვლებოდა (და თითონაც სვთვლიდა თავის თავს). ყველაზე მძლავრ მმართველად მთელს ქვეყანაზე. აშისღამიუხედავად უკვე შორიდან მოსჩანდა შავი ლრუბელი, რომლელსაც ბოლო უნდა ბოელო მისთვის და რომელმაც, როგორც მისმა შედეგებმა დაგვანახვეს, პირველი ლახვარი ჩასცა 1848 წლის რევოლუციის დაოუცვის შემდეგ გამეფებულ რეაქციას. 

თავი მეორე.

ევროპა 1851—1871 წ.წ.

| მეორე იმპერიის ხანა საფრანგეთში.

1851—1871 წ.წ. იმ ხანას წარმოადგენს, როდესაც მოძრავი კაპიტალის წარმომადგენელის, ბურჟუაზიის ბრძოლა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, უკვე სუსტდება: ბურჟუაზია ყველგან იმარჯვებს, თავად-აზნაურულ მიწადებულობელობის წარმომადგენელი ყველგან იძულებული ხდებიან ან სრულიად ჩამოშორდნენ ცხოვრების ასპარეზს, ან შეეგულნ ეკონომიური ცხოვრების ახალ მბრძანებელს—ბურჟუაზიას.

რაიცა შეხება პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იგი რაოდენადმე სუსტდება და ღროვებით თავის მწვავე ხასიათსა ჰკარგავს. ერთის მხრით პროლეტარიატი ერთბაშად გონს ვერ მოვიდა იმ დამარცხებათა შემდეგ, რომლებიც 1848—49 წ.წ. განიცადა; მეორეს მხრით, დიდი ზრდა სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეობისა, გაფართოვება ბაზრისა, პროგრესის ტენიკისა 1851—1871 წ.წ. შედარებით უფრო ხელსაყრელიდა ხდიდა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობისთვის. მაგრამ მე-60-ე წლებში მოძრაობაში ისევ გამოცოცხლება დაიწყო. ლასიალის ავიტაცია გერმანიაში, პირველი ინტერნაციონალის შექმნა, გამოქვეყნება მარქსის „კაპიტალი“-ს პირველი ტომისა 1867 წ., გონიერივი მოძრაობა, რომელიც ამ მოვლენასთან იყო დაკავშირებული, —ყველაფერი ეს თითქოს მომასწავებელი იყო იმისა, რომ მალე შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლა განახლდებოდა. სამაგიეროდ პირველ რიგში დგება შესამც ფორმა სოციალურ-ეკონომიური ბრძოლისა: ნაციონალური მოძრაობა. გაერთიანება იტალიისა და გერმანიისა, ნაპოლეონ III ომები, რომლებიც ძჭიდროდ არის დაკავშირებული ამ მოვლენებთან,—აი, რა არის ყველაზე მკვეთრი, დამახასიათებელი მხარეები ამ წლებისა.

მეორე იმპერია საფრანგეთში.

ნაპოლეონ III მეფობას ისტორიაში მეორე იმპერია ეწოდება (პირველ იმპერიად ნაპოლეონ I დრო ითვლება). ეს იმპერია გრძელ-

დება 18 წელიშადს (1852—1870 წ.წ.) და იყოფოდა ორ ხანად: 1852 წლიდან 1866 წლამდე და 1866 წლიდან მეორე იმპერიას და-სასრულამდე, ე. ი. 1870 წლამდე.

პირველ თოთხმეტ წელიშადს ნაპოლეონ III გამარჯვებიდან გა-მარჯვებისკენ მიღიოდა: კარგად დამთავრებული ომები რუსეთთან და ავსტრიისათან, საერთო გამარჯვებანი საგარეო პოლიტიკაში მის ხელისუფლებას ძალიან აჩტიცებდა. იმპერატორი თითქმის თვით-მცყრობელურად მმართველობდა და ოპოზიციას ვერ ამჩნევდა. ბურ-უაზიისა და გლეხების უმრავლესობა დამყარებულ რეეიშს ძველე-ბურად ისევ მხარს უჭირდა; მუშათა კლასი შეკავშირებული არ იყო, ის ჯერ კიდევ ვერ გამოსწორებულიყო იმ საშინელი დამარტებისგან; რომელიც 1848 წლის ივნისში განიცადა. მთელი რიგი მოსავლიანი წლებისა, გამოცატებულება ვაჭრობასა და მრეწველობაში, სიმტკიცე და აყვავება სახელმწიფოებრივი ფინანსებისა,— ყველაფერი ეს ქვე-ყნის დამშვიდებას ხელს უწყობდა. მაგრამ 1866 წლიდან იწყება მთელი რიგი დიპლომატიური მარცხისა, ამასთანავე ერთად ჩინდება ერთგვარი კრიზისი მრეწველობასა და ვაჭრობაში,— და ოპოზიციაც რომელიც მეორე იმპერიისადმი მტრულად იყო განწყობილი, თანდა-თან თავს მაღლა იღებს.

უკმაყოფილების მიხეჭი კი ბევრი მოგროვდა: საქმე იმაშია, რომ მესაკუთრენიც კი, რომლებსაც ყველაზე მეტად სწყუროდათ ძლიერი ხელის უფლების განმტკიცება, უკმაყოფილონი ხდებოდნენ მთავრობის თვითნებური საქციელებით; ეს მთავრობა ძალიან ხშირად ისეთს ეკონომიურსა და პოლიტიკურს ზომებს ანხორციელებდა, რო- მლებიც მხოლოდ თითონა სურდა, არავის ანგარიშს არ უწევდა და ამით საქმიან წრეებს ხვალინდელი დღის რწმენას უკარგავდა. მარ- თალია, ქალალდზე კონსტიტუცია არსებობდა, მაგრამ საქმით მთავ- რობა ყოვლად მძღვრ იყო. ამ კონსტიტუციის თანახმად, კანონები გატარებული უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო დაწესებულებაში; რომელსაც საყოველთაო საარჩევნო წესით ირჩევდნენ. მაგრამ, ჯერ ერთი, არჩევნები პოლიციის წარმომადგენელის ძალადობის ქვეშ ხდე- ბოდა, ასე რომ ოპოზიციიდან ძნელად რომ ვინმე გასულიყო, ამი- ტომ დეპუტატების დიდი უმრავლესობა პირდაპირ მთავრობის მიერ დანიშნული ხალხი იყო. მეორეც, საკანონმდებლო კორპუსის გარდა, არსებობდა სენატი, რომელიც იმპერატორის მიერ დანიშნული უძა- ლლესი მოხელებისაგან შესდგებოდა; ამ სენატს უფლება ჰქონდა, გა- რეშე საკანონმდებლო კორპუსისა, განსაკუთრებულ დადგენილებათა-

სახთ ცხოვრებაში გაეტარებინა ყველა ზომები, რომლებსაც მინისტრები შეიტანდნენ. თვით მინისტრებს იმპერატორი ნიშნავდა და პასუხისმგებელი იყვნენ მხოლოდ მის წინაშე.

მთავრობის განკარგულებაში იყო მორჩილი ჯარი, მშვენიერად შეკავშირებული მრავალრიცხოვანი პოლიცია, მორჩილი და ამსრულებელი მოხელეობა, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას უსიტყვილ ემორჩილებოდა; პრესის თავისუფლების ხსენებაც არ იყო პოლიციკური ტერორი, რომელიც განსაკუთრებით 1858 წლის შემდეგ გაძლიერდა, მას შემდეგ რაც იტალიელმა ორსინიმ იმპერატორის მოკეცა განიზრახა, ოპოზიციური გრძობებისა და აზრების აშკარად გამოსახტავად არავითარ შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ნაპოლეონ III ცდილობდა საგარეო პოლიტიკაში მიღწეული გამარჯვებებით თავისი ტახტი განემტკიცებინა. იგი დიდის ხალისით ამწვავებდა დიპლომატიურ ურთიერთობას ყოველთვის, როდესაც კი იძედი ჰქონდა, რომ ომს ძლევამოსილად დაამთავრებდა; სანდ ბედი ულიმოდა, იგი წინააღმდეგობას ვერა ხდებოდა ვერც გლოხობაში, ვერც ბურუუზიაში,—იმ ორ კლასში, რომელთა აზრსაც უფრო მეტად უწევდა ანგარიშს, ვიდრე სხვა კლასების აზრებს.

კირიმის კომპანია 1854—1855 წ.წ.

პირველი შეტაკება წოხდა რუსეთთან ოსმალეთის საქმეების გამო. რუსეთის იმპერატორი. ნიკოლოზ I შეცდომით ფიქრობდა, საფრანგეთი და პესტრია 1848—1849 წ.წ. რევოლუციონური ამბებით იმდენად დასუსტებული არიან, რომ შეიძლება მათ ანგარიში არ გაუშვიოვო: შეადგინა გეგმა ოსმალეთის ზოგიერთი სამფლობელოების განაწილებისა რუსეთსა და ინგლისს შორის და ეს გეგმა პეტერბურგში მყოფ ინგლისის ელჩის შეატყობინა. ინგლისი არ დასთანხმდა; როდესაც ინგლისმა დაინახა, რომ ნიკოლოზი მაინც აპირობდა ომის დაწყებას ოსმალეთთან, კატეგორიულად მის წინააღმდეგ წავიდა. ოსმალეთსა და ინგლისს საფრანგეთიც მიეცხოვ. ერთის მხრით ნაპოლეონ III სურდა საფრანგეთის გავლენა განხეხორციელებია ოსმალეთის იმპერიაში და ნიკოლოზ I საშუალება პრ მიეცა დაერღმია ოსმალეთი, რომლის სავაჭრო, სამრეწველო წამოწყებებში და სახელმწიფოებრივ ფინანსებშიაც საფრანგეთის კაპიტალები იყო დაბანდებული. მეორეს მხრით, სურვილი ჰქონდა საფრანგეთის ჯარისა და ხალხის წინაშე. მოქმედე სახელი და დიდება და ამ რიგად 1812 წელს ნაპოლეონ I დამარცხებისთვის შური ეძია.

დასასრულ, ცნობილი იყო, როგორა სძულდათ ნიკოლოზ I არა გერტო სოციალისტებსა და რადიკალებსა და არამედ ზომიერ ბურჟუაზიულ ლიბერალებსაც კი: რუსეთის იმპერატორი სძულდათ, როგორც უმთავრესი დამკველი, მთელი ევროპის რეაქციისა; ნაპოლეონ III იცოდა, რომ უკირურესი რესპუბლიკელებიც კი ომს ნიკოლოზ I წინააღმდეგ დიდის თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. რაიცა შეეხება ინგლისს, მისი ეკონომიური, და პოლიტიკური ინტერესები მოითხვდნენ, ასმალეთის იმპერია არავითარ შემთხვევაში არ დაოუცულიყო.

ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო 1852 წელს; ოსმალეთის ფლოტი სასტიკად დამარცხდა სინკაში.

1854 წელს, გაზაფხულს, ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუტარეს რუსეთს; მოკავშირეების ფლოტი შეის ზოვაზე გაჩნდა და ინგლისის, საფრანგეთის და ოსმალეთის ჯარები (სევასტოპოლის მაცლობლიად გადასხა). დაიწყო სევასტოპოლის ალყა, ომის თერთმეტ თვეს გაგრძელდა და რომელიც იერიშითა და ქალაქის აღებით ვათვდა (1855 წლის სექტემბერს). რამდენიმე ხნის შემდეგ რუსებმა (მცირე აზიაში) ოსმალეთის ციხე ყარსი აიღეს.

პ ა რ ი ზ ი ს ზ ა გ ი .

ჯერ ისევ 1855 წლის თებერვალში ნიკოლოზ I გარდაიცვალა და ტახტზე მისი შეიღილი ალექსანდრე II ავიდა. სევასტოპოლის დამხობის შემდეგ ომის გაგრძელება უახრო ხდებოდა. 1854 წელს ავსტრიის მუქარის გამო რუსეთის ჯარებმა დასტოვეს მალდავია და ვალახია, ოსმალეთის ორი პროვინცია, რომლებიც რუსებმა ომის დასაწყისში დაიპყრეს. მაშასადამე, ომი რუსეთის მხრით ამიერიდან ჭიროლი თავდაცვითი შეიძლებოდა ყოფილიყო, მოკავშირეებმა კი, თავის მხრით, ბევრი ხალხი და ფული დახარჯეს და მიაღწიეს თავიანთ უმთავრესს მიზანს: ოსმალეთის ხელშეუქებლობის გაუარჩენას და შევ ზოვაზე რუსეთის სამხედრო ფლოტის მოსპობას. ზეკრულ იქმნა პარიზში 1856 წელს. ამ ზავის მიხედვით რუსეთი ვალდებული ხდებოდა, სამხედრო ფლოტი არ გაეჩინა შევ ზოვაზე, ოსმალეთისთვის მიეცა ბესარაბია და დაებრუნებინა ყარსი. მოკავშირეებმა სევასტოპოლი დასტოვეს.



II ევროპა პარიზის ზავის შემდეგ. იტალიის გაერთიანება

ყირიმის მისი შემდეგ ნაპოლეონ III მნიშვნელობა ევროპაში მიღიან გაიზარდა. გამარჯვებამ მისი მდგომარეობა, ძალიან განა-

ბტკიცა და საშუალება მისცა იტალიის საქმეებში ჩარეცულიყო. იტალიის ხალხი გაერთიანების რამდენიმე ცდის შემდეგ (1848 წ.) კვლავინდებურად რამდენიმე მთავრობის ხელში იყო. წვრილი და საშუალო ბურულაზია (მსხვილი მრეწველობა იტალიაში თთქმის არ იყო) მომხრე იყო გაერთიანებისა, რომლის დროსაც შეიძლებოდა საფსებით დაუბრკოლებლად განვითარებულიყო ეკონომიური ცხოვრება; ქალაქის ხელოსნობა დაუშა ხალხი ისევე, როგორც გლებობა, რომელსაც იტალიის ყველა სახელმწიფოებში ყოვლად მძიმე გადასახადებით ტყავს აძრობდნენ, აგრეთვე ცდილობდნენ არსებული წყობილების მოსპობას და გაერთიანებისაგან ათასნაირ სიკეთეს მოელოდნენ. განათლებული საზოგადოება არამც თუ შეწუხებული იყო უაზრო და ხეპრული პოლიციური თვითნებობით, რომელიც თთქმის ყველა იტალიანურ სახელმწიფოში იყო გამეცებული, იგი ამასთანავე ერთად განიცდიდა საშინელ დამცირებას იტალიის ხალხის. ნაციონალური უძლურების გამო, ამის გამო რევოლუციონერების ქადაგება გაერთიანების საჭიროების შესახებ ხალხას ყველა ფენებში ცხოველ გამოხმაურებასა ჰპოულობდა.

1848 წლის ცდის შემდეგ არსებობდა ორი პროგრამმა გაერთიანებისა. მაძღნი, ძველი რადიკალი—რესპუბლიკანელი, რომელიც ემიგრანტიად ლონდონში სცხოვრობდა და იქიდან ხელმძღვანელობდა რევოლუციონურ მოძრაობას აპენინის ნახევარ-კუნძულზე, ფიქრობდა, რომ იტალიაში არსებული ყველა მთავრობანი უნდა გაძევებულ იქმნან და დამყარდეს ერთი დემოკრატიული იტალიანური რესპუბლიკა. მეორე პროგრამმით მთელი იტალია უნდა გაერთიანებულიყო ერთად ერთი სახელმწიფოს გარშემო, სადაც ნაციონალური იტალიური დინასტია მეფობდა, გაერთიანებულიყო ისე, რომ შექმნილიყო ერთი იტალიანური სამეფო: ეს სამეფო იყო სარდინის სამეფო (სატახტო ქალაქი—ტურინი), რომელიც აპენინის ნახევარ-კუნძულის ჩრდილოეთით მდებარეობდა. მთელი სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ ავსტრიის ჯარები როგორმე განედევნათ აპენინის ნახევარ კუნძულის ორი მდიდარი ოლქიდან: ლომბარდიდან და ვენეციიდან. ეს რომ მოხერხებულიყო, მაშინ იტალიის სხვა პატარა სახელმწიფო ებიდან (ნფაპოლის, ტოსკანის, პარმის, მოდენის და ლუკის) იქ გაბატონებული მეფეების განდევნა სულ ადვილი საქმე იქნებოდა. მაგრამ ავსტრიიელების განდევნა მხოლოდ მაშინ მოხერხდებოდა, თუ იტალიის გაერთიანების საქმეში რომელიმე დიდი სმენელმწიფო ჩაერთეოდა. სარდინის სამეფოს მინისტრი გრაფი კავური, რომელიც იტალიის გაერთიანებას სარზინის სამეფოს გარშემო ცდილობდა,

ქეუთანხმდა ნაპოლეონ III, საფრანგეთის იმპერატორს, რომელიც რუსეთზე გამარჯვების შემდეგ (ყირიმის ომის დროს) ძლიერების უმაღლეს საფეხურამდე იყო მისული. ნაპოლეონ III არსებითად იტალიის სრული გაერთიანება არა სურდა; იგი მხარს უჭერდა რომის პაპის ბატონობას რომში და რომის ოლქში; იტალიის სრული გაერთიანება კი პაპს რომზე ბატონობას წართმევდა, რაღანაც რომის შეერთება მომავალ იტალიანურ სამეფოსთან აუცილებელი გახდებოდა. მაგრამ კავურსა და ნაპოლეონ III შორის დადგებული შეთანხმება მდგომარეობდა იმაში, რომ ნაპოლეონ III დაეხმარებოდა ავსტრიელების გაგდებაში ლომბარდიიდან და ვენეციიდან და სამაგიეროდ სარდინიის სამეფოსაგან მიიღებდა საფრიას და ნიცეს.

საფრანგეთისა და სარდინიის სამეფოს ომი ავსტრიასთან 1859 წელს მოხდა. ორი სისხლის მღვრელი დამარცხების შემდეგ (მაჯენტისა და სოლფერინოში) ავსტრიელებმა ზავი მოითხოვეს და ლომბარდია დაუთმეს (ვენეცია ჯერ ისევ მათ დარჩათ), ნაპოლეონ III სავოია და ნიცეა მიიღო. ომის შემდეგ იტალიის ყველა სახელმწიფოებმა, ნეაპოლის სამეფოსა და რომის გარდა, თავიანთი მეფეები დაამხეს და შეურთდნენ სარდინიის სამეფოს, რომელსაც მაშინვე იტალიის სამეფო ეწოდა. 1860 წელს ნეაპოლის სამეფოც შეუერთდა. სახალხო გმირმა და რევოლუციონერმა გარიბალდიმ, რომელმაც თავისი მოღვაწეობა მატროსობით დაიწყო, დიდი სახელი მოიხვეჭა გმირული საქმეებით 1848 წლის რეაქციის დროს სამშობლოდან გაიქცა, მხურვალე მონაწილეობა მიიღო ავსტრიელების წინააღმდეგ წარმოებულ ომში 1859. წ.—აი ამ გარიბალდიმ ათასამდე მოხალისე შეაგროვა, მოკლე ხანში თითქმის უბრძოლველად ნეაპოლში გაბატონებული მეფე გააძევა და ნეაპოლის სამეფო იტალიას შეუერთა. ამის შემდეგ იტალიის სამეფოს გარეშე შხოლოდ ვენეცია და რომი დარჩებოდნენ. მაგრამ ვენეციაში ავსტრიელება იდგნენ, რომში კი ფრანგები რომლებიც მხარს უჭერდნენ პაპის ხელისუფლებას.

იმის გასაგებად, თუ საბოლოდ იტალიის სამეფომ როგორ დაპყრო ეს ორი ქალაქიც, უნდა მივმართოთ მეორე მძლავრ გამაერთიანებელ მოძრაობას, რომელიც სწორედ ამ წლებში გერმანიაში იწყებოდა.

III. გერმანიის გაერთიანება. ბისმარკი.

მოთხოვნები, რომლებიც, როგორც უკვე დავინახო, გერმანიაში მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისიდანვე ისმოდა და 1848 წ. მარ-

ტის რევოლუციის დასაწყისში ფართხდ გავრცელდა განსაკუთრებით წვრილ, საშუალო და მსხვილ ბურჟუაზიაში, — მდგომარეობდა იმაში, რომ, ჯერ ერთი, მოქალა დანაწილება ქვეყნისა, შეექმნა მთლიანი სახელმწიფო და, მეორეც, ბოლო მოელო მართვა-გამგეობის თვით-მპყრობელური ფორმისთვის, რომელიც ჯერ კიდევ განცალკევებულად არსებულ გერმანულ სახელმწიფოებში იყო გამეფებული. მომავალი გაერთიანებული გერმანია რომ კონსტიტუციური ქვეყანა იქნებოდა და არა თვითმპყრობელური, ამაში ეჭვი არავის შეკვეთი, 1848 წლის რევოლუციამ რომ იფეთქა, ორივე ეს მოთხოვნა ერთ-ბაშად იქმნა წამოყენებული. პირველ ხანებში, როდესაც რევოლუცია გამარჯვებულად ითვლებოდა, კონსტიტუციის შემოღების მოთხოვნა მაშინათვე დაკმაყოფილდა როგორც პრუსიაში, ისე სხვა გერმანული სახელმწიფოებში; ის მოთხოვნა კი, რომელიც გერმანიის გაერთიანებას შექებოდა და რომელსაც ყველაზე მეტად მხარს უჭირდა ეგრედ წოდებული „ფრანკფურტის პარლამენტი“, დაუკმაყოფილებელი დარჩა; ხოლო როდესაც, უკვე რეაქციის დასაწყისში (1849 წელს), ფრანკფურტის პარლამენტი დაითხოვეს, — გერმანიის გაერთიანებაზე დროებით ლაპარაკიც კი შესწყდა, რეაქცია ყოვლის წლით ძლიერდებოდა. კონსტიტუციები, რომლებიც თითქოს სხვა და სხვა გერმანულ სახელმწიფოები შემოიღეს, ან სრულიად გააუქმეს (როგორც, მაგალითმდ ავსტრიაში 1851 წ.), ან დაამახინჯეს და საშნოლად რეაქციონურად შესცვალეს (მაგ., პრუსიაში); ერთხანად ადამიანს შეეძლო ეფიქრა, მალე რევოლუციის ნასახიც კი აღარ დარჩებაო. მაგრამ ნამდვილად მოთხოვნილებანი, რომლებიც მცხოვრებთა ფართო მასების ეკონომიკურია და პოლიტიკურია საჭიროებებმა გამოიწვიეს, დროებითი ხასიათის მარტის გამო ვერ მოისპობთა. რამდენიმე წელიწადი გავიდა და ეს მოთხოვნილებანი გერმანიაში სუვე გაისა. განსაკუთრებით მძლავრად დაისვა საკითხი გერმანიის პოლიტიკურ გაერთიანების შესახებ. საფრანგეთის გაძლიერება ყირიმის თმის შემდეგ, მოუსვენარი და მოხერხებელი პოლიტიკა ნაპოლეონ III, დასასრულ, მისი გამარჯვება ავსტრიაზე 1859 წელს, — ყოველივე ეს გერმანულ საზოგადოებს აშინებდა და აფიქრებინებდა, სანამ გერმანია გაერთიანებული არ არის, იგი აღვილად შეიძლება უცხოელების თავდასხმის მსხვერპლი გახდესთ. მეორეს მხრით, იტალიის გაერთიანება გერმანიაში ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. პროპაგანდა გაერთიანების შესახებ უურნალებსა და გაზეთებში უფრო გულმსურვალე სწარმოებდა, ვიდრე 1848 წლის წინ. მხოლოდ ამჟამად ამ აზრის განხორციელებას ხელი მოჰკიდა პრუსიის მთავრობა.

ბამ, რომლის სათავეშიც 1862 წლიდან დადგა უახლოესი ისტორიის კველაზე გამოჩენილი და შესანიშნავი დიპლომატთაგანი და სახელმწიფო მოღვაწეთაგანი—ოტრო ფონ ბისმარკი.

ბისმარკი პრუსიის ძეველი აზნაურის გვარის შთამომავალი იყო; 1848 წელს, რევოლუციის ხანაში, თავდაპირველად მან თვისი აულაგმავი რეაქციონური საქციელით მიიპყრო ყურადღება. მაგრამ ბისმარკი იყო არა მარტო დიდი ტემპერამენტის აღამიანი, არამედ ამასთანავე ერთად დიდი ნებისყოფისა და დიდი, ნათელი შორს-მჭვრეტელი გონების აღამიანიც. იუნკრული, თავად-აზნაურული რეაქციონური განწყობილება მას მაღლე დაეკარგა, თუმცა გულის სიღრმეში ის ბოლომდის კონსერვატიული, ძველი აღათების პრუსიულ აზნაურად და მონარქისტად დარჩა..

მაგრამ მან დროის მოთხოვნილება გაიგა; მან გაიგო, რომ გარდაუვალი საჭიროებანი გერმანიის გაერთიანებას მოითხოვებ და, თუ პრუსიის მეფე ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს, ამით პრუსია და პრუსიის მონარქია მხოლოდ მოიგებს. რაკი ამ თვალსაზრისშე დადგა, ბისმარქმა გერმანიის გაერთიანების საქმეს მთელი თავისი დიდი ნიჭი და რკინის ნებისყოფა შესწირა. მე-50-ე წლებში ბისმარკი გერმანიის გაერთიანების საქმეს უკვე სულ სხვანაირად უცქეროდა. იგი სწორედ მაშინ დარწუნდა, რომ გერმანია, რაც უნდა წინააღმდეგობა გაეწიათ, მაინც გაერთიანდებოდა, რადგანაც მეტის მეტად სერიოზული ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები ამ გაერთიანებას აუცილებლადა ხდიდა; მაშასდამე, თუ სწორედ პრუსია მოჰკიდებდა ხელს გერმანიის გაერთიანებას, მოგებითაც სწორედ პრუსია მოიგებდა. ბისმარქმა იცოდა, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხში ორი პარტია არსებობდა: „დიდი-გერმანული“, რომელსაც სურდა, რომ მომავალ გაერთიანებულ გერმანიაში ავსტრიაც შესულიყო, და „მცირე-გერმანიაც“, რომელიც თხოულობდა ყველა გერმანულ სახელმწიფოთა გაერთიანებას უასტრიოდ. პირველ შემთხვევაში ავსტრია მოიგებდა, მეორე შემთხვევაში—პრუსია. ბისმარქმა სავსებით მცირე-გერმანულ პარტიას დაუშირა მხარი, რაწმეს 1862 წლს პრუსიის პირველ მინისტრად გახდა, მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს ძნელი საქმე იყო, უპირველესად ყოვლისა მოსალოდნელი იყო ბრძოლა ავსტრიასთან, რომელსაც არა სურდა ნებაყოფლობით გერმანიის კავშირიდან გასულიყო და მომავალ გაერთიანებულ გერმანულ სახელმწიფოში პირველი როლი პრუსიისთვის დაეტოვებინა. შემდეგ, გართულება მოსალოდნელი იყო საფრანგეთისა და რუსეთის მხრით, რომლებისთვისაც უფრო ხელსაყრელი იყო, რომ მათ

გვერდით დანწილებული პატარ-პატარა სამთავროები ყოფილიყო. და არა მთლიანი, ძლიერი გერმანია. ბისმარქს ეშინოდა, რომ საფრანგეთი ან რუსეფი ან ორივენი ერთად საქმეში ჩარეოდნენ და გერმანიის გაერთიანებას ხელს შეუშლიდნენ. დასასრულ, თვით პრუსიაში მე-60-ე წლების დასაწყისში (პრუსის სეიმში) ხანგრძლივი შეჯახება დაიწყო ლიბერალურ დეპუტატებსა და მთავრობას შორის. საქმე იმაზია, რომ ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც თავისი პოლიტიკური გავლენის გაფართოვებისთვის იბრძოდა, გაბრაზებული იყო მთავრობაზე, რომელიც, მაუხედავად საკონსტიტუციო კანონებისა, ბიუჯეტს გარეშე აუგრებელ ფულსა ხარჯავდა ჯარზე, თუმცა სეიმი ამ ხარჯებს მუდაშ ეწინააღმდეგებოდა. მეცე ვილჰელმ I, რომელიც ტახტზე 1861 წელს ავიდა, უკვე 64 წლის მოხუცი იყო. ხანგრძლივი ბრძოლა სეიმის წინააღმდეგ ზოგჯერ მასში სასოწარკვეთილებას იწვევდა; მაგრამ, მეორეს მხრით, ჯარის გაძლიერებაზე და შეიარაღებაზე მაინც უარს ვერ აცხადებდა.

ასეთი იყო ის მძიმე პირობები, როდესაც ბისმარქმა (რომელიც ამ დრომდე პრუსის ელჩად იყო ჯერ პეტერბურგში და მერე პარიზში) პრუსიის პირველი მინისტრის ადგილი დაიკირა. ეს 1862 წელს მოხდა. უპირველესად ყოვლისა ბისმარქმა ვილჰელმ I ურჩია უარი არ ეთქვა ტახტზე, რასაც იგი სერიოზულად აპირებდა. ბისმარქი დარწმუნებული იყო, რომ შეტაკება სეიმთან მონარქიისთვის არავთარ საფრთხეს არ წარმოადგენდა და, თუ პრუსიის არმია, ხელახლად შეიარაღებული და გაძლიერებული, გერმანიას გააერთიანებდა, მაშინ პრუსიის მინისტრების არა კონსტიტუციურ საქციელს ლიბერალური ბურჟუაზიაც დაივიწყებდა და აპატიებდა. გერმანია კი, ბისმარქის აზრით, მხოლოდ ძალით შეიძლებოდა გაერთიანებულიყო, გარეშე ომის საშუალებით, „სისხლითა და მახვილით“, როგორც თითონ ამბობდა. მართლაც, გერმანიის გაერთიანება სამაომმა დააჩქარა: პრუსიის თმა დანიის წინააღმდეგ (1866 წელს) და საფრაგეთის წინააღმდეგ (1870—1871 წ.წ.). რა თქმა უნდა, ეს ომებიც რომ არა ყოფილიყო, რომ არა ყოფილიყო თვით ბისმარქიც; აღრე თუ გვიან გერმანია მაინც გაერთიანდებოდა, რადგანაც გარდაუვალი ეკონომიური მოთხოვნილებანი ამ გაერთიანებას აუცილებლადა ხდილნენ. ბისმარქმა საქმე მხოლოდ დააჩქარა.

ომი დანიის წინააღმდეგ.

პირველი ომი, რომელიც ბისმარქმა დაიწყო, იყო ომი დანიის წინააღმდეგ. დანიას დიდი ხანია ხელთ ეპყრო ორი ოლქი (შლეზვიგ-

და პოლშტინია), რომელიც მთლად გერმანელებით იყო დასახლებული (შლეზვიგის ჩრდილოეთი ნაწილის გარდა). რაც უფრო მეტად ძლიერდებოდა გერმანულ საზოგადოებაში ნაციონალური გამაერთიანებელი მოძრაობა, მით უფრო მკეთრად და მოუთმენლად ისმოდა ხმები, „ჩამოშორებული ძმები გერმანულ სამშობლოს შეუურთოთო“, სხვანაირად რომა ესთქათ, შლეზვიგი და ოლშტინია დანიას წავართვათ. 1848—1849 წ. წ., საერთო აღელვების დროს, პრუსიის მეფემ ფრიდრიხი—ვილჰელმ I, როგორც უკვე ვსოჭვით, სცადა, შლეზვიგი და პოლნშტინია დანიისთვის წაერთმია,—მაგრამ არაური გამოვიდა, ესლა, 1864 წელს, ბისმარქმა გადასწყვიტა ესარგებლა იმ ცვლილებით, რომელიც სამეფო ტახტის მემკვიდრეობაში მოხდა, და დანიის წინააღმდეგ ომი დაეწყო. იმან წინდაწინვე იცოდა, რომ ომი გერმანიის ფართო საზოგადოების წრეებში ძალიან პოპულიარული იქნებოდა და რომ პრუსია, რომელიც დანიას უშუალოდ საზღვრავდა, ამით მხოლოდ მოიგებდა. მაგრამ ავსტრიის იპერატორმა ფრანც-იოსებმა, რომელიც დიდის ეჭვით უცტერდა ბისმარქის მოლვაწეობას, გადასწყვიტა პრუსიასთან ერთად მიეღო მონაწილეობა ომში, რათა საშუალება მისცემოდა ნადავლით ესარგებლა.

ომი 1864 წლის გაზაფხულს დაიწყო. ავსტრია-პრუსიის შეერთებულმა ძალებმა ძალიან ადვილად დაამარცხეს დანია და შლეზვიგი და პოლშტინია დაიპყრეს. ომამდე ნადავლის გაყოფვის ასეთი გეგმა იყო დასახული: პრუსიას შლეზვიგი უნდა მიეღო, ავსტრიას—პოლშტინია. მაგრამ ომის გადავებისთანავე ძალიან მალე გამოირკვა, რომ ბისმარქს პოლშტინიის მიცემა სრულიადაც არა სურდა. უფრო მეტიც, ბისმარქი დიდიხანია დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ავსტრიასთან ომი უნდა მოსვლოდა, რაღაც ავსტრია არავითარ შემთხვევაში ნებაყოფლობით არ დასთანხმდებოდა, რომ გერმანია პრუსიის გარშემო გაერთიანებულიყო; ბისმარქმა გადასწყვიტა, რომ ავსტრიასთან ომის დრო დადგა და მზადებას შეუდგა.

პრუსიის ომი ავსტრიის წინააღმდეგ.

(1866 წ.).

ბისმარქისთვის ეს ადვილი საქმე არ იყო. ყველაფერი ისე უნდა მოეწყო, რომ არც რუსეთს, არც საფრანგეთს პრუსიისთვის ხელი არ შეეშალათ, როდესაც ის ავსტრიის ომს დაუწყებდა. მართალია, რუსეთის მხრით ნაკლები შიში ჰქონდა. ჯერ ერთი, 1863 წ., პოლონე-

თის აჯანყების დროს, ბისმარქმა მეტად მეგობრული პოზიცია დაზკავა რუსეთის მთავრობის მიმართ და ამით რუსეთ-პრუსის თვიციალური დამოკიდებულებანი ძალიან განამტკიცა; მეორეც, ყირიმის ომის შემდეგ, რუსეთის მთავრობას (იმპერატორ ალექსანდრე II მეთაურობით) ვერ შეეძლო დაევიწყებინა ავსტრიის მტრული განწყობილება; ძნელი საფიქრებელი იყო, რუსეთი ავსტრიას დახმარებოდა იმ შემთხვევაში, თუ პრუსია ავსტრიას ომს გამოუცხადებდა. მესამეც, საზოგადოდ რუსეთი ყირიმის ომის შემდეგ იმდენად ვერ მომავრდა, რომ ახალ შეტაკებაში მონაწილეობა მიეღო. ამ რიგად ბისმარქს შეეძლო რუსეთის არ შეშინებოდა. სამაგიეროდ ძალიან აწუხებდა საფრანგეთი.

ნაპოლეონ III უკვე 1865 წლიდან იცოდა, რომ ომი პრუსიასა და ავსტრიის შორის აუცილებელი იყო. ბისმარქს სურდა მომავალი ომის დროს საფრანგეთის ნეიტრალიტეტი უზრუნველეყო და ამიტომ დიდი დათმობაზე სთანხმდებოდა. იგი მზათ იყო წინააღმდეგობა არ გაეწია, თუ საფრანგეთი პატარა სამთავროს ლიკესებმურვს შეიქრთებდა. მაგრამ ნაპოლეონ III უფრო მეტზე ოცნებობდა, მას სურდა შეერთება, მაგ., ბელგიისა,— საზოგადოდ ის ბისმარქთან შეთანხმებას არა ჩეარობდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ავსტრია და პრუსია დიდხანს იომებდნენ; პრუსიას კიდეც რომ გაემარჯვა იმდენად დასუსტებული იქნებოდა, რომ საფრანგეთის იმპერატორს შეეძლო თავისი დამზადებული ჯარით დიდი მოთხოვნილებანი წაეყენებინა პრუსიის თვის. ბისმარქი ძალიან კარგად ხედავდა, რამდენად სახითვათ იქნებოდა, თუ ომი ავსტრიასთან გაჭიანურდებოდა. თვით პრუსიაში ავსტრიის წინააღმდეგ ომი არავისა სურდა, იგი ძმითა სისხლის ღვრად მიაჩნდათ, პრუსიის სეიმში ოპოზიცია მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებს ისევ აწარმოებდა. ბისმარქსა სურდა ომი რაც შეიძლება ხანმოკლე გაეხადა, ამიტომ გადასწყვიტა, კავშირი შეეკრა იტალიასთან: იგი იტალიის მეფეს ვიქტორ-ემმანუელს დაჰპირდა, იმ შემთხვევაში, თუ იტალია პრუსიასთან ერთად დაიწყებს ომს ავსტრიის წინააღმდეგ, პრუსია ზავს არ ჩამოავლებს იმ დრომდე, სანამ ავსტრია იტალიას არ დაუთმობს ვენეციას, რომელიც ჯერ ისევ ავსტრიის უჭირავთ. ბისმარქის თვის ეს კავშირი საკირო იყო იმიტომ, რომ ავსტრიის ძალები გაეყო სამხრეთსა (იტალიის საზღვანსა) და ჩრდილოეთს (პრუსიის საზღვანს) შორის და ამით ავსტრიის ჯარი დაესუსტებინა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მეფე ვიქტორ-ემმანუელ II გადასუკვიტა პრუსიასთან კავშირი შეეკრა. ომი 1866 წლის გაზაფხულს დაიწყო, სამხრეთით ავსტრიის გენერალმა

დაამარცხეს იტალიის ოოგორუც ჯარი, ისე ფლოტი, სამაგიეროდ
ჩრდილოეთით პრუსიელები შეიჭრნენ ავსტრიაში და ავსტრიელები
საშინლად დაამარცხეს ბრძოლაში, ომელსაც კენიგვრეცის ბრძოლა
ეწოდება. პრუსიის ჯარის მთავარ-სარდალ მოლტკეს და სხვა გე-
ნერლებს სურდათ უკან დახულ ავსტრიის ჯარს დასდევნებოდნენ,
გამარჯვება დაემთავრებინათ და ვენაში შესულიყნენ, მაგრამ ბის-
მარკი ამ განზრახეს მტკიცედ წინააღმდეგა. მან გადასწყვიტა ავს-
ტრიისთან ძალიან ლმობიერი ზავი ჩამოეგდო, რადგანაც, ჯერ ერთი,
სურდა ომი მალე გაეთავებინა, ვინაიდან ნაპოლეონ III სწორედ
ომის ხანგრძლივობის იმედი ჰქონდა, მეორეც, ბისმარქს სრულიადაც
არა სურდა დანგრევა ავსტრიისა, რომელიც მას უკვე მაშინ გერმა-
ნიის მომავალ მოკავშირედ მიაჩნდა. ბისმარქისთვის უმთავრესად ის
იყო საჭირო, რომ ავსტრია გერმანიის საქმეებში აღარ ჩარეულიყო.
ფრანც-იოსებმა ეს პირობები მიიღო და დასთანხმდა გადაეხადა პა-
ტარა კონტრიბუცია (200 მილიონი ტალერი). იტალიამ ვენეცია
მიიღო. დანარჩენი პირობებიც ავსტრიისთვის მისალები იყო. ზავი
ჩამოვარდა ძალიან მალე, კენიგვრეცის ბრძოლის შემდეგე. ავსტრია-
პრუსიის ეს ომი სულ ექვს კვირას ვაგრძელდა. ომის შემდეგ,
1867 წელს, ბისმარქის თაოსნობით დაარსდა ჩრდილოეთ-გერმანიის
კავშირი, ომელშიაც შევიდოხე ყველა გერმანელი სახელმწიფოები.
გარდა სამხრეთის ოთხისა: პრესენისა, ბავარიისა, ვიუსტფლიდგრაფია
და ბადინისა. / კავშირის სათავეში ჩადგა პრუსიის მეფე, რომელიც
კავშირის კველა შეიარაღებულ ძალთა მთავარ-სარდლად გადაიქცა.
კავშირში შესულმა სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს სრული დამოუკი-
ფებლობა თავიანთ შინაურ საქმეებში, მაგრამ მთელი კავშირის სა-
ერთო კანონებს აწესებდა საკავშირო რეიხსტაგი, რომელსაც მცხოვ-
რებლები საყოველთაო ხმის მიცემით ირჩევდნენ, და საკავშირო სა-
ბჭო, რომლის წევრებსაც კავშირში შესულ სახელმწიფოთა მთავრო-
ბები ნიშნავდნენ.

plus

IV უკანასკნელი წლები მეორე იმპერიისა საფრანგეთში.

პრუსიის გამარჯვება და ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირის შექმ-
ნა საფრანგეში ისე მიიღეს, როგორც სასტიკი დამარცხება საფრან-
გეთის საიმპერატორო მთავრობისა, საფრანგეთმა ვერაფერი მიიღო,
ვერ დაიჭირა ლიუქსემბურგიც კი, რომელსაც ომამდე ბისმარქი სა-
ფრანგეთს სთავაზობდა ნეიტრალიტეტისთვის. მოულოდნელად მალე
გათავებულმა ომმა პრუსიას და ავსტრიის ნაპოლეონ III სა-

შუალება არ მისცა თავისი მოთხოვნილებანი დროზე წამოეყენებინა გარდა ამისა, ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირი გერმანიის იმპერიის შექმნის პირველი ნაბიჯი იყო. ამ რიგად, საფრანგეთისევის სახიფათო მეზობელი ჩნდებოდა, ახალი ძლიერი იმპერია იქნებოდა. არსებითად ეს იყო პირველი სერიოზული მარცხი ნაპოლეონ III საგარეო პოლიტიკაში. ამ მარცხს მაღლ მეორე მარცხი მოჰყვა. ჯერ ისევ 1862 წლიდან ნაპოლეონ III ვითომდა საფრანგეთის ფინანსიური პრეტენზიების დასაცავად ომი დაუწყო მექსიკას (ცენტრალური ამერიკა), სადაც ხანგრძლივი ბრძოლა სწარმოებდა საფრანგეთის ჯარსა და რესპუბლიკელებს შორის. ნაპოლეონ III მექსიკაში „მექსიკის იმპერატორად“ გაგზავნა ავსტრიის ერცჰერცოგი მაქსიმალიანე, რომელსაც საფრანგეთის მთავრობის ვასსალისა და სურვილის აღმასრულებელის როლი უნდა შეესრულებინა. ნაპოლეონ III დაინახა, რომ გაუთავებელი ომი არავითარ შედევს არ იძლეოდა. მას სურდა მთელი თავისი ყურადღება ევროპიული საქმეებისკენ მიეცყრო და ამიტომ თავისი ჯარები მექსიკიდან გაიწვია. ამის შემდეგ მექსიკის რესპუბლიკელებმა მაქსიმილიანე დაატყვევეს და დახვრიტეს (1867 წ.). ასეთი დასასრული მექსიკის ავანტიურისა, რომელიც საფრანგეთის ხალხს ძალიან ძვრიად დაუჯდა, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა როგორც ბურჟუაზიაში, ისე მუშებში და გლეხებშიაც.

გარეშე მარცხის გამო საფრანგეთში თანდათან იმპერატორის მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდებოდა. უკმაყოფილების შიზეზი წინათაც ბევრი იყო, მაგრამ მაშინ, 1866—67 წ. წ. ეს უკმაყოფილება ძალიან სუსტად იჩენდა თავსა. სამრეწველო ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო იმ სავაჭრო ხელშეკრულებისა, რომელიც ნაპოლეონ III ინგლისთან დასდო „თავისუფალი ვაჭრობის“ საფუძველზე; საფრანგეთის მრეწველები ინგლისელების განმანადგურებელ კონკურენციას უჩიოდნენ. ვაჭრობისა და ფინანსიური კაპიტალის წარმომადგენლები სჩიოდნენ, რომ მეტის მეტად პირადი ხასიათი იმპერატორის საგარეო პოლიტიკისა ხშირად შავნებელი და საზარალო ხდებოდა. ინტელეგენცია უკმაყოფილო იყო პოლიტიკური თავისუფლების მოსპობით, პოლიციის თვითნებობით და ჯაშუშობით, იმ დიდი გავლენით, რომელიც სამღვდელოებამ დაბალ, საშუალო და უმაღლეს სკოლაშიც კი მოიპოვა. მუშათა კლასში პირველი 1848 წლის ივნისის აჯანყების შემდეგ, მაშასადამე ოცი წლის შემდეგ, თავი იჩინა ეკონომიკური ინტერესების დაცვის სურვილმა. გახშირდა გაფიცვები და თვით გაფიცვებიც უფრო მწვავე გახდა. ბრძოლა ეკონომიკური ექსპლოატაციის წინააღმდეგ იწვევდა მუშათა კლასსის ხშირ შე-

ტაკებას პოლიციასთან და ჯართან და შევნებას თავისი სრული პოლიტიკური უფლებობისას. მართალია, 1864 წელს გაუქმდა კანონი რომლის ძალითაც გაფიცვაში მონაწილეობისთვის ციხეში ამწყვდევდნენ, მაგრამ, ამისდამუქედავად, შრომისა და კაპიტალის შეტაქების ღროს ხელისუფლება ყოველთვის კაპიტალის მხარეს იჭერდა. საქართვის ინსპექცია მაშინ სიფრანგეთში არ არსებობდა. არ არსებობდა აგრეთვე საქართვის კანონმდებლობა, რომელსაც შეეძლო ცოტათი მაინც და-ეცვა მუშათა თავაშვებული ექსპლოატაცია, მათი ძალ-ლონება და ჯანმრთელობა. პირველი ინტერნაციონალის გავლენა, მიუხედავად ღიღი დაბრკოლებებისა, საფრანგეთში მაინც შეიჭრა; მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე ელემენტები (განსაკუთრებით პარიზი და ლიონში) ინტერნაციონალზე ძალიან დადს იმედებს ამყარებლნენ.

პირველი ინტერნაციონალი და მუშათა კლასი საფრანგეთში.

X პირველი ინტერნაციონალი (მუშათა საერთაშორისო საზოგადოება) ლონდონში დაარსდა 1864 წ. ამასთანავე ამ ორგანიზაციის იდეური სულის ჩამდგენელი კარლ მარქსი იყო. ინტერნაციონალის ამოცანა იყო მუშათა კლასისური თვითშემცემების გაღრმავება, „მუშათა კლასის მსოფლიო სოლიდარობის განვითარება ექსპლოატატორთა, კლასის წინააღმდეგ მომართულ ბრძოლაში“; პოლიტიკური ხელისუფლების დაცყრობა ინტერნაციონალის ბელადების მიერ მუშათა კლასის უპირველეს საყიროებად იქმნა გამოცხადებული. ინტერნაციონალი იდეურად ხელმძღვანელობდა თავის „გენერალურ საბჭოს“ და ამასთანავე ერთად ფართო თვითმოქმედების უფლებას ანიჭებდა იმ ნაციონალურ უჯრედებსა და ჯგუფებს, რომლებიც ამ ორგანიზაციაში შედიოდნენ. კერძოდ საფრანგეთის მუშათა კლასის მოწინავე, ელემენტები ინტერნაციონალის მხურვალე მომხრეები იყვნენ. ინტერნაციონალის ზედგაულენით ძველი რევოლუციონური ტრადიციები საფრანგეთის მუშათა კლასში კვლავ იღვიძებდა.

ოპოზიციის ზრდა.

ასეთი იყო საქმის მდგომარეობა, როდესაც ზემოხსენებულმა მარქებმა ნაპოლეონ კ. საგარეო პოლიტიკაში მე-19-ე საუკუნის მე-60-ე წლების დასასრულს ოპოზიცია იმპერიის წინააღმდეგ გააცხოველეს. 1868 წ. ერთს პოლიტიკურ პროცესზე ახალგაზდა ვექილ-

მა გამპეტტიმ წარმოსთვევა სიტყვა, ორელშიაც იერიში შიიტანა მთავრობაზე და საყვედურით მოიგონა 1851 წლის 2 დეკემბრის გა- დატრიალება, რომელმაც ნაპოლეონ III ხელისუფლება მისცა. ამ სი- ტყვამ სახოგადოების ფართო წრეებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახ- დინა. ამავე დროს გამოცოცხლდა პრესსა, რომელიც აქამდის ან და- ფუმებული იყო, ან მთავრობას ქება-დიდებას ასხამდა. მთავრობას კი ველარ შეეძლო ისე სასტიკად მოქცეულიყო, როგორც წინათ იქ- ცეოდა. 1869 წ. მოხდა საკანონმდვბლო კორპუსის არჩევნები. მიუ- ხედავად პოლიციური ზომებისა ოპოზიციამ იძღენი თავისი წარმო- მადგენელი გაიყვანა, რამდენიც უწინ არასოდეს არა ჰყოლია. მარ- თალია, ოპოზიცია უმცირესობას შეადგენდა, მთავრობამ საკანონმ- დებლო კორპუსში თავის მომხრეთა უმრავლესობა გაიყვანა, მაგრამ ამ არჩევნებმა ცხადჰყო, რომ უკმაყოფილება ხალხში იზრდებოდა. ნაპოლეონ III გადასწყვიტა ცოტა არა დაეთმო: უურნალებისა და გა- ზეთების მდგომარეობა ცოტა შეამსუბუქა, საკანონმდებლო კორპუ- სის უფლებები გააფართოვა და 1870 წლის დასაწყისში მინისტრად დანიშნა ყოფილი რესპუბლიკელი ოლლივი, რომლისგანაც, რო- გორც მოლალატისგან, რესპუბლიკანური პარტია თუმცა გაიმიჯნა, მაგრამ რომელიც მაინც რეფორმების მომხრედ და ლიბერალად ით- ვლებოდა. ოლლივის დანიშნისთანავე მთავრობის საწინააღმდეგო ტიდი დემონსტრაცია მოხდა (იმის გამო, რომ იმპერატორის ნათე- სავმა, პრინცია პიერ ბონაპარტემ ერთი უურნალისტი მოპკლა); დე- მონსტრაციაში რამდენიმე ასი ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მთავრობა უფრო მეტადა და მეტად ლელავდა.

მართალია, მთავრობას ჯერ კიდევ შეეძლო გლეხობისა და ბურჟუაზიის ზოგიერთი წრეების დახმარების იმედი ჰქონდა; მაგა- ლითად, ნაპოლეონ III მოაწყო ხალხის საყველელთაო დაკითხვა, იწო- ნებს თუ არა მთავრობის სხვა და სხვა „რეფორმებს“ და ამ დაკითხ- ვამ ხმების უმრავლესობა იმპერიას მისცა, მაგრამ სასახლეში და თვით მთავრობაში დარწმუნებული იყვნენ, რომ დინასტიის გადარ- ჩენა მხოლოდ ახალ ძლევამოსილ ომს შეეძლო. „ომი საჭიროა, რომ ამ ბავშვმა იმეტოს“, ამბობდა ევგენია, ნაპოლეონ III ცოლი, თავისი შვილის შესახებ. უკვე ეს გარემოება ევროპაში მღელვარებასა ჰქმი- და; შიშობდნენ, რომ ნაპოლეონ III ყოველ წუთს შეეძლო თავისი ტახტის გასამტკიცებლად პრუსიისთვის ომი გამოეცხადებინა. უფრო უარესი იყო ის, რომ იმ დროს თვით პრუსიაშიც საფრანგეთთან ომი სასარგებლოდ მიაჩდათ; გვალენიან წრეებში ფიქრობდნენ, რომ ეს

ომი ხელს შეუწყობდა სანუკვარ საბოლოო მიზნის გერმანიის გაერთიანების მიღწევას. ამ გაფლენიანი წრეების საათავეში ბისმარქი იდგა.

V 1870

V 1870 წლის ომი.

პრუსია 1870 წლის ომის წინ.

*+
+*

იგსტრიასთან ომისა და გამარჯვებისა (1866 წ.) და ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის შექმნის შემდეგ ოპოზიცია ბისმარქის წინააღმდეგ დაცხრა როგორც პრუსიის სეიმში, ისე პრესაში. ბურუუაზიის ფართო წრეებში მას სთვლილნენ ადამიანად, რომელსაც შეეძლო გერმანიის ხალხის გაერთიანება დაეგვირგვინებინა. მუშათა შორის, რა თქმა უნდა, მას ასეთი პოპულიარობა არა პქონდა მოხვეჭილი, მაგრამ მაშინ მას არც სოციალ-დემოკრატიული პარტიის სასტიკი მტრის რეპუტაცია ჰქონდა მოპოვებული, როგორც შემდეგ. გარდა ამისა, გამოჩენილი სოციალისტური აგიტატორის ლასსალის ზედგავლენით, ვერმანიის მუშები გერმანიის გაერთიანების საქმეს ისე უცქეროდნენ როგორც მრეწველობის განვითარებისა და მუშა კლასის მდგრადრეობის გაუმჯობესების აუკილებელ პირობას. ჩრდილოეთ-გერმანიის შიგნით კველაფერი თითქოს დაწყნარებული იყო; ბისმარქი თავისი პოპულიარობის უმაღლეს წერტილამდე იყო მისული, — მაგრამ თავისი საქმე მას მაინც დამთავრებულად არ მიაჩნდა. ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირის გერმანიის იმპერიად გადასაქცევად საჭირო იყო შემოერთება კიდევ სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოებისა (ბავარიისა, ვოურტემბერგისა, ჰესენისა და ბადენისა). ამის შესრულება კი არც ისეთი ადვილი საჭმე იყო. გაერთიანება და თავიანთ დამოუკიდებლობის დაკარგვა არ უნდოდათ არა მარტო ადგილობრივ მთავრობებს; სამხრეთ-გერმანიის მცხოვრებლებიც, რომელთა შორისაც მიწადმოქმედება უფრო დიდს როლს ასრულებდა, ვიღრე მრეწველობა, გაერთიანების ისეთს საჭიროებას ვერა გრძნობდნენ, როგორც ჩრდილოეთში, სადაც მრეწველებიც, მუშებიც, სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებიც გერმანიის დანაწილების გამო ბევრს უხერხელობას განიცლილნენ. გარდა ამისა, ბავარიაში, ვიურტემბერგში და ბადენში კათოლიკური ეკლესია სჭარბობდა, კათოლიკურ სამღვდელოებას ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირში შესვლა ეშინოდა და არა სურდა. შექმნა გერმანიის იმპერიისა, სადაც უმთავრესი როლი ლიუტერანელ პრუსიას ექნებოდა მინიჭებული.

ბისმარკი ანგარიშს უწევდა ყველა ამ დაბრკოლებებს; მან შეი-
თვისა აზრი, რომ მხოლოდ გარეშე მტრითან ომის საშუალებით შეი-
ძლებოდა სამხრეთ-გერმანიის სახელმწიფოების წინააღმდეგობის ძლევა
და მათი შეერთება გერმანიასთან. ამნაირ გარეშე მტრიდ ბისმარკს,
ბუნებრივად, საფრანგეთი მიაჩნდა. იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული,
რომ გარეშე მტრის თავდასხმის წინაშე მთელი გერმანიის ხალხი
გაერთიანდებოდა და ყოველგვარი დაბრკოლებანი ერთბაშად მოის-
პობოდა.

1870—1871 წ.წ. ომი.

ამ რიგად, ორივე მხარეს ომი სურდა, თუმცა, რა თქმა უნდა,
აშეარად ამას არც ერთი მათგანი ამბობდა. შემთხვევამ აფეთქება
დააჩქარა. ისპანიაში (სადაც დროებით მეფე არა ჰყავდა) გადას-
წყდა ტახტზე აეყვანათ პოგენცოლლერნთა ოჯახის პრინცი, პრუსიის
შეფის ვილჰელმ I ნათესავი. საფრანგეთის მთავრობა ამ განზრანებას
წინააღმდება და პრუსიის მეფეს საკმაოდ მყვანედ მოსთხოვა, რომ
მის ნათესავს ტახტზე უარი ეთქვა. არჩეულმა პრინცმა უარი განა-
ცხადა. მაშინ ნაპოლეონ III პრუსიის შეფეს მიჰმართა წინადადებით
და მოსთხოვა გარანტიები, რომ პოგენცოლლერნი. ისპანიის ტახტს
შემიერდშია არ დაიჭირდნენ. ვილჰელმ I ასეთი გარანტიის მიცემაზე
უარი განაცხადა, ბისმარკმა კი, რომელსაც სურდა საქმე რაც შეი-
ძლება მაღლ მიეყვანა ბოლომდის, მეფის ეს უარი საფრანგეთის თავ-
მოყვარეობისთვის შეურაცმყოფელი სახით გამოაქვეყნა. ნაპოლეონ III
ამას ომის გამოცხადებით უპასუხა (1870 წლის 20 ივლისს). ასე და-
იწყო საფრანგეთ-პრუსიის ომი, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში
ესოდენ დიდი როლი ითამაშა. საფრანგეთ-პრუსიის ომია (1870—71
წ.წ.) არამაც თუ რომა ცვლილებები შეიტანა მთელს ევროპიულ პო-
ლიტიკაში, მან შექმნა აგრეთვე ისეთი პირობებიც, რომლებიც
ეკროპის სახელმწიფოებს იძულებდა, დაუსრულებლივ შეიარაღებუ-
ლიყვნენ და თითქმის ყოველ თვე ახალი შეტაკების მოლოდინში ყო-
ფილიყვნენ. შექმნა ის მდგომარეობა, რომელმაც საბოლოოდ უფრო
საშინელი ომი გამოიწვია 1914—1918 წ.წ. წინასწარმეტყველური.
აღმოჩნდა სიტყვები რუსი პოეტის ნეკრასოვისა, რომელმაც საფრან-
გეთ-პრუსიის 1870 წლის ომის შესახება სოქვა: „ეს წელიწადი შვი-
ლისშვილებსაც ომებსა და უთანხმოებას, უმზადებს“.

ომი პრუსისთვის ხელსაყრელ პირობებში დაიწყო. კერ ერთი,
მის შხარეზე აღმოჩნდნენ ყველა გერმანული სახელმწიფოები (სამხრე-
ო)

თისა(კ), რასაც ნაპოლეონ III არ მოელოდა. მეორეც, მთელ ევროპაში დამაზაშავედ სთვლიდნენ საფრანგეთს, რაღანაც ყველა ამ მოლაპარაკებას ისპანიის ტახტის შესახებ ისე უცქეროდნენ, როგორც საფრანგეთის იმპერატორის უბრალო საბაბიანობას; ბევრს ქვეყანაში (მაგ., ინგლისში) საერთო თანაგრძნობა პრუსიის მხარეზე იყო. მესამეჯ, მთელ გეომანიაში, ბალხის სხვადასხვა კლასებში, დიდი აღფრთვანება დაიბადა. დაწყებულ ომს გერმანელები ისე უცქეროდნენ, როგორც თავდაცვით ომს. მეოთხეც, პრუსიის არმია, სამხედრო მინისტრის ფონ რონის და გენერალური შტაბის უფროსის მოორკეს წყალობით, შშვენიერად იყო შეკავშირებული, შეიარაღებული და მომარაგებული; რიცხვით ის საფრანგეთის ჯარს სჭარბობდა, რაღანაც საფრანგეთში მაშინ ჯერ საყოველთაო ბეგარა არ იყო შემოლებული. რაიცა შეეხება საფრანგეთს; აქ საქმე გაცილებით უფრო ცუდად იყო. საიმპერატორი ბიუროკრატიის უკანტროლო საქმიანობამ სამხედრო უწყებაში სრული არევ-დარევა შეიტანა. სამხედრო მინისტრს არა ჰქონდა ნამდვილი ცნობები იშის შესახებ თუ რამდენი ჯარისკაცი იყო პოლცებში (ნამდვილად და არა ქალალდზე). ჯარის მომარაგება ძალიან ცუდად იყო დაყენებული. გენერლები, რომლებსაც შესძლებოდათ მოლტკესა და მის შტაბთან შეჯიბრება, არა ჰყავდათ. ნაციონალური აღურთველებაც არ არსებობდა, რაღანაც ხალხში თითქმის არავინ იცოდა, ომი რისთვის დაიწყო. მოკავშირენი საფრანგეთს სრულიად არ აღმოაჩნდა. ეს კიდევ ცოტაა, იტალიის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ, თუ საფრანგეთი დამარცხდებოდა, იგი საფრანგეთის გარნიზონის რომიდან გაძევებას შესძლებდა და დაიკავებდა უკანასკნელ ქალაქს, რომელიც ჯერ კიდევ გაერთიანებული იტალიის ხელში არ იყო, რაღანაც იგი ხელთ ეპყრიპაპს, რომელსაც ფრინგები უცქერდნენ მხარსა*). ინგლისიც საფრანგეთს უფრო ეჭვის თვალით უცქეროდა, კიდრე პრუსიას, რომელსაც იმ დროს არა ჰქონდა არც კოლონიები და არც ფლოტი და რომელიც მაშინ ინგლისელებს კონკურენციას არ უჰქვდა არც ვაჭრობაში და არც მრეწველობაში. დასასრულ, რუსეთს არცა სურდა და არც შეეძლო დიდს ევროპიულ ომში ჩარეულიყო, მით უფრო არა სურდა დახმარებოდა ნაპოლეონ III, რომელთანაც ყირიმის კამპანიის დროს რმობდა. ამრიგად, საფრანგეთი იძულებული გახდა მარტო შესჯახებოდა გერმანიის ძალებს თავისთვის არა ხელსაყრელ პირობებში. პირველი ბრძოლები 1870 წლის აგვისტოს მოხდა და ფრანგებისათვის საზარალოდ დამთავრდა. იმპერატორი ნაპოლეონ III

*.) იტალიელებმა დაიჭირეს კიდევც რამდენიმე 1870 წლის 20. სექტემბერს.

ჯარში მივიღა, მაგრამ უმაღლესი მთავარსარდლობა ჭაინც თავის თავზე არ მიიღო. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ნაპოლეონ III თავისი ჯარით ციხე სედანში მოამწყვდიეს. ალყის გარღვევა სცა-დეს, მაგრამ ვერას გახდნენ, და 1870 წ. 2 სექტემბერს იმპერატორი თავისი არშით ტყვედ წაიყვანეს. რაწამს ეს ამბავი პარიზში გაიგეს, აჯანყებულმა ხალხმა იმპერატორი გადააყენა და რესპუბლიკა გამო-აცხადა (4 სექტემბერს). ამ რესპუბლიკას (რომელიც საფრანგეთში დღემდის არსებობს) ისტორიაში მესამე რესპუბლიკა ეწოდება, რად-განაც პირველად ითვლება ის, რომელიც 1792 წელს გამოცხადდა, დიდი რევოლუციის დროს, მეორე რესპუბლიკად კი ის, რომელიც 1848 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა, თებერვლის რევოლუციის დროს.

1870—1871 წ.წ. ომის დასასრული.

1870 წლის 4 სექტემბერს გამოცხადებულმა დროებითმა მთავ-რობამ ბრძოლის გაგრძელება გადასწყვიტა, მაგრამ პრუსიელები მა-ინც იმარჯვებდნენ. საფრანგეთის მეორე დიდი არმია, რომელსაც მარშალი ბაზენი სარდლობდა, ციხე მეცში ჩაჭერტეს და იძულებული გახდა მტერს დანებებოდა (ოქტომბრის გასულს). პარიზს ალყა შე-მოარტყეს. დროებითი მთავრობის წევრმა ლეონ გამბეტტამ მოახერ-ხა და ჰაეროსტატით პარიზიდან გაფრინდა. ქალაქ ტურში ჩამოიწვა და იქ ახალი არმიის მოწყობას შეუდგა, მაგრამ ახალს, გამოუცდელს ჯარისკაცებს, მიუხედავად მათი გმირობისა, ვერ შეეძლოთ წინააღმ-დეგობა გაეწიათ უზარ-მაზარი რეგულიარული ჯარისთვის, რომელ-საც მოლტკე სარდლობდა. 1871 წელს ყოვლის მხრ დან გარსშე-მორტყმული პარიზი სიმშილითა და ზარბაზნების სროლით დასუსტე-ბული, იძულებული გახდა იარაღი დაეყარა, საფრანგეთსა და გამარ-ჯვებულებს შორის ჩამოგდებულ იქნა რომებითი ზავი, ხოლო 1871 10 მაისს ზავიც რომელსაც ხელი მოაწერეს ქ. ფრანკფურტში. ზავი დადებულ-იქმნა უკვე საფრანგეთსა და გერმანიის იმპერიის შორის; ჯერ ისევ 1871 წლის 18 იანვარს ცერსალის სასახლის ეგრედ წო-დებულ სარკის დარბაზში პრუსიის მეფე ვილჰელმ I გამოცხადებულ იქმნა გერმანიის იმპერატორად. (ცერსალში, პარიზის ალყის დროს, პრუსიის მეფის შტაბი იმყოფებოდა). გერმანიის ყველა სამხრეთის სახელმწიფოები (ჰესენი ბადენი, ვიურტემბერგი და ბავარია). ჩრდი-ლოეთ-გერმანიის კავშირს მიემზრნენ და ამიერიდან გაოცხადდა არ-სებობა გერმანიის იმპერიის, ბისმარკის გეგმა სავსებით განხორ-

ციელდა: სახრეთის გერმანულ მთავრობებს ველარ შეეძლოთ წინა-აღმდევობა გაეწიათ საერთო ნაციონალურ აღფრთოვანებისთვის, რომელიც მთელს გერმანიას მოედო და გაერთიანება მოხდა.

ფრანკფურტის ზავი.

1871 წლის 10 მაისს ფრანკფურტში ხელმოწერილი ზავი უმ-თავრესად შემდეგში მდგომარეობდა:

1) საფრანგეთი გერმანიის იმპერიას უთმობდა ორ თავის პრო-ვინციას: ელზასს და ლოტარინგიის უდიდესს ნაწილს.

2) საფრანგეთი ვალდებული ხდებოდა გერმანიის იმპერიისთვის გადაეხადა ხუთი მილიარდი ფრანგი ოქროს მ ფულის გადახთამდე საფრანგეთის ტერიტორიის ნაწილი გერმანიის ხელში უნდა ყოფი-ლიყო.

3) საფრანგეთი და გერმანია ვალდებული ხდებოდნენ, საგა-რეო ვაჭრობაში ურთიერთ შორის განსაკუთრებულად ხელსაყრელი პარობები დაემყარებინათ. ეს იმასა ნიშნავდა, რომ ამიერიდან თუ საფრანგეთი საბაჟო გადასახადს დაუკლებდა საფრანგეთში შეტანი-ლი ინგლისის, რუსეთის, ან შერიკის საქონელს,—მაშინ ამდენადვე უნდა შეემცირებინა საბაჟო გადასახადი საფრანგეთში შეტანილ გერ-მანულ საქონელზედაც; სწორედ ასევე, თუ გერმანია საბაჟო გადასა-ხადს დაუკლებდა რომელსამე ქვეყნიდან გერმანიაში შეტანილ სა-ქონლს, მაშინათვე გადასახადები უნდა შეემცირებინა საფრანგეთი-დან შეტანილ საქონელზედაც. ეს პირობა გაცილებით უფრო სასარ-გებლო იყო გერმანელებისთვის, ვიღრე ფრანგებისთვის, რადგანაც საფრანგეთს, სადაც მრეწველობა სუსტად იყო დაყენებული, უფრო ნაკლები საქონელი შეჰქონდა გერმანიაში, ვიღრე გერმანიას—საფ-რანგეთში.

ამ ზავმა განსაკუთრებით მტკვენეულად იმოქმედა საფრანგეთ-ზე იმიტომ, რომ მან გერმანიას მისუა ელზასი და ლოტარინგია. გარდა ამ ორი პროვინციის დიდი ეკონომიური მნიშვნელო-ბისა (მდიდარია რეინის მანდენულობით), საფრანგეთის თვის ეს დანაკლისი სახითათო იყო იშათაც, რომ სახლვარი ძალიან უ-ხლოვდებოდა პარიზს და ამიტომ ამის შემდეგ, აბალი ომის დროს გერმანიის ჯარს სრულიად თამამად შეეძლო გაეკლო ვაგენზის მთები და პირდაპირ პარიზისკენ წასულიყო. საფრანგეთის საზოგადოება მას შემდეგ ამ ორი პროვინციის დაყარგვას არასოდეს არ შერიგე-

ა). კურსერი:

ბია. „ელზას-ლოტარინგიის საკითხი“ ერთი იმ საკითხთაგანი იყო, რომელმაც 1914—1918 წ.წ. ომის წარმოშობვას ხელი შეუწყო.

მაშინ, 1871 წლს, საფრანგეთს ზავის ყოველგვარი პირობები უნდა მიეღო და ელზას-ლოტარინგიის დაკარგვას დასთან-ხმებოდა.

VI 1871 წლის 18 მარტის—28 მაისის პარიზის კოშუნა

+ ჯერ ისევ დროებითი ზავის ჩამოგდების დროს საფრანგეთის მთავრობამ გადასწუყიტა, მოეხდინა არჩევნები ნაციონალური კრებისა, რომელსაც ზავის წინასწარი პირობები უნდა დაემტკიცებინა. არჩევნების დროს უმთავრესი საკითხი, რომელიც ამომრჩეველების წინაშე დაისვა, იყო საკითხი: ომი გაგრძელდეს თუ ზავი შეიკრას. ბურუუაზია და გლეხობა საზოგადოდ ზავის დაუყოვნებლივი ჩამოგდების მომხრე იყო. მათ ეშინოდათ როგორც მტრის მიერ მიყენებული ზარალისა, ისე შესაძლებელი სოციალური რევოლუციისა მომავალში, რადგანაც პარიზის და სხვა დიდი ქალაქების მუშათა კლასში დიდი მოელგარება იბადებოდა.

რაიცა შეხეება მუშათა კლასს, ომმა იგი ეკონომიურად სასტიკად დააზარალა. საფრანგეთის მრეწველობაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს აბრეშუმეულობისა, საიუველირო ნივთებისა და საზოგადოდ ფუფუნების საგნების დამზადებას. ომის ზედგავლენით მრეწველობის ამ დარგს გასაფალი აღარა ჰქონდა. უსუშავონბა თვე და თვე ინოდებოდა. მღელუარება პარიზის მუშათა კლასში ჯერ ისევ შემოდგომიდან დაიწყო, რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. მარშალი ბაზენის ჯარის დამარცხების შემდეგ ხომ საქმე უკვე დემონსტრაციულ გამოსვლებამდე მივიდა. ზამთრისა და 1871 წლის პირველი თვეების განმავლობაში მღელგარება ძლიერდებოდა. ფრანგული სოციალიზმის უკიდურესი რადიკალური მიმართულების ზოგიერთი წარმომადგენელი ფიქრობდა, სოციალისტური რესპუბლიკა რომ გამოვაცხადოთ, განვაგრძოთ ბრძოლა მტრის თავდასხმის წინააღმდეგ, რევოლუცია შეიძლება გერმანიასაც მოედოს; მაშინ იმი საფრანგეთის დამარცხებით კი არ გათავდება, არამედ ორი ხალხის—ფრანგებისა და გერმანელების—ძმური შეგობრობის საზეიმო გამოცხადებითო. მუშათა წრეში ომის გაგრძელების ამ საჭიროებას მაშინ თანაგრძნობითა ხვდებოდნენ. გერმანიის იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის საბოლოო განარჯვების აღიარება, ამ თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო: მათი აზრით ეს იმასა ნიშნავდა, გამარჯვებული

და ეტოვებინათ რეაქცია და მთელ ეეროპაში მრავალის ხნით განემტკიცებინათ მილიტარიზმი და კაპიტალიზმი. ამ, ჩიგად, როდესაც არჩევნები სწარმოებდა, სოციალისტური და რადიკალური კანდიდატები ზავის შეკვრას უფრო სასტიკად და უარყოფითად ეპურობოდნენ, ვიღრე ბურუჟაზიული კანდიდატები. ამომტკევლებს (ვლეხობასა და ბურუჟაზიას) არჩევნების დროს კანკიდატების პოლიტიკური რწმენა კი არ აინტერესებდათ, არამედ უმთავრესად საკითხი მათი დამოკიდებულებისა მოსიადმი, ირჩევდნენ იმათ, ვინც დაუყოვნებლად გერმანისთან ზავის ჩამოვდების მომხრე იყო. ნაციონალურ კრებაში არჩეული აღმოჩნდნენ უმთავრესად რეაქციონერები, რომლებსაც სძულდათ არა მარტო სოციალიზმი, არამედ მართვა-გამგეობის რესპუბლიკანური ფორმაც კი. ნაციონალური კრება შეკროვდა ბორდოში, ზავის წინისწარი პირობები დაამტკიცა და პირველ დღეებშივე მარავალ საკითხში თვისი რეაქციონური სულიერი განწყობილება გამოამუდავნა.

ამ დროს კი პარიზში უდიდესი მნიშვნელობის ამბები შზალდებოდა. მუშათა კლასის გაბოროტების უმაღლეს წერტილამდე მივიღა. უშუშავრობა, სიმშრო, გამჭვავებული საკითხი ბინებისა. ხები ნაციონალური კრების მოქმედებისა და სიტყვების შესახებ—ყველაფერი ეს დღითი-დღე ამჭვავებდა და ალელვებდა მუშათა მასხებს, რომლებმაც ეხლახან განიცადეს ხანგრძლივი ალყა და მტრის იერიშები. მუშათა კლასის ნაწილში თანდათან იღვიძებდა მოვონებანი 1848 წლის ივნისის დღეების შესახებ; აზრი სოციალური რევოლუციის შესახებ მუშათა პრესსაში და კრებებზე უფრო მკვეთრად ისახებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ გაბოროტება პარიზის წვრილი ბურჟუაზიის ერთს ნაწილსაც ემჩნეოდა. რესპუბლიკის წვრილი ბურუჟაზიის წრიდან გამოსული მომხრეებიც ნაციონალურ კრებას ნაკლებად ენდობოდნენ და ბევრი მათვანი ცდილობდა საურანგეთის ცალკე ქალაქები და ოლქები ნაციონალური კრებისა და ცენტრალური მთავრობის ზედგავლენისაგან ჩამოუშორებინათ. „საფრანგეთი თვითმართველი კომუნებისაგან“ უნდა შესდგებოდეს“.—ასეთი იყო ლოზუნგი წვრილი ბურუჟაზიის ერთი, რადიკალურად განწყობილი ნაწილისა, 1871 წლის გაზაფხულს. მუშათა წრეებში ამ ლოზუნგს უფრო ჭართო შინაარსს აძლევდნენ: მომავალ კომუნებში ძალიან ბევრი მუშა ხედავდა არა მარტო თვითმართველ თემებს, არამედ კომუნისტურ უჯრედებსაც, რომლებისაგანაც ამიერიდან საფრანგეთი უნდა შემდგარიყო. დასასრულ, პარიზის მოძრაობას (მუშებისა და რადიკალურად განწყობილი ბურუჟაზიის ნაწილის გარდა) მიემზრნენ აგრეთვე ზოგიერ-

თი სამხედრო პირები, რომლებიც აღშუოთებული იყვნენ იმით, რომ ნაციონალურმა კრებამ ზავის პირობები დამტკიცა და გერმანიასთან ომი შესწყვიტა.

ამ რიგად, მარტის დასაწყისში ნაციონალური კრების წინა-აღმდევ პარიზში ძალიან გამწვავებული, გაბოროტებული და მებრძოლი სულიერი განწყობილება შეიქმნა; ჩევოლიუციონური გამოსვლასთვის ბევრი მხათ იყო, თუმცა ყველა ერთი და იმავე სააბოლოო მიზნისკენ არ მიისწრაფოდა, 1871 წლის 18 მარტს პარიზის მუშა ხალხმა მთავრობას არ დაანება ზარბაზნები, რომლებიც ჯერ ისევ იმის დროს მონარტრეში იდგა. ეს წინააღმდევობა ნამდვილ აჯანყებად გადაიქცა: მთავრობის ერთგულმა ჯარებმა ქალაქი დასტოვეს, ჯარისკაცების ნაწილი კი აჯანყებულებს მოემზრო; არეულ-დარეულობის დროს მოკლულ იქმნა ორი გენერალი, სალამოს კი პარიზი ჩევოლიუციის ცეცხლში იყო გახვეული.

ეს ამბავი იყო დასაწყისი საფრანგეთის ისტორიისა და მთელი ქვეყნების მუშათა კლასის ისტორიის დაუვიწყარ დროისა, პარიზის კომიტენისა.

პირველი ორგანიზაცია, რომლის ხელშიაც გადავიდა ძალაუფლება, იყო ნაციონალური გვარდის უცნტრალური კომიტეტია, მაგრამ მალე მოხდა არჩევნები საბჭოში („კომუნაში“), რომელიც უზენაეს ჩევოლიუციონურ ხელისუფლებად უნდა გადაქცეულიყო. არჩევნებში ფაქტოური მონაწილეობა უმთავრესად მცხოვრებთა ჩევოლიუციონურად განწყობილმა ნაწილმა მიიღო, უმრავლესობა სოციალისტური აზრის სხვადასხვა მიმართულების მომბრე აღმოჩნდა. კომუნის ნაწილი მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ ნიადაგზე იდგა; ძალიან შესამჩნევი იყო აგრეთვე გავლენა სხვა (ფრანგი) სოციალისტების იდეებისა; იყვნენ პოლიტიკური რადიკალებიც; რომლებიც სოციალიზმს უარპიონდნენ, მაგრამ ჩევოლიუციონური დიქტატურის დამყარება კი საჭიროდ მიაჩნდათ, ჯერ ერთი, რესპუბლიკის განსამტკიცებლად (ნაციონალური გრების რესპუბლიკანიზმი მათ არა სწამდათ და უპირველესად ყოვლისა მის გარევას აპირებდნენ), მეორეც, გერმანელების წინააღმდევ იმის გასაგრძელებლად.

რაიცა შეეხება სოციალისტებს, მათ შორის (მიმართულებათა განურჩევლად) ძალიან მტკიცედ იყო გავრცელებული აზრი, რომ პარიზის მოძრაობა დაეკავშირებინათ „ინტერნაციონალთან“, რომლის მცნებანიც იყო მსოფლიო პროლეტარული ბრძოლა. ექსპლოატატორების წინააღმდევ.

როგორც უკვე ნათქვამი იყო ზევით, ლოზუნგი მარქსმა მისცა; ეს ლოზუნგი იყო: კველა ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანება საერთო ბრძოლისთვის არსებული ეკონომიური და პოლიტიკური წეს-წყობილების წინააღმდეგ კაპიტალის ბატონობის დასაბმხბად და მშრომელთა სრულს გასანთავისუფლებლად. ინტერნაციონალს, რო-მელიც ამ განთავისუფლებას ამზადებდა, უპირველესად ყოვლისა მთელი ქვეყნის პროლეტარიატი უნდა აღეზარდა იმანირად, რომ ნაციონალური კედლები მუშებისათვის არ უნდა არსებოდდეს, ვი-ნაიდან ერთად-ერთი მტერი—კაპიტალიზმი—საერთო მტერია და მისი დამხობაც საერთო ძალ-ლონით უნდ მოხდეს. ინგლისის სექციის გარდა, „ინტერნაციონალში“ არსებობდა სექციები შეეიცარიისა, ბელგიისა და საფრანგეთისა, 1866 წლიდან „ინტერნაციონალი“ იქრიბებოდა ყოველწლიურად (ჩვეულებრივად შეეიცარიაში, მხოლოდ ერთხელ ბრიუსელები). საფრანგეთში „ინტერნაციონალი“-ს სექცია (რომელსაც იმპერიის დროს პოლიცია სდგვნიდა) მეტად აქტიური იყო. ეხლა, კომიტენის გამოცხადების შემდეგ, „ინტერნაციონალი“-ს ფრანგული სექციის წევრები, რა თქმა უნდა, ცდილობდნენ რაც შე-იძლება მჭიდროდ დაკავშირებოდნენ „ინტერნაციონალს“, რათა იმის შემწეობით ზღდგავლენა მოხდინათ სხვა ქვეყნის, უპირველე-სად ყოვლისა კი გერმანიის სოციალისტებზე. ვაგრამ ეს მედი უნა- ყოფილ გამოდგა. ჯერ ერთი, პარიზი, გარსშემორტყმული მთავრო- ბის ჯარებით, სრულიად მოწყებული იყო დანარჩენი ქვეყნისაგან. მეორეც, პროლეტარიატი გერმანიაში ჯერ ძალიან სუსტი იყო და საზოგადოდ მომზადებული არ იყო იმისპისის. რომ რევოლუცია დაეწყო და გავლენა მოეხდინა მმართველი კლასების პოლიტიკაზე, მით უფრო, რომ ეს მმართველი კლასები ამ უამაღ გაძრუებული იყვნენ. ეხლახან მოპოვებული გამარჯვებით საფრანგეთზე; მესამე(?) ევროპის სხვა ქვეყნებშიაც „ინტერნაციონალს“ ვერ შეეძლო კომიტე- ნის აქტიურად დახმარებოდა. თვით საფრანგეთშიაც ცალკე ქალაქე- ბი შეეცალნენ კომიტენს დახმარებოდნენ, მაგრამ ეს ცდა მაღა ჩაქრეს.

ნაციონალური კრება ბორცოლან ვერსალში გადავიდა. მთავ- რობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ადოლფ ტიერი, რომელმაც თავის თავზე მიიღო ორგანიზაცია ბრძოლისა კომიტენის წინააღმდეგ, საფრანგეთის ჯარი, რომელიც ამ დროს გერმანიის ტყვეობიდან ბრუნ- დებოდა, ტიერს ჩატარდა მას უკვე და ვერსალის არმის აძლიე- რებდა. აპრილის შუა რიცხვებიდან პარიზს უკვე შავი ლრუბლები გადაეფარა.

ამ პირობებში კომმუნარებს უპირველესად ყოვლისა და ცველაზე მეტად ქალაქის დაცვაზე უნდა ეფიქრათ. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ კომმუნის საკანონმდებლო მოღვაწეობა ძალიან ფართო არ იყო. გადაიდო ვადები ბინის ქირის გადახდისა. პრინციპიალურად გადასწყდა ეკლესია სახელმწიფოსაგან ჩამოერთმევიათ, დასახულ იქნა სასკოლო რეფორმა, გაუქმდა მუდმივი, რეგულიალური ჯარი, გადასწყდა საწარმოვა წამოწყებანი ჩამოერთმევიათ იმათვის, ვინც პარიზი დასტოკა და ჭარმოვა შეაჩერა, იმათ კი, ვინც პარიზში დაოჩა, დაუტოვეს. ჩამორთმეული წამოწყებანი ეძლეოდათ მუშებს იმ პირობით, რომ მუშაობა განეახლებინათ. დასახული იყო კიდევ შემდეგი ზომები: 8 საათის სამუშაო დღის დაწესება, ბანკების, დაარსება მუშათა ასოციაციებისთვის; და ბანკებს დახმარება უნდა გაეწიათ ასოციაციებისთვის, რომლებიც წარმოებას თავის ხელში აიღებდნენ. დასახული იყო კიდევ ბევრი სხვა ზომა.

მაგრამ მოახლოვებული საშიშროება, რა თქმა უნდა, კომმუნის მთელს ყურადღებას იპყრობდა. პარიზის ალყა ვერსალის ჯარების მიერ თანდათან მჭიდრო ხდებოდა. ვერსალის გაზეთებისა და თვით ტიერის ტონი ნაციონალურ კრებაში თანდათან უფრო გააფთრებულა ხდებოდა. ცხადი იყო, რომ ახლოვდებოდა საშინელი ბრძოლა და რომ დამარცხებულებს არავთარი დანდობის იმედი არ უნდა ჰქონდათ. ბურუუზიულ გლეხური მასსები პროვინციაში იმდენად ძალიან იყვნენ გამოროტებულნი კომმუნის ტინააღმდევ, რომ წინდაწინვე თხოულობრნენ დაუნდობელ რეპრესიებს.

ალყა შემორტყმულ ქალაქში, მომავალი შეტაკების მოლოდინზი, მთელი ძალა-უკლება იმ პირების ხელში გადავიდა, რომლებსაც ქალაქის სამხედრო დაცვა ჰქონდათ დაკისრებული. რევოლუციონური დიქტატურა კომმუნის უკანასკნელ დღეებში ფაქტურად გამოფებული იყო ქალაქში, რომელიც მტრის იერიშისთვის ემზადებოდა.

1871 წლის მაისის მეოთხე კვირას დადგა აღსასრული. 21 მაისს ვერსალის ქარები ქალაქში ერთსა და იმავე დროს ორი მხრიდან შევიდნენ. დაიწყო გააფთრებული ბრძოლა ქუჩებში. კომმუნარები გმირულ ად იბრძოდნენ, მათი გმირობა მტრებშიაც კი გაოცებას იწევდა. 21 – 28 მაისის აშ კვირას ისტორიაში „სისხლიანი კვირა“ ეწოდება. დღე და ღამ საშინელი ბრძოლა სწარმოებდა; ყოველი ქუჩა, ყოველი უბანი ბრძოლით უნდა აელოთ. ამასთანავე ერთად ვერსალის პრტილერია ქალაქს ზარბაზნებს უშენდა. სისხლიანი კვირის მეორე დღესვე ქალაქში გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც სასახლე ტიულიერი, ბანკი და მრავალი სხვა შენობა სრულიად გადაბუგა: ორივე

მხარეს გაბოროტება უმაღლეს წერტილამდე მივიღა. ტყვე კომმუნა-
ქებს ამ დღეებში გაუსამართლებლად ხერეტინენ, ადგილობრივ. წი-
ნაალმდეგობის უკანასკნელ მომენტში მძევლები დახვრიტეს. ვერსა-
ლის ჯარებმა სისასტიკე უფრო გააძლიერეს. 28 მაისს მთავრობის
ჯარებმა პერ-ლაშეზის სასაფლაოს კედელთან კომმუნარების უკანა-
სკნელი ჯგუფი დახვრიტეს. დღემდის ყოველ წლივ 28 მაისს პერ-
ლაშეზის სასაფლაოს კედელთან იმშრთება დიდი მანიფესტაცია პა-
რიზის ყველა სოციალისტური და კომმუნისტური ორგანიზაციებისა
და ამბობენ სიტყვებს, რომელმდინარეთან თაობას „სისხლიან კვირას“
აგონებენ.

28 მაისს საღამოს ყველაფერი გათავებული იყო. ქალაქი მთავ-
რობის ჯარის ხელში გადავიდა, დაიწყო დატუსალება, სამხედრო სა-
სამართლოები დამარცხებულებს უსწორდებოდნენ. საერთოდ სისხ-
ლიან კვირას ქუჩის ბრძოლებში, სასამართლოში და სასამართლოს
გარეშე დაიღუპა ზოგის გამოანგარიშებით 20 ათასი, მეორეთა გა-
მოანგარიშებით 30 ათასი კუკი. ბერი კიხეში დაამწყვდის, ან კა-
ტორლაში გაგზავნეს. პარიზის კომმუნა სამარადისო მოსაგონარ მოვ-
ლენად დარჩა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი ქვეყნის მუ-
შათა მოძრაობის ისტორიაში.

მარქსი შასში ხედავდა მთავრობის პირველ ცდას, თა-
ვისი მნიშვნელობით უდიდეს ისტორიულ ცდას, რომელმაც, მიუხე-
დავად მარცხისა, მაინც უდიდესი ზედგავლენა მოახდინა იმით, რომ
მუშათა კლასსის თვითშეგნება გააღვიძა და გაანათა მთელს დედა-
მიწაზე.

ა. ვ. გ.

თავი მესამე

ევროპის დიდი სახელმწიფოები 1871 წლიდან ან-
ტაციის შექმნაგღვ.

I საერთო შენიშვნები.

X 1870—71 წ. წ. იყო დასაწყისი ახალი პერიოდისა ევროპის ისტორიაში. საფრანგეთის დამარცხებამ და საფრანგეთის მესამე რეს-პუბლიკის აღმოცენებამ (1870 წლის 4 სექტემბერს) გერმანის სრულ-მა გამარჯვებამ და გერმანიის იმპერიის. გამოცხადებამ (1871 წლის 18 ინგარს) საფუძველი ჩაუყარეს სრულიად ახალ ურთიერთობას დიდ სახელმწიფოთა შორის.

პირველი ადგილი გერმანიამ დაიჭირა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება ყოველის ათის წლით სულ ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა. დანარჩენ სახელმწიფოთა პოლიტიკა იძულებული ხდებოდა იმ ფაქტისთვის ანგარიში გაეწია და მას შეჰველებოდა. საკურო-სამრეწველო კაპიტალის ზრდა ამ ხანაში, ე. ი. მე-19-ე საუკუნის მე-30-ე ელიტადში და მე-20-ე საუკუნის პირველ წლებში, ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოში ახალ-ახალი კოლონიების მოპოვების, ნედლი მასალის და ნაწარმოებთა გასასალებული ბაზრების დაპყრობის მოთხოვნილების იწვევდა. ამის გამო საკურო-სამრეწველო კოლონიალური ქიშპობა ყოველი ათეული წლით მწვავდებოდა, და კაპიტალისტურ ძალთა ჩეარი ზრდა მზათ იყო „მშვიდობიანი“, დიპლომატიური ბრძოლა სამხედრო ბრძოლათ გადაექცია.

მდგომარეობას განსაკუთრებით ორი გარემოება. ამწვავებდა ჯერ ერთი, მთელი ქვეყნის ექსპლოატაციისთვის ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი აღგილები, რომლებიც აქამდის თავისუფალი იყენენ, დიდ-მა სახელმწიფოებმა სწორედ მე-19-ე საუკუნის უკანასკნელ 30 წ. და მე-20-ე საუკუნის პირველ წლებში გაიყვეს და დაინაწილეს. თითქმის აღარაფრის გაყოფვა არ შეიძლებოდა, ამიტომ იძულებული ხდებოდნენ მეზობლისთვის ტეხნიკის საშუალებით წაერთმიათ ის, რაც მას უკვე დაკავებული ჰქონდა. მეორეც, ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს კიდევ ერთი ძლიერი და მომქმედი კონკურენტი მოექ-

მატა—ამერიკის შეერთებული შტატები (ჩვენში ხშირად უწოდებენ ჩრდილოეთ—ამერიკის შეერთებული შტატები, თუმცა ეს ოფიციალური სახელწოდება არ არის).

შეერთებული შტატები მსხვილ მრეწველობის შექმნის პროცესს სწორედ მე-19-ე საუკუნის ნახევარში განიცდიდნ ენ. 1860—63 წლებში იქ სწარმოებდა შინაური ომი, რომელიც „სამხრეთის“. მიწადმფლობელების (მონათა პატრონების-პლანტატორების) და „ჩრდილოეთის“—სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის ინტერესების წარმომადგენლების— ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგობებით იყო გამოწვეული. ბრძოლა ჩრდილოეთის გამარჯვებით დამთავრდა, და შეერთებული შტატები სამრეწველო განვითარების უზას უფრო აჩქარებულის-ნაბიჯით დაადგა, ვიდრე ამ შინაურ იმამდე მიღიოდა. მე-19-ე საუკუნის დასასრულს შეერთებული შტატები უკვე ერთი ულიდესი სამრეწველო ქვეყანათაგანი იყო მთელს დედამიწის ზურგზე. მეტად მდიდარი ნიადაგი, დაუშრეტელი სიმდიდრე მინერალური სათბობი მასალისა და ყოველგვარი ნეფლი მასალისა, მომქმედი მოსახლეობა, რომელიც ევროპიელი ემიგრანტების განუწყვეტელი გადასახლების გამო დიდის სისწავით იზრდებოდა, — ყველა ეს პირობები შეერთებულ შტატებს უჰლიდეს ეკონომიურ ძალადა ხდიდა. უპირველეს ყოვლისა ამერიკულმა მრეწველობამ ჩრდილოეთ-ამერიკის უზარ-შაზარი შინაური ბაზრიდან ევროპიული საქონელი სრულიად განდევნა. შემდეგ, ჩრდილოეთ-ამერიკის კაპიტალმა ევროპიელები სრულიად განდევნა შეუდარეს და სამხრეთ ამერიკიდან. დასასრულ, ამერიკელი მრეწველები ჩინეთშიც შეიკრენენ და აქაც მოქმედება გააკეთებელეს.

ამ მიზეზებმა: 1) ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი კოლონიების დაპყრობამ და განაწილებამ და 2) ჩრდილოეთ-ამერიკის კაპიტალის შეჯიბრებამ ეკონომიური ბრძოლა ევროპიელ სახელმწიფოთა შორის მე-19-ე საუკუნის დასასრულს უფრო მეტად გაამწვავა. შორეული ნიშნები კატასტროფისა თანდათან უფრო ნათლად მოსჩანდა. რაიცა შეეხება ევროპის სახელმწიფოთა შინაურ განვითარებას ამავე ხანაში, ამის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას. გერმანია-შიც, ინგლისშიც, საფრანგეთშიც, ავსტრიაშიც მიწადმთლობელი თავად-აზნაურების წარმომადგენლები უკვე აღარ ებრძოდნენ კაპიტალისტურ ბურჟუაზიას, რომელმაც სახებით გაიმარჯვა მათზე; ისინი ცდილობდნენ ამ ბურჟუაზიას და კავშირებოდნენ იმნაირად, რომ ეს კავშირი ყველა შეძლებული კლასებისა დაპირისპირებოდა პროლეტარიატს. საფრანგეთში, გერმანიაში, ნაწილობრივ აცსტრიაში შეძლებულ კლასების მესაკუთრე გლეხობაც მიემხრო. არა მესაკუთრე

გლეხები კი, ცხადია, ცდილობდნენ ჟველგან, სადაც კი თვითშეგნება და შეკავშირება საშუალებას აძლევდა, პროლეტარულ მოძრაობას მიმხრობოდნენ.

დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობაშიც ამ დროს ახალ ხანში შესდგა ფეხი. უპირველესად ყოვლისა, ინგლისში და გერმანიაში, უფრო ნაკლებად ავსტრიასა, იტალიასა და საფრანგეთში მუშათა კლასის ჩიქენით იზრდება, ორგანიზაციულად ძლიერდება, კლასიური თვითშეგნების მხრით მტკიცდება, პრესსითა და პარლამენტის ტრიბუნით უფრო მეტადა და მეტად სარგებლობს თავისი იდეების პროპაგანდისთვის, აქა იქ სოციალისტები მუნიციპალიტეტში და ადგილობრივ თვითმმართველობათა სხვა ორგანოებშიც ჩნდებიან. საპარლამენტო ცხოვრებაში მათ უკვე სერიოზულ ანგარიშს, უწევენ. ფეხით მუშათა კლასსში და სოციალისტურ მოძრაობაში, რომელიც მუშათა მასსებს საბოლოოდ დაეუფლა, სწორედ ამ წლებში (მე-19-ე საუკუნის უკანასკნელი ვე წლიწადი და 20-ე საუკუნის პირველი წლები) ერთგვარი აზრთა სხვა და სხვაობა დაიბარა: ზოგი უმთავრესს მნიშვნელობას წმინდა ეკონომიკურ პროცესიონალურ, პროცესი აკუთხნებდა, არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებას უსისხლხორცებოდა და ყველაზე ნაკლებად ის აინტერესებდა, რომ არსებოლი წესწყობილება რევოლუციონური გზით დაემხო; სხვებს კი საჭიროდ მიაჩნდათ მაგრა ჩაეჭიდათ ხელთ სოციალიზმის რევოლუციონური ტრადიციისთვის, 1848 წლის და ვანსაკუთრებით კი 1871 წლის პარიზის კომმუნის მოგონებისთვის — არა სურდათ ყოველდღიური ბრძოლით პროცესიონალური ინტერესებისთვის საბოლოო მიზნები სოციალური გადატრიალებისა და ერთობლიათ. საგარეო პოლიტიკის სფეროში პირველი ჯგუფი (ზომიერები, მემარჯვენე სოციალისტები, „რევიზიონისტები“) მერყევ პოზიციაზე იდგნენ. ერთის მხრით, იგი უარყოფითად ეყრდნობოდა ომს, რომელიც, როგორც უკვე მაშინვე თამაზდ შეიძლებოდა თქმულიყო, სხვა და სხვა ქვეყნის კაბიტალისტების კონკურენციის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო; მეორეს მხრით, ეს ჯგუფი თავის თავის მეტად შესისხლხორცებულად გრძნობდა გარემოცულ ნაციონალურ წრესთან; ამიტომ ცხადი იყო, რომ, თუ ომი დაიწყებოდა, ამ ჯგუფისთვის მუშათა კლასის ინტერესები გამარჯვების ინტერესებში გაითქვიფებოდა. მეორე ჯგუფი (მემარცხენე, რადიკალურად განწყობილი, „ორტოდოქსალური“) მომხრე იყო აქტიური ბრძოლისა, საბოტავისა მოის წინააღმდეგ; თუ საჭიროება მოითხოვდა, ის მხათ იყო რევოლუციონური აჯანყება მოეხდინა საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ;

თუ იგი მის დაწყებას განაზრახავდა. ორივე ჯვუფი ურთიერთ შორის საერთაშორისო სოკიალისტურ კონგრესზე იბრძოდა, მაგრამ მათ ერთ-მანეთის დაჯერება ვერ შესძლეს. მეორე ინტერნაციონალი, რომელიც პარიზში, 1889 წელს აღმოცენდა (მას შემდეგ, რაც პირველი ინტერნაციონალის მოქმედება მე-70-ე წლების დასასრულ და მე-80-ე წლების დასაწყისში შესწყდა), 1914 წლის ომს მუშადებელი დახვდა, მას მტკიცე და თავისი წევრებისთვის სავალუბულო მოქმედების გეგმა არა ჰქონდა.

ასეთია საერთო ხასიათი ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების შანური და გარეშე პოლიტიკური ცხოვრებისა 1871 წლის შემდეგ: ესლა განვითილოთ თვითეული მათვანი ცალ-ცალკე.

II გერმანია 1871 წლის ომიდან მე 20-ე საუკუნის დასაწყისამდე

გერმანიისთვის მე 19-ე საუკუნის უკანასკნელი ოცდათი წელი-წადი უდიდესი, მეტად ჩეარი ეკონომისტია გაძლიერების დრო იყო. ინგლისელი ჯილკრაისტის შესანიშნავია ტენიკურმა გამოგონებამ (1879 წ.), რომელიც საშუალებას იძლეოდა რკინის მაღანი ვაეწმინდა და მაგნე ნაწილები მოეცილებინა, — გერმანიის ფოლადის მრეწველობა მე 19-ე საუკუნის მე 8^ი ე წლებიდან გასაოცარის სისწაფით განვითარა. რურისა, რეინის, ოლქისა და სილეზიის ქვენაბშირის მაღნები ამ მრეწველობის განვითარებას ძალიან ხელს უწყობდა. დიდი და იაფი წარმოება უოველგვარი მანქანებისა თავის მხრით, ხელს უწყობდა აქსოვ-საფეიქრო და სხვა გვარი მრეწველობის განვითარებას. გერმანია თანდათან სამრეწველო ქვეყნადა ხდებოდა. ქარხნების რიცხვი საათობით იზრდებოდა; მოსახლეობა თანდათან სოფლებიდან ქალაქებში გადადიოდა. გერმანიის კაპიტალები ამ დროს უმთავრესად მრეწველობას, რკინის გზის აღმშენებლობას და ფლოტს ხმარდებოდა. მსხვილი მრეწველობა წვრილი და საშუალო შჩეწვლობის ადგილს იჭერდა; საქონლის სიმრავლით და სიიაფით გერმანელებმა ინგლისელები უკვე განდევნეს მრავალი ისეთი ბაზრიდან, სადაც დიდი ხანია ინგლისელები იყვნენ გაბატონებულნი.

გერმანიის ბურჟუაზიის სავაჭრო წრეები სამოწველო წრეებს დიდს დახმარებას უწევდნენ; გერმანიაში ისეთი სავაჭრო საწყობები იმართებოდა, ბითუმი ვაჭრობა იმნაირად იყო მოწყობილი, სავაჭრო

ურთიერთობანი შორეულ ქვეყნებთანაც ისე მოეწყო, რომ თამამდა შეიძლება ითქვას, გარეშე გერმანელი ვაჭრისა გერმანული მრეწველობა თავისთვის ასე მალე ამდენ ახალ ბაზარს ვერ გაიჩინდა. გერმანის მოსახლეობის ჩარი ზრდა მის ეკონომიურ გაძლიერებასა და მისი მრეწველობის აყვავებას ხელს უწყობდა. გაერთიანების შელიწადს გერმანიაში 40 მილიონამდე სული ცხოვრობდა; 1882 წელს 45¹/₄ მილიონი იყო; 1895 წ.—51³/₄ მილიონი; 1907 წ.—61³/₄ მილიონი; 1914 წლის ომის დაწყებამდე 167 მილიონი, ამ რაცხვიდან 40⁰/₀ მეტი სამრეწველო შრომით ცხოვრობდა, 20⁰/₀ ასე თუ ისე მრეწველობით იკვებებოდა. მაშასადამე, გერმანის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი 1914 წლის ომის წინა წლებში მრეწველობითა ცხოვრობდა. რაიცა შეეხება ვაჭრობას, ვაჭრებისა და სხვადასხვა სავაჭრო მოსამსახურეთა რიცხვი გერმანიაში აგრეთვე იზრდებოდა. ოჯახობასაც თუ ვიანგარიშებთ, ვაჭრობით გერმანიაში სცხოვრობდა. 1882 წლის აღწერით მცხოვრებთა ნაწილი, 1/₁₀ 1907 წლის აღწერით — 1/₇ ნაწილი.

საზოგაოობდ, 1871 წლიდან მცხოვრებლებმა სოფლიდან ქალაქში გადასვლა დაიწყეს. 1871 წელს მცხოვრებთა თითქმის 36⁰/₀ ქალაქებში ცხოვრობდა, 64⁰/₀,—სოფლებში, ოციოდე წლის შემდეგ კი ქალაქებში უკვე 54⁰/₀ სცხოვრობდა, ხოლო სოფლებში — სულ 46⁰/₀. 1900 წლიდან ქალაქის მოსახლეობა კვლავ იზრდებოდა, ხოლო სოფლისა კლებულობდა.

მაგრამ გერმანიის გარდაქმნამ სამრეწველო ქვეყნად სოფლის მეურნეობა არ დაღუპა. საზოგადოდ, ძველი თავად-აზნაურული მიწადმთლობელობა არამც ტუ დარჩა და მომავრდა, არამც გამდიდრებული ბურჟუაზიის ნაწილიც დიდის ხალისით აბანდებდა თავის კაპიტალებს მიწაში და ფართო ნიადაგზე აყენებდა სოფლის მეურნეობას. ამ სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიამ, რომელსაც მესაკუთრე გლეხებიც მიემხრები, მიწადმთლობელობის ინტერესების დასაცავად, „სოფლის მეურნეთა“ ვანსაკუთრებული „კავშირი“ შექმნეს. „სოფლის მეურნეთა კავშირში“ ძველი თავად-აზნაური მემამულეებიც შევიღნენ. მრეწველები, ვაჭრები, მუშები, მოხელეები, სავაჭრო მოსამსახურეები — ქალაქებში; სოფლის მეურნეები — მიწადმთლობელები და ბოგაოები — სოფლებში, ის უმთავრესი კლასსები გერმანიის საზოგადოებისა.

გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა გაერთიანების შემდეგ. იმპერიის კონსტიტუცია, პოლიტიკური პარტიები.

სანამ იმ პოლიტიკური პარტიების დახასიათებას შევუდგებოდეთ, რომელებიც საზოგადოების ყველა ამ კლასების სხვადასხვანაირი ინტერესებს იცავდნენ, გავიხსენოთ, რანაირი იყო კონსტიტუცია ამ ქვეყნისა.

1. უმთავრესი საფუძვლები კონსტიტუციისა, რომელიც გერმანიაში 1871 წლის იმპერიის დასაწყისიდან მის განადგურებამდე და 1918 წლის დასასრულამდე მოქმედებდა, ასეთი იყო:

გერმანიის იმპერია შესდგებოდა 25 გერმანული სახელმწიფო-საგან, რომელთა სათავეშიაც პრუსსია იღვა. პრუსიის მეფე ამავე დროს გერმანელი იმპერატორიც იყო. ყველა სახელმწიფოები, რომელებიც იმპერიაში შედიოდნენ, თავიანთ წარმომადგენლებსა გზავნიდნენ საკავშირო საბჭო; საბჭო მათ კაცისაგან შესდგებოდა. იმპერატორისა და საკავშირო საბჭოს გარსა, საერთო საიმპერიო საქმეებს განაგებდა რეიხსფაგი, რომელსაც საყოველთაო საარჩევნო წესით ხუთი წლით ირჩევდნენ და 397 კაცისაგან შესდგებოდა. ყველი კანონ-პროექტი, სანამ იგი კანონად გახდებოდა, რეიხსტაგსა და საკავშირო საბჭოს უნდა მიეღო. მთელი აღმასრულებელი ძალა იმპერატორის ხელში იყო. იგი წიშნავდა საიმპერიო კანცლერსა და მინისტრებს, რომელებიც პოლიტიკურად მხოლოდ მის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. იმპერატორი ამასთანავე ერთად იყო უმაღლესი. სარდალი მთელი გერმანული არმიისა; იმპერიის მოელი საგარეო პოლიტიკის წარმოება ავრევე მასზე ცვლილებელი.

იმპერატორი, საკავშირო საბჭო და რეიხსტაგი—აი საში ორგანო საერთო საიმპერიო ხელისუფლებისა. მათს გამგებლობაში იყო საერთო საიმპერიო ფინანსები, დიპლომატია, ჯარი, საბაჟო პოლიტიკა, იმპერიის საფოსტო-სატელეგრაფო ურთიერთობანი, დასასრულ, კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობის ყველა საქმეები, რომელიც მთელ იმპერიას შეეხებოდა. მაგრამ ყოველ სახელმწიფოს, რომელიც იმპერიაში იყო შესული, შენარჩუნებული ჰქონდა თავისი საკუთარი საკანონმდებლო დაწესებულებანი და თავისი მონარქები, შენარჩუნებული ჰქონდა სავსებით მთელი ძალა-უფლება თავის შინაური საქმეების მართვა-გამგეობაში.

ამისდამიუხედავად, საერთო საიმპერიო ხელისუფლება, განსაკუთრებით იმპერატორი და რეიხსტაგი, უმთავრესს, საერთო მიმართულებას აძლევდნენ. იმპერიის არა მარტო მთელ საგარეო პო-

ლიტიკას, არამედ უცეტეს წილად მის შინაურ პოლიტიკასაც. თუ გბენ-და გავიგოთ, რანაირი იყო ამ ხანში გერმანიის პოლიტიკური ცხოვ-რება, უმთავრესი ყურადღება იმპერატორის პოლიტიკასა და რეიბ-სტაგის პარტიულ ძალთა ურთიერთ განწყობილებას უნდა მივაქ-ციოთ. განვიხილოთ, რანაირი პარტიებისგან შესდგებოდა გერმანიის რეიბსტაგი.

2. თავად-აზნაურულ მიწადმფლობელთა და მრავალი საგვარეუ-ლო მიწადმფლობელობის წარმომადგენელი იმპერიის დასაწყისიდანვე კონსერვატორების პარტია იყო. მსხვილი მრეწველობის ინტერესებს უმეტეს წილად ნაციონალ-ლიბერალების პარტია იცავდა. სავაჭრო-ფინანსიური კაპიტალი, წვრილ და საშუალო ბურჟუაზიის ნაწილი უფრო ხშირად მხარს უჭერდა თავისუფლად მოაზრეთა პარტიის, ნა-წილობრივ კი „ცენტრის“ კათოლიკურ პარტიის. წვრილ და საშუა-ლო ბურჟუაზია ზოგჯერ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი პარტიული ჯგუფებითაც იყვნენ წარმოდგენილი. მესაკუთრე გლეხობა გერმა-ნის ცველა კათოლიკურ ქვეყანაში იმავე ცენტრის პარტიის იცავდა; დასასრულ, მუშათა კლასის წარმომადგენელი იყო სოციალ-დემო-კრატიული პარტია. ასეთი იყო გერმანიის უმთავრესი პარტიები. ცველაზე მრავალრიცხოვანი ბურჟუაზიული პარტია იყო ცენტრის პარტიია, რომელიც თავის გარშემო აგროვებდა წვრილსა და საშუა-ლო ბურჟუაზიის ნაწილს და გლეხობას; უკანასკნელ რეიბსტაგში (1914 წლის ომის წინ) მათ ეჭირათ 93 ადგილი (სულ რეიბსტაგში 397 კაცი იყო). კონსერვატორებმა, რომლებსაც 1871 წელს 94 ად-გილი ჰქონდათ, 1887 წ.—121 ადგილი, —1912 წ. სულ 58 ადგილი მიიღეს*). ნაციონალ-ლიბერალებს იმპერიის პირველ წლებში 125 ად-გილი ჰქონდათ, 1874 წელს 155 ადგილი, 1887—99, 1912 წელს არჩეულ რეიბსტაგში კი მხოლოდ 44 ადგილი მიიღეს; დასასრულ, თავისუფალ მოაზრებს უკანასკნელ (1914 წლის ომის წინ) რეიბ-სტაგში 41 ადგილი ჰქონდათ.

გადავდივართ სოციალ-დემოკრატების პარტიაზე. გერმანიის მუშათა კლასში სოციალისტურ მოძრაობას ჯერ ისევ მესამოცე წლებში მტკიცე საუფეხელი ჩაუყარა გამოჩენილმა მოაზროვნემ და აგიტა-ტორმა ფერდინანდ ლასსალმა. 1862 წლიდან დაწყებული, განსაკუთ-რებით კი 1863 წ. იგი აყალიბებს თავის აზრებს კერძო საკუთრების ნაძალადევი ჩამორთმევის შესახებ კოლლექტივის უფლებათა სასარ-

*.) მე ვთვლი კონსერვატიზმის ორგვე ფრაქციას: 1 „გერმანელ კონსერვა-ტორებს“ და „თავისუფალი კონსერვატორების საიმპერიას პარტიას“.

გებლოდ, რაღიკალური დემოკრატიის პოზიციიდან საბოლოოდ სო-
ციალისტის პოზიციაზე გადადის და დაუყოვნებლივ რაღიკალური
რეფორმების სასაჩვენებლოდ ფართო აგიტაციას იწყებს; მოითხოვს
საყოველთაო საარჩევნო უფლებას და პროპაგანდას ეწევა პროლე-
ტარიატის სოციალური განთავსუფლების ჯერ კიდევ შორეული
იდეის განსახორციელებლად. ლასალი გერმანიის უმთავრეს სამრე-
წველო ცენტრების უზარ-მაზარ მიტინგებზე გამოდიოდა, თავისი კა-
თელრის გარშემო აუარებელ მუშებს აგროვებდა და თავისი შესანიშ-
ნავი ორატორული ნიჭით მუშების გულს ამლელვარებდა. ლასალის
აგიტაციამ (და მსთან პირადად მოლაპარაკებამ) გავლენა მოასალინა
ბისმარქზე ომელმაც, ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირის კონსტიტუ-
ციაში (1867 წ.) და გერმანიის კონსტიტუციაში (1871 წ.) შეიტანა
საყოველთაო, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება, რაღა-
ნაც აძით სურდა მუშათა მასები გაერთიანებულ გერმანულ სახელ-
მწიფოსთან დავაგმირებინა. ლასალის მიერ შექმნილი და გაძლიე-
რებული ორგანიზაცია „მუშათა სრულიად გერმანიის კავშირი“ შემ-
დეგი დროის გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან
შედარებით, ძალიან მცირე რიცხოვანი იყო, მაგრამ თავისი დროის-
თვის მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ლასალის აგიტაციამ გერ-
მანიის მუშათა მასები ლრმად შეარყია, ამ პროპაგანდის აყვავების
წლები (1863-64) მუშათა მოძრაობის ისტორიაში არასოდეს არ და-
ვიწყება. 1864 წლის ზაფხულს ლასალი დუელში მოჰკლეს. მისი
ხსოვნა გერმანიის მუშათა კლასში დღესაც ცოცხალია.

ლასალის შემდეგ მუშათა კლასის ორგანიზაციის იდეა გერმა-
ნიაში აღარ მომკვდარა. მაგრამ ეს იდეები განსაკუთრებით გაითვრუ-
ჩენა გერმანიის გაერთიანების შემდეგ, როდესაც დიდის სისწავეთ
გაიზარდა გერმანული მრეწველობა და მუშათა კლასი. გერმანული
მრეწველობის ზრდასთან ერთად სოციალ-დემოკრატიული პარტიაც
იზრდებოდა. „საყოველთაო საარჩევნო უფლების დროს, ცხადია, ყო-
ველი ახალი ქარხანა ნაციონალ-ლიბერალების და კონსერვატორების
პარტიის ერთ ხმას აძლევდა, სახელდობრ, ქარხნის პატრონის ხმას,—
მუშების ყველა ხმას“, ასე ხსნიდა საქმის მღვმარეობას გერმანიაში
ომის წინა ხანებში შვეციის ერთი სოციალისტი.

პირველ რეისსტაგში, 1871 წელს, მხოლოდ ორი სოციალ-დე-
მოკრატი იყო, 1881 წელს — 12, 1884 წ. — 24, 1898 წ. — 56, 1914
წლის ომის წინ კი 110 კაცი. მათი რიცხვი გაცილებით უფრო მეტი
იქნებოდა, საარჩევნო კანონი რომ საესებით სამართლიანა ყოფილი-

ყო და ქალაქებს რომ შესძლებოდათ იმდენივე დეპუტატის აოჩევა, რამდენსაც სოფელი ირჩევდა (ამისდამიუხედავად განზრას სოციალ-დემოკრატების დასასუსტებლად, ქალაქში უფრო ნაკლები საჭრევნო უბანი იყო დაწესებული, ვიღრე სოფელში): რომ დაითვალოს ხმები, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულმა კანდიდატებმა 1912 წლის არჩევნების დროს მიიღეს (უკანასკნელი არჩევნები ომის წინ), აღმოჩნდება, რომ დაახლოვებით $11\frac{1}{2}$ მილიონი ხმიდან სოციალ-დემოკრატებმა 4.250.000 ხმა მიიღეს.

ბისმარკის შინაური და საგარეო პოლიტიკა 1871—1890 წ.წ.

გერმანიის იმპერატორის ხელისუფლება ძალიან დიდი იყო და ფრიად მტკიცე საფუძვლებს ემყარებოდა. ყველა ბურგუაზიულ პარტიას, მიუხედავად ელფერის სხვადასხვაობისა, სოციალ-დემოკრატიის მეტად ჩქარი გაძლიერებისა ეშინოდა და სრულიადაც არა ცდილობდა იმპერატორის ძალა-უფლება განესაზღვრა და რეიხსტაგის მნიშვნელობა აემაღლებინა. ძლიერ მონარქიულ ტრადიციებში, რომლებიც გერმანიაში და განსაკუთრებით კი პრუსიაში შერჩა, ბევრი საიმედო დასაყრდნობსა და სოციალური რევოლუციისაგან დასაცავ საშუალებასა ხედავდა. სასახლე, სახელმწიფოს უმაღლესი ადგილები, საარდლობა, ოფიციელების აღვილები საუკეთესო პოლკებში,— ყველაზერი ეს კვლავინდებურად თვალისწინების სახლში იყო; მემარცხენე ბურგუაზიული პარტიები წუწუნებდნენ, მაგრამ ძალიან თავდაჭრილად იყვნენ, გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების სრულიადაც არ აპირებდნენ. ისინი სიცართს მოელოდნენ არა მარჯვნიდან, თავადაზნაურობიდან, არამედ მარცხნიდან, მუშათა მხრიდან; თუმცა თავისუფლად მოაზრენი, მაგ., მორთხოვდნენ კანცლერისა და მინისტრების პრაქტიკაში მდგრადობას არა იმპერატორის, არამედ რეიხსტაგის წინაშე, მაგრამ არც ერთხელ არ უცდიათ ამ მიზნის განსახორციელებლად ენერგიულათ ებრძოლათ. ამ რიგად, იმპერიის დასასრულამდე არ განხორციელებულა აუც ურთი რეფორმა, რომელსაც უოტა მაინც რომ შეეძლება იმპერატორში ძალა-უფლება. იმპერიის დასაწყისიდან, 1871 წლიდან 1890 წლის მარტამდე, მთელის საგარეო და შინაურ პოლიტიკას კანცლერი თავადი ბისმარკი განაგებდა. სახელმწიფოს შიგნით იგი ცდილობდა უფრო მეტად გაეძლიერებინა მონარქიული ხელისუფლება და საბოლოოდ განემტკიცებინა სახელმწიფოს მთლიანობა. მან, მაგ., სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა კათოლიკის სამღვდელოებას, რადგანაც ეჭვობდა, რომ ეს სამღვდელოება

იმპერიის მთლიანობის წინააღმდეგ ინტრიგებს აწარმოებდა. ეს ბრძოლა რა მაღვინიმე წელიწადს გრძელდებოდა; ბოლოს ბისმარქი იძულებული გახდა უკან წაეღო ის შემზღვეველი ზომები, რომლებიც მან შემოიღო.

იგი საჩქაროდ შეურიგდა კათოლიკებს იმატომ, რომ მე-70-ე წლების დასასრულიდან და მე-80-ე წლების დასაწყისიდან მას სოციალ-დემოკრატიის გაძლიერების შიში დაეხადა. იმპერატორი ვილ-ჰერმ I მოკვლა ორჯერა სცადეს. ბისმარქმა ამ შემთხვევით ისარგებლა და რეიხსტაგში (1878 წ.) გაიყვანა განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, რომლის შემდეგაც ალკრძალულ იქმნა სოციალ-დემოკრატიული კრებები, პარტიული პრესსა და სხვა. ამ კანონმა 11 წელიწადი იარსება. საბაჟო პოლიტიკაში ბისმარქი შეიძლება ყოფილი განახობის შემდეგ, პროტექციონისტი გახდა, ე. ი. გერმანიის ბაზრითან უცხოელების საქონელს სდევნიდა, რათა ამით გერმანული მრეწველობის გაძლიერებისთვის ხელი შეეწყო. ამასთანავე ერთად რეიხსტაგში მან განახორციელა რამოდენიმე წლება სოციალური კანონმდებლობისა, რომლებიც მუშათა კლასების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული (ამ ზომებით მას სურდა მუშების დამოკიდებულება მონარქიული ხელისუფლებისადმი გაუმჯობესებინა). ასე, მაგალითად, განხორციელდა სამი კანონი მუშათა სავაჭლდებულო დაზღვევისა (სიბერისა და ავადმყოფობისგან) და კრდევამოდენიმე კანონი ამ გვარივე ხასიათისა. გერმანიის სავაჭლო წრეები ბისმარქსა სთხოვდნენ, იმპერიისთვის კოლონიები მოეპოვებინა, მაგრამ იგი კარგა ხანს ამ სურავილს წინააღმდეგობას უწევდა. მას, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა, რომ დიდის სისწრაფით განვითარებული მრეწველობის წარმომადგენლების თვალსაზრისით კოლონიები საჭირო იყო, მაგრამ მას არა სურდა ინგლისს გადაჰყიდებოდა. მართალია, ბოლოს მან დაუთმო — და გერმანიამ მე-80-ე წლებში შეიძინა რამდენიმე კოლონია აფრიკაში (კამერუნი, „სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა“, „აღმოსავლეთი აფრიკა“, რამდენიმე კუნძული აფრიკალიასა და ახალი გვინეისთან), მაგრამ ყველაფერი ეს მოპოვებულ იქმნა შვიდობინად, არავითარი დავა არ მოსვლია არც ინგლისთან, არც რომელიმე სხვა ეკრიპტულ სახელმწიფოსთან.

საქმე იმაშია, რომ, თუმცა ბისმარქმა ერთხელ რეიხსტაგში სთქვა „ჩვენ, გერმანელებს, ლერთის გარდა, არავისი გვეშინიან“, მაგრამ ნამდვილად თავისი პირმშოს, გაერთიანებული გერმანიის ძალაან შიში ჰქონდა. მას ეშინოდა საფრანგეთის გაჯიუტებული სიძულვილისა, ეშინოდა რუსი იმპერატორის ალექსანდრე III მტრული განწყობილე-

ბისა, ეშინოდა საფრანგეთისა და რუსეთის კავშირისა და აი, სწორეთ ამიტომ არა სურდა ახალი მტრები გაეჩინა. იმას გარდა გერმანიაში არავის ესმოდა, რამდენად სახითათო იყო გერმანიის მდგომარეობით (იგი ევროპის ცენტრში იმყოფებოდა, ორი დიდი სახელმწიფოს შუა) და რამდენად ფრთხილად უნდა მოქცეულიყო, რომ ასე ბეჭნიერად მოპოვებული შეენარჩუნებინა.

მან მოიმარჯვა მთელი ძალა თავისი დიდი ჰქონისა, რათა გერმანია დაეფარა იმ საშიშროებისგან; რომელიც გარს ერტყა. საფრანგეთის საშიშროების შესასუსტებლად ბისმარკი ფრანგებს აქტიური კოლონიალური პოლიტიკისკენ იწვევდა: მას იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთის ახალი კოლონიები (ტუნისი, ინდო-ჩინეთი, კონგო, ცენტრალური აფრიკის მიწები), ერთის მხრით, საფრანგეთის ნაციონალურ თავმოყვაოებას დააშოშმინებს და, ელჩასისა და ლოტარინგიის დაკარგვას დაავიწყებინებს, მეორეს მხრით კი, იმედი ჰქონდა; რომ ეს კოლონიალური ავანტიურები საფრანგეთსა და ინგლისს წაპკიდებდა. რუსეთის საშიშროების შესასუსტებლად ბისმარკმა გერმანიისა და აქსტრიის კავშირი შექმნა, ამ კავშირს მიემხრო იტალია — და ამ გვარად შეიქმნა „სამთა კავშირი“ (1882 წ.)

სანამ მოხუცი იმპერატორი ვილჰელმ I ცოცხალი იყო, ბისმარკი გერმანიის პოლიტიკის სრულ ბატონ პატრონად აჩებოდა. მაგრამ 1888 წელს ვილჰელმ I გარდაიცვალა, სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეკვიდრე შვილი ფრიდრიხ III და ტახტზე ავიდა 30 წლის ვილჰელმ II შვილი ფრიდრიხ III და შვილის შვილი ვილჰელმ I.

ვილჰელმ II ზერელე და სუსტი ჰქონის ადამიანი იყო, თუმცა სხვა და სხვა ცნობებს მეცნიერებიდან და ხელოვნებიდან ადვილად ითვისებდა; იგი დაწერილმანებული ბუნების ადამიანი იყო, თავმოყვარე, მხდალი საშიშროების დროს, მაგრამ ტრაბახა და გულზეიადი მაშინ, როდესაც თავის თავს მძლავრადა ჰგრძნობდა. თავისი მაშინველობის შესახებ მას გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა. გულუბრყვილოდ სწამდა, რომ მისი ძალა-უფლება ცით არის მოცემული, რომ თვით ღმერთი სპეციალურად ეხმარება. ჰოგენცოლერნების დინასტიას. იგი იმდენად ზერელე იყო, სუსტი ნებისყოფისა და აჩქრებული, იმდენად ვერ შეეძლო სხვის გულში ჩაეხდა და თავისი თავი შესაუბრის ადგილას წარმოედგინა, რომ დიპლომატიად სრულიად არ ვარგოდა; საიმპერიო კონსტიტუცია კი მთელ ძალა-უფლებას სწორედ ამ სფეროში ანიჭებდა: იმპერატორს, შეეძლო რეისტაგს არც კი დაპკითხებოდა და ომი, ისე გამოეცხადებინა!

სანამ ბისპარკი კანცლერად იყო, ვილჰელმ II გერმანიის ინტერესებს დიდს ზიანს ვერ აყენებდა, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ვილჰელმ II სურდა რაც შეიძლება მალე განთავისუფლებულიყო ყოველგვარი ხელმძღვანელობისგან და სრულიად თავისუფლად ემოქმედა. რამდენიმე საკითხის გამო ისინი ერთმანეთს ვერ შეუთანხმდნენ: ბისმარკი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების მომხრე იყო, ვილჰელმ II კი ხან თავაზიანად ეპურობოდა ლექსანდრე II, ხან ძალიან მტრულად ექცეოდა; ვილჰელმ II მოიშვია კონფერენცია მუშათა საკითხის შესახებ, თუმცა ბისმარკმა წინდაწინვე იცოდა, რომ ამ კონფერენციიდან არაფერი გამოვიდოდა (მართლაც არაფერი გამოვიდა) იყო კიდევ რამდენიმე შემთხვევა შეტაკებისა. 1890 წლის მარტში ბისმარკი სამსახურიდან გადასახად და ვილჰელმ II თითონ დაიწყო მართვა-გამგეობა, ალანვის ანგარიშს არაშემდგრა.

†

გერმანიის მთავრობის პოლიტიკა 1890 წლიდან ინგლის-
საფრანგეთის შეთანხმების დამყარებამდე.

X

გადადგა თუ არა ბისმარკი სამსახურიდან, ექტოპაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა: საფრანგეთ-რუსეთის კავშირი შეიქმნა. მოხდა სწორედ ის, რისთვისაც ბისმარკს მთელი თავისი ძალ-ლონითა სურდა წინააღმდეგობა გაეწია. გერმანიის მდგომარეობა ამით უფრო სახითათ ხდებოდა, ვიდრე იყო. მაგრამ ომამდე საქმე მაინც ჯერ ასე ადრე ვერ მივიდოდა. გერმანიის დიდი, მშევნიერად გაწრთვნილი და შეიარაღებული ჯარი ჰყავდა. მას მოკავშირედ ჰყავდა აუსტრია და იტალია. გერმანიას ერ დაეცემოდა ვერც საფრანგეთი ვერც რუსეთი, ერთმანეთს შორის კავშირიც რომ ჰქონდათ, ვირ გაბედავდნენ მით უფრო იმიტომ, რომ ინგლიის სწორედ ამ დროს კარგს განწყობილებში არ იყო არც რუსეთთან, არც საფრანგეთთან. რუსეთთან ინგლიის მტრულად იყო იმიტომ, რომ ეშინოდა რუსეთის გავლენის ზრდისა შუა აზიაში და ინდოეთის საზღვრებთან, საფრანგეთთან კი ინგლიის დიპლომატია ხშირად დავობდა იმიტომ, რომ იგი ახალ კოლონიებს იტაცებდა აფრიკაში. ამიტომ ინგლიის (მაგ. მე-80 ე წლებში და მე-90-ე წლების დასაწყისში), სამთა კავშირისა და საფრანგეთ-რუსეთის კავშირს ომი რომ მოსელოდათ, გერმანიას უფრო დაეხმარებოდა, ვიდრე რუსეთსა და საფრანგეთს. ამ წლებში (მე 19-ე საუკუნის მე-90-ე წლებში) ვილჰელმ II შეეძლო თავისი თავი ჯერ კიდევ ძლიერად ეკრინო. და ი სწორედ ამ დროს

გამოჩნდა, რაშენად მომზადებული იყო იმ ადგილისთვის, რომელიც ბედმა მას არგუნა.


შინაური პოლიტიკის სფეროში ის აშეარად სოციალ-დემოკრატიკის წინააღმდეგ მიმართული აგიტაციის სათავეში ჩადგა, სიტქვებში და განცხადებებში იგი ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რომ უხეში სიტყვებით (ზოგჯერ გინებითაც) თავისი ზიზლი გამოეცხადებინა სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი. ამასთანავე ერთად ცდილობდა ეჩვენებინა, რომ შეიარაღებული აჯანყებისა სრულიადაც არ ეშინიან. ერთხელ მან ახალგაწვეულ ჯარისკაცებს მიმართა, მე რომ გიბრძანეოთ, თქვენს დედებსა და მამებსაც უნდა ესროლოთო, ყველაფერს ამას ვილჰელმ II შევიღობიანობის დროს ლაპარაკობდა, მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატია შეიარაღებული- აჯანყებისკენ არავის მოუწოდებდა, მაშინ, როდესაც ყველა გატაცებული იყო პროფესიონალური მუშათ მოძრაობით და არავითარი რევოლიუციონური აფეთქება მოსალოდნელი არ იყო. რა თქმა უნდა, ასეთი საქციელი ყველას ალელვებდა და პროეკტორულ საქციელად ეჩვენებოდა. მუშათა მასები ვაღალჰელმ II უპატივცემლოდ და დაცინვით სწორეთ იმ დროდან ეპყრობოდნენ. იმპრატიორის ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ვერაფერს ავნებდა. „იმპრატიორის ყველი სიტყვა აოჩენების დროს საშუალოდ ასი ათასს ახალს ხმას გვაძლევს“,— განაცხადა ერთხელ რეისტაგში სოციალ-დემოკრატიკის ძეველმა ბელადმა ავგუსტ ბებელმა.

რაიცა შეეხება შეძლებულ კლასებს, მე-90-ე წლებში გერმანიაში ძალიან გამწვავდა ბრძოლა მიწათმფულობელთა და მრეწველების ინტერესთა შორის. მიწათმფულობელი მოითხოვდნენ, რომ რუსული პურისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შეტანა გერმანიაში აეკრძალათ, რათა ამ გზით თავიანთვის უზრუნველეყოთ გერმანული ბაზარი, მრეწველები კი, პირიქით, მოითხოვდნენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას რუსეთთან, რადგანაც ეს ხელშეკრულება ერთის მხრით, ცხოვრებასა და მრეწველობას აიაფებდა, მეორეს მხრით კი, ახალ რუსულ ბაზარსა ჰქონიდა გერმანული ნაწარმოებისთვის. ამ ბრძოლაში სამრეწველო ინტერესები ჩვეულებრივად იმარჯვებდა, თუმცა განსაკუთრებულ ზომებს იღებდნენ მიწად-მფლობელთა ინტერესების დასაუკავადაც. ამ მხრით გერმანელ ბთავრობას განსაკუთრებით ბედმა გაულიმა 1904 წელს, რაიდესაც იაპონიასთან ომში დასუსტებული რუსეთის მდგომარეობით ისარგებლა და მასთან დასდო ახალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ვერმანულ მრეწველობას რუსეთში ფართო გასავალს აძლევდა, რუსეთის პურისა და:

სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შესატანად კი დიდი დაბრკო-
ლებანი იქნა შექმნილი. ასე სცხოვრობდა გერმანია მე-19-ე საუკუ-
ნის მე-90-ე წლებში და ეკონომიურად იზრდებოდა. მაგრამ სწორედ
მაშინ გამოჩნდა პირველი ლრუბელი, რომელიც მომავალი გრიგალის
პირველ ნიშნად უნდა ჩაითვალოს: ურთიერთი დამოკიდებულება ინგ-
ლისსა და გერმანიას შორის თანდათან მუშავდებოდა.

მაგრამ თუ გვინდა გავიგოთ მიზეზები ამ მრისხანე მოელენისა,
რომელმაც ბოლოსა და ბოლოს საშინელი კატასტროფა გამოიწვია,
საჭიროა სხვა ეკრობიულ სახელმწიფოებსაც მიემართოთ და განვიხი-
ლოთ, როგორა სცხოვრობდნენ ისინი მე-19-ე საუკუნის უკანასკნელ
ათეულ წლებში.

დავიწყოთ ინგლისიდან.



III ინგლისი მე-19-ე საუკუნის შეორე ნახევარში.

~~ჰავაჭრო-სამეურნეო მოქმედების აყვავება.~~

~~X~~ მე-19-ე საუკუნის მეორმოცდათე წლებიდან დაახლოვებით
მე-90-ე წლებამდე ინგლისში სავაჭრო-სამრეწველო შემოქმედება შე-
უჩერებლივ იზრდებოდა და ჰყვაოდა. წინა საუკუნოებში შექმნილი
უზარ-მაზარი კოლონიები მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში უფრო
შეტად გაიზარდა. ამ ხანში ინგლისელებმა დაიპყრეს ~~სუდანი~~ გვი-
პტერ, ~~უზარ-მაზარი~~ ადგილები სამხრეთ აფრიკაში; ფაქტიურად პირ-
ველად დაიწყეს დამუშავება ინდოეთის სხვა და სხვა ძაღლეულობისა.
მრავალფეროვანი და ძეირვასი ~~სელლი~~ მასალა, რომელსაც ინგლი-
სელები თავიანთი ძველი და ახალი სამფლობელოებიდან იღებდნენ,
მრავალრიცხვან, გაუმჯობესებული მანქანებით მოწყობილ ქარხნე
ბში მუშავდებოდა,—და ინგლისის საქონელით მერე ივსებოდა ამე-
რიკის, ნაწილობრივ ევროპის, აზიის, აფრიკალიის, მე-19-ე საუკუნის
მეორე ნახევრიდან კი აფრიკის ბაზებიც, საიდანაც თავისი ლირსე-
ბით და ზოგჯერ სიიაფითაც კონკურენტებს სდევნიდა. ეკონომიული
ბაზრები დიდი საბაზო გადასახადებით კოტად თუ ბევრად დაცული
იყო ინგლისის კონკურენციისაგან, მაგრამ აქაც ინგლისური მაუდე-
ბი, ინგლისური ფოლადი და ბამბეულობა ძალიან გავრცელებული
იყო. რაიცა შეეხება ევროპის გარეშე ბაზრებს, აქ ინგლისელები სე-
რიოზულ კონკურენტებს ვერსად ხედავდნენ, ინგლისის უზარ მაზარი
სავაჭრო ფლოტი ემსახურებოდა არა მარტო ინგლისის ვაჭრებს,
არამედ სხვა ეროვნებათა ვაჭრობასაც. როდესაც მე-19-ე საუკუნის

ნახევარში ოთრქლმაგალმა გემებმა სამუდამოდ განდევნეს ძეელებური გემები, ამით უპირველესად ყოვლისა სწორედ ინგლისელებმა მოიგები, რაღაც უზარ მაზარ ქვა-ნახშირის მიღნეულობა იაფ სათბობ გეს, რაღაც უზარ მაზარ ქვა-ნახშირის მიღნეულობა იაფ სათბობ გეს.

რაც უფრო ძლიერდებოდა ინგლისის მრეწველობა და სავაჭრო კაპიტალი, მით უფრო მომქმედი ხდებოდა ინგლისის საგარეო და კოლონიალური პოლიტიკა. მე-40-ე წლებიდან დაწყებული ინგლისი პატარა-პატარა ომებს განუწყვეტლივ აწარმოებდა. ხან ჩინეთს ეომებოდა მე-40-ე წლების დასაწყისში, ხან აფრიკაში ომობდა; ხან სპარსეთში, ხან ავღანისტანში, ხან ისევ აფრიკაში, ხან მძიმე და სისხლის მღვრელ ლაშქრობასა სუჟექტად ეგვიპტესა და სუდანში, ხან ხანგრძლივას და სასტიკ ომს აწარმოებდა ბურღათან ხამსრეთ აფრიკაში, ხან დამამშვიდებელ ექსპედიციებს ჰეზანიდა ინდოეთის ყრუ აღგილებში აჯანყებულ ინდოელების წინააღმდეგ. ჯველაფერმა ამან მეტად დიდი ნაყოფი გამოიღო. მე-19-ე საუკუნის დასაწყისში დიდ ბრიტანეთს მთელს დედამიწის ზურგზე ეკუთვნილ 28 მილიონი კვადრატული კილომეტრი, 420 მილიონიანი მოსახლეობით.

ინგლისის შინაური პოლიტიკა მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში

ინგლისის შინაური პოლიტიკა მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში ხასიათდებოდა მუდივი შეგუებით განვითარებული სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებებთან. ჩამდენადაც უფრო მეტად იხრდებოდა მრეწველობის მნიშვნელობა, რაც უფრო მეტად იხრდებოდა რიცხვით მუშათა კლასი, რაც უფრო ჩქრი იპყრობდნენ ახალ-ახალ ბაზრებს ნედლი მასალის შესაძენად და ნაწარმოების გასასალებლად, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ შუშათა კლასს საშუალება უნდა მიეცეს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა და ბრძოლა ამის წინააღმდევ უზრ.იბა იქნებოდა, სახიფათო და უნაყოფო. 1867 და 1884 წლებში განხორციელდა ორი საარჩევნო კანონი, რომლის შემდეგაც (განსაკუთრებით 1884 წლის კანონის შემდეგ, ინგლისში ფაქტიურად განმტკიცდა საყველთაო საარჩევნო უფლება, და მუშათა მასსებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო არჩევნებში. მიწადმოქმედებისა და ბურჟუაზიის წარ-

მომადგენლებთან ერთად პარლამენტში პირველად შევიღნენ წარმომადგენლები მუშათა კლასისა. ამ დიდმინიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად, რეფორმა მოხდა აგრეთვე ადგილობრივ ოვითმმართველობებშიაც, რომლებიც უწინ მთლიანად შეძლებულ კლასების ხელში იყო, ესლა კი გადასახადების უველა გადამზღვების, ე. ი. ყველა მოქალაქეთა ხელში გადავიდა. რა თქმა უნდა, ფაქტიურად შეძლებული კლასები, ძლიერნი თავიანთი სიმდიდრით, თავიანთი გავლენით და მარავა-გამგეობის გამოცდილებით, უფრო მეტის მნიშვნელობით სარგებლობლნენ, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მეტად იძულებული ხდებოდნენ, ანგარიში გაეწიათ მუშათა მოთხოვნილებებისთვის და საჭიროებებისთვის.

ამ ცვლილებებმა, რა თქმა უნდა, კანონმდებლობაზედაც იმოქმედა. პარლამენტში დაიწყო ბრძოლა საქართვის კანონმდებლობისთვის, მუშათა ინტერესების დასაცავად, სამუშაო დღის შესამცირებლად ათა მარტო ქალებისთვის და ბავშვებისთვის, არამედ კაცებისთვისაც, მუშათა სავალლებულო დაზღვევისთვის დასახიჩრებისგან, ავადმყოფობისგან, მოხუცებულობისგან და სიკვდილისგან. ამ ბრძოლამ ისეთი შედეგი გამოიწია, რომ მე-20-ე საუკუნის დასაწყისისთვის ინგლისი გერმანიასთან ერთად მუშათა კანონმდებლობის სფეროში უველაზე დაწინაურებულ ქვეყნად ითვლებოდა. მუშათა კლასის უზარმაზარი პროფესიონალური ორგანიზაციები, „ტრედუნიონები“, თავიანთი მტკიცე და ნაყოფიერი ბრძოლით პატრონების წინააღმდეგ, დიდი გაფიცებით, რომლებიც ხშირად მთელს ქვეყანას მოედობოდა ხოლმე, კანონმდებლობას წინა სწევდნენ პარლამენტში და, გარდა ამისა, ხშირად უფრო უკეთესს შედეგს მიაღწევდნენ ხოლმეუშალოდ მრეწველებისგან. ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება იყო საჭირო მუშათა კეთილდღეობისთვის, მაგრამ რომ შეგეღარებინათ ინგლისის მუშათა მდგომარეობა 1910 წლისა, მაგალითად, 1850 ან 1860 ან თუნდაც 1880 წლების მდგომარეობასთან- განსხვავება ძალიან დიდი იქნებოდა. სამუშაო დღე მცირდებოდა 10; 9 და ზოგჯერ 8 საათამდისაც, სავალდებულო ზდებოდა სამუშაო დღის შეცირება ნახევრად შაბათობით; სამუშაო ხელფასი ბევრს ქარხანაში ისეთი იყო, რომ მუშას უკვე შეეძლო ქარხანაში არ გაეგზავნა თავისი ცოლი და მცირეშლოვანი ბავშვები; არსებობდა კანონები, რომლებიც ამსუბუქებდნენ მოხუცებულების მდგომარეობას, კოლეჯებიური დაცვა მუშათა ინტერესებისა პატრონების თვითნებობისა და ექსპლოატაციისგან უფრო საგრძნობი ხდებოდა, არსებობდა ზედგავლენა კანონმდებლობასა და მართვა გამგეობაზე. მაგრამ დაცვა უქს-

პლოატაციისგან ჯერ კიდევ ყველა დარგში არ არის მიღწეული. ინ-
გლისის მუშის ცხოვრებაში და მოღვაწეობაში არის ჯერ კიდევ მრა-
ვალი მძიმე და ბნელი მხარე, რომელთა მოსახლეობადაც მუშათა კლასი
სასტიკ ბრძოლის აწარმოებდა და შემდევშიაც აწარმოებს.

ი რ ლ ა წ დ ი ა.

ინგლისის შინაურ პოლიტიკაში არსებობდა და არსებობს სა-
კითხი, რომლის მშვიდობიანი გადაწყვეტა ვერას გზით ვერ მოხერხ-
და (და რომელიც არც ამ უამად არის გადაწყვეტილი); ეს საკითხი
უნდა გავიხსენოთ, რადგანაც უამისოდ ინგლისის მდგომარეობის და-
ხასიათება სრული არ იქნება.

ჯერ ისევ მე-12-ე საუკუნეში ინგლისმა დაიპყრო ახლო მდება-
რე კუნძული ორლანდია და, შეიძლება ითქვას, იმ დროიდანვე და-
იწყო ირლანდიელების სასტიკი ბრძოლა, რომელიც დრო გამოშვე-
ბით სკერბოდა, მაგრამ სამუდამოდ კი არა ჰქონდა მართვა-
მთავარი, ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, ეკონომიური მიზეზი
იყო. ინგლისელებმა დაპყრობისა და კონფისკაციის საშუალებით ირ-
ლანდიელებს მთელი მიწა წაართვეს, თავიანთ ხელში ჩაიგდეს მთე-
ლი სიმდისღრე, მთელი ეკონომიური ქონება ამ კუნძულისა და ირ-
ლანდიელები ლატაც მოიჯარადრებად და ბოგანოებად გადააქციეს.
ასეთი იყო ძირითადი შიზეზი ირლანდიელების სიძულვილისა ინგლი-
სისაზღი; სხვა მიზეზები კიდეც რომ არ არსებულიყო, ესეც საქმარი-
სი იქნებოდა ორლანდიის დაუსრულებელი რევოლიუციების ასახსნე-
ლად. იმ გარემოებას, ირლანდიელები რომ კათოლიკები არიან, ხო-
ლო ინგლისელები პროტესტანტები, ამ უამად უკვე გავლენა აღარ
შეიძლება ჰქონდეს, რადგანაც უკვე 1829 წელს ინგლისში განხორ-
ციელდა კანონი კათოლიკების ემანსიაციის შესახებ, რომელიც იმ
დრომდე უუფლებო კათოლიკებს უფლებებით პროტესტანტებთან
ათანასწორებდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონო-
და აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ირლანდიელები წმინდა ულ-
ტრიბი არიან, ინგლისელების კელტურ სისხლში კი გერმანული. სის-
ხლიც ურევია (ინგლოსტრ-საქსონური) ერები შვილასი წლის განმავ-
ლობაში ერთმანეთს არ ებრძევან მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა
რასას ეკუთვნიან. არც სარწმუნოებრივი განსხვავება, არც სხვადა-
სხვაობა რასისა ამ შემთხვევაში მტრობის მიზეზი არა ყოფილა, — ამ
განსხვავებას შეეძლო მტრობა მხოლოდ გაეზრდავებინა და არა შე-
ექმნა. მიზეზი ერთი იყო — ეკონომიური.

ჩვენ აქ მე-19-ე საუკუნეს ვიხილავთ, ამიტომ არ შევეხებით იმ მრავალ-რიცხვოვან და სისხლით სავსე აჯანყებებს, რომლებიც ირლანდიაში წარსულ საუკუნოებში ხდებოდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ სრული მე-19-ე საუკუნის განმავლობაში ირლანდიაში ითვეთქედა და ხოლმე ხან აჭანყება, ხან ტერორისტული მოძრაობა, უფრო ხშირად კი აგრარული მოძრაობა, რომელსაც თანა სდევდა აგრარული ტერორი. ინგლისელები სახრჩობელებითა და მთავრობის ტერორით უპასუხებდა. ირლანდიელების ბელადები ბრძოლას ლეგალური საშუალებითაც აწარმოებდნენ, პარლამენტში. ირლანდიელებს დასახული ჰქონდათ მთელი რიგი მოთხოვნილებისა, რომელთაგან უმთავრესი იყო ორი: ძირითადი აგრარული რეფორმა, რომელიც ირლანდიელ გლეხებს მათ მიერ იჯარით აღებული მიწების მესაკუთრეებად გახდიდა, და ირლანდიის თვითმმართველობა. ინგლისის პარლამენტის უმრავლესობა დიდი ხნის განმავლობაში ორივე მოთხოვნილებას წინააღმდევობას უწევდა.

ორი უმთავრესი პარტიიდან, რომლებიც მე-19-ე საუკუნის განმავლობაში მორიგეობით მართველობდნენ ინგლისში, კონსერვატორები ყველაზე მტრულად იყვნენ განწყობილნი ირლანდიელების მიმართ, ლიბერალებს კი უფრო შესაძლებლად მიაჩნდათ მცირეოდენი დათმობა.

ინგლისის ლიბერალური პარტიის სათავეში, მე-19-ე საუკუნის მე-60-ე წლებიდან დაწყებული 1898 წლამდე, როდესაც იგი მოკვდა,— იდგა ვილიამ გლადსტონი, რომელიც აუზრდითა და წარმოშობით შეძლებულ ბურჟუაზიას ეკუთვნოდა, მაგრამ მუშათა წრეებშიაც დიდი პარვისცემა ჰქონდა დამსახურებული. იგი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ოთხშემცი იყო პირველ მინისტრად და თავისი პირველი მინისტრობა ყოველთვის არა თვალსაჩინო, მომწიფებული რეფორმით აღიბეჭდა (მაგალითად, სწორედ იმან განახორციელა 1884 წლის კანონი, რომელმაც ინგლისს ფაქტიურად საყველთაო საარჩევნო უფლება მისცა). მან გამწვავებული ბრძოლის დროს, რომელსაც ირლანდია მე-19-ე საუკუნის მე-80-ე წლებში აწარმოებდა, განიზრახა ირლანდიის თვითმმართველობის კანონის გამოცემა და ამით რაოდენადმე მაინც ისულანდიელების დაშვიდება; ჰქონდა კიდევ რამდენიმე (თუმცა ძალიან ზომიერი) პროექტი აგრარულ ურთიერთობათა მიწესრიგებისა. ირლანდიის დეპუტატების სათავეში, რომლებიც იმ დროს პარლამენტში იბრძოდნენ, იდგა შესანიშნავი ორატორი და პოლიტიკური მებრძოლი—პარნელი. გლადსტონმა სწორედ მასთან სცადა შეთანხმება.

მაგრამ ამ ცუდიდან არაფერი გამოვიდა. ლიბერალური პარტია ორ ნაწილად გაიყო და ერთი ნაწილი კონსერვატორებს მიემხრო. გლობუს-ტონი იძულებული გახდა გადამდგარიყო, მისი ადგილი კონსერვატორებმა დაიკირქს, — და დაუწყობელი ბრძოლა ირლანდიის წინა-აღმდეგ გაგრძელდა.

უკვე მე-90-ე წლებში არა მარტო ლიბერალთა შორის, არამედ კონსერვატორებშაც უფრო ხშირ-ხშირად ისმოდა ხმები, რომ ლირ-სია ირლანდიელების ზოგიერთი მოთხოვნილებანი მაინც დავაკმაყოფილოთო. ამასთანავე ერთად ზოგიერთები აღნიშნავდნენ, საკიროა უპირველესად ყოვლისა, ასე თუ ისე გადასწყდეს მირითადი აგრძარული საკითხი, ურომლისოდაც ირლანდია არავითარ შემთხვევაში არ დამშეიდდებათ; რაიცა შეეხება ირლანდიის თვითმართველობას (ე. ი. განსაკუთრებულ პარლამენტსა და მთავრობას, რომელსაც შინაური საჭმები ექნებოდა ჩაბარებული), — ამ რეფორმის განხორციელება შეძლევშიაც შეიძლებათ.

იგრძარულ რეფორმას ირლანდიაში მთავრობის მხრით დიდი ხარჯი უნდა გამოწევია. იგი მომზადდა და უკვე განხორციელდა კონსერვატორების ბატონობის თარი 1902 წელს. ხაზინაში 112 მალიონი გირვნენა სტერლინგი გადასდო (ერთ მილიარდამდე ოქრო-თი); ამ ჯაմს შემდეგს წლებში კიდევ ემატებოდა. განხრახული იყო ჰემაშულეთა მიწების გამოსყიდვა. მიწებს მოიჯარადე გლეხებს იძლევდნენ საკუთრებად. სასყიდელი გლეხებს ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადოთ. ამ რეფორმამ ირლანდიის უმიწა-წყლო გლეხების ნა-წილი მესაკუთრებებად გახდა; მაგრამ ირლანდიის სრულს დამშვი-დებას წინაც უკრ მიაღწიეს.

ფრარული რეფორმა განხორციელდა 1903 წელს, როდესაც ინგლისის მთელი პოლიტიკა იქითქენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოწესრიგებულიყო ყველა მწვავე შინაური საკითხები და რაც შეიძლება მალე დამყარებულიყო სრული სიწყნარე: საქმე იმაშია, რომ 1900 წლების დასაწყისიდანვე ინგლისის პორიზონტზე დიდი ღრუბელი გამოჩნდა. ინგლის-ერმანიის ქიშპობას თანდათან სახიფათო ხასიათი ეძლეოდა. უნდა ეფიქრათ მომავალი სახიფათო რმისთვის ძლიერი გერმანიის წინააღმდეგ. აი, რატომ იყო საკირო დაქარება ოფორტ ირლანდიის იგრძარული რეფორმისა, ისე მრავალი სხვა რეფორმისა, რომელსაც საზოგადოების ღარიბი კლასები უნდა დაექმაყოფილებინა.

მაგრამ, სანამ გადავიდოდეთ იმ წლებზე, რომლებიც მსოფლიო ამს წინ უძლოდნენ, უნდა განვიხილოთ, როგორ აღმოცენდა ინგლის-გერმანიის ქიშპობა.

ინგლის-გერმანიის ქიშპობა.

ინგლის-გერმანიის ქიშპობა უკვე მე-19-ე საუკუნის მე-80-ე წლებიდან დაიწყო წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე. რაც უფრო მეტად კითარდებოდა გერმანიის მრეწველობა და მოქმედი ხდებოდა გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულებანი, რაც უფრო მეტად იზრდებოდა მისი სავაჭრო ფლოტი, - მით უფრო მეტად გერმანული საქონელი აძვევდა ინგლისურ საქონელს იმ ბაზრებიდან, რომლებთანაც დიდიხანია ინგლისურ საქონელზე დაბალი იყო ღირსებით, სამაგიეროდ სჯობნიდა (და შშირად ძალიანაც) სიიაფით. გერმანიის მრეწველები უფრო ჩარი და მოხერხებულად ეგუებოდნენ მყიდველების გემოვნებას, შორეული ქვეყნების, მოთხოვნილებებსაც კი დაკვირვებით სწავლობდნენ და, დასასრულ, საქმე ისე პქონდათ მოწყობილი, რომ საქონელი შეეძლოთ გაეყიდათ არა ნალიდად, არამედ ნისიად; ვალის გადახდას რამდენიმე თვის განმავლობაში არც კი სთხოვდნენ.

ასეოთ გერმანული კონკურენცია მე-90-ე წლებში და განსაკუთრებით კი მე-უ0-ე საუკუნის პირველ ათ წელიწადში განსაკუთრებით საგრძნობი ხდებოდა ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრებაში. გერმანიის საქონელი ისე მოხერხებულად უწევდა კონკურენციას ინგლისის საქონელს თვით ინგლისის შინაურ ბაზარზედაც კი, რომ ინგლისი იძულებული გახდა გერმანული საქონელის შეტანის შესაზღუდვად განსაკუთრებული ზომები მიეღო. მაგრამ ეს ზომები ძალიან ნაკლებად შეელოდა. კოლონიებსა და უცხოთის ბაზრებზე კი ინვლისელები გერმანიის ზრდის უფრო მეტის შიშით ეპყრობოდნენ. კერძოდ, ასამალეთის სამფლობელოებში, ბალკანეთის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოებში, სპარსეთში გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა თანაათან თვალსაჩინო ხდებოდა. უკვე 1898 წელს ინგლისში ერთმა პოლიტიკურმა ორგანომ ნახევრად სუმრიობით, ნახევრად სერიოზულად განაცხადა, გერმანია რომ დედა-მიწის ზურგიდან აღიგვიოს, ინგლისის ყოველი მოქალაქე ამით უურო მჟიდარი გახდებაო.

მდგომარეობა უფრო გაუარესდა მე-19-ე საუკუნის მე-90-ე წლებიდან, როდესაც ეკონომიურ ქიშპობას ზედ ორივე მთავრობის პოლიტიკური მტრობაც დაერთო (რა თქმა უნდა, უმთავრესი მიწებზე ავ მტრობისა სწორედ ეკონომიური ქიშპობა იყო) დაწყებულ მტრობას ეკონომიკურ პირველად მიაქცია უურადღება მაშინ, როდესაც ვილჰელმ II ბურების რესპუბლიკის ტრანსვაალის (აფრიკის სამხრეთით) პრეზიდენტს დეპეშით დემონსტრაციულად მიუღოცა გამარჯვება.

ინგლისის „მოხალისეებზე“, რომლებიც ტრანსვაალში შეიჭრნენ. მოხალისეთა ეს თავდასხმა მომასწავებელი იყო ომისა, რომელიც რამოლინებე წლის შემდეგ, 1899 წელს, ინგლისელებმა დაიწყეს იმ მიზნით, რომ აღმასებით მდიდარი რესპუბლიკები ბურებისა (ტრანსვაალი) დაეცყროთ. თავდასხმას საიდუმლოდ მხარს უჭერდა ინგლისის მთავრობა,— ამიტომ მისალოცმა დეპეშამ, რომელიც ვილჰელმია ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუკერს გაუგზავნა, ძალიან გააბრაზა ინგლისის შმართველი წრეები, განსაკუთრებით მრეწველები, რომლებსაც ხურდათ ტრანსვაალის რესპუბლიკა რაც შეიძლება მალე დეპუტიოთ. როდესაც 1899 წელს ინგლისის კონსერვატიულმა კაბინეტმა ახდილად დაიწყო ომი ბურების წინააღმდეგ, გერმანიაში ძალიან ბევრი, ბურუუაზის წრეებიც და მუშებშიაც, ინგლისელების წინააღმდეგი იყვნენ. გერმანის მრეწველებს და ვაჭრებს ინგლისის დამარცხება სურდათ, როგორც კონკურენტისა, მუშებში კი გავრცელებული იყო, აზრი, რომ ინგლისი წმინდა ყაჩალურ ომს აწარმოებს პატარა რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელსაც შისთვის ცუდი არაფერი უქნია. ხანგრძლივი ომის შემდეგ ინგლისმა ბურების რესპუბლიკები დაიპყრო მაგრამ გერმანიასთან დამოკიდებულება სამუდამოდ გაუფუჭდა. ჯერ ისევ ბურებთან ომის დროს ინგლისის შთავრობა იძულებული ხდებოდა ანგარიში გაეწია რუსეთისა და საფრანგეთის მტრული განწყობილებისთვის; იგი მზათ იყო კავშირი შეეკრა გერმანიასთან, მაგრამ ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა (არც შეიძლებოდა რამე გამოსულიყო, რადგანაც ინგლისსა და გერმანიის შორის ინტერესების ძალიან დიდი წინააღმდევობა არსებობდა). ასე თუ ისე, როდესაც 1902 წელს ომი ბურებჭამ ინგლისის გამარჯვებით დამთავრდა, — ინგლისის პოლიტიკაში მაშინათვე გაოდატენა მოჰქმდა, გერმანიის წინააღმდეგ გარკვეულიდ მტრული ხაზი დაისახა.

საქმე კიდევ ძალში იყო, რომ 1898 წლიდან გერმანიამ დიდი სამხედრო ფლოტის აშენება დაიწყო. ვილჰელმ II პირდაპირ განაცხადა, ძლიერი ფლოტის შექმნა გერმანიის პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს. ინგლისში გერმანიის ფლოტის ჩქარის ზრდას დიდის ეჭვით უცქეროდნენ და თავიანთი თავის წინაშე არა მაღავდნენ, რომ ეს ფლოტი სწორედ მათს საწინააღმდევობა შენდებოდა, იმ შემთხვევისთვის, თუ ომი დაიწყებოდა. ინგლისის წინაშე აღიმართა საშიშროება არა მარტო სავჭრო-სამრეწველო კონკურენციისა, არა მედ სამხედროსიც. ინგლისის დამოკიდებულება საფრანგეთთან დარუსეთთან ამ დროს ძალიან ცუდათ იყო. რუსეთთან, როგორც ყოველთვის, უთანხმოება მოსდიოდა შორეულ აღმოსავლეთში და საშუ-

ალო აზიაში, საფრანგეთთან კი კინალამ შეიარაღებული კონფლიქტი არ მოუხდა მდ. ნილთან, პატარა ადგილ ფაშოდთან, საღაც. ერთსა და იმავე დროს ინგლისელებისა და ფრანგების რაზმები მივიღნენ.

კონფლიქტი იმით გათავდა, რომ ფრანგებმა დაუთმეს, საგრამ დამოკიდებულება ინგლისთან საფრანგეთში მას შემდევ მტრული იყო. გერმანიის ქიშპობისა და საშიშროების წინაშე ინგლისსა სურდა უპირველესად ყოვლისა უზრუნველყო მეგობრობა საფრანგეთთან (რუსეთთან მეგობრების დამყარება მაშინ ჯერ კიდევ ძნელი იყო) საფრანგეთს კი უცილებლად უნდა შერჩებოდა.

თა აი, სწორედ ამ დროს პირველ რიგში გამოჩნდა დიპლომატი, რომელმაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი ანტანტის შექმნას. ეს დიპლომატი იყო მეფე ედვარდ VII, რომელიც თავისი დედის დედოფალ ვიქტორიის სიკვლილის შემდეგ, 1901 წელს ინგლისის ტახტზე ავიდა. მას ზოგჯერ „ანტანტის შექმნელს“ უწოდებენ, რაღანაც ყველაზე მეტად ის თხოულობდა, რომ გერმანიის წინააღმდეგ ინგლისი შესთანხმებოდა საფრანგეთს და, თუ შესაძლებელი გახდებოდა, რუსეთსაც. საქმე საფრანგეთიდან უნდა დაეწყოთ. მაგრამ, სანამ გადავიდოდეთ იმაზე, თუ როგორ შეიქმნა ანტანტა, ჩვენ უნდა მივმართოთ საფრანგეთს და განვიხილოთ, რანაირი იყო მისი შინაური და საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხასიათი 1870—71 წლების დასასრულიდან 1900 წლების დასაწყისამდე, როდესაც დაიწყო საფრანგეთის დაახლოვება ინგლისთან.

+/-

VI ხაფრანგეთი 1871. წლიდან ანტანტის დასაწყისებრივი მდე.

შესამე რესპუბლიკა.

X საშინელმა დამარცხებამ, რომელიც საფრანგეთმა 1870—71 წლებში განიცალა, ქვეყნის ცხოვრებაში ღრმა კვალი დასტოვა. 1871 წლის 4 სექტემბერს გამოცხადებულმა რესპუბლიკამ იმპერიის აფეთქილი დაიჭირა. რესპუბლიკას ლიკვიდაცია უნდა მოვეძლინა მხატვე მემკვიდრეობისა და უპირველესად ყოვლისა საფრანგეთისთვის ახალი სახემში იფორმირებოდა წყობილება უნდა მიეცა. კონსტიტუციის ნაციონალური კრება დილხანს ამუშავებდა, დილის სიძნელით. მონარქისტები ყველ ძალ-ლონეს ხმარობდნენ, რათა საფრანგეთში ჯერ ისევ 1830 წლებს დამხობილი ბურბონების დინასტიი უღელვინათ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს კონსტიტუცია შემუშავდა. მცირეოდენი ცვლილებებით იგი საფრანგეთში დღემდის მოქმედებს. ამ კონსტიტუციის სა-

ფუძვლები ასეთია. საკანონმდებლო. ხელისუფლება დეპუტატთა პალატას და სენატს ეკუთვნის. დეპუტატთა პალატას ყოველი ხუთს წელიწადში ერთხელ ირჩევენ საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული კინჭის ყრივ; ამომრჩევლებად ითვლებიან ყველა სრულ-წლოვანი მამაკაცები, რომელთა უფლებებიც სასამართლო წესით შეზღუდული არ არის და რომლებიც სრულს გონიერაზე იმყოფებიან. სენატი შესდგება დეპუტატებისაგან, ოომლებსაც ირჩევენ დეპარტამენტების გენერალური საბჭოები (აღვილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; ამ საბჭოებს დეპარტამენტები ირჩევენ საყოველთაო საარჩევო წესით). ყოველი პროექტი, სანამ იგი კანონად გადაიქცეოდეს, მთელი სახემშითუობრივი ბიუჯეტი და სხვ., გატარებულ უნდა იქნას დეპუტატთა პალატაში და სენატში. შვიდ წელიწადში ერთხელ პალატა და სენატი მართავს საერთო სხდომას, რომელსაც „კონგრესი“ ეწოდება. ეს „კონგრესი“ იკრიბება ვერსალის სასახლეში და ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტს. რესპუბლიკის პრეზიდენტი შვიდ წლის განმავლობაში არ იცვლება,—პირველი შვიდი წლის შემდეგ მისი ხელმორცე არჩევა შეიძლება. პრეზიდენტი საფრანგეთის ოესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია; უცხოეთის ელჩები წარგზავნილი არიან მის წინაშე. კანონების გამოქვეყნება შეიძლება შხოლლდ მას შემდეგ, როდესაც მათს ტექსტს ხელს მოაწერს პრეზიდენტი. სენატთან შეთანხმებით პრეზიდენტს შეუძლია დეპუტატთა პალატა ვადაზე აღრე დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს. პრეზიდენტს მინიჭებული აქვს განუსაზღვრელი უფლება როგორც სასამართლოს წესით მისჯილი სასჯელის შემსუბუქება, ისე სრული პატივება დასჯილისა.

პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რეილ მინისტრს „და მისი წინადაღებით, მინისტრთა საბჭოს ყველა დანარჩენ მინისტრებს. შაგრამ, საურანგეთში ურუჟვლად განმტკიცული პარტიების მიხედვით, მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელია არა რესპუბლიკის პრეზიდენტის, არმენ არარატიატთა პალატის წინაშე, დეპუტატთა პალატას შეუძლია მინისტრებს უხდობლობა გამოუცხადოს და აიძულოს სამსახურიდან გადადგნენ. ამ რიგად, პრეზიდენტი მინისტრებად შხოლლდ ისეთ პირებსა ნიშნავს, რომელთა მინისტრობა იმ დროს დეპუტატთა პალატას სურს. მინისტრების ბედ-იღბალი სენატისაგან დამკიდებული არ არის: საფრანგეთის საპარლამენტო ცხოვრებაში ჩამდენჯერმე ისე მომხდარა, რომ სენატს მინისტრებისთვის უნდობლობა გამოუცხადებია, დეპუტატთა პალატას მათთვის მხარი დაუკერია და მინისტრები თავის აღვილას

დარჩენილან. მინისტრთა საბჭოს ხელთ უპყრია მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება.

ამ რიგად, მინისტრები დეპუტატთა პალატისაგან არიან დამოკიდებულნი; შავრამ, სანამ ისინი პალატის წლობით სარგებლობენ, მათი ძალა-უფლება ძალიან დიდია. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთის მთელი ადმინისტრატიული წყობილება უმთავრესად იმ სახით დარჩა როგორც ჯერ ისევ ნაპოლეონ I შექმნა. მთელი მართვა-გამგეობა დამყარებულია სასტიკ ცენტრალიზაციაზე. ყველაფერი პარიზისაგან არის დამოკიდებული, მინისტრებისაგან, ომმლებიც თავიანთ უწყებაში ყოვლად ძლიერნი არიან. შინაგან საქმეთა მინისტრი დეპარტამენტებში (პროვინციებში) ნიშნავს პრეფექტებს (გუბერნატორებს) მათს თანაშემწევებს და მოხელების მთელს უმაღლეს შემაღებულობას. ადგილობრივ მთელი ადმინისტრატიული ძალა-უფლება ამ დანიშნულ-მართველებზე ეკუთვნის. მართალია, ყოველ ქალაქში არსებობს არჩეული თვითმმართველობა (მუნიციპალიტეტი); ყოველ დეპარტამენტში არის თავისი არჩეული თვითმმართველობა (მთელი დეპარტამენტისთვის)—ეგრეთ წოდებული „გენერალური საბჭო“, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ამ ორგანოების მნიშვნელობა ძალიან მცირეა. პრეფექტს შეუძლიან პროტესტი განაცხადოს ყოველი ამა თუ იმ ხარჯის წინააღმდეგ, რომლის გაწევასაც მუნიციპალიტეტი ან გენერალური საბჭო საჭიროდ სცნობს; საზოგადოდ შეუძლიათ სრულიად ადვილად შეაჩეროს ესა თუ ის, მისთვის არა სასურველი, გარდა წყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველების ორგანოებისა.

ყველა სხვა უწყებაში ასეთივე სასტიკი ცენტრალიზაციაა გამეფებული. სასამართლოს უწყებაშიაც, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლებისა და გამომმიებლების გამოცვლა არ შეიძლება,—იუსტიციის მინისტრს, რომლის ხელშიაც არის მოსამართლების დაჯილდოვება ორდენებით და სხვ., ფაქტორად შეუძლიან ძალიან დიდი ზედგავლენა მთავრინოს მთელს პერსონალზე.

საზოგადოდ, საფრანგეთის სრულიად სამართლიანად უწოდებენ „რესპუბლიკას მონარქიული დაწესებულებებით“. ნაპოლეონის დროიდან დღემდის დარჩა ამა მარტო ხელისუფლების ცენტრალიზაცია არა მარტო პროტესტის სრული დამორჩილება ცენტრალური მთავრობის მიერ, არამედ საზოგადოების მრავალი ზნე-ჩვეულებაც. დევნა ორდენებისა, ხშირად უხეში მოპყრობა ხელის უფლების წარმომადგენლებისა (ვანსაკუთრებით პოლიციისა), ხშირი დარღვევა მოქალაქეთა კანონით აღიარებული პირადი ხელშეუხლებლობისა, რაც

თითქმის დაუსჯელად ხდება, — ყველა ეს დამახასიათებელი მოვლენანი მესამე რესპუბლიკამ მემკვიდრეობით მიიღო მეორე იმპერიისაგან. მაგრამ, წინააღმდეგ მეორე იმპერიისა, მესამე რესპუბლიკის კონსტიტუციაში დაულია თავისუფლება პრესსისა, თავისუფლება სიტყვისა, საჯარო გასამართლება ყველა დამნაშავეთა, მათ შორის სახელმწიფო დამნაშავეთაც.

ასეთია, უათავრესად, სახელმწიფო ებრივი წყობილება საფრანგეთისა მესამე რესპუბლიკის დროს. ენახოთ ეხლა, რანაირი იყო მისი შინაური განვითარება და რანაირი მიმართულება მიიღო მისმა საგარეო პოლიტიკამ მესამე რესპუბლიკის დასაწყისიდან იმ მომენტამდე, როდესაც 1904 წელს საფრანგეთმა დიპლომატიური შეთანხმება დაამყარა ინგლისთან და ამით საფუძველი ჩაუყარა ანტანტას.

გ ლ ე ხ ი ბ ა.

მე-19-ე საუკუნის დასასრულს ისევე, როგორც დასაწყისში, გლეხობა საფრანგეთში მცხოვრებთა უდიდესს ნაწილს შეადგენდა; გლეხებს შორის კელავ ძალიან გავრცელებული იყო წვრილი სააღგილ-მამულო საკუთრება, რომელიც საფრანგეთის გლეხობის უმთავრესს მასსას ტიპურ წვრილ ბურუუზიად ხდიდა. მართალია, მე 19-ე საუკუნის დასასრულს და მე 20-ე საუკუნის დასაწყისში, უმიწა-წყლო ბოგანოებისა და ლარიბი მოიჯარაღრების რიცხვი შესამნევლად გაიზარდა; სოკიალისტების განსვენებულ ბელადს უორესს განზრავა ჰქონდა გლეხობის ნაწილის პროლეტარიზაციის საკითხის შესახებ მოეწყო დიდი ანკეტა, რომელიც სოციალისტურ პარტიას უნდა მოეხდინა. მაგრამ საზოგადოდ სოფლის პოლიტიკურ სულიერ განწყობილებას ტონს მაინც გლეხი -- მესაკუთრებული აძლევობენ და არჩევნებში ჩვეულებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ.

ტ უ რ ე უ ა ზ ი ა.

რაიცა შეეხება ფინანსიურ, საეგვირო და სამრეწველო ბურუუზიას, საკიროა უპირველესად ყოვლისა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის ბურუუზიული კლასის ყველა ამ ფენებმა მე-19-ე საუკუნის მთელ მეორე ნახევარში გაცილებით უფრო ნაკლები ცვლილები განიცადეს, ვიდრე ინგლისა და გერმანიაში. ინგლისმა, გერმანიამ და შეერთებულმა შტატებმა განიცადეს უდიდესი პროგრესის სამრეწველო კაპიტალიზმისა; მსხვილი მრეწველობა ამ ქვეყნებში უდი-

დესი სისწრაფით იზრდებოდა. საფრანგეთში კი არაფერი ამის მსგავსი არა ყოფილა. თავისუფალი კაპიტალები საფრანგეთში შალიან ბევრი იყო, მაგრამ ფრანგები ამ კაპიტალებს აბანდებდნენ შინაურ და გარეშე სესხებში, წმინდა ფრანგების მინანციურ ოპერაციებში და არ ახალი ქარხნების აშენებაში ან ძველ სამრეწველო წამოწყებათა გაფართოვებაში. 1914 წლის ომამდე საფრანგეთმა სესხის სახით საზღვარგარეთ 40 მილიარდ ფრანკამდე ოქრო მოათავსა და ამ სესხში დიდი ძალი პროცენტი აიღო. ფინანსიური და სავაჭრო კაპიტალი მეტად ძლიერი იყო; სამრეწველო უფრო სუსტი. ხელოსნობა, წვრილი მრეწველობა — აი გაბატონებული ტიპი სამრეწველო მოლვაწეობისა საფრანგეთში. ბანკირი, ბირჟას მოლვაწე, ბანკის აქციონერი, პატრონი დიდი სავაჭრო ფირმისა — აი, უმთავრესად, მსხვილი ფრანკული ბურჟუაზია; მსხვილი ბურჟუაზის, მსხვილი კაპიტალისტების შორის მრეწველებს უფრო იშვიათდ შეკვედებით ვიდრე ბანკირებსა და ვაჭრებს.

მსხვილი ბანკირები, ად მიანები, რომლებიც დიდი ფინანსიური დაწესებულებების სათავეში სდგანან, საფრანგეთში დიდს ძალას წარმოადგენენ. ისინი საჭირონი არიან როგორც საფრანგეთის მთავრობისთვის ისე უცხოეთის მთავრობებისთვის, რომლებიც სესხის განალებას მოისურვებენ პარიზის ბირჟაზე; ამ ფინანსიური მეთაურებისაგან არიან დამოკიდებული მრავალი გაზეთები; მათს წინაშე ბშირად ლაქუობენ დეპუტატები და ძლიერი პარტიების მეთაურები; ისინი ბშირად ქვეყნის შინაური და საგარეო პოლიტიკის საიდუმლო ხელმძღვანელები არიან. დიდი ბანკები გავლენას ახდენენ გლეხებზედაც კი, რომლებიც ცდილობენ თავიანთი მომარაგებული ფული სანდო და მომგებიან საქმეში მოათავსონ; ამიტომ ბშირად დაინტერესებულნი არიან, რომ დიდი საბანკო დაწესებულებანი აყვავდეს. ფინანსისტების გავლენა ძალიან ხშირად არჩევნების შედეგზედაც მოქმედობს.

მუშათა კლასი.

ბურ

რაიცა შეეხება მუშათა კლასს, ქვეყანაში, სადაც ასე სუსტად არის განვითარებული მრეწველობა, რა თქმა უნდა, მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე, მაგ., ინკლისას მუშათა კლასი. მაგრამ მეტებურად მუშათა კლასისთვის დიდი სარგებლობა. მოაქვს იმ გარემოებას, რომ სწორედ სატახტო ქალაქში, პარიზში, სხვა ადგილებთან შედარებით, ის ძლიერდა. დიდი მნიშვნელობა იქნის, რა თქმა უნდა, იმასაც, რომ საფრანგეთის მუშა-

თა კლასი მტკიცე რევოლუციონური ტრადიციების შატარებელია. პარიზის კომუნის ხანობა გატონობამ დიდი მოვონებანი დასტოა. სხვადასხვა სოციალისტური მიმდინარეობანი საფრანგეთის მუშათა კლასს კარგა ხანს პატარ-პატარა ჯგუფებად ჰყოფდა. მხოლოდ უკვე 1900 წლებიდან შეიქმნა „გაერთიანებული სოციალისტური პარტია“. ამ ჟამად სოციალისტებს ჩამოსცილდნენ კომმუნისტები, რომლებმაც შე-III-ე ინტერნაციონალის პროგრამმა მიიღეს. დეპუტატთა პალატაში სოციალისტებს ყოველთვის პატარა ჯგუფი ჰყავდათ; პალატის 600 წევრიდან სოციალისტებს დაახლოვებით 40—50—60 წევრი ჰყავდათ. ომის წინ საფრანგეთში ძალიან გაძლიერდა რევოლუციონურ-სინდიკალისტური მიმდინარეობა, რომელიც საზოგადოდ პარლამენტარულ მოღვაწეობას უარყოფითად ეპურობოდა. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები არტკიცებდნენ, მუშათა კლასი უფრო დღილად „პირდაპირი მოქმედებით“ გაიმარჯვებას, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური გაფიცვებით, საბოტაჟით, განსაკუთრებით რეინის გზის, ტრანსპორტის მუშებას, ელექტრონის სადგურების მოსამსახურეთა და სხვ. გაფიცვით, ვიდრე საპარლამენტო ბრძოლით. პარიზის შრომის ბირეა კარგა ხანს (განსაკუთრებით უკანასკნელ 8 წელიწადს ომის წინ) თითქოს რევოლუციონური სინდიკალიზმის მთავრი შტაბი იყო.

მესამე რესპუბლიკის შინაური პოლიტიკა.

ახეთია მთავარი საზოგადოებრივი კლასსები საფრანგეთში მე-სამე რესპუბლიკის დროს. მრავალი წლის განმავლობაში საფრანგეთი მუშათა კანონმდებლობის წხრით ყველაზე უკან ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. სწორედ ასევე კარგა ხანს საგადასახადო სისტემა საფრანგეთში იმარისად იყო აგებული, რომ საზოგადოების მდიდრი კლასი დაახლოებით იძღვნსავე იხდიდა; რამდენსაც ლარიბი, ყოველ შემთხვევაში არ იხდიდა იმას, რის გადახდაც შეეძლო და რაც აუცილებლად უნდა გადაეხადა, საგადასახადო ტეირთი ცოტად თუ ბევრად საძართლიანად რომ ყოფილიყო განაწილებული. ყოველივე ცდა ცოტად თუ ბევრად სამართლიანი ვადასახადის შემოღებისა დიდს წინააღმდეგობას იწვევდა დაინტერესებულ პირთა, უპირველესად ყოვლისა მსხვილი კაპიტალისტების მხრით.

საზოგადოდ, მესამე რესპუბლიკის სოციალური კანონმდებლობა გახაოცარია თავისი უკან ჩ მორჩენილობით შედარებით, მაგ., გერმანიასთან ან ინგლისთან. საზოგადოთაც მესამე რესპუბლიკის დასა-

წყისიდან დღევანდლამდე ფართო, თამამი რეფორმა შალიან ცოტა განხორციელდა.

მაგრამ ამ წლებში ძალიან დიდი ენერგია დაიხარჯა ბრძოლა-ზე, რომელიც მონარქიული და კლერიკალური გამოსვლების წინა-აღმდეგ იყო მიმართული; ამ გამოსვლების მიზანი რესპუბლიკანური კოსტიტუციის დამხმა იყო.

მართვა-გამეობის რესპუბლიკანური ფორმის მტრები ნაწილო-ბრივ ყოფილი თავად-აზნაურობის წრეებში გროვდებოდა, ნაწილო-ბრივ მსხვილსა და საშუალო ბურჟუაზიის წრეებში; კლერიკალები თავიანთ მოშხრებს იმავე წრეებში პოულობდნენ, ნაწილობრივ კი წვრილ სავაჭრო ბურჟუაზიასა და გლეხობაში. კათოლიკური სამ-ლვდელოება საზოგადოდ მტრულად /იყო განწყობილი თავისუფლად მთაზრე რესპუბლიკისადმი. მონარქისტები რამდენიმე ფრაქციად იყო-ფორნენ და ეს მათ ასუსტებდა. ყოველ შემთხვევაში, თავისი არსე-ბობის დასაცავად, მესამე რესპუბლიკას რამდენჯერმე მოუხდა სე-რიოზული ბრძოლის წარმოება. თუმცა უნდა ითქვას, რომ რესპუბ-ლიკის მტრებს დიდი, ნამდვილი პოლიტიკური ძალა არა ჰყოლიათ. მათ მხოლოდ ბურჟუაზიის მცირე ნაწილი მისდევდა. რესპუბლიკა თითონ ისე ფრთხილად ეპურობოდა ყაველვარ მცირე სოციალურ რეფორმასაც კი, კაპიტალის ინტერესებს იმდენად ერთგულად იკავ-და, რომ შეძლებული კლასების თვალსაზრისით, მმართველობის არ-სებული ფორმის შეცვლას და ახალ მლელვარებათა წარმოშობას არავთარი საკიროება არ მოითხოვდა. რესპუბლიკას საბოლოოდ თავის მემარჯვენე მტრებზე უნდა გაემარჯვა და, მართლაც, გადარჩა კიდეც. მაგრამ ბრძოლა გაჯიშტებული და ხშირი იყო. აღვნიშნავთ, ამ ბრძოლის მხოლოდ უმთავრესს მომენტებს.

გენერალი ბულანუე.

რესპუბლიკის დამხმაბის პირველი ცდა გენერალ ბულანუეს სა-ხელთან არის დაკავშირებული. გენერალმა ბულანუემ, რომელიც 1887 წ. სამხედრო მინისტრად დაინიშნა, დიდი ყურადღება დაიმსა-ხურა თავისი მოქმედებით. ყველა იმათ თვალში, ვინც გერმანიის სამაგისტროს გადახდაზე ("რეანიშე") და ელჩას-ლოტარინგიის და-ბრუნებაზე ოცნებობდა, გენერალი ბულანუე მალე გადაიქცა ნაციო-ნალურ გმირად, რომელშიაც განსახიერებული იყო ფრანგული პატ-რიოტიზმი. მონარქიულად განწყობილმა წრეებმა სწორედ ამ გარე-მოებით ისარგებლეს. მათ სურდათ გენერალი ბულანუე (რომელიც

მთავრობას წაეჩინდა და სამსახურიდან გადაღვა) აეძულებინათ სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა, ძალა-უფლება ხელში ჩაეგდოდა ტახტზე ბუღანების ღინასტია აეყვანა. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სურდათ, რომ ბუღანების ტახტზე ბონაპარტების ღინასტია აეყვანა. ერთხანად ბუღანების პოპულიარობა იმდენად დიდი იყო, საპარლამენტო არჩევნების დროს იმ ოლქში, სადაც ის ყუთს იდგამდა, იმდენად დიდს უმრავლესობას იღებდა, რომ რესპუბლიკელთა შორის, მართლაც, შიში დაბადა. მაგრამ საბოლოოდ აგიტაცია ბუღანების სასარგებლოდ მაინც დასტერა. მთავრობამ ბუღანები სამართლში მისცა, იგი საფრანგეთიდან გაიქცა და მალე თავი მოიკლა. უნდა ითვეს, რომ მუშათა კლასში ბუღანებისტურ პროპაგანდას არავითარი გავლენა არა ჰქონდა; ბურუუაზის შორის კი სულიერი განწყობილება სხვადასხვანაირი იყო. ბურუუაზის ნაწილი ჯერ ისევ მონარქისტულად იყო განწყობილი და ბუღანების მხარს უჭირდა; მეორე ნაწილი კი (უმრავლესობა) იმ აზრისა იყო, რომ ყოველივე კლას რესპუბლიკის დამხობისა სახითათო რევოლუციას გამოიწვევს და საქმე რევოლუციით დამთავრდება. რაიცა შეეხება გლეხობას, მას ძალიან ნაკლებად აინტერესებია მთელი ის აურზაური, რომელიც ბუღანების გარშემო ასტყდა. ბუღანების გამცევისა და თავის მოვლის შემდეგ მთელი ეს მოძრაობა საბოლოოდ მოისპო. ამისდამიუხედავად, რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილი ძალები ისევა სკოცხლობდნენ საფრანგეთის საზოგადოებაში და თავის გამოსაჩენად ახალ შემთხვევას ელოდნენ.

ვ ა ნ ა მ ა.

ეს შემთხვევა მალე გამოჩნდა, ბუღანებისტური მოძრაობის ხუთი წლის შემდეგ, 1892 წელს. ეს იყო ეგრედ წოდებული „პანამის ისტორია“. საქმე ერთი ფინანსიური წამოწყების მარცხით დაიწყო და დამთავრდა უზარმაზარი პოლიტიკური სკანდალით, რომლითაც რესპუბლიკის მტრებს სურდათ ესარგებლათ სახელმწიფოებრივი გადატრიალების მოსახლენად. საქმე შემდეგში იყო. პანამის არხის გასაყვანად კომპანია დაარსდა; პრემიერის მშვიდი და ატლანტიდის ოკეანები უნდა შეერთებინა. საკირო საშუალებათა მოსაპოებლად კომპანიაშ (რომლის სათავეშიაც იდგა ცნობილი შარლ ლესსეპსი, სუეცის არხის გამკეთებელი) გამოუშვა აქციები, რომლებიც პარიზის ბირჟაზე ძალიან კარგად იყიდებოდა. მაგრამ საქმე კარგად ვერ მოწესრიგდა, აუმინისტრატორები ხშირად არა კუთილსინდისიერად იქცეოდნენ, და

შველაფერი შარტხით დამთავრდა. ამ გარემოებით ძალიან დაზარალდენ როგორც ბურუუზის წრიდან, ისე გლეხობიდან, რომლებიც პანამის აქციებს დიდის ნდობით ყიდულობდნენ და შემდეგ კი იძულებული გახდნენ აქციები დიდის ზარალით გაყიდვათ. აღმოჩნდა, რომ თუ თავის დროზე ეს საქმე აღვილად ხება დართეს, თუ პირველი ხანიდანვე ბირჟაზე მას დიდი გასავალი ჰქონდა, — ყველაფერი ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მთავრობა და პარლამენტის გავლენიანი დეპუტატები მას მხარს უჭერდნენ. მთავრობა და დეპუტატები კი კამპანიის მესვეურების მიერ მოსყიდული აღმოჩნდნენ. ერთი ბრალდება მეორეს მოსდევდა. მოსყიდული განსაკუთრებით რესპუბლიკანური პარტიების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ, და მონარქისტებმაც ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლეს. ნამდვილად კი რესპუბლიკელები აღმოჩნდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ პალატაში გავლენიანი მხოლოდ ისინი იყვნენ და პანამის საქმის მესვეურებისათვის მხოლოდ მათი მოსყიდვა იყო სასარგებლო. მონარქისტებისათვის კი ქრთამი არავის არც შეუძლევია, რადგანაც მონარქისტები პალატაში უმცირესობას შეაღენდნენ და არავითარი გავლენა არა ჰქონდათ. შავრამ მონარქისტებმა მოხერხებულად დაიწყეს აგიტაცია: ამტკიცებდნენ, რესპუბლიკელები სულ მექრთამენი და გაიძერები არიან, და პატიოსანი ხალხი მხოლოდ მონარქისტთა შორის შეიძლება გამოიძებნოს. პანამის მარტინი დაზარალებულ ბურუუზის ნაწილში და გლეხობაში ამ აგიტაციას ერთხანად დიდი გასავალი ჰქონდა. მონარქისტულ გაზეთებში ახდილად სწერდნენ, რესპუბლიკანური წეს-წყობილება გაიხრინათ. მონარქისტ დეპუტატების შორის აზრიც კი დაიბადა, საერთო აღშოროებით ესარგებლათ, აერჩიოთ განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია, რომელიც ჯარს დაუმყარებოდა, ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდაბოდა და კონსტიტუციის გამოცვლას მოითხოვდა. შავრამ საქმე აქამდის აღარ მიერიდა, ქარტეხილი თანდათან დასცრა. რესპუბლიკა ამ უძალაც გადარჩა. ამის-დამიუხედავათ რამდენიმე წლის შემდეგ მას კიდევ ახალი მესამე განსაცდელი უნდა გადაეტანა, უფრო სახითაო ვიდრე ბულანებიში და პანამის ისტორია იყო: ეს იყო დრეიფუსის ცნობილი საქმე.

დრეიფუსის საქმე.

კაპიტან დრეიფუსს ბრალი დასდეს სახელმწიფო დალატში (თითქოს სამხედრო საიდუმლოებანი გერმანიის მთავრობას გადასცა) და სამუდამი დატუსალება მიუსაჯეს.

გვიდა რამდენიმე წელიწადი, დრეიფუსის მეგობრებმა შესძლეს და დაამტკიცეს, რომ ზოგიერთი დოკუმენტები, რომლის მიხედვი-

თაც დრეიფუსი დამნაშავეთ იქმნა ცნობილი, ბრალდებულისთვის სრულიად არ წარუდგენიათ, ზოგი დოკუმენტი კი პირდაპირ ყალბი აღმოჩნდა. საქმეში ჩაერივნენ პოლიტიკური მოღვაწენი რაღიალური და სოციალისტური პარტიებისა, აგრეთვე ზოგიერთი გამოჩენილი ლიტერატორი (მაგ., გამოჩენილი რომანისტი ზოლა), რომლებმაც დრეიფუსის საქმის გადასასინჯავათ მთელი საზოგადოებრივი მოძრაობა შეჰქმნეს. 1898 წლიდან მოძრაობამ დრეიფუსის სასარგებლოდ ფართო ხასიათი მიიღო. მაგრამ პირველ წლებში წინააღმდეგობაც ძალიან დიდი იყო. სამხედრო წრეების უმრავლესობა დრეიფუსის მოწინააღმდეგ აღმოჩნდა: სამხედრო პირები სავსებით ენდობოდნენ სამხედრო სასამართლოს, რომელმაც დრეიფუსი დამნაშავედ იკნო, და აღმფოთებას გამოსთვევამდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც „მოღალატის“ დაცვას ჰქედავდა; დრეიფუსის წინააღმდეგ დიდს აგიტაციას ეწეოდა აგრეთვე კათოლიკური სამღვდელოება. სოფლის ეკლესიებშიაც კი ხშირად ქადაგებას კითხულობდნენ მოღალატე ებრაელის შესახებ (დრეიფუსი ებრაელი იყო), რომელსაც ერთმორწმუნენი ექმაგებიან და საფრანგეთის დაღუპვა სურთო. წვრილ და საშუალო ბურჟუაზიაში, საცაჭრო წრეებში, სადაც „ებრაულ კონკურენციას“ ისედაც მაღიან მტრულად ეპყრობოდნენ, დრეიფუსის საქმე დიდს მღელვარებას იწვევდა, ხმა-მაღლა ამპობდნენ, რომ საფრანგეთსა ჰყიდიან და სხვ.

რესპუბლიკის ყველა მტრები გაერთიანდნენ შემდეგი ლოზუნგის გარშემო, არავთარ შემთხვევაში დრეიფუსის საქმის გადასინჯვა არ დაუშვან. დაიწყო უსასტიკესი პროპაგანდა მართვა-გამგეობის რესპუბლიკანური ფორმის წინააღმდეგ, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო „დაუსჯვლი გამცემლობა“ და სხვ, მეორეს მხრით, რესპუბლიკელებიც ცდილობდნენ სოციალისტებთან ერთად შეექმნათ მთლიანი ფრონტი რესპუბლიკის დასაცავად. სოციალისტურ ჯგუფთა შორის ამ საკითხის შესახებ თანხმობა არ იყო: უიულ გელის მომხრები ამტკიცებდნენ, რომ დრეიფუსის საქმე მუშებისთვის გარეშე საქმეა, იგი არის ბრძოლა ბურჟუაზიული კლასის. შიგნით და რომ მუშებმა თავიანთი აქტივობა, თავიანთი ენერგია თავიანთი საკუთარ კლასსიურ ინტერესებს უნდა მოახმარონ; უორესის ჯგუფი, პირიქით, იმ აზრისა იყო, რომ დრეიფუსის საქმის ქვეშ იფარება გამწარებული ბრძოლა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მუშებისთვის კი სულერთი არ არის, საფრანგეთში რესპუბლიკა იქნება, თუ მონარქია გამეფდება, ვინაიდან შემდეგი ბრძოლა სოციალისტური წესწყობილებისთვის რესპუბლიკის დროს უფრო ადვილათ იქნება, ვიდრე

შონარქიის დროს. იმ დემონსტრაციებსა და გამოსკულებში, რომ-ლებიც „დრეიფუსის ისტორიის“ წელებში (1898—1901) იმართე-ბოდა, პარიზისა და სხვა დიდი ქალაქების მუშები დიდს მონა-წილეობას იღებდნენ. ბრძოლა დრეიფუსის მომხრეებსა და მოწი-ნააღმდეგების შორის ზოგჯერ ისეთ მწვავე ხასიათს იღებდა, რომ შესაძლებელი იყო სამოქალაქო ომი დაწყებულიყო. გაცხარებული ბრძოლის დროს გარდაიცვალა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზი-დენტი ფლოიქს ფორჩი; მისი დამარცხის დროს ნაციონალისტები შე-ეცადნენ ერთი გენერალი დაეჯერებინათ იმაში, რომ საჭიროა სა-ხელმწიფო გადატრიალების მოხდენა, გენერალმა ეს ვერ გაბედა. სა-ბოლოოთ დრეიფუსის ურანაშაულობა სავსებით დამტკრცდა. თუმცა ახალმა სამხედრო სასამართლომ იგი კვლავ გაამტყუნა, მაგრამ უმა-ლლესმა საკასაციო სასამართლომ ეს განაჩენი გააუქმა, და დრეიფუ-სი კიდევ სამხედრო სამსახურში იქმნა მიღებული. დრეიფუსის საჭ-მეს შედეგად რესპუბლიკის განმტკიცება მოჰყვა. ამ მძიმე განსაცდე-ლიდან იგი გამარჯვებული გამოვიდა. დეპუტატთა პალატის აჩევ-ნების დროს რადიკალებმა და საზოგადოდ მემარცხენე პარტიის მა-უმრავლესობა მიიღეს, და მთავრობიამაც მონარქიისტებისა და კლერი-კალების წინააღმდეგ ენერგიულად დაიწყო ბრძოლა. რესპუბლიკის-დამი მტრულად განწყობილი საეკლესიო გავლენის წინააღმდეგ დიდს ბრძოლას განსკავუთებით კომბის სამინისტრო აწარმოებდა (1902—1905 წ. წ.). კომბია რამდენიმე გავლენიანი სარწმუნოებრივი საზო-გადოება და ბერების ორგანიზაცია მოსპო, სახალხო განათლების საქმე საბოლოოდ გამოიკვლიჯა. სამლენდელობას და მომზადა ეკლე-სიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან (თვით კანონი ეკლესიის ჩამო-შორებისა სახელმწიფოსაგან უკვე კომბის მოაღილის დროს განხორ-ციელდა).

დეპუტატთა პალატის სოციალისტური ფრაქცია, რომლის შე-თაურადაც ურორესი გახდა, ამ ბრძოლაში რადიკალებს ენერგიულად ეხმარებოდა. ამავე დროს მუშათა წრეებში განვითარდა მიმღინარე-ობა, რომელიც სოციალისტების ასეთს თანამშრომლობას ბურჟუა-ზიულ რადიკალებთან და საზოგადოდ პარლამენტარულ ბრძოლას მტრულად ეპყრობოდა. ამ მიმღინარეობის წარმომადგენლები (სინდი-კალისტები) იმ აზრს გამოსთვევამდენენ, რომ მუშათა კლასი უფრო მეტს შედეგებს მიაღწევს, თუ კაპიტალისტური წესწყობილების წი-ნააღმდეგ ეკონომიკური და პოლიტიკური გაფიცების საშუალებით გარდოლებსთ. ბრძოლა ორივე მიმართულების შორის საფრანგეთის.

მუშათა კლასსში მსოფლიო ომამდე არ შეწყვეტილა, ეს ბრძოლა სხვა და სხვა ფორმით ომის შემდეგაც გრძელდებოდა.

მესამე რესპუბლიკის ხაფარეო პოლიტიკა:

რაიცა შეეხება მესამე რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას, აქ უპირველესდ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ახალი კოლონიების დაპყრობისა. ნამდვილად რომ ითქვას, უმრავლესობა და საფრანგეთის მთავრობა ელზას-ლოტარინგიის დაკარგვას ვერასოდეს. ვერ უჩიგდებოდა და ერთთავად რევანშე ოცნებობდა, ე. ი. ცდილობდა 1870—71 წ. წ. დამარცხებისთვის გერმანიისთვის სამაგიერო გადაეხადა. მაგრამ საფრანგეთი გრძნობდა, რომ პირისპირ ბძროლა გაუჭირდებოდა და ამიტომ უპირველესად ყოვლისა მოკავშირეებს ეძებდა. დიდის ცდის შემდეგ ფრანგებმა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი შექმნეს. ეს კავშირი საფრანგეთსა და რუსეთს შორის 1891 წელს დაიღო და თავდაპირველად თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა: იგი რუსთს ავალებდა გერმანიის წინააღმდეგ გაელაშქრა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია საფრანგეთს დაეცემოდა; სწორედ ასევე საფრანგეთი ვალდებული იყო გაელაშქრა გერმანიის წინააღმდეგ, თუ გერმანია რუსეთს დაეცემოდა. მაგრამ არც საფრანგეთი, არც რუსეთი იმდენად ძლიეროდა არა გრძნობდნენ თავსა, რომ გერმანიას დასცემდნენ (მით უფრო იმიტომ, რომ გერმანიას კავშირი ჰქონდა შექრული აესტრიასა და იტალიასთან).

ფრანგებს არავითარი გადამწყვეტი ნაბიჯები არ გადაუდგამს ევროპაში, ისინი კოლონიების დაპყრობას აფრიკასა და აზიაში შეუდგნენ. ფინანსისტები, მრეწველები, მსხვილი ვაჭრები ამ კოლონიალურ საქმეებში მთავრობას მხარს უჭერდნენ. მესამე რესპუბლიკის არსებობის პირველ ოცდათ წელიწადშივე დაპყრობილ იქმნა უზარ-მაზარი კოლონიები, რომლებიც სიღილით თეთ საფრანგეთს რამდენჯერმე აღმატებოდა. ასე, მაგალითად, აფრიკის ჩრდილოეთი დაპყრობილ იქმნა ტუნისი (საფრანგეთის ძელი კოლონიის, ალე-რის, გვერდით), შემდეგ ინდო-ჩინეთი (სამხრეთ-აზიაში); მერე რიგი დადგა ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკაზე, სადაც ფრანგებმა უზარ-მაზარი აღვილები დაიპყრეს; აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირთან დაპყრობილ იქმნა დიდი კუნძული მადაგასკარი, რომელიც სიღილით მთელს საფრანგეთს აღმატება. საზოგადოდ, მესამე რესპუბლიკის კოლონიალური მონაპოვარი ძალიან დიდი იყო: 1871 წ. საფრანგეთის კოლონიალური სამფლობელოები $1\frac{1}{4}$, მილ. კვ. კილო-

მეტრს უდრიდა, ხოლო 1914 წ.—10^ა მილ. მართალია, ფრანგების ცდა ნილის ველში შეჭრისა უნაყოფოდ დასრულდა: აქ ისინი ინგლისელებს შეეჯახნენ და იძულებული გახდნენ თავი დაენებებრნათ პატარა აღგილი ფაშოდისთვის, სადაც ისინი შევიდნენ; კარგა ხნის განმავლობაში ინგლისელები საშუალებას არ აძლევდნენ დამკვიდრებულიყვნენ აფრიკის ჩრდილოეთ-დასავლეთში—მაროკოს მდიდარი იმპერიაში.

და აი, უკბათ, ინგლისის პოლიტიკა, რომელიც აქამდის საფრანგეთის კოლონიალურ დაპყრობას მტრულად ეპყრობოდა, ძირიან-ფესვიანად შეიცვალა: 1903^წ წლიდან მთელ ევროპაში ლაპარაკი დაიწყეს იმის შესახებ, რომ ინგლისის ახალი მეფე ედვარდ VII პარიზში აპირებს გამგზავრებას და ძალიან მაღე ჟველა სადაცო საკითხის გაშო ინგლისსა და საფრანგეთს შორის სრული თანხმობა დამყარდებაო. 1904 წლის 8 აპრილს ამ შეთანხმებას ხდია მოაწერეს. ეხლა განვიხილოთ, რანაირი იყო ამ შეთანხმების მნიშვნელობა. 1904 წლის 8 აპრილს შოთალისა ანტანტა, რომელმაც ესოდენ დიდი თოლი იიამაშა მსოფლიო ისტორიაში.

თავი მეოთხე.

ევროპა ანტარტიკ უფანიდან მსოფლიო ოზის
დასაწყისამდე [1904—1914 წ. წ.]

| ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება..

X ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ინგლისის მმართველი კლასი (გან-
საუკრებით მრეწველები, ვაჭრები და გემების პატრონები) უკვე
მე-19-ე საუკუნის მე-80-ე წლებიდან გერმანიის კაპიტალის სახიფა-
ოო კონკურენციის გამო დიდს შიშის განიცდიდა. ჩვენ დავინახეთ
აგრეთვე, რომ ვიღებელმ II მოუსვენარი საგარეო პოლიტიკა, მისი
მისალოცი დეპეშა ბურების პრეზიდენტის კრიუგერისადმი, უმთავ-
რესად კი უზარ მაზარი ხარჯები სამხედრო ფლოტის შესაქმნელად;
ყველაფერი ეს ინგლისელებს აიძულებდა გერმანიისთვის ეცქირათ
არა როგორც მხოლოდ ეკონომიური კონკურენტისთვის, არამერიკა-
რეთვე როგორც პირიაპირი მტრისთვის, რომელიც უზარ-მაზარ სამ-
ხედრო ფლოტს ამზადებს, რათა აღრე თუ გვიან ინგლისის ფლოტს
შეეჯახოს და თუ მოსახერხებელი გახდება, ჯარი თვით ინგლისშიაც
გადასხას. ხანგრძლივი გაჭიანურებლი, ინგლისელებისთვის თავდაპირ-
ველად მარცხით დაწყებული, მოის დროს ბურების წინააღმდეგ, რო-
დესაც ნათლად გამოჩნდა მტრული განწყობილება ინგლისისაღმი
გერმანიისა, საფრანგეთისა და რუსეთის მხრით,—ინგლისში ერთხა-
ნად ფიქრი დაიწყეს გერმანიასთან კავშირზე, რომელიც რუსეთისა
და საფრანგეთის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული; ამნაი-
რი კომბინაციის დროს გერმანია შეიძლებოდა რუსეთსა და სა-
ფრანგეთზე მიესიათ და ამით სამიერე სახელმწიფო დაესუსტებინათ.
რაგრამ ინგლისთან კავშირის. შეკერა გერმანიამ არ მოისურვა და
თავისი ფლოტის გაძლიერებას შეუდგა. მაშინ ინგლისმა გერმანიის
საწინააღმდევოდ საჩაროდ მოკავშირების ძებნა დაიწყო. 1901
წელს, მოხუცი დედოფლის ვიქტორიას გარდაცვალების შემდეგ, ტა-
ხტზე ავიდა მისი შეილი, მეფე ედვარდ VII, დიდი დიპლომატიური
ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი. სრულიად ახალი პოლიტიკის
წარმოება, მთავრობასთან შეთანხმებით, სწორედ მან დაიწყო.

ეს პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ აუცილებლად, თუნდაც დიდის მსხვერპლის გაწევით, ინგლისი მის ძველ მტრებთან— საფრანგეთთან და რუსეთთან— შეერიგებინა და გერმანიის წინააღმდეგ ძლიერი კაეშირი შეექმნა. მაგრამ რუსეთთან მორიგება ჯერ ადრე იყო: რუსეთი სწორედ ამ დროს შორეულ აღმოსავლეთში ახალი აღგიღების დასაბურობად ემზადებოდა, ეს ინგლისის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, და ამიტომ ინგლისი ყოველი მხრით იაპონიას ეხმარებოდა. სამაგიეროდ საფრანგეთთან შეთანხმების დამყარება დაუყოვნებლივ შეიძლებოდა. თუ ინგლისსა სურდა საფრანგეთს მართლა შესთანხმებოდა, მას მსხვერპლი უნდა გაელო, და ინგლისის მთავრობაც ამ მსხვერპლის გაღებას დასთანხმდა. მან საფრანგეთს წინადაღება მისცა უარი ეთქვა ეგვიპტეზე (რომელიც ინგლისელებს ეჭირათ) და ამის ზაცვლას დაშვეიდრებულიყო მაროკოში, სადაც ფრანგები დიდი ხანია მიიწვედნენ, მაგრამ ინგლისის წინააღმდეგობის გამო ვერაფერს გამხდარიყვნენ. და აი, ინგლისი მაროკოს თითონ სთავაზობდა. საფრანგეთისთვის ეს წინადაღება მეტად ხელსაყრელი იყო: უზარ-მაზარი ნაყოფიერი მაროკოს იმპერია მთელი თავისი სიმდიდრით მოულოდნელად მის ხელში გადიოდა. შეთანხმებას ხელი მოაწერეს, როგორც უკვე ნათქვამი იყო, 1904 წლის 8 აპრილს. უფრო მეტიც: ინგლისი ფრიად გარეუევით აგრძნობინებდა რომ მასა სურდა საფრანგეთთან მჭიდრო კავშირის შეკვრა გერმანიისგან თხვის დასაცავად. საფრანგეთში, სადაც გერმანიას ისე უკერძნენ, როგორც მუდმივსა და სახიფათო მტერს, ამ წინადაღებას დაუყოვნებლივ მიიღებდნენ, მაგრამ მდგომარეობა ცოტა უხერხული იყო: სწორედ ამ დროს რუსეთი იაპონიას ეომებოდა, ინგლისი კი ახდილად იაპონიას უკერდა მხარსა; საფრანგეთისთვის, რუსეთის მოკავშირისთვის, უხერხული იყო, დაუყოვნებლივ კავშირი შეკრა ინგლისთან, რომელიც იმ დროს რუსეთისაღმი მტრულად იყო ვანწყობილი.

II რუსეთ-იაპონიის ომი და მისი დასასრული. გერმანიის, გამოსყლა და მაროკო.

ომი, რომელსც 1904 წელს რუსეთის მთავრობამ შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო, თავიდან ბოლომდე რუსეთისთვის უდად ვითარდებოდა. ეს ომი ფრიად არა პომულიალური იყო: არც ერთს საზოგადოებრივ კლასს იგი საჭიროდ არ მიჩნდა, რადგანაც რუსეთის საკუთრი და სამრეწველო, ბურუუაზიას შორეულ აღმოსავლეთში შეჭრა

და ეკონომიური სარგებლობის მოპოება უმოდაც შეეძლო (ამ სარ-
გებლობას იღებდა კიდეც). ავანტიურისტების ჯგუფმა, რომელმაც ნი-
კოლონზ II ეს დამტუპველი ომი დააწყებინა, იაპონიის წინააღმდე-
ვობის ძალა კარგად ვერ დარაუდა. რუსეთის ჯარი და ფლოტი,
მიუხედავად მებრძოლთა სიმტკიცისა და გმირობისა, ერთთავად მარ-
ტიდებოდა. მუკდენის დამარცხების შემდეგ (1905 წ. თებერვალს) და-
რუსეთის ფლოტის დალუპვის შემდეგ ცუსიმასთან (1905 წ. მაისს) ა-
რევოლუციონურმა მოძრაობამ, რომელმაც 1904 წელს უკვე თავი-
იჩინა და 1905 წლის 9 იანვარის „სისხლიანი კვირა“ გამოიწვია, —
ახალის სიძლიერით იფეთქა. ზაფხულში საზაფო მოლ კება დაი-
წყო, — და 1905 წლის აგვისტოს პორტსმუტში რუსეთ-იაპონიის ზაფი-
შეიკრა.

რუსეთისთვის ამ უბედურ გაზაფხულს და 1905 წლის ამ ზა-
ფხულს გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II პირველად გამოიჩინა-
თავისი მტრული განწყობილება ინგლის-საფრანგეთის ანტანტისადმი-
(ფრანგულად შეთანხმება ნიშნავს entente, ამითომ 1904 წლის შე-
თანხმებს ინგლის-საფრანგეთის ახასია უწინდეს).

საქმე მოშია, რომ გერმანიაში საპრეზეველო და სავაჭრო წრე-
ები უკვე დიდი ხანია აგიტაციას ეწეოდნენ ინგლის-საფრანგეთის-
შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც შაროკებს საფრანგეთს უგდებდა.
ხელში. იმ გაზეთებში, რომლებიც გერმანელი მრეწველების ინტერე-
სებს იცავდნენ პირდაპირ სწერდნენ, რომ მაროკო ეს ერთად-ერთი
უკანასკნელი დიდი მლიდარი ადგილია, სადაც გერმანიას მომავალში-
რაიმე შეუძლიან მოიპოვოს — და აი მაროკო ეხლა მთლიანად სა-
ფრანგეთის ხელში გადადის, თუმცა მაროკოში გერმანიას დიდი
ეკონომიური ინტერესები აქვს; გაზეთები გერმანიის მთავრობას ეი-
სუსტესა სწავლებლენ და მისგან გერმანიის ინტერესების დასაცავად
აქტიურ გამოსვლას მოითხოვდნენ. მეორეს მხრით, ვილჰელმი ფიქრო-
ბდა, რომ ასეთი გამოსვლისთვის სწორედ ხელ-საყრელი დრო იყო.
მანჯურიის მინდვრებში დამარცხებული რუსეთი საფრანგეთს ვერ
დაეხმარებოდა, ინგლისი ხმელეთზე მისითვის მომზადებული არ იყო, —
პირისპირ კი საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ ვერაფერს გახდუ-
ბოდა, და აი, ვილჰელმ II თავისი იახტით მაროკოში გაემგზავრა, (1905 წ. მაისს), ტანკერში ნაპირზე გადავიდა და გერმანიის კოლო-
ნიის მიერ გამართულ საუზმეზე — დამოუკიდებელი მაროკოს სოლ-
თანის სათოლეგრძელო დალია. ამასთანავე ერთად გერმანულ გაზეთე-
ბში აცხადებდნენ, რომ გერმანია არა სცნობს არავითარ ფრანგულ
უფლებებს მაროკოზე. ამასთანავე ერთად ისმოდა მუქარაც, თუ სა-

ფრანგეთი. მაროკის დაპყრობას დაიწყებდა. საფრანგეთის მთავრობამ ომის გამოცხადება ვერ გაბედა და დაუთმო. გადასწყდა, რომ მოწვევულ იქმნება სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელიც მაროკის საკითხს გადასწყვეტავდა. კონფერენცია 1906 წელს შეიკრიბა და მაროკოში ყველა სახელმწიფოს ერთნაირი ეკონომიური უფლებები მიანიჭა, საფრანგეთს კი საშუალება მისცა, ზოგიერთ შემთხვევებში შეიძორალებულ ძალით ჩარეულიყო იმ მოსაზღვრე ადგილების საქმეებზე, რომლებიც ალეირის მახლობლათ მდებარეობდნენ. ერთის მხრით ეს გამარჯვება იყო გერმანიის დიპლომატიისა, რომელმაც საფრანგეთს მხა-მზარეული ნადავლი ხელიდან გამოაცალა; მაგრამ, მეორეს მხრით, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ამით არამც თუ არ დაირღვა, არამედ, პირიქით, უფრო განმტკიცდა. გერმანიის მუქარამ საფრანგეთი და ინგლისი აიძულა თავიანთი შეიარალება გაეძლიერება; ნათ და ერთმანეთს უფრო დაახლოვებოდნენ.

III რუსეთის შეერთება ანტანტასთან.

ამავე დროს 1905 წლის ზაფხულს დიდ-მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: შეიკრა რუსეთ-იაპონიის ზავი. ინგლისის პოლიტიკა რუსეთისაღმი მაშინათვე გვშროიცვალა. ხანგრძლივი, საუკუნოებრივი მტრობა თითქოს სრულიად მოისპონ, — და ინგლისში რუსეთ-ინგლისის შეთანხმების შესახებ უფრო ხშირად დაიწყეს ლაპარაკი. მართლაც: მანჯურიის მინდვრებზე დამარცხებული რუსეთი (ახლო მომავალში მაინც) ინგლისის აზიური სამფლობელოებისთვის აღარავითარ საშისროებას არ წარმოადგენდა და ამიტომ რუსეთთან მტრობას ინგლისისთვის აღარავითარი აზრი არა ჰქონდა. პირიქით, ცხადი იყო, რომ შორეულ აღმოსავლეთში დამარცხებული რუსეთი, გამოსწორდებოდა თუ არა, მაშინათვე დაუბრუნდებოდა არა აზის, არა მედ ევროპის საქმეებს, და აქ ინგლისს შეეძლო ახალი მოკავშირე შეეძინა. მეცე ედვარდ VII ინგლისისა და რუსეთის შეთანხმების შემზადება დაიწყო.

ეს შეთანხმება, ხან-გრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, მოხდა. 1907 წლის 27 აგვისტოს: ავლანისტანი და ტიბეტი, როგორც ინდოეთთან მოსაზღვრე ადგილები, ცოტად თუ შეურიად ინგლისის აპეკის ქვეშ დარჩა (თუმცა ფორმალურად ისინი სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ). რაიცა შეეხება სპარსეთს, მისი ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთის „გავლენის“ სუვერინი გამოცხადდა, ხოლო სამხრეთი ნაწილი — რწგლისის „გავლენის“. სფეროდ; სპარსეთის შუა ნაწილი კი ორივე

სახელმწიფოს გავლენის სფეროთა გარეშე ჩემოდა. არსებითად, ეს იყო სპარსეთის განაწილება ინგლისსა და რუსეთს შორის, ამ ქვე-იყო სპარსეთის გენერალური ექსპლოტაციისთვის: რუსეთს ერვო მდიდარი ნა-კინის ეკონომისური ექსპლოტაციისთვის:

IV აღმოსავლეთის საკითხი. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსია (1908 წ).

იმ დროს, როდესაც რუსეთი ანტარქტიკა მოქმედო, რუსეთის მთავრობაში, მთავრობასთან დაახლოებულ თავად-აზნაურულ წრეებში და, დასასრულ, მსხვილი სავაჭრო—სამრეწველო ბურუჟაზიის წრეები ორი მიმართულება იბრძოდა: ზოგი (გრისაუთრებით ძველი, რეაციონურად განწყობილი თავად-აზნაურობის წრიდან გამოსული ბიუროკრატები) გერმანიისთან დამეგობრების მომხრე იყო; ესენი აღნიშვ ავტონენ, რომ ვილჰელმ II კეშმარიტ-მონარქიული და კონსერვატიული პრინციპების მატარებელია, ინგლისი და განსაკუთრებით კი საფრანგეთი, პირიქით, ხელში აქვთ ჩაგდებული რადიკალებს, რომლებიც გულში რუსეთის ოპონენტის თანაუგრძნობენ და სურთ, რუსეთის თვითმცირობელობა დემოკრატიული კონსტიტუციით შეცვალოს; ეს პირები ამასთანავე ერთად აღნიშნავდნენ, რომ რუსეთი გერმანიისთან ომით ვერაფერს მოიგებს, წაგებით კი ბევრი რამის წაგება შეუძლიან. სხვები კი, თავად-აზნაურობის კლასის უფრო

ლიბერალურად განწყობილი აღამიანები და აგრეთვე სავაჭრო-სამ-
რეწველო წრეების წარმომადგენელი, პირიქით, გერმანიას გულცი-
ვად ეპყრობოდნენ, ზოგჯერ მტრულადაც, და ამტკიცებდნენ: გერმანიამ
1904 წელს რუსეთს ხელიდან გამოჰველდია მისთვის საზარალო სავა-
ჭრო ხელშეკრულება, რუსეთის ექსპლოატაციას ეწევა და რუსეთის
ხარჯით მდიდრდება; გერმანიასთან კავშირის გაწყვეტა რუსეთს ბევრს
ეკონომიკურ სარგებლობას მოუტანს; ინგლისთან მეგობრობამ რუსეთს
უკვე ჩრდილოეთი სპარსეთი მისცა და მომავალში უფრო მეტი შეუ-
ძლიან მისცეს. ზოგიერთნი, უფრო ოდიკალურად განწყობილნი, აღ-
ნიშნავდნენ, რომ ინგლისთან და სიფრანგეთთან დაკავშირებამ შეი-
ძლება გამოიწვიოს რუსეთისთვის სასარგებლო გაყოფა ოსმალეთისა
ამ სამს სახელმწიფოს შორის,—რაც რუსეთის საქონლის ბაზარს ძა-
ლიან გააფართოვებს. რუსეთის მთავრობა ერთხანად ამ ორი მიმარ-
თულების შორის ირყეოდა,—მაგრამ ინგლისის 1907 წლის შეთან-
ხმების წინადადებამ სასწორი ინგლისისა და საფრანგეთის მომხრეე-
ბისკენ გადახარა. ინგლის-რუსეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ
(1907 წ. 27 აგვისტოს) გერმანიაში სერიოზული შიში დაიბადა. სამ-
ხედრო, სამრეწველო და ფინანსიურ წრეებში ამბობდნენ, რომ გერ-
მანია „გარსშემორტყმულია“ მტრულად განწყობილი ანტანტის მიერ,
რომ ამიერიდან გერმანიამ უნდა იციქროს ომშე სამი უძლურესი სა-
ხელმწიფოს—რუსეთის, ინგლისის და საფრანგეთის წინააღმდეგ—თუ
გერმანიის დიპლომატია ანტანტის დაშლას ვერ შესძლებს და ერთს
სახელმწიფოს მაინც ვერ ჩამოაშორებს. ვილჰელმ II უპირველესად
ყოვლისა სურდა გამოეცადა, რამდენად მტკიცე იყო ანტანტა. 1906
წელს ვილჰელმმა ეს პირველად გამოსცადა: ავსტრიამ, რომელიც გერ-
მანიასთან კავშირს ეყმარებოდა, თავის ტერიტორიას შეუქრთა ორი.
პროვინცია (ბოსნია და ჰერცოგოვინა) რომლებიც მთლად სერბიელე-
ბით არის დასახლებული და ომძლებიც ჯერ ისევ 1877 წლიდან
ავსტრიის დროებითი კვეუბაციის ქვეშ იმყოფებოდნენ (1877 წლამ-
დე ორივე პროვინცია ოსმალებს ეკუთვნოდა): ბოსნიისა და ჰერცო-
გოვინის ეს ანნექსია (შეერთება) დიდი ზარალი იყო სერბიისთვის.
რომელიც დიდი ხანია ამ ოლქების მიღებას ოკენებობდა. ეს ოლქე-
ბი სერბიას მისცემდა არა მარტო უზარ-მაზარ სახნავ მიწებს, არა-
მედ გასავალს ზღვაშიაც, ურომლისოლაც სერბია სამუდამოდ ავსტ-
რიის ეკონომიკურ მონობისთვის უნდა ყოფილიყო განწირული. ამას-
თანავე ერთად ავსტრიის ეს საქციიელი ზარალს აუენებდა რუსეთის
გავლენას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, სადაც სერბია რუსეთის-
თვის ავსტრიის გავლენის საწინააღმდეგო იარაღად იყო გადაჭრუ-

ლი. გერმანიამ ამ საქმეში ავსტრიას საცხებით შხარი დაუჭირა. გერმანიისთვის მისი მოკავშირის ავსტრიის ყოველ-გვარი გაძლიერება ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, სასარგებლო იყო უპირველესად ყოვლისა ეკონომიურად, რაღაც გერმანულ საქონელს ფართო გასა- ვალს აძლევდა; გარდა იმისა, ამ გარემოებას რუსეთისთვის უნდა დაენახვებინა, რომ მისი მოკავშირენი—ინგლისი და საფრანგეთი— უძლური არიან მას გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ დაეხმარ- ნენ. მართლაც, რუსეთის მთავრობამ, იაპონიის ომით და რევოლუ- ციით დასუსტებულმა, შეეჯახა თუ არა გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგობას; უკან დაიხია და ბოსნიისა და ჰერცეგბა ავსტრიისათან დაადასტურა. მაგრამ გერმანიისა და ავსტრიის გამარჯვება ამ საკითხში სრული არ იყო: რუსეთი არამც თუ ანტანტი- დან არ გამოვიდა, პირიქით, დამცირებით გაბოროტებული, ცდი- ლობდა ინგლისა და საფრანგეთს უფრო მჭიდროდ დაპავშირებოდა.

მაშინ გერმანიამ ანტანტის დაშლა ორჯელ ზედი-ზედა სცადა. ამ უამად იერიში მიიტანა უკვე არა რუსეთზე, არამედ საფრან- გეთზედ.

V მაროკოს საკითხი. დეზერტირების საქმე (1909 წ.) აგადირი 1911 წ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დიდი მღელვარე- ბითა და აღმფოთებით აღევნებდა თვალ-ყურს ვილქელმის მოუფი- ქრებელ, აჩქარებულ ნაბიჯებს და მოქმედებას კანცლერებისას, რომ- ლებიც მის საქციელს ჰუარავდნენ (1909 წლამდე კანცლერად თ-დი ბიულოვი იყო, ხოლო 1909 წლიდან ბეტმან-ჰოლვეგი: ორივენი არ- სებითად მხოლოდ ვილქელმის სურვილის აღმსრულებელი იყვნენ) მუშათა მასსები წინააღმდეგი იყვნენ იმისა და ისეთი ავანტიურები- სა, როგორც იყო ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსია: ისინი ხე- დავდნენ, რომ ანტანტის დანაწილების ყოველი ცდა შეიძლებოდა ომით გათავებულიყო. მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სხვა შეხედულების წარმომადგენელნიც იყვნენ: ისინი ფიქრობდნენ, რომ ანტანტის არსებობა გერმანიისთვის დიდს საშიშროებას წარმოად- დგენს და მთავრობა არც ისე გასამტყუნარია, როდესაც მთელი თა- ვისი ძალ-ღონითა ცდილობს, ანტანტის ან რუსეთი ჩამოაშოროს, ან საფრანგეთი. ბურჟუაზიულ პრესსაში (განსაკუთრებით გაზეთებში, რომლებიც მსხვილი მრეწველების ინტერესებს იცავდნენ) თხოულობ- დნენ, რათა ანტანტის საშიშროების თავიდან ასაცილებლად მთავრო-

შას გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა. ამისთანა პირობებში მოხ. და შემდეგი შეტაკება: რამდენიმე კაცი, წარმოშობებით გერმანელი, რომლებიც აფრიკაში საფრანგეთის ჯარში მსახურობდნენ, თავიანთი პოლკიდან გაიქცა და დაიმალა გერმანიის კონსულის სახლში, ქალაქ კაზაბლანკაში, მაროკოში. საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები გერმანელი კონსულის სახლში ძალით შევიდნენ და დამალულები დაატუსალეს. გერმანიის მთავრობამ სასტიკი პროტესტი განაცხადა გერმანელი კონსულის ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის წინააღმდეგ და ბოლიშის მოხდა მოთხოვა. საფრანგეთის პირველმა მინისტრმა კლემანსომ ბოლიშის მოხდაზე უარი განაცხადა და წინააღმდება მისცა საქმე სამედიატორო სასამართლოსთვის გადაეცათ. გერმანიის მთავრობა ომით დაემუქრა და მოითხოვა, რომ საფრანგეთს ბოლიში სამედიატორო სასამართლომდე მოხეადა. კლემანსომ კატეგორიულად უარი სთქვა. ომის გამოცხადება ვილჰელმ II-შიანც ვერ გაბედა. ხიფათი ამ უამად აკილებულ იქნა.

საფრანგეთმა თუმცა არ დაუთმო, მაგრამ ამ გარემოებამ ძალიან შეაშფოთა. საფრანგეთი ამ ისტორიის შემდეგ ისევე, როგორც რუსეთი ბლსნიისა და ჰერცოგოვინის ანნექსიის შემდეგ, თავის მოკავშირებს უფრო შეტაც დაუახლოვდა, რადგანაც გერმანიის მხრით ახალ-ახალ თავდასხებას მოელოდა. ამასთანავე ერთად თვით საფრანგეთშიაც მარროკის საკითხი თანდათან სახითაო ხასიათს იღებდა. ძლიერი ფინანსიური და სამრეწველო ჯგუფები საფრანგეთის მთავრობისგან პირდაპირ მაროკოს იმპერიის დაპყრობას მოითხოვდნენ. მაგრამ, რადგანაც ცველა სახელმწიფოების, მათ შორის თვით საფრანგეთის მიერაც მროველის დამოუკიდებლობა ცნობილი იყო, ესლაპირდაპირ დაპყრობის დაწყება უხერხულად მიაჩნდა. ამიტომ ასეთს ჟერხს მიმართეს. საფრანგეთის მთავრობამ ხმა გაავრცელა, რომ მაროკოში არეულობაა, რომ საფრანგეთის მოქალაქეთა სიცოცხლე განსაკუდილშია; ამ საბაბით იგი სამხედრო ექსპედიციებსა გზავნიდა მაროკოს სხვადასხვა. კუთხეში და იქვე სტოვებდა. ამნაირი საშუალებით ფრანგები მაროკოში თანდათან ფეხს იმაგრებდნენ. საფრანგეთის სოციალისტური ჭარტიის ბელადი უორესი ამაოდ ამტკიცებდა მთელი თავისი ძალ-ღონით სიტყვითაც, პრესსაშიც, დეპუტატთა პალატის ტრიბუნილანაც, მიტინგებზედაც, რომ ასეთი პოლიტიკა სახითათოა და მას შეუძლიან სხვა ევროპიელ სახლმწიფოებთან შეტაკება გამოიწვიოს. მთავრობა, რომელიც ჰერმანობდა, რომ ფინანსისტები და მსხვილი ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ, მაროკოში თავის პოლიტიკას განაგრძობდა.

ამ ნიადაგზე საფრანგეთს გერმანიასთან ახალი შეტაკება მოუხდა. გერმანიაში ფრანგების მოქმედებას დიდი ხანია თვალყურს ადევნებდნენ; გერმანიის მთავრობამ გადასწუვიტა მოხერხებული შემთხვევით ესარგებლა, აქტიურად გამოსულიყო და ძალები განეზომა.

1911 წლის 1 ივნისს გერმანიის საკანონირო ნავი „პანტერა“ მოროკეოს ნავთსადგურში აგადირში მივიღა და იქ გაჩერდა.

აღმოჩნდა, რომ გერმანიის მთავრობასა სურდა საზოგადო მაროკოს ნაწილი და ნავთსადგური მიეღო. ამ ამბავის შემდეგ სამმაკეირამ განვლო,—და ინგლისის მინისტრმა ~~ლლოიდ-ჯორჯმა~~ ლონდონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აგრძობინა, რომ ინგლისი გერმანიის ჩარევას მაროკოს საქმეებში ვერ შეურიგდება. ~~ლლოიდ-ჯორჯის~~ სიტყვის შემდეგ გერმანიაში მლელვარება დაიწყო. მაროკოს გამო ომის დაწყება ვერც ვილჰელმმა და ვერც მისმა მთავრობამ ვერ გაბედეს. ნავი აგადირიდან უკან გაიწიეს, ხოლო გერმანიის მთავრობამ საფრანგეთთან მოლაპარაკება გამართა. ეს მოლაპარაკება იმით დამთავრდა, რომ გერმანიამ მაროკოზე უარი განაცხადა და დასთანხმდა, რომ საფრანგეთს იქ თავისი პროტექტორატი გამოეცხადებინა, ამის ნაცვლად საფრანგეთი ცენტრალურ აფრიკაში თავისი ~~სამთლობელოების~~ ნაწილს გერმანიას უთმობდა. მაგრამ მთელმა ამ „აგადირის“ შეტაკებაზე საერთო ძლიერებული ევროპაში უფრო გაამწვავა. ცხადი ხდებოდა, რომ ხელმძღვანელი კაპიტალისტური წრეები და მათგან დამუკიდებული მთავრობანი, თავიდან ფეხამდე შეიარაღებულნი, მხოლოდ მოხერხებულ მომენტსა და შემთხვევას ელოდნენ, რათა ერთმანეთს შესჯახებოდნენ. მლელვარება ბოლნისა და პერსონოვინის გამო, მლელვარება კაზაბლანკის დეზერტირების გამო, მლელვარება აგადირის გამო—უკელაფერი ეს უომოდ დამთავრდა, მშეიღობიანი გზით განიფანტა.

მაგრამ ორი კავშირი დიდი სახელმწიფოებისა ქვლავ პირისპირ იდგა: ერთის მხრით ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი; მეორეს მხრით გერმანია და ავსტრია. რაიცა შეეხება იტალიას, იგი თუმცა ფორმალურად გერმანიისა და ავსტრიის მოკავშირედ ითვლებოდა, მაგრამ ძალიან საეჭვო იყო, მომავალი ომის დროს მათ დახმარებოდა.

აგადირის შემდეგ ევროპა ერთთავად ახალი ამბების მოლოდინში იყო. ანტანტის ქვეყნებში ელოდნენ, რომ ვილჰელმ II საფრანგეთისა, რუსეთის და ინგლისის განცალკევებას მუქარით კიდევ შეეცდებოდა. გერმანიასა და ავსტრიაში, თავის მხრით, ელოდნენ,

რომ ანტანტა ახალი ადგილების დასაპყრობად ნაბიჯებს გადასტუმდა.

და აი, ამისთანა მღელვარე დროს უცბალ საშინლად გამწვავდა აღმოსავლეთის საკითხი. აღმოსავლეთის საკითხს წილად ერგო საბედისწერო აფეთქება გამოეწვია.

VI. ეგროპის სახელმწიფოები და ოსმალეთი.

~~#~~ ოსმალეთის გზა და მისი მნიშვნელობა.

ოსმალეთი და მისი მომავალი ბედ-იღბალი ამ დროს ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოს აინტერესებდა. უპირველესად ყველისა, უკვე მე-19-ე საუკუნის მე-90-ე წლებიდან საგვარო-სამრეწველო წრეები ისმალეთს და განსაკუთრებით კი აზიის მის სამფლობელოებს ისე უცქეროდნენ, როგორც გერმანიის მომავალი კოლონიზაციის ასპარეზს. „ჩერნ ალიგიანეთ და აფრიკის გაყოფვაში მონაწილეობა, ვერ მივიღეთ, მაგრამ ყოველივე ამას ოსმალეთი აგვინაზღაურებს“, — ასე სწერდა რეინ-ვესტფალიის რაიონის მრეწველების ერთი ორგანო იმპერატორი ვილჰელმ II მოგზაურობის გამო მე-19-ე საუკუნის მე-90-ე წლებში. ძალიან მალე ამ მოგზაურობის შემდეგ გერმანიამ ოსმალეთის მთავრობისგან ნებართვა. მიიღო რკინის გზის გაყეთებითა სა სტამბოლიდან (უკეთ რომა ესთკვათ, ბოსფორის აზიის ნაპირზე მდებარე სკუტარიდან) ბაორათამდე; ამასთანავე ერთად განზრახული იყო შემდეგში ეს გზა სპარსეთის ზღვის ყურადღებულებინათ. ბალდათის რკინის გზის (რომელიც მალიან მალე და კარგად შენდებოდა) ეკონომიკური მნიშვნელობა ფრთხო დოდი იყო. გერმანიის კაპიტალს შეეძლო იმედი ჰქონდა, რომ მთელს მდიდარს მესოპოტამიას თავისი მონოპოლიური გაცლენის ჭვეშ მოაქცევდა, სპარსეთის უზარ-მაზარ ბაზარს დაიპყრობდა და იქ რუსებსა და ინგლისელებს კონკურენციას გაუწევდა. ამ ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, ბალდათის რკინის გზას გერმანელებისთვის უზიდესი მოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, რაკი გერმანია აუსტრიასთან დაკავშირებული იყო, ხოლო ბულგარიასთან და ოსმალეთთან მეგობრული განწყობილება ჰქონდა, მაგ სრული იმედი უნდა ჰქონდა, რომ ამიერიდან მას შეეძლო ხმელეთით (ბოსფორის პატარა გადასავლელი რომ არ მივიღოთ მხედველობაში) თავისი საქონელი გერმანიიდან ოსმალეთის შუაგულში გაევზავნა, ბალდადისკენ და უტრო შორსაც; აქ მას ინგლისის ფლოტის შიში ალარ უნდა ჰქონდა.

ნოდა; თვით გერმანელებს კი, პირიქით, თუ საჭიროება მოითხოვდა, შეეძლოთ თავიანთი ჯარი ჩქარი და უხიცათო გზით პირდაპირ სპარსეთის საზღვრებამდე მიეყვანათ და იქიდან ინგლისის სამფლობელოს ინდოეთს დამუქრებოდნენ. გარდა ამისა, ამ გზის წყალობით, გერმანელებს შეეძლოთ უდიდესი ზედგავლენა მოეხდინათ მთელს ოსმალეთის პოლიტიკაზე. ამას ზედ ერთოდა კიდევ ის გარემოება, რომ თვით სტამბოლში გერმანიის საელჩო წლითი-წლობით უფრო მცირსა და მეტს გავლენას ახდენდა სულთანზე. კილველმ II ხშირად დემონსტრატიულად თავის თავს უველა მაჰმადიანების მეგობრადა სთვლიდა და ოსმალეთის საშუალებით სურდა ინდოეთის მაჰმადიანებზე გავლენა მოეხდინა.

რამდენადაც ბაღდადის გზა შენდებოდა, ინგლისისა და რუსეთში, განსაკუთრებით იმპერიალისტურად განწყობილ წრეებში, უფრო ხშირადა და ხშირად ლაპარაკობდნენ, ოსმალეთს მალე გერმანელი მრეწველები, ვაჭრები და ფინანსისტები დაიპყრობენ და ოსმალეთს გერმანიის კოლონიად გადააქცევენო.

ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთი.

გერმანიას აღმოსავლეთის პოლიტიკაში ძალიან ეხმარებოდა ავსტრია. ამ ქვეყანამ 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ბევრი და მარტება განიცადა და ბევრი რამ დაკარგა (1859 წელს, ნაოლეონ III და სარდინიის სამეფოსთან ომის შემდეგ, დაკარგა ლომბადია და ვენეცია; 1866 წელს—პრუსიასთან ომის შემდეგ, იძულებული გახდა უარი ეთქვა გერმანიის საქმებში ჩარევაზე), მაგრამ ამისდამიუხედავად იგი დიდს სიცოცხლის უნარს იჩენდა. 1867 წელს გაბ-სბურგების იმპერია ორ ნაწილად გაიყო: ავსტრიად და უნგრეთად; ორივე ნაწილის სათავეში იმპერატორი ფრანც-იოსები იღვა. იმპერიის ორივე ნაწილს სრული შინაური თვითმმართველობა ჰქონდა, მაგრამ საგარეო პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობა და ჯარის საერთო სარდლობა იმპერატორისა და შის მიერ დანიშნული მოხელეების ხელში იყო. ავსტრიაშიც და უნგრეთშიც, ორი გაბატონებული ერის—გერმანელებისა და უნგრელების გარდა—სცხოვრობდნენ ავტორეტე სოაჭიანებიც (ჩეხები, პოლონელები, რუსინები; სლოვაკები, უგროსტები, სერბები), რომელებიც თავიათი მდგრადირეობით უკმაყოფილობი იყვნენ და დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფებოდნენ. ავსტრიის საკონსტიტუციო წყობილება იმნაირი იყო, რომ საკანონ-მდებლო დაწესებულების (რეიხსტაგის) ხელისუფლება ძალიან უმნი-

შენელო იყო, უნგრეთში კი მთელი უპირატესობა უნგრელების მსხვილ და საშვალო მიწად მფლობელობის პატარ ჯგუფის ხელში იყო. გერმანიისთან კავშირი ავსტრია-უნგრეთში გამეფებულ ჰაბსბურგთა დინასტიის დიდის დანმარებას უწევდა, გერმანიის მთავრობა ჰაბსბურგებისა და ავსტრიის გერმანულ მოსახლეობას ისე უცქეროდა, როგორც უმთავრესს დასაყრდნობ ძალას გერმანიის მოძრაობის საქმეში აღმოსავლეთისკენ.

ავსტრია-უნგრეთი უნდა ყოფილიყო ის უზარ-მაზარი ხიდი, რომელიც ვერმანიას ოსმალეთთან და გერმანია-ბალდადის რკინის გზათან დააკავშირებოდა. აი სწორედ ამიტომ ავსტრიის ყოველ გვარ გაფართოვებას აღმოსავლეთისკენ გერმანია თანაუგრძნობდა და მისარს უჭერდა. ჩენ უკვე დავინახეთ, რომ, როდესაც ავსტრიამ თავის სამფლობელოებს ბოსნია ერუოგოვინა შოუმატა, მაშინ სწორედ გერმანიამ აიძულა რუსეთი ყოველგვარ პროტესტზე უარი ეთქვა და მომხდარი ფაქტი დაედასტურებინა.

ამისთანა მდგომარეობაში საქმე იმით დამთავრდა, რომ ავსტრიამ და რუსეთმა დროებით თითქოს დაივიწყეს თავიანთი საუკუნიერივი მტრობა იმავე ოსმალეთის გამო და ცდილობდნენ გერმანიის გავლენის ზრდისთვის ოსმალეთის იშპერიაში საერთო ძალ-ლონით შეეშალათ ხელი.

და აი, სწორედ ოსმალეთში მოხდა ამპები, რომლებმაც ისედაც გამწვავებული მდგომარეობა ჯფრონ მეტად გაამწვავეს:

1908 წლის ოსმალეთის რევოლიუცია.

1908 წელს ოსმალეთის ჯარებში, რომლებიც სალონიკსა და სტამბოლში იდგნენ, რევოლუციამ ითქვა; ძველი დესპოტი, სულთანი აბდულ-ჰამიდი თავის უფლებებში ჯერ ძალიან შეზღუდეს და შემდეგ სრულიად ჩამოაგდეს ტახტიდან. მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდათ სამხედრო გადატრიალების ხელმძღვანელებს, ეგრედ წოდებულ ახალგაზრდა ოსმალებს, რომლების მთავარი კომიტეტიც („გერმანიანება და პროგრესის“) ერთად-ერთ, ნამდვილ ხელისუფლებად გადაიქცა (აბდულ-ჰამიდის მოადგილე სავსეპით ახალგაზრდა ოსმალებს დაქმორჩილა), გამოცადებულ იქმნა კონსტიტუცია, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს ძალა უფლება მტკიცედ ეჭირა ხლლში, ხოლო სახალხო წარმომადგენელები ნაცრონალურ კრებაში არავითარ ზომებს. არ იღებდნენ, ძალა-უფლება კომიტეტის ხელიდან გამოეგლიჯათ.

ახალგაზრდა ოსმალებს განზრახვა ჰქონდათ რეფორმები მოე-
ხდინათ მმართველობაში, ფინანსებში, სასმართლოში, ჯარის მოწყო-
ბაში, რათა ამ გზით ოსმალეთი ევროპიულ ცივილიზაციასთან დაე-
ახლოვებინათ. მათი უმთავრესი მიზანი იყო — მთელი იმპერიის მარ-
თვა-გამგების ცენტრალუზურია მოეხდინათ და მისი მხლიანობა-
შეენარჩუნებით; ამიტომ სომხებისა და სხვა ერების მისწრაფებას უა-
მოუკიდებლობისკენ დიდის სიმკაცრით აქრობდნენ. ახალგაზრდა ოს-
მალეთის გადატრაალება მცხოვრებლებმა მორჩილებით მიიღეს. რაიცა
შეეხება საგარეო პოლიტიკას, ახალგაზრდა ოსმალების ხელში გრა-
მანული გავლენა ყოველ-წლივ იზრდებოდა. ახალგაზრდა ოსმალებმა-
ასეთი აზრი შეითვისეს: გერმანიასა სურს ოსმალეთში ეკონომიკური-
სარგებლობა პოვოს, მაგრამ ჩას განზრახვა არა აქვს არც ოსმალეთი-
გაიყოს, არც სხვა რამ ზიანი მიაყენოს ოსმალეთის პოლიტიკურ დამოუკი-
დებლობას; რუსეთში კი საზოგადოების გავლენიანი წრეები ოცებობენ,
ოდესშე სტამბოლი და სრუტეები დაიპყრონ, ინგლისელებს კი ძალი-
ანა სურთ დაიპყრონ არაბეთი, მესოპოტამია, პალესტინა და თითქმის
დაიპყრეს კიდევ ოსმალეთის ძველი სამულობელო ეგვიპტე; როგორც
რუსეთს, ისე ინგლისს ოსმალეთის საზღვრებთან სამფლობელოები
აქვთ (რუსეთს — კავკასია, ინგლისს — ეგვიპტე); რუსეთმა და ინგლისმა
სპარსეთი თითქოს გაიყენს და ყოველდღე ამასვე უმზადებენ ოსმა-
ლეთს. გერმანიას კი ოსმალეთის ანლოს ათავითარი საზღვარი არა
აქვს; კიდევ რომ მოესურვა, ოსმალეთის დაუყონებლივ დაპყრობის
დაწყებას ვერ შესძლებდა. ამიტომ ახალგაზრდა ოსმალებმა გადას-
წყვიტეს (როგორც უწინ დამხობილმა სულთანმა აბდულ-ჰამიდმა),
რუსებისა და ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს გერმანე-
ლებს თაჟრისობოდნენ.

ოსმალეთის ომი იტალიისა და ბალკანეთის სახელმწიფოების გა-
შირის წინააღმდეგ.

მაგრამ პირველი, თავდასხმა ოსმალებმა არც რუსებისგან განი-
ცადეს და არც ინგლისელებისგან: პირველად მათ იტალია, დაეცა-
მას შემდეგ, რაც იტალია გაერთიანდა (ეს გაერთიანება დამთავრ-
და 1870 წლის 20 სექტემბერს, როდესაც იტალიის ჯარის პაპის-
განკარგულებაში მყოფი რომი დაიჭირა), ამ ქვეყანამ ჩრდილოეთში-
(განსაკუთრებით ლომბარდიაში) მრეწველობის დიდი და ჩქარი ზრდა
განიცადა. დაიბადა სურვილი კოლონიების დაპყრობისა, მით უფრო
იმიტომ, რომ იტალიიდან სამხრეთ ამერიკაში და ჩრდილოეთ აფ-

რიკაში ყოველწლიურად მიღიოდა ოუარებელი ხალხი, მიღიოდნენ ისეთები, რომლებსაც არავთარი საშუალება არა ჰქონდათ სახლში სარჩი ეშვეთ. აბისინიის დაპყრობა სცადეს, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა: აბისინელებმა იტალიის რაზმი დაამარცხეს და გააძვევეს (ეს ჯერ ისევ მე-19-ე საუკუნის მე-90-ე წლებში მოხდა). მას შემდეგ იმპერიალისტები ერთთავად ტრიპოლიტანიის თაბაკობაზე ოცნებობდნენ (ტრიპოლიტანია აფრიკის ჩრდილოეთით მდებარეობს. იტალიის სამხრეთი ნაპირების მახლობლად). ტრიპოლიტანიაში ბევრგან იტალიელი გადასახლებულები სცხოვრობდნენ. ეს ქვეყანა (სადაც უგრეთვე არაბები სცხოვრობდნენ) ოსმალეთის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ, რადგანაც ოსმალეთს ფლოტი არა ჰქონდა, ხოლო ტრიპოლიტანიდგან იგი ეგვიპტით იყო მოწილეობილი (ეგვიპტე ინგლისელებს ეჭირათ), ცხადია, ოსმალებს ტრიპოლიტანიის დაცვა ვერ შეეძლოთ. ახალგაზრდა ოსმალთა გადატრიალების პირველსავე წლებში იტალია ომის სამზადისს შეუდგა, ხოლო 1911 წელს იგი მოულოდნელად თავს დაესხა, ტრიპოლიტანიის ჩრდილოეთი ნაწილი დაიჭირა და მთელი ტრიპოლიტანიის დაპყრობა დაიწყო. ოსმალებმა წინააღმდეგობა სცადეს, აღვილობრივი არაბები შეაირალეს, მაგრამ საბოლოოდ ეს წინააღმდეგობა იტალიელებმა აღვილადა სძლიეს, ტრიპოლიტანია ოსმალეთს ჩამოაშორეს და იტალიას შეუერთეს.

ამ ომმა ოსმალეთის იმპერიის ისეთი სისუსტე გამოიაშვარავა, რომ საბერძნეთსა, სერბიას, ჩერნოვორიას და ბულგარეთს კვლავ იმედი გაულვია, რომ ოსმალეთს რამეს შეიძლებოდა გამორჩნოდნენ. მართალია, ზალკანეთის ეს სახელმწიფოები ერთი-ერთმანეთს ძალიან ეჭვიანად ეპყრობოდნენ, ზოგი შორს მჭვრეტელი ადამიანი აღნიშნავდა, საერთო ძალ-ლონით მათ ოსმალეთის დაბარცხება კიდევ რომ შესძლონ, შემდეგ ნადავლის გაყოფვის დროს აუცილებლად ერთმანეთში ჩეუბი მოუხდებათო. მაგრამ, ამისზამინებდავად, რუსეთის დიპლომატიის საიდუმლო დაბმარებით, კავშირი საბერძნეთსა, სერბიასა, ბულგარეთსა და ჩერნოვორიის შორის შეკრულ იქმნა და 1912 წელს მოკავშირენი ოსმალეთს დაეცნენ. ახალგაზრდა ოსმალების მთავრობამ მთელი თავისი ძალ-ლონები მოიკრიფა, რომ თავისი ქვეყნის მთლიანობა გადაერჩინა. მაგრამ ძალიან მძიმე მდვომარეობა შეიქმნა. ერთის შხრით, ახალგაზრდა ოსმალებშა უკვე დაიწყეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ წინაური რეფორმების განარიციელება. მათ ძველი წყობილება ძირიან-ფესვიანად შეარყიეს და ახალის განმტკიცება კი ჯერ ვერ მოასწრეს. მეორეს შხრით, ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირი ძალიან ძლიერი და ამისთვის მომზა-

დებული, აღმოჩნდა. ოსმალები ამ ოში დამარცხდნენ, ბალკანეთს
ნახევარ კუნძულზე დაკარგეს ყველა თავის სახელმწიფოები გარდა.
სტამბოლისა და პატარა ნაჭირი მიწისა სრუტეების გაშვრივ. ამ
ოშის გათავებისთანავე მაკედონის გაყოფისთვის სერბიასა და ბულ-
გარეთის შორის ომი დაიწყო. საბერძნეთი და რუმინია სერბიის მხა-
რეს დადგნენ, და ბულგარეთმა თავისი ნადავლის ნაწილი დაჰკარ-
გა: მაკედონის სადავო ნაწილი სერბიის ხელში გადავიდა, ოსმალე-
თმა (რომელიც ბულგარეთის მტრებს მიემხრო) ადრიანოპოლი დაი-
ბრუნა (ეს უკვე 1913 წელს მოხდა). სერბია და საბერძნეთი 1912—
1913 წ. წ. ოშიდან გაძლიერებული გამოვიდნენ, აგრეთვე რუმინიაც,
რომელმაც ბულგარეთის ტერიტორიის ნაწილი მიიღო. ამ დღიდან
ცხადი გახდა, რომ ბულგარეთი სერბიასთან ანგარიშის გასასწორე-
ბლად მხოლოდ შემთხვევას ელოდა.

+ 5 May

VII დიდი სახელმწიფოები 1914 ოშის წინ.

+ ბალკანეთის ომები უფრო მრისხანე ამბების წინაშორბედი იყო:
ურთიერთობა ანტანტასა და გერმანია-აესტრიის შორის თანდათან-
მწვავდებოდა. გერმანის მთავრობამ რეიხს ტაგისგან მოითხოვა (და-
მიიღო კიდევ) ერთი მილიარდი ოქტომ განსაკუთრებული სამხედ-
რო საჭირობისათვის; საფრანგეთში ორწლედი სამხედრო სამსახურის
ნაცვლად სამწლედი სამსახური დააწესეს; რუსეთში სახელმწიფო
სათათბირომ მიიღო მთელი რიგი კანონ-კრონექტებისა, რომლებსაც
1916—17 წ. წ. რუსეთის ჯარის რიცხვი და ოშის უნარიანობა შე-
სამჩნევად უნდა გაეჩარდა. გაელენიანი პრესა რომელიც ფოლადის
მრეწველობის წარმომადგენლების ინტერესებს იცავდა, საზოგადოდ
ყველა იმ მრეწველების ინტერესებს, რომლებსაც შეეძლოთ ამით
ესარგებლათ, ნაციონალურ მტრობას ყოველისმხრით აღვივებდა, სა-
ხელმწიფოთა შორის არსებულ ინტერესთა ყველა წინააღმდეგობას,
აღვივებდა და საერთო მდგრამარეობას, რომელიც ისეც გამწვავებული
იყო, უფრო მეტად ამწვავებდა და უფრო სახიფათოდ ხდიდა. გერმა-
ნიის სოკიალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მაგ., აღმოაჩინა, რომ გერმა-
ნიის იარაღის დამაზადებელი მრეწველობის ზოგიერთი წარმომადგენ-
ლები ფულსაც კი ხარჯავდნენ რათა მესამე. პირთა საშუალებით, ჩუმ-
ჩუმად, ფრანგულ გაზეთებში გერმანიის საწინააღმდეგო წერილები
ებეჭდათ.—ყველაფერი ეს იმიტომა ნდებოდა, რომ გერმანიის რიც-
ხტაგი აეძულებინათ იარაღის დასაკვეთად ახალ ახალ ხარჯი გაეწია.

სწორედ ასევე იქცეოდნენ მსხვილი მრეწველები ინგლისისა, საფრანგეთისა, ავსტრიისა და სხვა სახელმწიფოებისა.

ყველა სახელმწიფო ომისთვის ემზადებოდა. გამარჯვებაზე და დაპყრობაზე ოცნებობდნენ ის წრეები, რომელთა ხელშიაც იყო ძალა უფლება, ხელმძღვანელობა ეკონომიური და საერთო პოლიტიკისა. მუშათა კლასს კი, რომელსაც ომი არ სურდა, შემუშავებული არა ჰქონდა შეთანხმებული და ენერგიული ტაქტიკა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეშალა ხელი ომისთვის. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ხელმძღვანელ კლასებს შეეძლოთ მოულოდნელად შეტაკება გამოეწვიათ, — და თავიანთი ხალხი უკვე მომხდარი ფაქტის წრინაშე დაეყენებინათ.

მაგრამ ამ საბედისწერო 1913—1914 წლებში მართველ წრეებსაც დაავიწყდათ ფრიდრიხ ენგელსის წინასწარმეტყველება: პირველ ხანში მსოფლიო ომს შეუძლიან დიდი შოვინისტური გრძნობები გაალვიძოს და არსებული წესწყობილება განამტკიცოს; მაგრამ თუ ომი გაჭიანურდა და ხალხი გააწვალა, — მაშინ საქმე შეიძლება რევოლუციით დამთავრდეს და კაპიტალისტური რეჟიმი უფსკრულის ბირამდე მიიყვანოს.

საზღვაო და ხელეთის ჯარის შეიარაღებით გამოწყეული დიდი ხარჯები ევროპის ერებს მძიმე ტვირთად დააწვა. გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, რუსეთში, ავსტრიაში, იტალიაში სამხედრო ხარჯები წლიდან წლამდე იმდენად იზრდებოდა, რომ ამ ქვეწებში უფრო და უფრო ხშირად იბადებოდა სახითათო აზრი: უკეთესი არ იქნება დაუყოვნებლივ გამოეწენებულ იქმნას თავისი ძალები, სანამ სრული ფინანსიური დასუსტება არ მომხდარა. ყოველ-გვარი ცდა შეიარაღების პროცესტისა სრულიად უნაყოფოდ ჩატარდა: ჰავაში დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები ვრცელდებოდნენ (1907) და 1907 წ.) ბჭობლენ განიარაღებაზე — მაგრამ პირმოთხე ფრაზების გარდა, რომლისაც არავის არაფერი სჯეროდა, ამ სამშვიდობო კონფერენციიდან არათერი გამოდიოდა. ინგლისიც ორჯელ შეეცადა გერმანიისთან დათანხმებულიყო და ახალი გემების აშენება შეეხერებინა, მაგრამ ამ ცდამაც ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, გერმანიის მთავრობა ფიქრობდა, რომ ასეთი შემცირება გერმანიას სამუდამოდ საშვალებას დაუკარგავდა ისეთი ფლოტი ჰქონდა, რომელიც ინგლისის ფლოტს პირისპირ გაუსწორდებოდა. შეთანხმება ვერ მოხერხდა და ორივე სახელმწიფო გააფთრებული განაგრძობდა ახალ-ახალი სამხედრო გემების აშენებას.

მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად იმიტომ მწვავდებოდა, რომ რიდი სახელმწიფოები კვლავ ორ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი; თვითეულ მათგანს თავისი თავი უფრო ძლიერად მიაჩნდა. თუმცა გერმანია ანტანტის დაშლასა ცდილობდა, მაგრამ 1914 წლისთვის იგი გაცილებით უფრო განმტკიცებული აღმოჩნდა, ვიდრე როდისმე. მეორეს მხრით, გერმანია და ავსტრიაც მტკიცეთ იყვნენ დაკავშირებულნი. მხოლოდ იტალიის შესახებ არ არსებობდა მტკიცე რწმენა, ვის მხარეს დაიჭირდა.

ყოველ ქვეყანაში არსებობდა წრეები, რომლებსაც ომი სურდათ (განსაკუთრებით მსხვილი მრეწველები და ვაჭრები, ზოგ ადგილას კი, მაგ. გერმანიაში — აგრეთვე მსხვილი მიწადმფლობელნი); ყველა ქვეყანაში იყვნენ ისეთი კლასებიც, რომლებსაც სამხედრო შეტაკება არა სურდა (უპირველესად ყოვლისა — მუშათა კლასი). მაგრამ მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ გადამწყვეტ მომენტში კაპიტალისტური ფენები და მათი სურგილების მიხედვით მომენტში მთავრობებით უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ, ვიდრე მუშათა კლასი, რომელსაც ომი არა სურდა. როდესაც შსოფლიო ომის შემდეგ ერთს სოციალ-დემოკრატიულ კონგრესზე ლაპარაკი ჩამოვარდა სოციალ-დემოკრატიის საქადელის შესახებ ომის გამოცხადების მომენტში, წევრმანიის დელეგატმა განაცხადა; აქვენ რომ გვცოდნოდა, რა იქნებოდა ეს ომი, მაშინათვე, 1914 წლის ივნისში, რევოლუციის გამოვიწვევდით, რომ ამ ომისთვის ხელი შეგვეშალა. მაგრამ საქმეც იმაშია, რას კაპიტალისტურ და მუშათა წრეებში წარმოდგენაც არა ჰქონდათ, თუ ომი ოთხი წელიწადი გაგრძელდებოდა და ადამიანთა ამოლენ სიცოცხლეს და ამლენ სიმდიდრეს შეიწირავდა. ძალიან გავრცელებული იყო აზრი, რომ ომი რამოდენიმე თვის მეტი ვერ გაგრძელდებოდა, — შედეგი კი, მათის წარმოდგენით, ძალიან კარგი შეიძლებოდა ყოფილიყო, განსაკუთრებით მრეწველობის და საზოგადოდ ეკონომიკური ცხოვრების განვითარებისთვის. გასაკირველიც არ არის, რომ, თუ მუშათა კლასებში (ყველა ქვეყანაში) უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა ომისადმი, — მაინც გადამწყვეტ მომენტში ვერ აღმოჩნდა საკმაო რევოლუციონური აღფრთოვანება, რათა თავიანთი მთავრობების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაეწყოთ აჯანყება, მით უფრო იმიტომ, რომ არ არსებობდა რწმენა, დაიწყებენ თუ არა ასეთსავე აჯანყებას სხვა ქვეყნებში, უპირველესად ყოვლისა მტრების ბანაკში.

ყველანი ომისათვის ემზადებოდნენ და იარაღდებოდნენ, — ყველა ქვეყანაში არსებობდნენ იმპერიალისტურად განწყობილი წრეები,

რომელთაც სრულიად გარევეულად ომი სურდათ. მაგრამ ანტანტის-
თვის უფრო ხელსაყრელი იყო, ომი დაწყო არა 1914 წელს, არა მაგრა
ცოტა უფრო გვიან, ჯერ ერთი რუსეთის ჯარი უფრო მომზადებული
და შეიარაღებული იქნებოდა შემოლოდ 1917 წლისთვის, მეორეც,
საფრანგეთის საარტილერიო საწყობები ჯერ კიდევ საკმაოდ საგვე
ათ იყო; მესამეც, იხვლისს ჯერ ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული მე-
ლე-ლევარებით, რომელიც არა არა მარადა მეორები საკმაოდ ზოგჯერ
პირდაპირ რეელობულის ხასიათს იღებდა. თუ 1913-1914 წ. ანტანტის
რომელიმე სახელმწიფოები აცხადებდნენ „ომისთვის მზაოა ვართო“,
ეს სახელმწიფო შემოლოდ რუსეთი იყო. მაგრამ ინგლისა და საფრან-
გეთში, ამასთანავე ერთად რუსეთშიაც მთავრობის პირთა უმრავლე-
სობას სურდა ომი უფრო გვიან დაწყოთ; ეს, რა თქმა უნდა იმას
არა ნიშნავს, თითქოს ანტანტის საზოგადოდ ომი არა სურდა, თა-
თქოს ის „მშვიდობიანად“ იყო განწყობილი და სხვა; პირიქით, და-
ბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, იგი ომს დაიწყებდა იმ მომენ-
ტშივე, რა წამს თავის თავს საკმარისად მომზადებულად ჩასთოდიდა.
მაგრამ, ვიმეორებთ, 1914 წელს იგი ჯერ თავის თავს მომზადებუ-
ლად ვერა სთვლიდა. გერმანიისაგან იგი მხოლოდ ამით განსხვავდე-
ბოდა. რაცა შეეხება გერმანიას, აქ მდგრამარეობა სულ სხვანაირი
იყო. სამხედრო პირები გერმანიაში ხშირად იმ აზრს გამოსთვამდე-
ნენ, რომ დრო ანტანტის სასარგებლოდ და გერმანიის საწინააღმდე-
ვოდ მუშაობს; ამოტომ მოთმინებით ცდა, სანამ ანტანტა გაცილე-
ბით უფრო ძლიერი აღმოჩნდება, გერმანიას დაეცემა და მას გაანა-
დგურებს, — მეტისმეტად სახიფათოა; რა კი ომი აუცილებელია, სა-
პირო თავდასმისთვის ხელ-საყრელი მომენტი თვით გერმანიამ შეა-
რჩიოს, გერმანიის საომრად განწყობილი პირების აზრით საჭირო
იყო „ომის დასწრება“, სანაც ანტანტა გერმანიისთან ომს თითონ დაი-
წყებდა, თავისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებში. გერმანიის,
ამ საომრად განწყობილ მოღვაწეებს ძალიან ხელს უწყობდა. პროპა-
განდა ასევე საომრად განწყობილი აღამიანებისა. რუსეთში, რომლე-
ბიც 1913 წელს და განსაკუთრებით კი 1914 წლის დასაწყისიდან
გაზიერებში და აგრეთვე შედებულ „სლოვიანურ საღილებზე“ განუწ-
ყვეტლივ მტრულად ლაპარაკობდნენ გერმანიასა და ავსტრიის წინაა-
ღმდევ, ჰქონდა გერმანიასა და ოსმალეთის მოსპობაზე, კველა
სლავიანების გაერთიანებაზე რუსეთის მეთაურობით და სხვ. რა თქმა
უნდა, გერმანიასა და ავსტრიის იმპერიალისტები ამ მოუფიქრებელსა
და საწინააღმდევო სიტყვებს თვალ-ყურს ადვენებდნენ და აღნიშ-
ნავდნენ, რომ რუსეთი დღეს თუ არა, ხვალ გერმანიას თავს დაესხმება

და რომ სასჭიროა იმ თავითასხმაში თვით გერმანიამ დასწროს და რუსეთსა და მის მოკავშირებს ომი გამოუცხადოს.

უნდა ითქვას, რომ 1913 წლის დასასრულს და 1914 წლის პირველ ნახევარს თავი იჩინა კიდევ ერთშა ფრიად თვალსაჩინო გარემოებამ; რუსეთსა და ინგლისს შორის ერთგვარი უთანხმოება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ორივე სახელმწიფო ცდილობდა სფერო თავისი გავლენისა საუკსეთში გაეფართვებინა. მართალია, ვილპურმ II და კანცულერი ბერტმან – ჰოლვეგი უფრო ფრთხილნი რომ ყოფილიყვნენ, გაიგებდნენ, რომ რუსეთ–ინგლისის უთანხმოება არც ისეთი ორმა იყო, ამ უთანხმოებაზე მომავალი გეგმების აშენება მოხერხებულიყო. გერმანიის მმართველებმა კი თავითანთი–თავი დაარწმუნეს, ინგლისი არავითარ შემთხვევაში რუსეთს მხარს არ დაუჭირს თუ რუსეთ–გერმანიის ომი დაიწყოვო. ამასთანავე ერთად, ინგლის დიაში რევოლუციონური მოძრაობა ძლიერდებოდა, – ცხადია ამის თანა პირობებში ინგლისს ვერ შეეძლო დიდს ევროპიულ ომში ჩარეულიყო. რაკი გერმანიის მთავრობაში თავისი თავი დაარწმუნა, რომ ინგლისი არ გამოვიდოდა, მაშინათვე ფეხ–ქვეშ მტკიცე ნიადაგი იგრძნიო. გერმანია და ავსტრია რომ რუსეთსა და საფრანგეთს დაამარცხებდნენ, ამაში გერმანიის ცველა სამხედრო საეკიალისტი დარწმუნებული იყო.. გარდა ამისა, საფრანგეთში ახლად იყო განხორციელებული სამხედრო რეფორმა რომელიც ორ წლიან სამხედრო ბეგარას სამწლიანი ბეგარითა სცვლიდა; საფრანგეთის ჯარის რიცხვი ამ რეფორმას მხოლოდ ორი–სამი წლის შემდეგ შეეძლო გაედიდებინა. რაიცა შეეხდა შეიარაღებას, სწორედ 1914 წლის ზაფხულს აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ციხეები და მთელი საფრანგეთის არტილერია ყუმბარებით საქმიოდ არ არის მომარაგებული: საფრანგეთის სენატში ეს საჯაროდ განაცხადეს. დასასრულ, რუსეთიდან ცნობები მოგვიღდა, რომ საქართველო ცენტრალში რევოლუციონური მოძრაობა კვლავ ძლიერდებოდა და რომ რუსეთის ჯარი, მიუხედავად სამხედრო მინისტრის სუბომლინოვის მკვებარა განცხადებისა, მისითვის მაინც მომზადებული არ არის.

ყოველივე ეს თითქას იმასა მოწმობდა, რომ გერმანიის და ავსტრიისთვის დადგა ისეთი ხელსაყრელი მომენტი, რანარიც შემთხვეში დწება ალარკ კი იყოს: ინგლისი ომს არ დაიწყებს; ხმლო რუსეთი და საფრანგეთი ომისთვის მხატ არ არიან.

კაპიტალისტური ბურჟუაზია, თავიად–აზნაურული წრილან გამოსული უბალლესი მოხელეობა და სამხედრო პირები კი ვილპელმზე და მთავრობაზე დიდს გავლენას ახდენდნენ. იმპერიალისტური მი-

მართულების გაზეთებში სწერდნენ კიდევ, „ხალხი“ იმპერატორს არ აპატიებს, გერმანია თუ თავისი ძლიერებით ვერ ისარგებლებს, ახალ, მდიდარ კოლონიებს ვერ მოიპოვებს და რუსეთისა და საფრანგეთის მტრობისგან თავის თავს საბოლოოდ არ უზრუნველყოფს, „ამ ზაფხულს გერმანიის ბეჭი უნდა გადასწუდეს“, 1914 წლის გაზაფხულს სწერდა მაქსიმილიან გარდენი, გერმანიის იმ დროინდელი პოპულიალური უურნალისტი, რომელიც მთავრობას სისუსტეს სწამებდა.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როდესაც 1914 წლის 28 ივნისს საღამოთი მთელ ევროპას მოედო მოულოდნელი ცნობა: ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფრანგინანდი და მისი ცოლი ქალაქ სერაფოში მოკვლა სერბშა გავრილა პიონერამ.

ეს ცნობა სწორედ ის ნაპერწალი იყო, რომელმაც, თოფის წამლის საწყობი ააფეთქა.

VIII. ავსტრიის ულტიმატუმი და მსოფლიო ომის დასაწყისი.

ჯერ კიდევ ერცჰერცოგის მოკვლამდე ავსტრიის მთავრობის წრეებში ძალიან გაბოროტებული იყვნენ სერბიაზე. სერბია ცდილობდა: აიდრიატიკის ზღვაზე გასავალი მოეპოვა (და ამით ავსტრიის უკონმიური გავლენისგან განთავისუფლებულიყო), მაგრამ ამ ცდამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოილო; როგორც ვიცით, ავსტრიამ 1913 წელს ამას ხელი შეუშალა. მაგრამ რადგანაც შძლავრი ეკინო-მიური მოთხოვნილება მაინც თავს იჩენდა, სერბიაში ავსტრიის წინააღმდეგ პროპაგანდა ძალიან გაძლიერდა. სერბიის პოლიტიკოსთა შორის უფრო მეტად და მეტად მტკუდებოდა აზრი, რომ სერბიის ერთად-ერთი ხსნა არის მომავალი დაშლა ავსტრია-უნგრეთის მონარქიისა; ამასთანავე ერთად სერბიელებით დასახლებული ბოსნია და ჰერცოგოვინა, რა თქმა უნდა. სერბიას უნდა შეერთებოდა; ამ გზით სერბია მდიდარ სახნავ მიწებსაც მიიღებდა და ზღვაში გასავალსაც. სერბია, რასაკვირველია, რუსეთზე დიდი იმედებს ამყარებდა, სერბიელები ძალიან ენდობოდნენ რუს შოლვაწეთა იმ ჯგუფებს, რომლებიც სწორედ ამ დროს მოუფიქრებლად ლაპარაკობდნენ რუსეთზე. როგორც სლავიანების დამხმარებელები, ბევრს ლაპარაკობდნენ სლავიანების განთავისუფლებაზე ავსტრიის მონობისაგან და სხვ. სერბიელები ამ ჯგუფის მოლვაწეებს რომლებიც პეტერბურგში „სლავიანურ საზღვრებზე“ ხდაურობდნენ თა ზოგიერთ გაზეთში მკენარია და მუქარით სასეს წერილებს ათავსებდნენ, გაცილებით უფრო მეტს მნიშვნელობასა და გავლენას აწერდნენ, ვიდრე ნამდვილი და

ჰუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო კი არც 1913, არც 1914 წელს ავსტრიის წინააღმდეგ ომს არ აპირებდა; იგი, მაგ., უკმაყოფილო იყო, როდესაც გრაფი ბობრინსკი და სხვა პირები სააგიტაციო მიზნით ავსტრია-უნგრეთის სლავიანურ სამფლობელოებში გაემგზავრნენ. მაგრამ, ამასთანავე ერთად, თავისი სუსტი ხასიათისა და მერყეობის გამო, როსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საზომოდი, რომელსაც არა სურდა გავლენიან პირებთან და ჯვეუფებთან უსამოვნება მოსვლოდა, არც ერთხელ სლავიანური განთავისუფლების ამ პროპაგანდისტებისგან ახდილად და გარევეულად არ გაიმიჯნა, არც ერთხელ მათი გამომწვევი. საქციელი არ დაჰვია. ამიტომ სერბიაში ბევრი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის დახმარება და რუსეთ-ავსტრიის ომი მოახლოვებულია. ავსტრიაში გაბოროტება მიმართული იყო როგორც სერბიის, ისე რუსეთის წინააღმდეგ. სერბიაში წარმოებულ ანტი-ავსტრიულ ავიტაციას ისე უცქეროდნენ, როგორც ავსტრია-უნგრეთის მონარქიის არსებობის წინააღმდეგ მიმართულ პირდაპირ მუქარას. ამიტომ, როდესაც 28 ივნისს სერბევრაში (ბოსნიაში) ამ პროპაგანდით ნაციონალისტურად განწყობილ-მა თაღლგაზრდა სერბიელმა გავრილო პრინცმა ავსტრიის ტახტის შემკვიდრე ფრანც-ფრანცინანდი და მისი ცოლი მოჰკვდა, ავსტრიის დიპლომატია ამ შემთხვევას ჩაებლუჯა, რათა ბოლო მოელო არა მარტო სერბიის ანტი ავსტრიული პროპაგანდისთვის, (თუმცა პრინცმა ავსტრიის ქვეშვრდომი იყო, და არა სერბიისა), არამედ ამასთანავე ერთად სერბიის დამოუკიდებელი პოლიტიკისთვისაც. 1914 წლის 23 ივნისს (ძვ. სტილით 10 ივნისს) ავსტრიამ სერბიას გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიაც სერბიისთვის ძალიან დამამცირებელი პირობების შესრულება მოსახლეობა; სხვათა შორის მოითხოვა, რომ სერბიას დაეკეტა ყველა განეთი და საზოგადოება, რომლებიც ანტი ავსტრიულ პროპაგანდას აწარმოებუნდნ, გაესამართლებინა ყველანი, რომლებსაც ფრანც-ფრანცინანდის ძალულაში რაიმე წილი ედოთ; ამასთანავე ერთად გასამართლებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ავსტრიის მოხელეებს თვით სერბიაში; კიდევ ბევრი ამისთანა დამამცირებელი მოთხოვნილება იყო წამოყენებული. შემდეგში ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა პრესსამ ულტიმატუმს „ბოროტი პროვოკაცია“ უწოდა. როდესაც ეს ულტიმატუმი ჯერ ისევ მზადდებოდა, ავსტრიაში მყოფმა გერმანიის ელჩსა ავსტრიელებს ურჩია მეტი ზომიერება გამოეჩინათ; მაგრამ იმპერატორი ვილჰელმი ჭალიან უკმაყოფილო იყო ამგვარი რჩევით და ვენაში მყოფ გერმანიის ელჩს უსლელიც კი უწოდა. ის პირიქით, ყოველ-გვარ ზომებს იღებდა,

ასთა ავსტრიის მოხუცი იმპერატორი ფრანც-იოსები და ავსტრიის შთავრობა სერბიის წინააღმდეგ აემხელებინა (ვილჰელმის ნამდევილი საქციელი ამ საკითხში გამომეულავნდა ახლოლოდ $4\frac{1}{2}$, წლის შემდეგ, როდესაც კარლ კაუციმ ომის ხანის საიღუმლო დაუყოვნებლივი ომის ხიფათი აღიმართა, ყველაფერი დაუთმო; იგი მხოლოდ თხოულობდა, რომ ავსტრიის მოხუცების თვით სერბიაში არ მიეროთ მონაწილეობა გაძომიებაში და რომ ეს საკითხი გადატანილი ყოფილიყო ჰაგის-სამედიატორო სასამართლოში. ამისდა მიუხედავად ავსტრიამ სერბიას ომი გამოუცხადა და სერბიის სატახტო ქალაქს, ბელგრადს, დაუყოვნებლივ ყუმბარები დაუშენა.

რუსეთში ულტიმატუმის გატაცნის პირველ მომენტიდანვე დაბნეულობა იყო. ავსტრიასთან (და, მაშასადამე, ავსტრიის მოკავშირე გერმანიასთან) დაუყოვნებლივ ომის დაწყება რუსეთის შთავრობას 1914 წლის ივლისში, როგორც უკვე ნათევიმი იყო, არა სურდა; იგი ამჯობინებდა ომი გადაედო. იმ დროისთვის, როდესაც ჯარის ხელ-ახალი შეიარაღება დასრულდებოდა. ამისდა მიუხედავად, ავსტრიის შესტერებლივ, გადასწყისა რუსის ჯარის ნაწილობრივი მობილიზაცია გამოეცხადებინათ. მაგრამ ავსტრიის თავდასხმა სერბიაზე ამან მაინც არ შეაჩერა. დღითი-დღე მდგომარეობა მწვავდებოდა. ინგლისის შთავრობამ ბევრი სცადა ავსტრიისა და სერბიის შეტაკება მშეიღობიანი გზით გადაეწყვიტათ, სამედიატორო სასამართლოს საშუალებით,—მაგრამ ინგლისის ეს წინადაღებანი ავსტრიამა და გერმანიამ უარჲყეს. დღითი-დღე ცხადი ხდებოდა, რომ ეს საქმე ავსტრია-სერბიის შეტაკებით ვერ გათავდებოდა, რომ სერბიას მხარს დაუჭერდა რუსეთი, ხოლო ავსტრიას—გერმანია; რუსეთს კი შეიძლებოდა მოჰყოლოდა საფრანგეთი და იქნება ინგლისიც. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ რუსეთში გამოქვეყნებული დოკუმენტები (1919—1922 წ.წ.) ნათლად მოწმობენ, რომ არა მარტო რუსეთში არამედ საფრანგეთშიაც იყვნენ ჯგუფები, რომლებსაც ომი სასურველად მიაჩნდათ და ამ მიმსვან ახალ ადგილების დაპყრიბას მოელოდნენ. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ავსტრიის თავდასხმა მოხდა სერბიაზე, საფრანგეთი თავის თავს უფრო ნაკლებად მომზადებულად ჰერძნობდა, ვიღრე გერმანია; ამიტომ მას ძალიანა სურდა, რომ იძულებული არ გამხდარიყო, ომი დაეწყო. რაიცა შეეხება ინგლისს, მან გადასწყვიტა არ ჩარეულიყო, თუ მმში გერმანია-ავსტრიისა და რუსეთის შეტაკებით განისაზღვრებოდა. მაგრამ მმში თუ საფრანგეთიც ჩაერეოდა და ამ მმში საფრანგეთს გერმანია-ავსტრიისა და რუსეთის შეტაკებით განისაზღვრებოდა.

ნიის ჯარი გაანადგურებდა, — მაშინ ინგლისს შიში უნდა ჰქონოდა, რომ გერმანია ძალიან გაძლიერდებოდა და ინგლისელები იძულებული გახდებოდნენ გერმანიის წინააღმდეგ პირისპირ ეომათ, მოკავშირეების დაუხმარებლათ. შემდეგში (როდესაც ომი უკვე გათავსა) გერმანიის მთავრობის მოლვაშენი ამტკიცებდნენ, 1914 წლის საშინელ ფულისის დღეებში რომ გვცოლნდა, რომ ინგლისი გამოვიდოდა და ომში ჩაერეოდა ჩვენ არავითარ შემთხვევაში ომს არ გამოუცხადებდით არც რუსეთსა და არც საფრანგეთსაო. გერმანიის მთავრობას სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ინგლისი ბოლომდის ნეიტრალიტეტს დაიცავდა; ამიტომ მან ინგლისს შესთავაზა, როდესაც გერმანია საფრანგეთს დაამარცხებს, მისი კოლონიები ჩვენს შორის გავიყითა. მაგრამ ეს წინადადება ინგლისშა მაშინათვე უარპყო. უკვე გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან და მოგონებებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ თვით ვილჭელმი უკანასკნელ წუთამდე ყოყმანობდა; ხოლო, როდესაც გააგებინეს, თვით ინგლისის მეფე ირწმუნება, ინგლისელები ომში არ ჩაერევიან, მაშინ ვილჭელშემა მოქმედების დაწყება გადასწყვეტა. რუსეთმა საერთო მობილიზაცია გადასწყვიტა; ამის საპასუხოდ ვილჭელმ II 19 ივლისს ძევლი სტილით (1 აგვისტოს ასალი სტრონით) წინადადება შისცა, ეს მობილიზაცია გაეუქმდია. როდესაც ეს მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა, ვილჭელმ II რუსეთს ომი გამოუცხადა. ორი დღის შემდეგ გერმანიამ ომი გამოუცხადა აგრეთვე საფრანგეთსაც. გერმანიის შემდეგ რუსეთს ოში გამოუკენდა და აესტრიამაც.

IX ინგლისის ჩარევა ომში.

ასე დაიწყო ეს ხოცვა-ულეტა, რომლის მაგალითიც მსოფლიო ისტორიას არ ახსოებს, — ხოცვა ულეტა, რომელიც $4\frac{1}{2}$, წელიწადს მცვინვარებდა, მილიონობით ხალხი იმსხვერპლა, ევროპა გაანადგურა და სისხლით დასკალა. მას შემდეგ კატასტროფის გამოწვევის ორივე მხარე ეროვნანეთს აბრალებდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყველა ქვეყნის ჟელმძღვანელ წრეებში (როგორც ანტანტაში, ისე მის მოწინააღმდეგებში) გარკვეული სურვილი ჰქონდათ ასალი ადგილების მოპოვებისა, თუნდაც ომის საშუალებით; ამიტომ ვერც ქროთ მხარე ვერ დაიტრაბახებს თავისი განსაკუთრებული. მშვიდობიანობით, კაცომა-ყვარეობით და კეთილშობილებით. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ გერმანიასა და აესტრიას ეგონათ, თითქოს 1914 წლის ივლისს ხელ-სიყრელი მომენტი დადგა და ამ მომენტით სარგებლობა საჭიროა.

შაგრამ აქ, პირველი ნაბიჯებიდანვე; აღმოჩნდა, რომ ვილჰელმ II და მისმა კანცლერმა ბეტმან—ჰოლვეგმა გერმანიისთვის დამდუპველი შეცდომა ჩაიდინეს. (კრინცრინცი, ვილჰელმის შეილი, ამ შეცდომას მხოლოდ ბეტმან-ჰოლვეგს აბრალებს, მაგრამ ყველა დოკუმენტის მიხედვითა სჩანს, რომ ვილჰელმიც არა ნაკლებ შესცდა). ეს შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ, მათის აზრით, ინგლისი ამში არ ჩაერეოდა; ამიტომ მათ გადასდგეს საბედისწერო ნაბიჯი,—ნაბიჯი, რომელმაც, შეიძლება ითქვან, გერმანია დალუბა: ისინი ბელგიაში შეიჭრნენ და მისი ნეიტრალიტეტი დაარღვიენ.

იმის გასაგებად, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, საჭიროა შეეღველობაში მივიღოთ, რომ გერმანიაში დირი ხანია შემუშავებული იყო გეგმა ომისა „ორ ფრონტზე“—საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. (ეს გეგმა გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა შლიფფენბა შეიძლება). შლიფფენის გეგმით, გერმანიას, რომელიც ნედლი მასალის შემოტანისა და დაჭრობის მხრით სხვებისგან იყო დამკიდებული, თირ-ხანს ომი ვერ შეძლო; ომი რაც შეიძლება მალე უნდა გაეთავებინა, უკეთეს შემთხვევაში რვა კვირის განმავლობაში. მოკლე ხნის განმავლობაში ომის გასათვებლად, გერმანია მთელი თავისი ძალ-ლონით უნდა დასცემოდა საფრანგეთს, ამასთანავე ერთად არა საფრანგეთ-გერმანიის საზოგართან, სადაც ფრანგებმა პირველხარისხოვანი ციხეებია აგეს და სადაც, მაშასალამე, ჩქარი გადასცალა შეუძლებელი იქნებოდა, —არამედ ბელგიის მხრითან, რაღაცაც აქ ფრანგებს ციხეები არა ჰქონდათ და ამიტომ შეეძლოთ შეუჩერებლივ პარიზისკენ წასულიყვნენ და პარიზი აეღოთ: პარიზის დაკარგვის შემთხვევაში საფრანგეთი ზაგეს შეჰქრაბს, —და მაშინ შთელი გერმანული ჯარი პარიზიდან რკინის გზებით გადაყენანილ იქმნება რუსეთის საზოგარზე, სადაც რუსებს დაამარცხებს. პალონეთსა და ბალტიის შანის პროვინციებს დაიპყრობს და იქ რუსეთის საზაო წინადაღებებს დაუკლის. ყველაფერი ეს რვა კვირის მოთხოვს. შლიფფენის გეგმა იმაზე იყო დამყარებული რომ რუსეთის მობილიზაცია ძალიან ხდება, და ამიტომ გერმანელები ფრანგებთან გასწორებას შეძლებენ იმაზე ადრე, ვიზრე რუსეთის ჯარი საბრძოლვილად გამოეწყობა. გერმანიის ჯარში შეეჩივნენ იმ აზრს, რომ საჭიროა მხოლოდ შლიფფენის გეგმის განხორციელება; მთავრ შტაბს აზრათაც არ მოსვლია, რომ ამ გეგმაში რაიმე ცვლილებები შეიძლება იქმნას შეტანილი. ამიტომ, როდესაც რუსეთსა და საფრანგეთს ომი გამოუცხადეს, გერმანიის ჯარი მაშინაოვე ბელგიის საზღვრებისკენ გაემართა, —და ვ აგვისტოს ეს ჯარი საზოგარს გადავიდა.

საქმე ამ ნაბიჯმა გადასწყვიტა. ჯერ კიდევ, სანამ გერმანელები ბელგიის სახლვარს გადალახავდნენ, ინგლისმა საფრანგეთსა და გერმანიას მომართა შეკითხვით, სურთ თუ არა ბელგიის ნეიტრალიტეტი დაიცვან. გერმანიამ ამ შეკითხვას პასუხი არ გასცა. ინგლისს კი დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, არც ეოთი დიდი სახელმწიფოსთვის ბელგიის დაპყრობის საშუალება არ მიეცა, რადგანაც ბელგია სწორედ ინგლისის ნაკირების პირდაპირ მდებარეობდა. რაკი გერმანიისგან პასუხი არ მიიღო, ინგლისმა სულ სხვანაირი კილოთი დაუწყო ლაპარაკი. მართალია, ანტანტა ყველა თავის წევრს არ ავალებდა, რა წამს რომელიმე მათგანს ვინმე დაეცემოდა, მაშინათვე ომში ჩარეულიყო, მაგრამ მაინც ადვილი საფიქრებელი იყო, რომ ინგლისი საფრანგეთისა და რუსეთის განადგურების გულგრილ მოწმედ ვერ დარჩებოდა. ამისდამიუხედავად, ინგლისის მთავრობამ პირველი დღიდანვე არ გადასწყვიტა ომში ჩარევა, რადგანაც ინგლისში ყველასთვის გასაგები არ იქნებოდა, რად უნდა ეომათ შორეული ციმბირისთვის, ან მხოლოდ საფრანგეთისა და რუსეთის დასხვარებლად. მაგრამ ებლა, ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევით, გერმანიამ ინგლისს თითონ მისცა ხელსაყრელი საბაზი, დაუყოვნებლივ ომში ჩარეულიყო: ინგლისს ინტერესები რომ ბელგიის დაცვას მოითხოვდა,—ეს ყველამ პატარაობიდანვე იცოდა. „გერმანელების ბელგიაში შესევის ერთი დღის წინა თითქმის მთელი ინგლისი ომში ჩარევის მომზრე იყო“, ასე ამბობდა შემდეგში ამ დღეების შესხებ ინგლისის მინისტრი ლლოიდ ჯორჯი. მუშათა პარტიაშიც კი, რომელიც ძალიან შვიდობისად იყო განვითარებილი, ბელგიაში შესევის შემდეგ უთანხმოება დაიწყო. გერმანიაში სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთამ კარლ ლიბკნეხტის მეთაურობით სხვა პარტიებზე. აღრე დაინახა მთელი დამტკიცელობა ბელგიაში შესევისა. თვით კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა, შესევის მეორე დღეს განაცხადა, ბელგიას „უსამართლოდ“ მოვეყყარით, „გაჭირვებამ კანონი არ იცის“, ხოლო გერმანიისთვის, თავისი საკუთარი გადარჩენისთვის, ბელგიაზე გავლა აუცილებელი იყო. ეს მან რეიხსტაგის ტრიბუნიდან განაცხადა 1914 წლის 4 აგვისტოს. იმავე დღეს საღამოთი ინგლისის ელჩმა მას გადასცა ინკლისის ულტიმატუმი: ბელგიიდან დაუყოვნებლივ ჯარი გაცევანეთო; უარი რომ ეთქვა, ინგლისის ელჩს მაშინათვე ბერლინი უნდა დაეტოვებინა. გერმანიის კანცლერმა უარი განაცხადა,—და ინგლისმა მეორე დღეს გერმანიას ომი გაშოუცხადა.

X AMW

თავი მეცნიერება.

მსოფლიო ომი და ვერსალის ზავი.

I მსოფლიო ომი მარნას ბრძოლამდე.

ინგლისის მოულოდნელმა ჩარევამ ომში გერმანიის მდგრმარეობა ქალიან გააუარესა. ჯერ ერთი, ომის გამოცხადების პირველ დღიდანვე ინგლისის შმართველებმა წენაცხადეს, რომ იარაღს მხოლოდ სრული გამარჯვების შემდეგ დაჰყრიან. მთელი ძველი გულში დაგუბებული მტრობა გერმანიისადმი, რომელიც მისი სავაჭრო-სამრეწველო კონკურენციით იყო გამოწვეული. ეხლა სრულიად აშეარად გამოჩნდა. მეორეც, ინგლისმა პირველი დღიდანვე ივარაუდა, რომ ომი ძალიან გაჭიანურდებოდა, ხანგრძლივი იქნებოდა; ინგლისისთვის საკირო იყო დრო, რათა თავისი ძალები გაეშალა, ხმელეთის ჯარი შეექმნა და შეეიარალებინა, დასასრულ გერმანულ კოლონიების დაპყრობა მოესწორო და გერმანელები თავისი კოლონიებიდან გაეძევებინა. გერმანიისთვის კი ყოველი გაჭიანურებული ომი ფრიად მავნებელი და პირდაპირ სახითათო იყო. მესამეც, ინგლისის ფლოტმა პირველ დღეებიდანვე გერმანიას ბლოკადა გამოუცხადა, ყველა წყალქვეშა კაბელები გადაუჭრა, გერმანია მთელ დანარჩენ ქვეყნიერებას ჩამოაშორა, გერმანიის მთელი საზღვაო ვაჭრობა მოსპო, ზღვით ნედლი მასალისა და სურასათის შემოტანა გერმანიისთვის შეუძლებელი გახდა. მეოთხეც, ინგლისმა მთელი თავისი ძლიერება, მთელი თავისი გავლენა ზღვაზე და მთელს ქვეყნაზე აამოძრავა, რათა ომის განმავლობაში გერმანიის წინააღმდევ ახალ-ახალი მტრები აემხედრებინა და გერმანიის ვაჭრობა ყველა ქვეყნიდან გაეძევბინა. ინგლისის შემდეგ მაშინათვე სრულიად მოულოდნელად იაპონიამაც გამოუცხადა ომი გერმანიას და წაართვა კოლონიები ჩინეთში. შემდეგ (ინგლისის პირდაპირი ზედ-გავლენით) გერმანიას ომი გამოუცხადეს სახერით ამერიკის სირმა და პატარა სახელმწიფოებრია, სულ ბოლოს. კი ჩინეთმაც გამოუცხადა ომი. ყოველი ასეთი ომის გამოცხადება იწვევდა გერმანული ქონების კონფისკაციას (ომის დასასრულადე), ხშირად გერმანელი მოქალაქეების დატყვევებას კონცენტრაციულ ბა-

ნაკში, გერმანული ქარხნებისა, კანტორებისა, გემების და სხვ. რეკვიზიტიციას.

ინგლისის ომში ჩარევა შლიფფენის გეგმის განხორციელებას ძალიან აძნელებდა, თითქმის შეუძლებლად ხდიდა: ცხადი იყო, გერმანიის არმიას პარიზი კიდევ რომ აელო,—ფრანგები, რომლებმაც იციდნენ, რომ მათს მხარეზე რუსეთის გარდა ინგლისიც არის, არავითარ შემთხვევაში ზავს არ შეჰქრავენ; მაშასადამე, ჯარის გადაყვანას რუსეთისკენ და ომის დასრულებას რვა კვირის განმავლობაში ვერ შესძლებენ.


მაგრამ უკან დახევა უკვე აღარ შეიძლებოდა. პირველი მოქმედება უზარ-მაზარი, მშვენივრად მომზადებული და შეიარაღებული გერმანელი ჯარისა ფრიად კარგი იყო: აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში აიღეს მთელი ბელგია, ბელგიის ციხეები, აფარებელი სიმდიდრე; გერმანელებმა ფრანგების წინააღმდეგ გამა (შარლეგრუასთან) ძლევამოსილად გადალახეს და დიღის სისწრაფით პარიზისკენ გაემართონ. ინგლისელებს ამ ხანში ძალიან ცოტა ჯარი ჰყავდათ და გერმანელების შეტევის პირველი ცდისთანვე უკუქცეულ იქმნენ. ფრანგებმა უკან დაიხიეს თავისი სატახტო ქალაქისკენ და გადასწყვიტეს გენერალური ბრძოლა გაემართათ პარიზის სიმგრეებთან, რომლებიც ქალაქს გარედ იყვნენ გატანილნი.

მაგრამ საფრანგეთის მთავარსარდალს გენერალ კოტოს იმდენად სუსტი იმედი ჰქონდა სატახტო ქალაქის დაცვისა, რომ მისი რჩევით რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთელი მთავრობა პარიზიდან ბორცოში გადავიდნენ. და აი, სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში რუსეთის ჯარი არმსაკლეთ პრუსიაში შეიჭრა. შლიფფენის გეგმის მიხედვით, რუსეთის საზღვრისთვის არავითარი ყურადღება არ უნდა მიექციათ და მთელი თავიანთი ძალ-ლონე პარიზის დაპყრობისთვის მოქმედებინათ. მაგრამ მსხვილ მიწად-მფლობელების კლასის გავლენამ გერმანიის მოქმედებაზე სწორედ აქ იჩინა თავი: რაღვანაც აღმოსავლეთ პრუსიაში ბევრი თავად-აზნაურული მამულები მდებარეობდა მიწადმფლობელნი აყაყანდნენ და სამხედრო ხელისუფლება აიძულებ პარიზისკენ მიმავალ ჯარისთვის რამდენიმე კორპუსი ჩამოეცილებინათ და აღმოსმელეთ პრუსიაში გადაეყვანათ, რათა იქიდან რუსეთი გაერევათ. ამ რიგად კრიტიკულ მომენტში დასუსტებული გერმანელი ჯარი 1914 წ. სექტემბერში მდ. მარნას-უზარ-მაზარ ნაპირებთან ფრანგებს შეეჯახა.

სასტიკი და სისხლის მღვრელი ბრძოლის შემდეგ, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა, გერმანიის ჯარი შედრეა და ჩრდი-

ლოეთით დაიხია. მართალია, თვით ფრანგებიც იმდენად დასუსტდნენ, ყუმბარები ბრძოლის დასასრულს იმდენად შემთაკლდათ, რომ დევნა და გერმანელების გაძევება საფრანგეთის საზღვრებიდან ველარ შესძლეს. პარიზიდან, დაახლოვებით 80—90 ვერ ის მ ლწა მტრმანელები გაჩერდნენ და თხრილებში ჩასრინენ; ფრანგებმაც გერმანელების შაგალითს მიჰბაძეს და ისინიც თხრილებში ჩასრინენ.

შლიფულების გეგმა ჩაითუშა. პარიზი ვერ იიღეს, ომი რვა კვირის განმავლობაში ვერ გათავდა. პარიზთან ეხლა ხანგრძლივი, გაჭიანურებული სისხლის ლვრა იყო მოსალოდნელი.



II მსოფლიო ომი მარნას ბრძოლიდან გერმანიის 1916 წლის 12 დეკემბრის საზავო წინადადებაშედე.

არა მარტო გერმანია—ყველა შესცდა, როდესაც იფიქრეს, რომ ომი მალე გათავდებოდა. რა წამს, მარნას ბრძოლის შემდეგ, გამომუღვანდა, რომ ომს გაჭიანურებულ ხასიათი ეძლეოდა, ორივე მხარემ მაშინათვე ახალ-ახალ მოქავშირების ძებნა დაიწყო. გერმანიის მთავრობამ 1914 წლის ოქტომბერს ოსმალეთი აიძულა, ანტანტის წინააღმდეგ გაელაშქრა. ოსმალეთი გამოვიდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეშინოდა გამარჯვებულ ინგლისსა და რუსეთს ერთმანეთ შორის არ გაეყოთ ოსმალეთი ისევე, როგორც სპარსეთი. მეორეც, ახალგაზრდა ოსმალთა მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი ისევ უკან წაართმევდა ყარსს. ინგლისი იძულებული გახდა თავისი სამხედრო ძალების ნაწილი აღმოსავლეთში გაეგზავნა ოსმალების წინააღმდეგ. რამდენიმე თვის შემდეგ გერმანიას, ავსტრიას და ოსმალეთს მიემხრო აგრეთვე ბულგარეთიც, რომელსაც იმედი ჰქონდა, ომი სერბიელებს მაკედონიას წაართმევდა. ომის პირველ წელი წარს გერმანიამა და მისმა მოქავშირებმა, არამც თუ რუსის ჯარისვან ვასტმინდეს აღმოსავლეთი პრუსია, არა მარტო გაანთავისულეს. აღმოსავლეთი გალიცია ლვოვისა და პერეშიშლითურთ, რომლებიც რუსის ჯარსა ჰქონდათ დაპყრობილი, არამედ თითონ დაპყრეს და შეინარჩუნეს რუსეთის პოლონეთი და ლატვიისა და ბელორუსიის ნაწილი: გერმანიის გამარჯვება რუსებზე იისწერა უკიოველესად. ყოვლისა ყუმბარების ნაკლებულობით, აუსარებელ უწეს-რიგობით, რომლის მიხეზიც იყო უყურადღებობა და ბოროტი უმოქმედობა სამხედრო და სამოქალაქო აღმინისტრატიული პოსტისა, მინისტრი სუხომლინოვიდან დაწყებული.

მაგრამ გერმანიის საქმეები აღმოსავლეთით თუ ბრწყინვალედ გიღიოდა, დასავლეთის ფრონტზე ასევე არ იყო. ჯერ ერთი, 1915 წლის გაზაფხულს ანტანტას მიემხრო იტალია, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ აესტრიის განადგურების შემდეგ იტალიელებით დასახლებულ აესტრიელ პროვინციებს ტრანსტინოსა და ტრიესტს მიიღებდა. ამ რიგად იტალიამ, რომელიც 1914 წლამდე გერმანიისა და ავსტრიის მოკავშირე იყო, არამც თუ მხარი, არ დაუჭირა, არამედ მათ წინააღმდეგ იარალიც კი მომართა. მეორეც, ინგლისმა საყველოაო სამხედრო ბეგრის კანონი განახორციელა და ყოველ თვე ახალ-ახალს ჯარსა ჰგავნიდა გერმანელების წინააღმდეგ. მესამეც, იარალისა და ყუმბარების დასამზადებლად მარტო საფრანგეთისა და ინგლისის ქარხნები კი არა მუშაობდნენ; არამედ ანტანტისთვის მუშაობდა აგრეთვე უზარ-მაზარი მრეწველობა ამერიკისა. ზღვა მთლიანად ინგლისელების ხელში იყო, ამიტომ გერმანელები ამერიკიდან ვერაფერს იღებდნენ, ანტანტა კი იღებდა ყველაფერს, რასაც მოისურვებდა. ყველა ამ მიზეზების გამო 1915—1916 წ. წ. დასავლეთით ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ თუმცა მოკავშირებმა, მიუხედავად დიდი ცდისა, გერმანული ჯარები ვერ გააძევეს ჩრდილოეთ საფრანგეთიდან და ბელგიიდან, სადაც ისინი ომის პირველ თვეებშივე შეიიჭრნენ, მაგრამ თვით გერმანელებმაც წინ წაწევა ვერ შესძლეს. ვერდენის ციხის აღების ცდამ 1916 წ. დიდი მსხვერპლი შეიწირა, მაგრამ გერმანელებმა მისი აღება მაინც ვერ შესძლეს.

მართალია, საფრანგეთის ზარალიც ძანლიან დიდი იყო, მაგრამ ფრანგებს ახალ-ახალი დამხმარე ძალები მოსღიოდათ ინგლისიდან, ინგლისის უზარ-მაზარი კოლონიებიდან, დასასრულ, თვით საფრანგეთის კოლონიებიდან, სადაც ადგილობრივ შავ-კანიანებს სასწრაფოდა სწროვნიდენ და საომრად ამზადებდნენ. გერმანელების განკარგულებაში კი არაფერი ამის მსგავსი არ იყო.

ომის მეორე წლიდანვე თავი იჩინა იმ ბლოკადის შედეგმა, რომელიც ინგლისის ფლოტმა შეჰქმნა. გერმანიის მომარაგებული ნედლი მასალა თანდათან ილეოდა. მცხოვრებლებს დაკალდათ ერთო, ხორცი, მატერიები და ტყავი. უკვე 1916 წელს ექიმები აღნიშნავდნენ, რომ სიკვდილი და ავადმყოფობა (განსაკუთრებით ბავშვებისა) ძალიან გახშირდა. ინგლისის ფლოტის უპირატესობის გამო ინგლისის ბლოკადის გარღვევა შეუძლებელი ხდებოდა. გერმანიის ფლოტმა სცადა ზღვაში გასულიყო და ინგლისელების ფლოტს შესტაკებოდა. ბრძოლა მოხდა სეაგერტაუში (1916 წელში), სადაც საქმე გერმანელებისათვის კარგად დამთავრდა, მაგრამ ბრძო-

ლის შემდეგ გერმანიის ფლოტი იძულებული გახდა თავის. ნაპირებს დაპბრუნებოდა და კილის არხში დამალულიყო. 1916 წ. გერმანიის მთავრობა უკვე ომის გათავებაზე ფიქრობდა: დასავლეთის ფრონტზე, მუხედავად დიდი ცდისა და ზარალისა, ვერდენის აღება მაინც ვერ შესძლეს, ჩრდილოეთ საფრანგეთში სისხლის მღვრელი ბრძოლები მთელი კვირაობით გრძელდებოდა, მაგრამ ეს ბრძოლები უშედეგოდ რჩებოდა; დასასრულ, აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის ბრუსილოვს სარდლობით მოულოდნელად დიდი იერიშები დაიწყო; ავსტრიის ჯარის განადგურებისა და უკან დახევის შემდეგ გერმანიის უმაღლესი მთავარ-სარდლობა იძულებული გახდა, ბრუსილოვის შესახერებლად ავსტრიაში ახალ-ახალი ძალები გადაეყვანა, 1916 წლის ზაფხულის დასასრულს ანტანტამ რუმინია აიძულა, ომში ჩარულიყო. რუმინიას იმედი ჰქონდა, რომ ავსტრიაშე შეზობულად მდებარე პროვინციას ტრანსილვანიას წაართმევდა. მაგრამ გერმანელების ჯარებმა რუმინელები მალე დაამარცხეს და მთელი რუმინია ~~დამაცრის~~ უკვე 1916 წელიწადი თავდებოდა, ომის დასაწყისიდან უკვე შესმეხამთარი იწყებოდა, მაგრამ ბრძოლას კი დასასრული არ უჩანდა. როგორც ავსტრიაში, ისე თვით გერმანიაში მუშათა წრეებში სერიოზული უმაყუფილება იწყებოდა, კარლ ლიბკენცტი, რომელიც აშეარად პქადაგობდა ომის წინააღმდეგ და თავის პროკლამაციებში პროტესტს აცხადებდა ხოცვა-ულეტის წინააღმდეგ, დიდი ხანია ციხეში იჯდა. მაგრამ დალლილობა, ზოგჯერ კი ბრძოლის უმედობით გამოწვევული სასოწარკეთილება უფრო მეტადა და მეტად ერცყლდებოდა გერმანიასა და ავსტრიაში, მუშებში, წვრილ ბურუუზიაში. დალლილობა ანტატის ქვეყნებშიც, განსაკუთრებით კი რუსეთში, ძალიან დიდი იყო. მაგრამ ანტანტის მატერიალური მდგომარეობა ბევრ მხრით მაინც გაცილებით უფრო კარგი იყო, კიდევ ავსტრიისა და გერმანიის მდგომარეობა. ინგლისსა და საფრანგეთში საქონელი ზღვით განუწვევეტლივ შედიოდა. ამ რიგად, მთელი დედამიწის ყველა საშუალებანი მოკავშირთა განკარგულებაში იყო. მართალია, ერთის შეხედვით 1916 წ, დასასრულს აღამიანს შეიძლებოდა ისე ბოსჩენენბოდა, თითქოს გერმანიამ გაიმარჯვა: გერმანიის ჯარსა და მის მოკავშირებს ეჭირათ ხელში ბელგია, მთელი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი საფრანგეთი, მთელი რუსეთის პოლონეთი და ლატვია, მთელი სერბია და ჩრდილორაი, მთელი რუმინია, ხოვიტო ჩრდილოეთის აღგონები და აღმოისა. ყოველივე ეს ისეთი შოხაპოვარი იყო, რომლებითაც თამაშად შეიძლებოდა ანაზღაურებულიყო აფრიკაში დაკარგული კოლონიები, რომლებიც ფრანგებმა და ინგლისელებმა დაიპყრეს. მაგრამ

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ გერმანიის გადაკრულ სიტყვას ზავის ჩამოგდების შესახებ ანტანტი ან უარით უპასუხებდა ან სრულიად არ უპასუხებდა. ანტანტის ბელადები დარწმუნებული იყვნენ, რომ გაჭიანურებული ომით გერმანიასა და ავსტრიას შეუძლიანთ მხოლოდ იზარალონ, რადგანაც შეა ყველა თავისი ძალა გამრიყენს და ახალი ძალების აღმოჩენა აღარსაიდან შეეძლოთ. ანტატას კი ჯერ კიდევ ყველა თავისი ძალა არა ჰყავდა გამოყენებული და იმიტომ ომის გაგრძელება სურდა. გერმანიის ჯარის ძლევამოსილი სარდლებიც კი შენერალი ჰინდინბურგი და მისი თანაშემწე გენერალი ლიუდენდორფი 1916 წლის დასასრულს ფიქრობდნენ, რომ გაზაფხულისთვის მდგომარეობა შეიძლებოდა გაუარესებულიყო და ამიტომ, საზოგადოდ, უკეთესი იყო, დაუყოვნებლივ გერმანიისთვისა და ავსტრიისთვის ხელსაყრელი ზავი შეეკრათ, თუ ეს მოსახერხებელი იქნებოდა.

III გერმანიის საზავო წინადადება.

1916 წლის 12 დეკემბერს გერმანიის კანცლერმა ბეტმან — ჰოლვეგმა რეიხსტაგში განაცხადა, გერმანიის მთავრობამ და მისმა მოკავშირებმა გადასტყვიტეს, მოწინააღმდეგებს საზავო წინადადებით მიმართონ. ეს წინადადება, მართლაც, ნეიტრალური სახელმწიფო ების საშუალებით ანტანტას გაეგზავნა, მაგრამ ანტანტამ კატეგორიული უარი განაცხადა. ეს კიდევ ცოტააო. თავის პასუხში ანტანტამ პირდაპირ განაცხადა, რომ გერმანიამ, რომელმაც ომი დაიწყო, არამც თუ ომით გამოწვეული ზარალი უნდა აანაზღაუროს, იგი ამასთანავე ერთად უნდა დაისაჯოს კიდევ; სანამ ეს არ მომხდარა, ზავზე ლაპარაკი ნაადრევიაო. ანტანტის პასუხის განზრას შეურაცმყოფელი ტონი და ნათლად გამოხატული დაპყრობითი სურვილები ნათლად მოწმობდნენ, რომ ომი ჯერ კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო. სწორედ ამავე დროს შუამავლად საზავო წინადადებით ამერიკაც გამოვიდა; შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს მეთაურმა, მებრძოლ ზარებს მიმართა შეკითხეთ, რანირ პირობებით სურდათ მათ ზავის შეკრა. ამ ცდიდანაც არაფერრ გამოვიდა; ანტანტამ ისეთი პასუხი გასცა, რომელიც მოლაპარაკების გაგრძელებას შეუძლებლადა ხდიდა.

VI დაუხდობელი წყალქვეშა ომის გამოცხადება.

 ეხლა რალა ვქნათ? აი, რანირი კითხვა აღიმართა შავს აჩრდილად გერმანიის წინაშე, როდესაც ანტანტამ ზავის ჩამოგდების

შესახებ ლაპარაკიც კი არ მოისურვა. ცწადი იყო, რომ გერმანიის ბლოკადის გამო ამ ქვეყნის მდგომარეობა თვით უნდა გაუარესებულიყო. ბლოკადის მოხსნა კი, ჰინდუნბურგისა, ლიუდენდორფისა და გერმანული გამოჩენილი გენერალებისა და აღმირალების აზრით, შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ გერმანია დაუნდობელ წყალქვეშა ომს გამოაცხადებდა. 1917 წლის იანვრის პირველ რიცხვებიდან წყალქვეშა ომის საკითხი იმპერატორისა, კანცლერისა და სამხედრო საზღვაო პირების საიდუმლო მსჯელობათა საგნად გადაიქცა. ამ ომის განმავლობაში საკითხი წყალქვეშა ომის შესახებ პირველად არ დასრულა. გერმანია თავის წყალქვეშა ნავეგაში ხედავდა ბრძოლის ერთად-ერთს სერიოზულ იარაღს ინგლისის საზღვაო ბატონობის წინააღმდეგ. მართალია, წყალქვეშა ნავეგი თთოქმის უსარგებლო იყო სამხედრო გემების საწინააღმდეგო ბრძოლაში, მაგრამ მათ ძალიან ადვილად შეეძლოთ დაელუბათ დიდი და პატარა სავაჭრო გემები. მათ შეეძლოთ დიდი ზიანი მიეყენებინათ ინგლისისთვის და მიაყენეს კიდეც,—მაგრამ ამ ნიაღზე უკვე სახით უთანხმოება დაიბადა ამერიკასთან. 1915 წელს გერმანიის წყალქვეშა ნავმა უზარ-მაზარი გემი „ლუზიტანია“ დალუბა; დალუბულთა შორის (ათას კაცზე მეტი იყო) 90 კაცი ამერიკელი მოქალაქე იყო. პრეზიდენტმა ვილსონმა მაშინ პირდაპირი მუქარის საშუალებით გერმანია აიძულა, პირობა მიეცა, რომ გაუფრთხილებლათ გემებს ალარ დალუბავდა და პასსაუირებს გადარჩენის საშუალებას მისცემდა. ეს პირობა წყალქვეშა ნავების უფროსებს ძალიან ზოჟდება: კომერციული გემები შეიარაღდნენ; როდესაც წყალქვეშა ნავი ზელიდან ამოვიდოდა, კომერციულ გემზე დადგმულ ზარბაზანს შეეძლო იგი ჩაექირა. ამ გემის გასაფრთხილებლად კი ნავი აუცილებლად წყალს ზევით უნდა ამოსულიყო: გარდა ამისა, გერმანიას ვერ შეეძლო დაელუბა ნეიტრალურ გემები, რომლებიც ნეიტრალური ბაირალით დადიოდნენ; ინგლისთან კი სწორედ ეს ნეიტრალური გემები ვაჭრობდნენ. „ლუზიტანიის“ შემდეგ მოხდა კიდევ რამდენიმე შემთხვევა ისეთი გემების დალუბვის, რომლებშიდაც ამერიკელები იმყოფებოდნენ; ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ გერმანიას პრეზიდენტი ვილსონისთვის სახითათო განმარტებანი და ახალ-ახალი დაპირებანი უნდა ეძლია. ეძლა, 1917 წლის დასაწყისში, გერმანიის სამხედრო პირებმა საკითხი ასე დასვეს. ყველა დაპირებანი, რომეულიც ვილსონს მივეცით, უკან უნდა წამოვილოთ და „დაუნდობელი წყალქვეშა ომი დავიწყოთ. სხვანაირად რომა ვსოდეთ: წინდა-წინვე უნდა განვაცხადოთ, რომ ყოველ გემს, რომელიც, საფრანგე-

თის, იტალიის, რუსეთის და სხვა მოწინააღმდეგეთა ნაპირებიდან განსაზღვრულ მანძილზე ქვება შემჩნეული, გერმანის წყალქვეშა ნავები გაუფრთხილებლივ დალუბავს. ამასთანავე ერთად მხედველობაში არ იქნება მიღებული, მტრისაა ეს გემი, თუ ნეიტრალური ქვეყნისა, კომერციული თუ პასაჟირებისო. მხოლოდ ამნაირი გზით, მხოლოდ დაუნდობელი წყალქვეშა ომით შეგვიძლიან ინგლისს მოუსპოოთ საშუალება სურსათის მიტანისა ნეიტრალური ქვეყნებიდან და კოლონიებიდან და ამით ზავის შეკვრა ვაიძულოთო“, უმტკიცებდნენ ვილჰელმს ამ წინადადებას მომხრენი. „ექვსი თვეს დაუნდობელი წყალქვეშა ომის შემდეგ ინგლისი ჩვენს წინაშე დარჩენიბს“ განაცხად კუთხით გერმანელთა ადმირალმა. ცხადი იყო, საქმე აქამდისაც რომ არ მისულიყო, დაუნდობილი წყალქვეშა ომი ინგლისს მაინც ძალიან ცუდს მდგომარეობაში ჩააყენებდა. მაგრამ გერმანის წინაშე მეორე საშიშროება იბადებოდა: ყოველის მხრიდან მოლიოდა ცნობები, გერმანიამ თუ დაუნდობელი წყალქვეშა ომი გამოაცხადა, შეერთებული შტატების პრეზიდენტი მას ომს გამოუცხადებსო. თუმცა არა მარტო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა, არამედ მემარცხენე ბურჟუაზიული პარტიებიც დიდს შიშს განიცდიდნენ ამ ნაბიჯის გამო, თუმცა თვით კანცლერი ბეტმან-პოლვეგი დიდ ხანს ყოველი და აღნიშნავდა, რომ ვილსონის მხრით ხიფათი მოვეველისო, — მაგრამ სამხედრო პირებმა მაინც თავისი გაიყვანეს და იმპერატორი ვილჰელმი მათს მხარეზე დადგა. 1917 წლის 1 თებერვალს გერმანიამ დაუნდობელი წყალქვეშა ომი გამოაცხადა.

V ომის გამოცხადება შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ.

რა წამს პრეზიდენტმა ვილსონმა ეს გარემოება გაიგო, მაშინათვე გერმანიის იმპერიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა; როი თვის შემდეგ კი, 1917 წლის 2 აპრილს, გერმანიას ომი გამოუცხადა. გერმანიისთვის ეს იყო საშინელი უბედურება, რომელმაც მისი ბედი გადასწყვიტა. სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც უკვე დატანჯული იყო სამი წლის გააფთრებული ბრძოლით უკველის მხრიდან გარშემორტყმული მტრებთან, დასუსტებული გრძმანიის წინააღმდეგ გაილაშქრა ახალმა, მეტად მძლავრმა მტერმა, რომელიც საშიში იყო მაშინაც კი, ბრძოლა რომ პირისპირ დაეწყო. შეცოვრებთა რიცხვით შეერთებული შტატები თითქმის ოჯახელ მეტი იყო გერმანიაზე; ტერიტორიით იყო თითქმის 17 მეტი. იყო;

ნედლი მასალის მხრით შეერთებული შტატები ათითვების აღურიცხვები იყო; ფინანსები მშვენიერ მდგომარეობაში ჰქონდა, რაღანაც იმის დროს ეკროპიდან ამერიკაში აუარებელი ოქრო ვაჭალიდა ამერიკული მრეწველობა. ძალიან განვითარდა და ტეხნიკურად გაუმჯობესდა. რა წამს შეერთებული შტატები იმში ჩაერია, მაშინათვე იქ საყოველთაო სამხედრო ბეგარა განხორციელდა, და ვილსონმაც განაცხადა, რომ ბრძოლა უკანასკნელ კაცამდე და უკანასკნელ დოლარამდე გაგრძელდებოდა.

ასეთი იყო გერმანიისთვის დაუნდობელი წყალქვეშა იმის გამოცხადების შედეგი. მაგრამ ჯერ ჯერობით გერმანიაში მაინც სწამდათ, რომ ქვეში თვის წყალქვეშა იმის შემდეგ ინგლისი ზავს მოითხოვს,—და, მაშასადამე, ამერიკა მის დახმარებას ვერ შესძლებსო. გარდა ამისა, აღმოსავლეთში მომხდარ ამბებს, როგორცა სჩანდა, საერთო ზავი უნდა დაეჩქარებინა: ვილსონის მიერ იმის გამოცხადების წინ რუსეთში 28 თებერვალს (ძველი სტილით) დიღხანს მომწიფებულმა რევოლიუციამ იფეთქა.

VI რუსეთის რევოლიუცია და მისი გავლენა მსოფლიო იმის მსვლელობაზე.

გადატრიალება და ის ამბები, რომლებიც ამ გადატრიალებას მოჰყვა, რუსეთის მონაწილეობის გაგრძელებას იმში ცხადად შეუძლებლადა ხლიდა. ხალხის მასას ფრონტსა და სახელმწიფოს შიგნით იმი აღარა სურდა. „ჯარისკავთა და მუშათა დეპუტატების საბჭომ“ შებრძოლ სახელმწიფოს მიმართა წინადადებით, ზავი ჩამოედოთ „უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, ერთა თვითგამორქვევის საფუძველზე“. მაგრამ ანტანტის სახელმწიფოებში, რომლებსაც უკვე შეერთებული შტატების დახმარების იმედი ჰქონდათ, საზავო წინადადება უარჲვეს, ხოლო სოციალისტური პარტიების ყრილობის მოწვევა სტოკჰოლმში საზავო მოლაპარაკების პირობების შესამუშავებლად ვერ მოხერხდა, რაღანაც ინგლისმა, საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმა თავიანთ სოციალისტებს სტოკჰოლმში წასვლის ნებაც კი არ მისცეს. დასავლეთის ფრონტზე სისხლის მლვრელი იმები, რომლებიც 1917 წლის მთელი ზატხულის განმავლობაში განუწყვეტილივ სწარმოებდა, უნაყოფოდ დამთავრდა. რუსეთის ფრონტზე რუსებმა უკანასკნელადა სცადეს იერიშით წასვლა, მაგრამ ეს იერიში ტარნეპოლთან დამარცხებით დამთავრდა. ცხადი იყო, რომ მეოთხე ზამთარშიაც ხანგრძლივი იმი უნდა გაგრძელებულიყო. მუშათა

მასსების ზედგავლენა რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ პარტია-ზე იმდენად დიდი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას „(დამოუკიდებელი“) დლითი-დლე უფრო მეტი და მეტი მნიშვნელობა და ფასი ეძლეოდა. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც მთავრობის დახმარების ძველს პოლიტიკას განაგრძობდნენ. შეეძლოთ სრულიად დაეკარგათ გავლენა მუშათა მასსებზე. ამიტომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ბელადმა შეიდემანმა დაუყონებლივ ზავის შეკვრა უფრო მტკიცედ მოითხოვა.

წვრილი ბურჟუაზიის და სამხრეთ-გერმანიის გლეხობის ნაწილ-მა ასეთივე ზედგავლენა მოახდინეს ცენტრის პარტიაზე და მოითხოვეს დაუყოვნებლივ ომის შეწყვეტა, თუნდაც ამისთვის საჭირო გამხდარიყო უარის თქმა აზალი ქვეყნების დაპყრობაზე. ამ ორმა პარტიამ (სოციალ-დემოკრატებმა და ცენტრმა), რეიხსტაგის სხვა პარტიების ზოგიერთ დეპუტატების დახმარებით, 1917 წლის ივლისში შესძლეს რეიხსტაგში ეგრედ წოდებული „საზაო რეზოლუციის“ გაყვანა. რეზოლუცია აქაც საზოგადოდ იმ აზრზე იყო დამყარებული, რომ ზავი უანექსიონდ და უკონტრიბუციონდ უნდა ყოფილიყო შეკრული. მაგრამ ანტანტამ ყველა ეს ცდა უყურადღებოდ დასტოვა. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მოხდა გადატრიალება, და ძალაუფლება ხელში ჩაუვარდათ კომუნისტებს, რომლებიც ომის გაგრძელების სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ. რუსეთმა მოლაპარაკება დაიწყო მებრძოლ სახელმწიფოებთან — და 1918 წლის თებერვალში ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთმა ზავი შექრა გერმანიასთან, აესტრიისთან, ოსმალეთთან და ბულგარეთთან. რუსეთის დელეგაცია როგორც ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს, ისე ამ მოლაპარაკების დასასრულს გერმანელი გენერალების დამპყრობელი გეგმების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა და თავდაპირველად ტრაქტატს ხელი არც კი მოაწერა. გერმანელები რუსეთის შუაგულში შეიკრინენ, შევიდნენ ესტონეთში და უკრაინაში, — და ზავიც შეიკრა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ რუსეთისა და უკრობის მთელი ხალხის წინაშე საჯაროდ ვანაცხადა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ნაძალადევი და მტაცებლობითი ზავიაო.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავი რომ გერმანიის მთავრობისა და მისი სამხედრო პირების უდიდესი შეცდომა იყო, — ამში ეხლა თვით გერმანიაში აღარავის ეჭვი არ შეაქვს. მაგრამ მაშინ გერმანიისა და ავსტრიის დაშეული მცხოვრებლები დარწმუნებული იყვნენ; რომ უკრაინა გერმანიასა და ავსტრიას გამოჰკვებავს და ამრიგად ბლოკადა ზღვიდან თუ არა ხმელეთიდან მაინც გარღვეული იქნება. გერ-

შანიაში პირველ ხანებში ზეიმობდნენ ის წრეებიც, რომლებიც ახალი ქვეყნების დაპყრობაზე ოცნებობდნენ; ეგონათ, რომ გერმანიის ჯარს, რომელიც ჩრდილოეთით პსკოვსა და ნარვამდე იყო მოსული და სამხრეთით—ოდესსასა, ყირიმსა და კაფკასიამდე—მთელი რუსეთი მტკიცედ ეჭირა ხელში. ნამდვილად კი უკრაინიდან ცოტა პური გაიტანეს, ჯარი კი დიდი უნდა დაებანდებინათ, რადგანაც მცხოვრებლები გერმანელებს მტრულად ეპყრობოდნენ. ყველაზე ცუდი, ყველაზე მავნებელი გერმანიის ინტერესებისთვის ის შთაბეჭდილება იყო, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა დასავლეთში მოახდინა. უნდა ითქვას, რომ მუშათა მასსები ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებას დიდის ინტერესით აღევნებდნენ თვალყურს. როდესაც ზავის პირობები გამოცხადდა, როდესაც გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის პროტესტი ამ პირობების წინააღმდეგ,—მაშინ საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, ჩრდალოეთ ამერიკაში იმათაც კი, რომლებსაც ზავის შეკვრა სწყუროდათ, ყოყმანი დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ გერმანიის გენერლებმა რეიხსტაგის „საზავო რეზოლუციას“ არავითარა ყურადღება არ მიაქციეს და მოპირდაპირის თავდაუჭრელი გაძარცვის პროგრამმა მთლიანად განახორციელეს. შემდეგში საფრანგეთის მემარტენე სოციალისტებმა განაცხადეს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა მათს აგიტაციას ომის წინააღმდეგ ძალიან ხელი შეუშალა. რაიცა შეეხდა გერმანიისა და ავსტრიის, აქ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები, რამდენადაც კი სასტიკი-საცენტურო პირობები საშუალებას აძლევდა, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობების. წინააღმდეგ იღაშქრებდნენ; მემარჯვენე უმრავლესობა კი (შეიდემანისა და ებერტის მეთაურობით) ამას ძალიან მალე შეურიგდა, თუცა შემდეგ ხშირად ირწმუნებოდა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავს გულში ყოველთვის ვგმობდოთ. ანტანტის მთავრობებმა ძალიან კარგად ისარგებლეს იმ საჭედისწერო შეცდომით, რომელიც გერმანიამ ბრესტ-ლიტოვსკში ჩაიდინა. საფრანგეთისა და ინგლისის პრესსამ საჩქაროდ განაცხადა, რომ ომი გერმანიის წინააღმდეგ გაგრძელდება სრულს გამარჯვებამდე და რომ ანტანტა გერმანიას აიძულებს უარი სთქვას. ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ გერმანიამა და მისმა მოქავშირეებმა მალე ზავი შეჰქრეს (ზუქარისტში) რომინიასთან და მასაც მეტად შძიმე პირობები დაუდვეს.

ამრიგად, ამომსავლეთის თრონტზე გერმანიამ სრულს ზავს მიაწია. იგი მზადებას შეუდგა, რათა გადამწყვეტი იერიში მიეტანა თავისი მოპირდაპირების წინააღმდეგ დასავლეთით. მაგრამ ანტან-

ტაც სასტიკი. ბრძოლისთვის ემზადებოდა. დიდი სისხლის ღვრა მომავალში ჯერ კიდევ უნდა მომხდარიყო.

VII. გაზაფხულისა და ზაფხულის იერიშები გერმანიის ჯარისა დასავლეთით. გარდატეხა ომის მსვლელობაში.

(1918 წლის მარტი—ივლისი).

1917—1918 წლის მთელი ზამთრის განმავლობაში დღე და ღამე გერმანიის ჯარი რუსეთის დამშვიდებული ფრონტიდან დასავლეთით, გადაჰყავდათ, ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში. მთელი ომის გათავისუფლობაში გერმანიის უმაღლეს მთავარ-სარდლობას პირველად მიეცა საშუალება ებრძოლა არა ორ ფრონტზე, არამედ—ერთზე. 23 მარტს გერმანიის ჯარების იერიშები დაიწყო. იერიშის პირველ დღეებში გერმანელებმა გაიმარჯვეს, ასი ათასობით ტყვეები ჩაიგდეს და ხელთ იგდეს ბევრი ყუმბარა და სურსათი. მაგრამ მოკავშირეთა ფრონტის გარღვევა მაინც ვერ შესძლეს. აპრილის პირველ დღეებშივე იერიში შეჩერდა. აპრილის დასასრულს დაიწყო მოლოდინი—ესეც თავდაპირველად ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ საბოლოო გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწიეს. ასეთივე ხასიათი ჰქონდა გერმანელების მესამე იერიშს (მაისში) და მეოთხე იერიშს (ივლისის შუა რიცხვებში). გერმანელებმა მარნაზე გადასვლაც კი შესძლეს, მაგრამ მაშინათვე უკან დაახვევინეს. ივლისის შუა რიცხვებში გერმანიის მთავარ-სარდლისთვისა და მისი თანაშემწე ლიუდენდორფისთვის ცხადი გახდა, რომ ვერც პარიზისკენ და ვერც კალესკენ (ლამანშის ნაპირზე) ფრონტს ვერ გაარღვევდნენ. უამისოდ ჭავ არავითარი იმედი არ იყო, რომ ომი მაღლე გათავდებოდა და მტერი იძულებული გახდებოდა, ზავი ეთხოვა. ახალ-ახალი, მშვენიერად შეიარაღებული ამერიკელი ჯარი კი ოვე და თვე გადმომდიოდა საფრანგეთში და ფრონტზე ივზავნებოდა. გამოანგარიშებული იყო, ომი რომ კიდევ ერთ წელიწადს გაგრძელებულიყო, ექვს მილიონამდე ამერიკულ ჯარისკენ დაიწყებდა ბრძოლას გერმანიის წინააღმდეგ. საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მასშები ძალიან დასუსტებული იყვნენ ომით, მაგრამ მათი მთავრობები ამნევებდნენ იმ დაბარებით, რომელსაც ამერიკა უწევდა. საფრანგეთში გამეფებული იყო რკინის, დიქტატურა ფინანსთა საბჭოს თავმჯდომარის უორუ კლემანსოსი, რომელიც უოველ-გვარ უქმაყოფილებას საფრანგეთის შიგნით სასტიკად აქრიბდა. ინგლისში პირველი მინისტრი ლლოიდ-ჯორჯიც ჰქადაგებდა

ბრძოლას სრულს გამარჯვებამდე. გერმანიაში, საღაც მთელს იმედებს გაზაფხულისა და ზაფხულის იერიშებზე ამყარებდნენ და საღაც დაინახეს, რომ ამ იერიშებმა საბოლოო გამარჯვება ვერ მიანიჭეს, — დიდი რყევა დაიწყო. არა მარტო მუშებში, არამედ ჯარის-კაცებშიაც ისმოდა ხმები; რომ მთავრობა მათ ატყუებს, რომ ეს ხოცვა-ულეტა არასოდეს არ გათავდება და რომ საჭიროა, მთავრობას ზავის შეკვრა აიძულონ.

+ *ქ. ქ.*

VIII 1918 წლის 8 აგვისტოს ბრძოლა და გერმანიის ჯარის უკან დახევა საფრანგეთიდან. ბულგარეთის კაპიტულიაცია.

X 1918 წლის 8 აგვისტოს, გერმანიის უმაღლესი მთავარ-სარდლებისთვის სრულიად მოულოდნელად, ინგლისელები ფრონტის ერთს ადგილას აუარებელი ჯავშნიანი მანქანების (ტანკების) დახმარებით იერიშე გადავიდნენ, ყველაზე სახიფათო გერმანელ უფროსებისთვის ის იყო, რომ ამ დღეს ზოგიერთი რაზმების ჯარისკაცებს ბრძოლა სრულიად აღარა სურდათ და ზოგიერთ რაზმებს, რომლებიც წინ მიღიოდნენ, უყვიროდნენ: „ომის გამგრძელებლები შტრეიტებერები არიან“. 8 აგვისტოს შემდეგ დაიწყო დასასრული იმ დიდი დროშისა, რომელიც უკვე ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. ანტანტის ჯარმა საერთო იერიში დაიწყო მთელ ფრონტზე, აგვისტოსა და სექტემბერის განმავლობაში მთელ უზარმაზარ ურონტზე განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა; ეს ბრძოლა ხან ერთ ადგილას იფეთქებდა, ხან მეორე ადგილას. ამერიკელების რაზმი შილოონიან არმიად ხდებოდა; მის განკარგულებაში იყო უზარმაზარი საპატიო ფლოტი მძიმე არტილერია, ჯარის ახალ-ახალი ნაწილები. გერმანიის ჯარი, რომელსაც ყოველის მხრიდან მტერი აწვებოდა, არტილერიის განუწყვეტელი ცეცხლის ზედგავლენით, ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ უკან იხევდა. სექტემბრის შუა რიცხვებში მდგომარეობა აუტანელი გახდა: ბალ-სანქთის ნახევარ კუნძულზე, საღაც ჯერ ისევ 1915 წლიდან ქალაქ კალონიკში ფრანგებისა და სერბიელებისაგან შემდგარი რაზმი იდგა, ბულგარეთის წინააღმდეგ იერიში დაიწყო. ამ რაზმა ფრონტი გაარღვია, და ბულგარეთი, რომელიც ზანგრძლივი ომით ისეც დასუსტებული იყო, სრულს კაპიტალიაციას დასთანხმდა. ანტანტამ ბულგარეთი დაიპყრო ბულგარეთის ჯარი განაიაროა და მის რეიხის გზებს დაეპატრონა. ცხადი იყო, რომ გერმანიასა და ავსტრიისგან მოწყვეტილი ოსმალეთი, რომელიც მესსოპატომიდში, პალესტინაში და

სირიაში ინგლისელების იერიშებს განიცდიდა, — დღეს არა ხვალ, იძულებული გახდებოდა აგრეთვე სრულს კაპიტულაციას დასთანხმებოდა. გარდა ამისა, ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ, ანტანტას ჯარს შეეძლო სრულიად დაუბრკოლებდად ავსტრიაში შეჭრილიყო. ბულგარეთის კაპიტულაციამ გერმანიის მთავარსარდლობას გამარჯვების სრული იმედი დაუკარგა. ჰინდუნბურგმა და ლიუდენდორფმა ვილჰელმს კატეგორიულად განუცხადეს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დროებითი ზავი ჩამოვარდეს.

იმპერიის კანცლერი ჰერცლინგი, როგორც ორივე წინანდელი კანცლერი, ბერტან-ჰილვეგი და მიხელისი (ეს უკანასკნელი კანცლერად სულ ამდენიმე თვე იყო), უფერული პირრვება იყო, იმპერატორის სურვილების მორჩილ-აღმსრულებელი. მაგრამ ეხლა ცხადი გახდა, რომ გააუთრებულ მტრისთვის საზავო წინადადებით უნდა მიემართა არა ამისთანა ადამიანს, არამედ სრულიად ახალს მთავრობას; რომელიც მემარცხენე პარტიებისგან შესდგებოდა, დაწყებული სოციალ-დემოკრატებიდან. იშედი ჰქონდათ, მტრი მემარცხენე პარტიებს უფრო მეტის ნდობით მოეპყრდობოდა, ვიდრე იმპერატორის ძველ მსახურებს. გარდა ამისა, მლელვარება ხალხში, განსაკუთრებით მუშათა მასებში, იმდენად ძლიერი იყო, რომ დაწყებული რევოლიუციონური მოძრაობა მხოლოდ მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას შეეძლო შეეჩერებინა. ახალი კაბინეტის სათავეში დადგა პრინცი მაქს ბადენისა, რომელიც ცნობილი იყო თავისი მშვიდობიანი განწყობილებით და აგრეთვე პირადი კარგი დამოკიდებულება ჰქონდა სოციალ-დემოკრატებთან. მის კაბინეტში შევიდნენ შეიდემანი და ზოგიერთი სხვა სოციალ-დემოკრატი, ცენტრის პარტიის ბელადი ერცჰერგერა და მემარცხენე ბურუუაზიული პარტიების წარმომძღვრები.

1918 წლის 4 ოქტომბერს პრინცმა მაქსმა შერთებულ შტატების პრეზიდენტს ვილსონს მიმართა თხოვნით, რომელშიაც აღნირ შნავდა, რომ იყი მზათ არის ჩამოაგდოს დროებითი ზავი და დაიწყოს მოლაპარაკება ზავის შესახებ იმ საფუძლებზე, რომლებიც უწინ თვით ვილსონმა წამოაყენა. აქ მხედველობაში ჰქონდათ უმთავრესად ეგრედ წოდებული „14 პუნქტი“, რომლებიც ვილსონმა ჯერ ისევ 1918 წლის დასაწყისში შეიძუშავა. ამ პუნქტების მიხედვით, ვერმანიას ამა თუ იმ სახით უარი უნდა ეთქვა ელჩას-ლოტარინგიაზე და ზოგიერთ ადგილებზე, რომლებიც პოლონელებით იყო დასახლებული და ჯერ ისევ მე-18-ე საუკ. მიიღო პოლონეთის გაყოფვის დროს. შავრამ მდგომარეობა იმდენად საშინელი იყო, რომ გერმანია ამნაირ

შსხვერბლის გალებას წინასწარვე სთანხმდებოდა. მაგრამ ვილსონმა თავის პასუხში და შემდეგს ნოტებში წამოაყენა მთელი რიგი ახალ მოთხოვნილებებისა, ურომლისოდაც მას არც კი სურდა გერმანიის თხოვნა დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ მოკავშირეებისთვის გადაეცა. ეს მოთხოვნილებანი იმაში გამოიხატებოდა, რომ გერმანიას დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტა წყალ-ქვეშა ომი და თავისი ჯარი საფრანგეთიდან და ბელგიიდან გაეყვანა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა ვილსონმა მტკიცედ აგრძნობინა, რომ არც მას და არც მის მოკავშირეებს მოლაპარაკების გამართვა ვილჭელშს // არა სურთ. გერმანიის მთავრობა ყველაფერს უთმობდა. ვილჭელმის გადასარჩენათ კი, ორი კვირის განმავლობაში რეიხსტაგში გაიყვანა მთელი რიგი კანონებისა, რომლებიც გერმანიის კონსტიტუციას სრულიად სცვლიდა და გერმანიის იმპერატორს ყოველ-გვარ დამოუკიდებელ უფლებებს ართმევდა. მაგრამ ამან ვერ უშველა. მუშათა ~~რასსებრი~~ გაბოროტება ვილჭელმის წინააღმდევ იზრდებოდა, ყოველის მხრიდან. იმოდა ამები, ზავის ჩამოგდების უმთავრესი მოწინააღმდევე ვილჭელმია. გერმანიის მოკავშირენი კი ამ დროს მტრებს ნებდებოდნენ: ოსმალეთმა და ავსტრიამ ანტანტას დროებით ზავის ჩამოგდება სთხოვეს. ლიუდებლორფი, რომელიც გერმანიის მილიტარიზმის უმთავრესს წარმომადგენელად ითვლებოდა, ~~სამსახურიდან~~ დაითხოვეს. მაგრამ ყველა ეს დათმობა უკვე უსარგებლო იყო: 1918. წლის ნოემბერში კილში მატროსების აჯანყებამ იფეთქა, — და მთელ გერმანულ ფლობებში 3—4 დღის განმავლობაში წითელი ფრონტი აფრიალდა. ეს იყო რევოლიუციის დასწყისი.

IX. რევოლიუცია გერმანიასა და ავსტრიაში. 1918 წლის 11 ნოემბრის დროებითი ზავი და მისი შედეგები.

რევოლიუცია ბერლინში 9 ნოემბერს დაიწყო. ვილჭელმ // და პოგენცოლლერნების მთელი დინასტია დამხეს (ვილჭელმი და კრონპრინცი იმავე დღეს გაიცენენ ჰოლანდიაში, სადაც თავი შეფარეს როგორც რევოლიუციას, ისე ანტანტის დევნას). ამავე დროს რევოლიუცია მოხდა გერმანიის ყველა სახელმწიფოში და ავსტრიაში. გერმანია და ავსტრია რესპუბლიკებად გადაიქცნენ. გარდა ამისა, ავსტრიას ჩამაშორდნენ და თავიანთი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს უნგრეთმა და ჩეხეთ-სლოვაკეთმა: ბორსნია და ჰერცოგოგივინა სერბიას შეუერთდა და ჩერნოვიზორიასთან. ერთად სამხრეთ-სლავის სამე-

ფო შეიქმნა. გალიცია პოლონეთს შეუერთდა; ტრანსილვანია-რუმინიას (რომელმაც ხელშეორებულ გამოუცხადა ომი გერმანიასა და ავსტრიას, როდესაც დაინახა, რომ ისინი დამარცხებული არიან); სამხრეთი ნაწილები უკვე 1918 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში იტალიელებს ჰკონდათ დაპყრობილი და იტალიას შეუერთდა. ყოფილი ავსტრიდან დარჩა ტერიტორიის პატარა ნაწილი ნ მილიონი მცხოვრებით; ამიერიდან ავსტრია ტერიტორიის ამ პატარა ნაწილს ეწოდა.

11 ნოემბერს, გერმანიის რევოლუციის ორი დღის შემდეგ, გერმანიის რწმუნებულებმა დროებითს ზავს ხელი მოაწერეს. ეს მოხდა მოქავშირეთა ჯარების მთავარსარდლის ფოშის ვაგონში. ფოშის პირობები გერმანიისთვის მართლაც რომ საშინელი იყო: მას მტრის-თვის იმდენი იარალი, ვაგონი და ორთქლმავალი უნდა გადაეცა, რომ ასევებითად ამის შემდეგ სრულიად განიარაღებული და უმწეო ხდებოდა; გარდა ამისა, იგი ვალდებული ხდებოდა გაენთავისუფლებია არა მარტო საფრანგეთისა და ბელგიის დაპყრობილი ადგილები, არამედ აგრეთვე ელზას-ლოტარინგის და უზარ-მაზარი ტერიტორია თვით გერმანიისა: მდინარე რეინის მთელი მარცხნა ნაპირი და ნაწილობრივ მარჯვენა ნაპირიც. ეს ადგილები დაუყოვნებლივ გამარჯვებულთა ჯარმა დაიკირა. გერმანიას დაუყოვნებლივ უნდა გაენთავისუფლებინა ტყვეები; გერმანიის ტყვეები კი, რომლებიც ანტანტას ჰყავდა, ისევ ტყვეებად უნდა დარჩინილიყონენ (ეს ტყვეები ანტანტამ მხოლოდ $1\frac{1}{2}$ წლის შემდეგ გაანთავისუფლა) გერმანია ვალდებული ხდებოდა უარი ეთქვა რუსეთთან დადებულ ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე და რუმინიასთან დადებულ ბუქარესტის ზავზე; იგი ვალდებული ხდებოდა ანტანტისთვის გადაეცა ოქტო, რომელიც რუსეთისაგან მიიღო. დასასრულ, გერმანიის ნაპირების ბლოკადა, რომელმაც გერმანია სმიშილამდე მიიყვანა, არ იქმნა მოხსნილი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის რწმუნებულები ყველაზე მეტად ამასა სთხოვდნენ. გერმანიის სამხედრო და ნაწილობრივ სავაჭრო ფლოტი დაუყოვნებლივ ინგლისელებს გადაეცა. დროებითი ზავის ეს საშინელი პირობები წინასწარებული მოწმობდა, რანაირი საშინელი საბოლოო ზავი იქნებოდა დადებული გერმანიასთან.

X. გერმანიის ამბები 1918 წლის 11 ნოემბრის დროებითი ზავიდან 1919 წლის 28 ივნისის გერმანიის ზავამდე:

რევოლუციია გერმანიაში მთელი 1918 წლის დასასრულის და 1919 წლის გაზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა. ვეიმარში სა-

ყოველთაო საარჩევნო უფლების ნიაღაგზე მიწვეულ იქმნა დამტუქნებელი კრება, რომელმაც ახალი, რესპუბლიკანური კონსტიტუცია შეიმუშავა; ეს კონსტიტუცია იმაზე იყო დამყარებული, რომ რეისტაგს (ხალხის წარმომადგენლების კრებას) მთელი საკანონმდებლო ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება, ე. ი. ნამინისტრო პასუხისმგებელი იყო რეისტაგის წინაშე; მინისტრებსა ნიშნავს არჩეული პრეზიდენტი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურად ითვლება. გერმანიის ცალკე სახელმწიფოებში დამოუკიდებელი პარლამენტები და სამინისტროები დარჩა. მაგრამ ამ მოლვა-რე დროს რევოლუციონური მოძრაობას ნაცელებად აინტერესებდა ვეიმარში რა ხდებოდა. მუშათა მასსები ორს უმთავრესს მიმდინარეობად იყოთოდა: უმრავლესობის სოციალ-დემოკრატები („შეიდგმანელები“) რევოლუციონური მოძრაობის დაუყოვნებლივ შეჩერებას მოითხოვდნენ, უკიდურესი მემარცხენენი (კომუნისტი — „სპარტაკელები“), რომელთა სათავეშიც შესანიშნავი აგიტაციონები და ორატო-რები, კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი იდგნენ, მომხრენი იყენენ იმისა, რომ რევოლუცია გაგრძელებულიყო, გალრმავებულიყო და სოციალურ გადატრიალებამდე მისულიყო. კარლ ლიბკნეხტი ჯერ ისევ ომის დროს საშინალად ილაშქრებდა ხოცვა ქლეტის დამწყებთა წინააღმდეგ და ამისთვის ციხეშიც კი დაამწყვდის. ციხიდან მხოლოდ რევოლუციონური აფეთქების წინა ხანებში გაანთავისუფლეს. მის კეთილშობილებას, მის ცხოველ ნიჭის დიდის პატივისა-ცემით ეპყრობოდნენ უსაშინელესი მტრებიც კი იმ იდეებისა, რომლებისთვისაც კარლ ლიბკნეხტი იბრძოდა. დროებით, აქა იქ სპარტაკელები იმარჯვებდნენ (ასე, მაგალითად, შემდეგში მათ ბავარიაც კი დაიპყრეს), მაგრამ საზოგადოდ სოციალური გადატრიალება გერმანიაში 1919 წელს და მახლობელ წლებში ვერ მოხერხდა. ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი მოჰკლეს სამხედრო პირებმა, რომლებმაც ისინი დატუსაღეს და ციხეში მიჰყავდათ; მოჰკლეს იმ მიზეზით, თითქოს ისინი გაქცევას აპირებდნენ.

ომითა და ბლოკადით დატანჯული მუშათა მასსები, რომლებიც ხედავდნენ, რომ ომის დასაწყისიდანერ მათ ყოველ ნაბიჯზე ატყუებდნენ, 1919 წელს და შემდეგს წლებში ძალიან გაბოროტებული იყვნენ. მაგრამ 1919 წელს მუშებისა და გერმანიის მცხოვრებთა სხვა კლასების ყურადღება თითქოს ორად გაიყო; ერთის მხრით, ყველა შინაურ საქმეებზე, განვითარებულ რევოლუციონურ მოძრაობაზე ფიქრობდა; მეორეს მხრით იძულებული ხდებოდნენ ყური დაუგდოთ იმ საბედისწერო ხმებისთვის, რომლებიც პარიზიდან მოდიოდა: პა-

რიზში დიდის საიდუმლოებით ანტანტანის ბელათები ამზადებდნენ
საზაფო ხელშეკრულებას გერმანიასთან.

+ 19/VI/26

XI ვერსალის ზავი.

ხანგრძლივი ომის დროს, როგორც უკვე ესთქეით, ინგლისისა
და შეერთებული შტატების ზედგავლენით, გერმანიას ბევრმ სახელ-
მწიფომ გამოუცხადა ომი; ამ სახელმწიფოების დიდი ნაწილი თუმცა
სამხედრო მოქმედებაში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა, მაგ-
რამ გერმანელებს მაინც სდევნიდნენ, მათს ვაჭრობას ანალგურებ-
დნენ, ქონებას ართმევუნდნენ: გერმანიას 27 სახელმწიფო ეომებოდა,
მაგრამ, როდესაც გერმანიასთან საზაფო ხელშეკრულობის დრო და-
დგა, აღმოჩნდა, რომ მთელი საქმე ხელში ჩაუკარდა სამი უდიდესი
სახელმწიფოს წარმომადგენელს: შეერთებული შტატების პრეზიდენტს
ვიოსონს, ინგლისის პირველ მინისტრს ლლოიდ-ჯორჯს და საფრან-
გეთის რეპუბლიკის პირველ მინისტრს კონანსონს. თათბირში მონა-
წილეობას იღებდა ავრეთვე იტალიის მინისტრიც, — მაგრამ მას ძა-
ლიან ცოტა მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა „ოთხთა საბჭოს“ წევრად
ითვლებოდა. შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის
ინტერესები ერთნაირი არ იყო, მათ შორის სრული თანხმობა არ
არსებობდა და ამიტომ საზაფო ხელშეკრულების შემუშავება ძალიან
გაჭიანურდა. ერთში კი უკველა გამარჯვებული შეთანხმებული იყო,
სახელდობრ, იმაში, რომ გერმანიასთან არავითარი მოლაპარაკება არ
გაემართათ, უგერმანიოთ შეემუშავებინათ ხელშეკრულება, შემდეგ გე-
რმანიის წარმომადგენლები მოეწვიათ და ებრძანათ, ხელშეკრულება-
ზე ხელი მოეწერათ; უარი, რომ ეთქვათ, დაუყოვნებლივ ომი უნდა
განეხლებინათ. ამ რიგად, ისინი უგერმანიოდ მუშაობდნენ, მაგრამ
შეთანხმებამდე მაინც ძალიან მალე ვერ მივიღნენ. შეერთებული შტა-
ტები ომში ჩაერია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ანტანტას ამერიკის
დიდა ვალი დაედო; გერმანიას რომ გაემარჯვა, ანტანტა გაკოტრდე-
ბოდა და ვალებს ველარ გადაუხდიდა. მეორეც გერმანიის მიერ 1917
წელს გამოუსადებული დაუნდობელი წყალქვეშა ომი ამერიკის ვაჭ-
რობას ძალიან აზარალებდა; გერმანიას რომ გაემარჯვა, ყოველი შე-
მთხვევის დროს ამ საშინელ იარაღს მიმართავდა. მესამეც, საზოგა-
დოდ, გერმანიის გამარჯვება შეერთებულ შტატებს ძალიან ცუდს
მდგომარეობაში ჩააყენებდა ჩინეთში, სადაც გერმანიის ვაჭრობა ამ-
რიკულს ვაჭრობას ებრძოდა, და იაპონიაში, რომელთანაც გერმანიას
ყოველთვისა სურდა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა და ია-

პონია შეერთებული შტატების წინააღმდეგ აემხედრებინა. — ყველა ამ მიზეზების გამო ვილსონი 1917 წელს ომში ჩაერია. მაგრამ ახლა, 1919 წელს, საზავო პირობების გამორკვევის დროს პარიზში, ის ლლოიდ ჯორჯსა და კლემბენს ძალიან ეკამათებოდა. შეერთებული შტატების მთელი მიზანი მიღწეულ იქმნა იმით, რომ გერმანია დამარცხდა. — ამის მეტი მას სხვა აღარაფერი უნდოდა. ამერიკელ კაპიტალისტებს სრულიადაც არა სურდათ, რომ ინგლისი და საფრანგეთი დამარცხებულის ხარჯით უზომოდ გაძლიერებულიყვნენ. ამერიკას, პირიქით, სურდა, რომ გერმანიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არსებობა განეგრძო და ინგლისისა და საფრანგეთის ერთგვარ მოპირდაპირ ძალად დარჩენილიყო. საფრანგეთის ინტერესები, მისი პირველი მინისტრის კლემანსონს აზრით, პირდაპირ ამის საწინააღმდეგო იყო. მან მტკიცედ გადასწყვიტა, გერმანია საბოლოოდ დაესუსტებინა და ამით მისი თავდასხმა მომავალში შეუძლებული გაეხადა. გარდა ამისა, საფრანგეთის მეტალურგიული მრეწველობის წარმომადგენლებსა სურდათ, ასე თუ ისე, ხელში ჩაეგდოთ გერმანული ნახშირი, ან ვიდრე ეს შეუძლებელი გახდებოდა, გერმანია აემულებინათ ნახშირი საზავო ხელშეკრულობის ძალით ეძლია საფრანგეთისთვის. შემდევ რმი საფრანგეთის ტერიტორიაზე სწარმოებდა. საფრანგეთის ათავსე დეპარტამენტი სასტიკად განადგურებული აღმოჩნდა. ამ დეპარტამენტების მცხოვრებლები დახმარებასა თხოულობდნენ, — და კლემანსონმაც წამოაყენა ლოზუნგი: „ყველაფერს გერმანელი გადაიხდის“. საფრანგეთის მთავრობის მიზანი უპირველესად ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება მეტად დაესუსტებინა გვერმანია, იგი უძლურ კოლონიად გადაექცია და შემდეგ ისე მოქმედოდა, როგორც სურდა; გარდა ამისა, ფრანგებსა სურდათ გერმანიისგან დიდძალი ოქრო მიეღოთ იმ ზარალის ასანაზღაურებლად („რეპარაციისთვის“), რომელიც ომში საფრანგეთის განადგურებულ დეპარტამენტებს მიაყენა. ჩაიცა შეეხება ინგლისს, მისი მთავარი მიზანი მოღწეულ იქმნა იმით, რომ გერმანიას მთელი სამხედრო ფლოტი და თითქმის მთელი სავაჭრო ფლოტი წაართვა და გერმანიის ვაჭრობა ევროპის გარეშე ბაზრებზე სრულიად მოსპონს ინგლისს მრეწველები კმაყოფილნი იყვნენ იმისიც. რომ ელჩის-ლოტარინგია აუარებელი რკინის მაღანით გერმანიას წაერთვა; ამიერიდან გერმანიის მრეწველობა, როგორც მათ ეგონათ, საშინალი განადგურდა და ამიტომ გერმანიის საჭონლის კონკურენციის შიში აღარ უნდა ჰქონოდათ. გარდა ამტა, გერმანიის ყველა კოლონიები ჯერ ისევ მოის ღროს ინგლისელებმა და ფრანგებმა და-

იპყრეს,— მაშასადამე, როგორც კოლონიალური სახელმწიფო, გერმანია ათარ არა გამომდებარებული. ინგლისელი იმპერიალისტები გერმანიისგან სხვა აღარაფერს არცა თხოულობდნენ. მაგრამ მათი ინტერესების წარმომადგენელი პირველი მინისტრი ლლოიდ-ჯორჯი აღშეფრთებული იყო კლემანსოს მოქმედებით; კლემანსოსა სურდა გერმანიის ხალხის დამოუკიდებელი არსებობისთვის საფუძველშივე ძირი გამოეთხარა. ინგლისელებს შეეშინდათ, საფრანგეთი ძალიან არ გაძლიერდეს; ლლოიდ-ჯორჯი და ვილსონი თათბირობდნენ და ზოგჯერ ცდილობდნენ გერმანია კლემანსოს დაუნდობელი და აღვირ-ახსნილი მოქმედებისგან დაეცვათ. მაგრამ, საზოგადოდ, ისინი ამას ვერ ახრეხებდნენ. ვილსონი ამ დროს ძალიან გატაცებული იყო „ერთა ლიგის“ გეგმით „ერთა ლიგა“ უნდა ყოფილიყო კრება მთელი ქვეყნის განათლებული სახელმწიფობის წარმომადგენლებისა; ეს კრება უნდა ყოფილიყო უმაღლესი ხელისუფლების მსგავსი რაღაც, რომელიც საერთაშორისო უფლების წესების დაცვას თვალყურს ადევნებდა, ყველას სამართლიანი ინტერესებს დაიცვადა, ომებსა და ქიშპობას შეუძლებლად გახდიდა და სხვ. ვილსონი ფიქრობდა, რომ თუ ლლოიდ-ჯორჯი და კლემანსო ამნაირ „ერთა ლიგის“ შექმნას დასთანხმდებოდნენ, შემდეგში შეერთებული შტატები შესძლებდა ამ „ლიგის“ საშუალებით ევროპის საქმეებში ჩარეულიყო; საზავო ხელშეკრულებაში მეტის-მეტად სასტიკი მუხლებიც, რომ გარეულიყო, შემდეგში „ერთა ლიგის“ საშუალებით აშშ მუხლების გამოსწორება შესაძლებელი გახდებოდა, სასტიკი მუხლები ხელშეკრულებაში მოხვდა, „ერთა ლიგიდან“ კი არაფერი გამოვიდა. თუმცა ეს „ერთა ლიგა“ შექმნა (და დღესაც არსებობს), მაგრამ იგი ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა უბრალო იარაღად გადაიქცა. დასასრულ, მრავალი თვეების საიდუმლო მსჯელობათა და დავის შემდეგ საზავო ხელშეკრულება დამზადდა. გადასწყდა, რომ საზავო ხელშეკრულებას ხელს მოაწერდნენ ქალ. ვერსალში (პარიზის მახლობლად არის, ნახევარი საათის სავალზე რკინის გზით). ამ ხელშეკრულების შესახებ გერმანელმა დამოუკიდებელმა სოციალისტმა ბრეიტშეიდმა განაცხადა, გერმანელებს რომ გაემარჯვათ, ისინი ასეთი დაუნდობელი იქნებოდნენ დამარცხებული მტრისადმით.

1919 წ. 7 მაისს გერმანიის დელეგაცია მოიწვიეს ვერსალში (პირველად), ხელშეკრულება ჩააბარეს და ხელისმოწერა მოითხოვეს.

ვერსალის ხელშეკრულობის პირობები. მდელვარება გერმანიაში. ულტიმატუმი. ვერსალის ხელშეკრულობის ხელისმოწერა 1919 წლის 28 ივნისს.

ამ დრომდე გერმანიამ დანამდვილებიდაც არ იცოდა, რას უპირებდნენ; მხოლოდ ბუნდესვანი, შავ-ბნელი ხმები დადიოდა, ეხლა კი საშინელი ჭეშმარიტება გაიგო; ამ ჭეშმარიტებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

// გერმანია ჰქარგავდა ელჩას-ლოტარინგიას, ყველა მიწებს, რომლებიც ჰოლონეთის გაყოფვის დროს ერგო, შლეზვიგის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელიც ჯერ ისევ ბისმარკის დროს დანიისგან მიიღო ბელგიასთან მოსაზღვრე ოლქს, ქალაქ მემელს, ქალაქ დანცინგს ოლქით, საზოგადოდ მთელი თავისი მიწების 1/5. გარდა ამისა, გერმანია ჰქარგავდა ყველა თავის კოლონიას. ზარალი ძალიან დიდი იყო (მცხოვრებთა 67 მილიონიდან შემოლოდ 68 მილიონი რჩებოდა); დაკარგული ადგილები მდიდარი იყო მანეულობით და ქვანახშირით. // გერმანია ომამდე ქვა-ნახშირით ძალიან მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა; ეხლა კი იგი გადაიქვა ისეთ ქვეპნად, რომელსაც თავისი საკუთარი მართხვნილებაც კი ვერ შეუძლიან დააკმაყოფილოს (ქვა ნახშირის გატანაზე გასაყიდად ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება). გარდა ამისა, გერმანიას უნდა მიეცა საუკეთესო ნაწილი თავისი სავაჭრო ფლოტისა; იგი ჰქარგავდა ყოველ გვარ ქონებას, სადაც კი არ უნდა ყოფილიყო იგი, გარდა თვით გერმანიისა. ყველა სანელ-მწიფომ, რომელსაც კი გერმანიასთან ომი ჰქონდა გამოცხადებული, წინანდელი სავაჭრო ხელშეკრულებანი გააუქმა. ყველაფერი ეს გერმანიის საგარეო ეპურობას ძირს უთხრიდა.

გერმანიას აუარებელი გადასახადები დაკისრეს. იგი ვალდებული იყო მიეცა აუარებელი საქონელი და ფრინველი ყოველივე იმის ასანაზღაურებლად, რაც მისმა ჯარმა საფრანგეთიდან და ბელგიიდან გაიტანა; იგი ვალდებული იყო ყოველთვიურად ეძლია დიდალი ქვა-ნახშირი იმ მაღაროებიდან, რომელებიც მის განკარგულებაში დარჩა. შემდეგ, გერმანია ვალდებული იყო გადაეცა იმდენი ოქრო, რამდენსაც 1921 წლის 1 მაისისთვის დაუსახელებდნენ (1921 წ. მას მოსთხოვეს 132 მილიონარდი მარკა ოქრო, 6 მილიონარდი ბელგიის სასარგებლოდ, სამხედრო ხარჯების ასანაზღაურებლად, სულ 138 მილიონარდი მარკა). სანამ ყოველივე ეს გადახდილი არ იქნება, მდინარე რეინის შთელი მარცხენა ნაპირი, 15 წლის გან-მავლობაში, მოკავშირეთა ხელში უნდა დარჩენილიყო. ეს ვადა შემ-

დეგში შეიძლებოდა გაგრძელებულიყო: გერმანიის ყველა მდინარე ნავთსადგური „ინტერნაციონალური“ ნავთსადგურებად გამოცხადდა, ე. ი. გერმანიას უფლება არა ჰქონდა ვისმესთვის მათი საჩრებლობ-აკრძალა. რათა გერმანიას აღარავითარი იმედი არა ჰქონდა ამ ხელშეკრულობის ძალით გაუქმებისა,—მისი ჯარი გაუქმებულ იქმნა: გერმანიას უფლება არა ჰქონდა ჯარი და ფლოტი ჰყოლოსა, გარდა 100.000 კაცისა და რამდენიმე პატარა გემისა. რამდენიმე პატარა ზარბაზნის გარდა, გერმანიას უფლება არა ჰქონდა სხვა რამ საარ-ტილერიო იარაღი გაეჩინა. ზარბაზნების გაკეთება და ყიდვაც კი გერმანიას სამუდამოდ აკრძალა. გარდა ამისა, გერმანია ვალდებული იყო აფეთქებინა ყველა თავისი კიხე და ახლები აღარ აეშენებინა. მას უფლება არა ჰქონდა სამხედრო პაროპლანები ჰყოლოდა. რეინიდან ორმოცდაათი კილომეტრის მანძილზე (აღმოსავლეთით) მას უფლება არა ჰქონდა შეიარაღებული ხალხი ჰყოლოდა. ან რაიმე სამხედრო დაწესებულებანი ჰქონიდა //

ასეთი იყო ვერსალის ხელშეკრულობის მთავარი მუხლები: იგი გერმანიას ანტანტისგან დამოკიდებულ, დამორჩილებულ სახელმწიფოდ ხდიდა; იგი გერმანიის ეკონომიური ცხოვრების ცოტად თუ ბევრად ნორმალურსა და დამშვიდებულ განვითარებას ყოვლად შეუძლებლადა ხდიდა; იგი გერმანიას საშუალებას უკარგავდა სხვა ერებთან ერთად თანასწორი ადგილი დაეჭირა. წარმოუდგენელი გადასახადები, თუნდაც რამდენიმე წლით განაწილებული, გერმანიის ხალხს ხდიდა მონებად, რომლებსაც თავიანთი ბატონებისთვის უნდა ემუშავათ; მათ თავს ერთთავად დასტრიალებდა მუქარა ახალი ქვეყნების დაკარგვისა. როდესაც ეს ხელშეკრულება გამოქვეყნდა, გერმანიაში რამდენიმე დღით ნაციონალური გლოვა გამოცხადდა. საზოგადოების ყველა ქლასსები და პარტიები შიშმა და აღშფოთებაშ მოიცვა. გერმანიის დელეგაცია ცდილობდა პირობები შეემსუბუქებინა, მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ანტანტამ რამდენიმე ხნით ვადა გადაუდო, შეიტანა მცირეოდენი შესწორებანი, რომლებიც გერმანიის მდგრამარეობასს რულიადაც არ ამსუბუქებდნენ, და ხელისმოწერა მოსთხოვა. გერმანიის ნაციონალურ კრებაში აზრი გაიყო. კომიუნისტები და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების ნაწილი ფიქრობდნენ, რომ შეიძლება ხელშეკრულებას ხელი არ მოვაწეროთ და განვახლოთ რევოლუციონური მოძრაობა, რომელიც შეიძლება საფრანგეთსაც მოედოს; ვერსალის პირობები მაშინ თვის თავად მოისპობათ. მეორეს მხრით, მემარჯვენე ნაციონალისტების ნაწილიც ხელისმოწერის წინააღმდეგი იყო. მაგრამ უმრავლესო-

ბამ, დიდი ყოფმანის შემდეგ, გადასწყვიტა ხელი მოუწერა, რაღანაც ანტანტამ წარუდგინა ულტიმატუმი: ან დაუყოვნებლივ ხელისმოწერა ან ომის განახლება. განიარაღებულ და დატანჯულ გერმანიას კი იმის ველარ შეეძლო. 1919 წლის 28 ივნისს ვერსალის სასახლის დარბაზში,— იმ აღილას, სადაც 1871 წლის 18 იანვარს ვრუსის მეუე ვილპელმ I გერმანიის იმპერატორად გამოცხადდა და გაერთიანებულ გერმანელ იმპერიას საფუძველი ჩაეყარა,— ხელი მოაწერეს ხელშეერულებას, რომელმაც გერმანია დაპყრობილ, დამოკიდებულ სახელმწიფოდ გადააქცია.

საზავო ხელშეერულებანი ავსტრიასთან, უნგრეთთან, ოსმალეთთან და ბულგარეთთან.

ანტანტამ: ამის შემდეგ მალე საზავო ხელშეერულობა. დასლო ავსტრიასთან (სენ-ურმენში); ამ ხელშეერულობით ავსტრია გადაიქცა სრულიად პატარა, ღატაკ ქვეყნად (ტ მილიონ მცხოვრებით), რომელიც ეკონომიურად და პოლიტიკურად მთლიანად ანტანტას დაემორჩილა. უნგრეთთან დადებული ზავი (ტრიანონში) უნგრეთს უკარგავდა მდიდარ ოლქებს, რომლებიც რუმინიის ხელში გადადიოდა. ბულგარიასთან დადებული ხელშეერულება (ნელში) ბულგარეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს სერბიას აკუთვნებდა. ოსმალეთთან დადებული ხელშეერულება (1920 წელს, ქალაქ სევრში) ოსმალეთს უკარგავდა: 1) სირიას, რომელიც საფრანგეთის ხელში გადავიდა, 2) მესოპოტამიას, არაბეთს, პალესტინას და იმიერ იორდანეს, რომლებიც ინგლისელებს ერგო, 3) მცირე აზიისა და ფრაკიის ნაწილს, რომლებიც ბერძნების ხელში გადავიდა. მაგრამ ნაციონალურ განმათავისულებელმა მოძრაობამ, რომელიც 1919—1922 წ.წ. ოსმალეთის განკარგულებაში დარჩენილ ტერიტორიაზე აღმოცენდა; ანტანტა აიძულა სევრის ხელშეერულება გადაესინჯა: 1923 წ. ლოზანნაში ხელი მოაწერეს აზიის ნაწილს უბრუნებდა. ოსმალებს ფრაკიისა და მცირე აზიის ნაწილს უბრუნებდა. ოსმალეთის მთავრობა და მისი ნაციონალური მოძრაობის ბელადი ქემალ-ფაშა დაბინავდნენ სტამბოლში, რომელიც 1918 წლის დასასრულიდან ინგლისელებს ეჭირათ.

XII. ერთა ლიგა*

ასე გათავდა ევროპის უდიდესი ომი. იგი დამთავრდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების საშინელი განალენებით. და ისეთი

„საზავო ხელშეკრულობით“, რომელიც არსებითად უდრიდა. არა ზავს, არამედ ომის გაგრძელებას. როგორც უკვე ვსთქვით, „ერთა ლიგამ“, რომელსაც მშვიდობიანი ურთიერთობა უნდა დაემყარებინა სახელმწიფოთა შორის, ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოილო. ინგლისი და საფრანგეთი ამ დაწესებულებით სარგებლობდენ ყოველთვის, როდესაც კი რაიმე მიზნის მიღწევა სურდათ, და „ლიგაც“ ამისთანა შემთხვევებში მათს მორჩილ იარაღად ხდებოდა. შეერთებული შტატების კონგრესი ვილხონის აზრს არ დაეთანხმა, და ამიტომ შეერთებული შტატები, „ლიგაში“ არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც დამარცხებული ქვეყნების სასარგებლოდ სუსტი ხმა გაისმოდა, იგი. უყურადღებოდ რჩებოდა. „ლიგამ—ვერავითარი ზნეობრივი ავტორიტეტი ვერ მოიპოვა და ევროპის საქმეებში მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

XIII საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი საკითხები ვერსალის ზავის შემდეგ.

ვერსალის ზავის შემდეგ ევროპა მეტად მღელვარე და მერყევ მდგომარეობაში იმყოფება. 1) დასავლეთის ორი უძლიერესი სახელმწიფო საფრანგეთი და ინგლისი უმთავრესს საკითხებში ერთმანეთს ვერ უთანმდებიან. საფრანგეთი თავის უმთავრესს მიზნად ძევლებურად გერმანიის ეკონომიურსა და პოლიტიკურ დამორჩილებას ისახავს, ინგლისის კი სურს, რომ გერმანიის ეკონომიური ცხოვრება უფრონორჩმალურ კალაპიტში ჩადგეს, რადგანაც გერმანიის ქალალდის ფულის ფასის დაცემის გამო გერმანული საქონელი ძალიან იაფად მზადდება, ინგლისის ბაზარზე ძალიან იაფად იყიდება და ამით ცნობისში უმშავრობას იწვევს. შემდეგ, სრული გაღდატაკების გამო, გერმანია, ინგლისისაგან აღარა ყიდულობს მრავალ იმ საქონელს, რომელსაც ჭრის ყიდულობდა (განსაკუთრებით კოლონიალურ ნედლ მასალას). გარდა ამისა, ინგლისი დიდის შიშით უკერის საფრანგეთის პოლიტიკურ გაძლიერებას, მისი ჯარის შეიარაღებას, ისედაც ძლიერი საპარო ფლოტის უფრო მეტად გაძლიერებას, კავშირის განმტკიცებას ბელგიასთან, რომელიც სამხედრო საქმის მხრით პირდაპირ საფრანგეთის მთავარ შტაბს ემორჩილება. გერმანიის დამორჩილება, რომლისკენაც საფრანგეთი მიისწრავების, ინგლისელებს არა ხელსაყრელად და სახიფათოდ მიაჩნიათ მით უფრო იმორმ, რომ საფრანგეთის კაპიტალისტები ეკონომიურად და, მაშასა-

დამე, პოლიტიკურადაც სავსებით დაეუფლნენ პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, სამხრეთ სლავიას, ნაწილობრივ უნგრეთს და რუმინიას; საფრანგეთის გავლენის უპირატესობა ამ ქვეყნებში (განსაკუთრებით კი პოლონეთში) ინგლისის იმპერიალიზმის წარმომადგენლებს აბრა-ზებს და აწუხებს, 2) თუ საფრანგეთისა და ინგლისის ქიშპობა ყველა სადაც საკითხში 1919 წლიდან ფრანგების გამარჯვებით თავ-დებოდა,— ეს იმით უნდა აისწნას, რომ ინგლისს აღმასავლეთში ხელ-ფეხი შეკრული აქვს. ინგლისმა ოსმალეთის სამფლობელოთა უდიდესი ნაწილი ჩაიგდო, მაგრამ ქემალ-ფაშას მოხერხებული ხელმძღვანელობით და რუსეთის დახმარებით აღდგენილი ოსმალეთის სახელმწიფო რეგლისის ამ ახალ სამფლობელებისთვის მუქარის წარმოადგენს. ფრან-გებს, რომლებიც დასაწყისში ქემალ-ფაშას მხარს უჭერდნენ, 1922 წელს დაეხმარნენ და საშუალება მისცეს ბერძნებისათვის წაერთმიათ მცირე აზის დასავლეთი ნაწილი და ფრაკია, ძალიან აღვილეს შე ეძლოთ დიდი ვნება მოეტანათ ინგლისელებისთვის, თავიანთი დახ-მარება რომ განეგრძოთ. ამიტომ ინგლისი იძულებული ხდება ფრან-გებს საშუალება მისცეს, როგორცა სურს გერმანიას ისე გაუსწორ-დეს, ოღონდ კი ფრანგებმა საშუალება მისცენ, ქემალ-ფაშას ებრძო-ლონ და მესოპოტამიაში და სხვა ახლად დაპყრობილ აღვილებში ფეხი მტკიცედ მოიციდონ, მაგრამ ამ აღვილებში ინგლისის კაპიტალი, რომელსაც სურს ბუნებრივ სიმდიდრეს და განსაკუთრებით კი ნავთს დაეუფლოს, იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს შეერთებული შტა-ტების კაპიტალის კონკურენციას. 3) თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ერთს უმთავრესს საკითხად ითვლება საკითხი რუსეთის მთავრობის იურიდიულად ცნობისა დასავლეთ ევროპის მიერ. ევრო-პის ზოგიერთი მეცნიერისა და პოლიტიკოსის აზრით, დასავლეთ ევროპის ომით დანგრეული ეკონომიური ცხოვრების ნორმალური აღდგენა შეუძლებელი გახდება, თუ რუსეთი საერთო მსოფლიო ეკო-ნომიურ ცხოვრებაში არ ჩაერია.

ასეთია უმთავრესი საკითხები ევროპიული პოლიტიკისა ვერ-სალის ზავის შემდეგ. ევროპის სრული და ჩეარი აღდგენა ომის შემ-დეგ ძალიან გაძნელებულია იგრეთვე იმითაც, რომ ყველაზე მდი-დარი ქვეყანა ეხლანდელი ღროისა—ამერიკა (შეერთებული შტა-ტები)—ევროპიულ საქმეებს სრულიად ჩამოსცილდა და არა სურს მიმართოს ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ფინანსურ ოპერატორებს, რომლებიც ევროპიულ სახელმწიფოების ეკონომიური ცხოვრების გა-საჯანსალებლად ასე ძალიან არის საკითხ,

რაიცა შეეხება კლასიური ბრძოლის შინაგან მდგომარეობას ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში ვერსალის ზავის შემდეგ, აქ უნდა აღნიშნოს ამ ბრძოლის გამწვავება გერმანიაში, რომელიც ამ ქვეყნის საერთო საშინელი ეკონომიური მდგომარეობით უნდა აიხსნას. ინგლისში, საღაც ჯერ ისევ ომამდე შმართველი კლასსები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და სოციალური რეფორმები მოეხდინათ, მუშათა კლასში 1920—21—22 წლებში, სამუშაო ხელფასის გადიდების მიზნით, დიდი გაფიცვები მოაწყო ქვა-ნახშირის მაღაროებში, ტრანსპორტზე, ნაწილობრივ საქსოვ მრეწველობაში. ეს გაფიცვები უმეტეს წილად, თუმცა არა ყოველთვის და არა ყველგან, მუშების გამარჯვებით სრულდებოდა. საფრანგეთის მუშათა კლასი ისეთი გამარჯვებით ვერ იამაყებს რანაირითაც ინგლისის მუშათა კლასი, მაგრამ ბრძოლა, აქაც არ შეწყვეტილა.

მაგრამ დაწვრილებითი ისტორია მუშათა მოძრაობისა ევროპაში უკანასკნელი წლების განმავლობაში, ისტორია, რომელიც მჟღიდროდ არის დაკავშირებული მე-II-ე და მე-III-ე (კომსუნისტური) ინტერნაციონალების ბრძოლასთან, — უკვე სცილდება ჩარჩოებს ამ შრომისას, რომლის მიზანსაც შეადგენდა მოთხოვნა მხოლოდ ვერსალის ზავამდე მიეყვანა.

ვერსალის ზავის შემდეგ ევროპის ისტორიაში სრულიად ახალი თავი იწყება; მაგრამ ევროპის ისტორიის ამ პატარა ნარკვევში ეს თავი უკვე ველარ შევა.

შ ი ნ ა ს რ ს ი:

თავი I. ევროპა ვენის კონგრესიდან 1848 წლის ჩე-
ვოლიუციონურ მოძრაობამდე და 1849—51 წ.წ. ჩე-
აქციამდე.

83:

I.	ევროპის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძო- ლის საერთო ხასიათი და ფორმები მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში	5
II.	„წმინდა კავშირი“	10
III.	რესტავრაციის დრო საფრანგეთში	11
IV.	ასი დღე	16
V.	ბურბონების მმართველობა	17
VI.	1830 წლის ივლისის რევოლუცია	18
VII.	ინგლისი 1814—1832 წ.წ. საარჩევნო კანონების რეფორ- მა 1832 წ.	20
VIII.	ინგლისი 1832 წლის საპარლამენტო რეფორმიდან ჩარ- ტისტული მოძრაობის დასასრულამდე (1848 წ.)	25
IX.	„ივლისის მონარქიის“ დრო საფრანგეთში (1830—1848 წ.წ.).	28
X.	1848 წლის თებერვლის რევოლუცია საფრანგეთში და მეორე რესპუბლიკა	33
XI.	ლუი—ნაპოლეონ ბონაპარტეს პოლიტიკური დოკუმენტები	39
XII.	გერმანიის სახელმწიფოები და აესტრია ვენის, კონგრეს- სიდან 1848 წლის მარტის რევოლუციამდე	42
XIII.	რევოლუცია იტალიანურ სახელმწიფოებში	52
XIV.	რევოლუციონური მოძრაობის განვითარება ევროპაში, ფრანგიურტის პარლამენტი	53
XV.	რევენურია ავსტრიასა, გერმანიასა და იტალიაში	54
XVI.	რევენურიას განმტკიცება ევროპაში (1849—1851 წ.წ.)	58

თავი II. ევროპა 1851—1871 წ.წ.

I.	მეორე იმპერიის ხანა საფრანგეთში	60
II.	ევროპა პარიზის ზავის შემდეგ, იტალიის გაერთიანება	63

III. ჭერბანის გაერთიანება. ბჟეშაგვი	65
IV. მეორე იმპერიის უკანასკნელი წლები საფრანგეთში	71
V. 1870 წლის ომი	75
VI. 1871 წლის 18 მარტი — 28 მაისის პარიზის კომიტენა	80

**თავი III. ევროპის დიდი სახელმწიფოები 1871 წლიდან
ანტანტის შექმნამდე.**

I. საერთო შენობენები	86
II. გერმანია 1871 წლის ომიდან მე-20-ე საუკუნის დასაწყისამდე	89
III. ინგლისი მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში	99
IV. ხაფუანგეთი 1871 წ. ანტანტის დასაწყისამდე	107

**თავი VI. უკროპა ანტანტის შექმნიდან მსოფლიო ომის
დასაწყისამდე (1904—1914 წ.წ.).**

I. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება	120
II. რუსეთ-იაპონიის ომი და მისი დასარღვლის გა- მოსვლა და მაროკი	121
III. რუსეთის შეირთება ანტანტასთან	123
IV. აღმოსავლეთის საკითხი. ბოსნიისა და ჰუगონოვინის ანტ- სია. (1908 წ.)	124
V. მაროკოს საკითხი. დეზერტირების საქმე (1909 წ.), აგა- დისი. (1911 წ.)	126
VI. ეკროპს სახელმწიფოები და ომალეთი	129
VII. დიდი სახელმწიფოები 1914 წლის ომის წინ	134
VIII. ავსტრიის ჟლტეშატუმი და მსოფლიო ომის დასაწყისი	139
IX. ინგლისის ჩარუვა, ომში	142

თავი V. მსოფლიო ომი და ვერსალის ზავი.

I. მსოფლიო ომი ბერნას ბრძოლამდე	1
II. მსოფლიო ომი მარნას ბრძოლიდან გერმანიის 1917 წლის 12 დეკემბრის საზაფო წინადადგებამდე	1
III. გერმანიის საზაფო წინადადგება	1
IV. დაუზღველებელი წყალქვეშა, ომრკი გამოცხადება	1

¶ 0 6 1 6 0 6 3 1 0 8

ეს მოკლე ნარკვევი, რომელიც შიზნად ისახავს მკითხველს მის წარმოდგენა დასავლეთ—ევროპის ისტორიის განვითარების უმ-თავრესი გზების შესახებ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, პირ-ველად განხრამული მქონდა როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ლექციების, რომლებსაც მოზრდილ. მაგრამ ნაკლებად მომზადებულ აუდიტორიას უკავშირდი. მე კლდილობდი რაც შეიძლება მოკლე ნარკვევი მომეცა, ამასთანვე ერთად გავურმოდი ყოველივე იმას, რის გამოტოვებაც კი შეიძლებოდა ისე, რომ მოთხრობის საფრთხო ძირითადი მომდინარეობა არ დარღვეულიყო. უპირველესად მე შინდოლა მკითხველთათვის მომეცა წარმოდგენა ევროპი აზხო-გადოების კლასიური აგებულებისა და იმ საერთაშორისო ურთი-ერთი დამოკიდებულების შესახებ, რომლებიც ევროპი ერთა ეკუ-ნიდიური მისწრაფებების წინააღმდეგობებიდან პირდაპირ გამომდი-ნარეობდა უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში.

მე მხედველობაში მყავს მკითხველი, რომელსაც ამავე დროს (ან წინასწარ) ოუნდაც მოკლეთ შესწავლული აქვს რუსეთის ისტო-რია იმავე პერიოდისა, — რუსეთს მე აქ სრულიად არ ვეხები. — აგრე-თვე შესწავლული აქვს მე-19—20 საუკ. სოციალისტურ მოძღვრება-თა ისტორია. (ამ საგანს მე მსურს განსაკუთრებული წიგნი ვუძღვნა).

ჩემი მთავარი ამოცანა იყო ნაკლებად მომზადებული მკითხვე-ლისთვის მიმეცა ისეთი წინასწარი გზის მაჩვენებელი, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, უახლოესი ისტორიის აუარებელ მრავალფე-როვან ფაქტებში თავიდანვე არ დაბნეულიყო. თუ ამ წიგნის შემდეგ ჩემს მკითხველს სურვილი დაებადება, ეს ჩემი მოკლე მოთხრობა უფრო ვრცელი წიგნების წაკითხვით შეავსოს და უფრო ვრცლად შეისწავლოს ამ წიგნში დასმული საკითხები, მაშინ ჩემი შიზნი მიღ-წეული იქნება.

რაც უფრო მეტად ვუახლოედები მსოფლიო ომს, ჩემი მოთხ-რობა მით უფრო დაწყრილებითი ხდება. მე იძიოთ ვხელმძღვანელობ-დი, რომ ახლაც დაწყებული მკითხველი იმის წინა ხანას, თვით ომს და მის დასასრულს უფრო ნაკლებად იცნობს, ვიღრე, შაგ. მე-19-ე საუკუნის ისტორიას, რადგანაც სახელმძღვანელოსა დიდი უმრავლე-

სობა მე-20-ე საუკუნის პირველ 20 წელიწადს ნაკლებად ეხება. ჩემთ
მოთხოვობა გრძელდება მსოფლიო ომის დასასრულამდე და თავდე-
ბა ვერსალის ზავის დახასიათებით.

შსურველთ დასავლეთი ევროპის უახლოესი ისტორიის გასაც-
ნობად შეგვიძლიან ვურჩიოთ შემდეგი წიგნები (რუსულ ენაზე):

გრეგუარი. საფრანგეთის ისტორია მე-XIX-ე საუკ.

ს. ინსაროვი. თანამედროვე საფრანგეთი.

კაუფშანი. გერმანიის პოლიტიკური ისტორია მე-XIX-ე საუკ.
მერინგი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორია.

კ. მარქსი. რევოლუცია, და კონტრ-რევოლუცია. გერმანიაში-
მიღუები. ინგლისის ისტორია მე-XIX-ე საუკ.

ფ. ენგელსი. მუშათა კლასის მდგომარეობა. ინგლისში:
ბოლტონ კინგი. იტალიის გაერთიანების. ისტორია.

დებიდური. ევროპის პოლიტიკური ისტორია ფრენის კანგრესის
შემდეგ.

ფ. ნიტო. ევროპა უნივოდ..

ნ. კარევე. ნარკვევები ევროპის სოციალურ-ეკონომიკური ის-
ტორიისა უახლოეს დროს.

სენიობოსი. ევროპის პოლიტიკური ისტორია მე-19-ე საუკ..